ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

EVOLVEXE CONSULTING

# დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები

## პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პროფესიული სწავლებისათვის

europeanprofiles S.A.

გამომცემლობა „ინტერნეშენელ ჯენერალ სერვისი“
თბილისი 2021

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში „პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის მიზნით". პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ავტორები და იგი არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

## *ავტორთა ჯგუფი*

**ნათია ალიაშვილი** – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სოციალური მუშაკი (პროფესიული ზედამხედველი), სოციალური მუშაობის მაგისტრი

**მორის ბარამია** – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსი, სამართლის მაგისტრი, საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრი

**რანდელ ბაროუზი** – ევროკავშირის მართლმსაჯულების (EU4Justice) პროექტი: „პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის მიზნით”, პროექტის გუნდის ხელმძღვანელი, European Profile S.A, 2021

**მორეტა ბობოხიძე** – პენოლოგი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სპეციალისტი, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტი

**ავთანდილ ქენჭაძე** – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს უფროსი

**დენიელ კლარკი** – ევროკავშირის მართლმსაჯულების (EU4Justice) პროექტი: „პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის მიზნით”, უფროსი ექსპერტი, European Profile S.A, 2021

**თეიმურაზ მაღრაძე** – საერთაშორისო ექსპერტი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებში / Evolvexe Consulting-ის დამფუძნებელი

**სალომე ნამიჭეიშვილი** – ევროკავშირის მართლმსაჯულების (EU4Justice) პროექტი: „პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის მიზნით”, უფროსი ექსპერტი, European Profile S.A, 2021, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ინგა სარჯველაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი, საჯარო მმართველობის დოქტორანტი

**ნანა ქორიძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სოციალური მუშაობის მაგისტრი

**მორის შალიკაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ჰამბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი

**ია შეყრილაძე** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ლიცენზირებული კლინიკური სოციალური მუშაკი (აშშ)

**ნინო ჭარხალაშვილი** – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ფსიქოლოგი, სამედიცინო და გამოყენებითი ფსიქოლოგიის მაგისტრი

**თათია ხოჭოლავა** – დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ექსპერტი

**ლადო ჯავახიშვილი** – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ უფროსის მოადგილე, სამართლის მაგისტრი, საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრი

რედაქტორი **მარინა ბუაჩიძე**
დამკაბადონებელი **დალი ჯვარშეიშვილი**

ISBN 978-9941-8-3465-3

# სარჩევი


წინასიტყვაობა ..... 5

შესავალი ..... 7

თავი I. სამართალი და სამართლიანობა, დანაშაული, სისხლის სამართლის პოლიტიკა ..... 9

თავი II. დანაშაულის ახსნა-განმარტების კრიმინოლოგიური თეორიები ..... 21

თავი III. ორგანიზებული დანაშაული და კრიმინალური სუბკულტურა ..... 30

თავი IV. განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია ..... 45

თავი V. საქართველოს პრობაციის სამსახური (ისტორიული მიმოხილვა, განვითარების ეტაპები) ..... 60

თავი VI. პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლი მართლმსაჯულების სისტემაში ..... 67

თავი VII. რისკის შეფასება და მართვა დანაშაულის განმეორებით ჩადენის შესამცირებლად ..... 86

თავი VIII. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადების სპეციფიკა და თავისებურებანი ..... 104

თავი IX. რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის მომსახურებები ..... 118

თავი X. პირობით მსჯავრდებულთან ურთიერთობის მნიშვნელობა და თავისებურებანი ..... 132

თავი XI. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულები
დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემაში ..... 143
თავი XII. გარდამავალი მენეჯმენტი ..... 156
თავი XIII. აღდგენითი მართლმსაჯულება ..... 165
თავი XIV. ადამიანის უფლებები პრობაციის სისტემაში..... 183
თავი XV. სამართლებრივი ნაწილი (კანონმდებლობა პრობაციასთან
მიმართებით)..... 197
თავი XVI. თანამედროვე ტექნოლოგიების როლი
პრობაციის სისტემაში..... 213

# წინასიტყვაობა

ეს სახელმძღვანელო მომზადებულია EU4Justice-ის პროექტის მხარდაჭერით.

მისი მიზანია, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს („სააგენტო“) მოქმედ თუ ახალბედა თანამშრომლებს მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: სააგენტოს საკანონმდებლო ჩარჩო, უახლესი ისტორიული განვითარება, სააგენტოს ძირითადი მიზნები და მეთოდოლოგიური ასპექტები.

საქმიანობისას სააგენტო ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროს („სამინისტრო“) სტრატეგიით, რომელიც 2018 წელს შემუშავდა. შესაბამისად, ამ სახელმძღვანელოს შინაარსი ეფუძნება სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვას:

*„...უზრუნველყოფილ იქნას .... დანაშაულის პრევენციის სისტემების არსებობა, რომელიც უმაღლეს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია, როგორც სასჯელის აღსრულების, ასევე სასჯელის ალტერნატიული სახეებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მხრივ, და რომელიც, იმავდროულად, იცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებს, ღირსებასა და პიროვნებას. ჩვენი მიზანია ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა და განმეორებითი დანაშაულის შემცირება, რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს საზოგადოების უსაფრთხოებისა და დაცულობის ხარისხი.“*

გარდა ამისა, სამინისტროს სტრატეგია მოიცავს საგულისხმო განცხადებებს ფართო პარტნიორობის მნიშვნელობაზე, ასევე იმ სტანდარტების დაცვაზე, რასაც მოელიან პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემის თანამშრომელთაგან:

*„ჩვენი ძირითადი მისიაა, განვავითაროთ ისეთი ... დანაშაულის პრევენ-ციის სისტემები, რომლებიც მუდამ მიისწრაფვის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებისაკენ. ამისათვის ჩვენ განვავითარებთ და შევინარჩუნებთ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს, ხელს შევუწყობთ მათთვის სათანადო და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, რათა დავიცვათ მათი ღირსება და უფლებები. ჩვენ ასევე დავნერგავთ თანამედროვე და პროფესიონალური მართვის პრაქტიკას, ვითანამშრომლებთ სხვა სახელ-მწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან.“*

და ბოლოს, სტრატეგია ადგენს პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემაში მუშაობის ძირითად პრინციპებს:

- *„თავისუფლებააღკვეთილ პირთა და პრობაციონერთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა;*
- *თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირის მართვა მისი ინდივიდუა-ლური რისკებისა და საჭიროებების მიხედვით, სასჯელის მოხდის გეგმის*

*შესაბამისად და იმ სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელების გზით, რომელთაც საფუძვლად უდევს აღნიშნული ინდივიდუალური რისკები და საჭიროებები;*

- *პენიტენციური, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის სისტემების ადამიანური რესურსის განვითარება თანამშრომლებისთვის სათანადო სწავლების უზრუნველყოფის გზით, რათა მათ ეფექტიანად, ანგარიშვალდებულად და პროფესიონალურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები კანონმდებლობის, შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის კოდექსის, პატიმრობისა და პირობითი მსჯავრის აღსრულების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან;*
- *ადამიანური რესურსების მართვის ისეთი მენეჯმენტის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების, პასუხისმგებლობების, წახალისებისა და შესაძლებლობების თანაბარ ბალანსს ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის მიზნებისათვის;*
- *სასჯელის აღსრულებასა და მსჯავრდებულთა საჭიროებების საკითხებზე მომუშავე შესაბამის ინსტიტუტებსა და მხარეებთან ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე აგებული ღია კომუნიკაცია და პარტნიორობის ძიება;*
- *საკითხებისადმი მიდგომის გამჭვირვალობა და ეფექტიანი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, ოჯახებთან, მსხვერპლებსა და ფართო საზოგადოებასთან.“*

სტრატეგიის ხედვა, მისია და პრინციპები ვერ შესრულდება მხოლოდ სახელმძღვანელოს შემუშავებით, თუმცა ის სასარგებლო რესურსი და საშუალება იქნება თანამშრომელთა შემდგომი განვითარებისთვის. აუცილებელია ამ დოკუმენტის რეგულარული განახლება, რათა იგი მუდმივად ზუსტი და რელევანტური იყოს.

**რანდელ ბაროუზი**
პროექტის გუნდის ხელმძღვანელი,
EU4Justice („პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის
განმეორების პრევენციის მიზნით“)
ივნისი, 2021 წელი

# შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია დანაშაულის პრევენციის, პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, ამ სფეროში ცოდნის ამაღლებით დაინტერესებული პირებისათვის, საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის.

სახელმძღვანელოს მიზანია დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემის მოქმედ და ახალ თანამშრომლებს გააცნოს სფეროში არსებული თანამედროვე მიდგომები და მეთოდები, დაეხმაროს ორგანიზაციაში ადაპტირების პროცესში, პროფესიული როლის გააზრებასა და ბენეფიციარების საჭიროებების სწორად დანახვაში. სახელმძღვანელო დაეხმარება სპეციალისტებს, შეიძინონ ის საბაზისო, პირველადი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც შემდეგ ეტაპზე, საჭიროების შესაბამისად, უნდა გამყარდეს შემდგომი სწავლებითა და ცოდნის გაღრმავებით.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს თითოეულ თავს თან ახლავს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები ტრენერებისა და ლექტორებისათვის, რაც დაეხმარება ტრენინგის ფასილიტატორს ან/და ლექტორს, სწორად დაგეგმოს სალექციო თუ პრაქტიკული სწავლების სესია, სავარჯიშოები, სასწავლო კომპონენტები, დავალებები და საჭიროების მიხედვით შეარჩიოს სავალდებულო და სარეკომენდაციო მასალა თითოეული ჯგუფისათვის.

სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი იყო, ერთი მხრივ, დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების მიერ დაგროვილი ცოდნის გაზიარება მათი კოლეგებისა და სისტემის ახლადშემომატებული თანამშრომლებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის პრევენციის, პრობაციისა და არასაპტიმრო სასჯელთა აღსრულების, როგორც დარგის, შესახებ ცნობიერების ამაღლება და შემდგომი პოპულარიზაცია სტუდენტებში, მკვლევარებში, მომიჯნავე დარგის სპეციალისტებსა თუ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებში.

სახელმძღვანელო ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში სააგენტოსა და კომპანია „Evolvexe Consulting“-ის ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა და მისი ავტორები დისციპლინის წამყვანი ევროპელი და ქართველი ექსპერტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და დარგის პრაქტიკოსები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის მომზადება, ერთი მხრივ, ძალზე კომპლექსური, საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, სასიამოვნო პროცესი იყო, რომელიც ბევრ საინტერესო ეტაპს მოიცავდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რომ პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა, ერთად მოეყარა თავი ყველა იმ ადამიანს, ვისაც სფეროსთან დაკავშირებული თეორიული ცოდნა და ძალიან საინტერესო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია, ამან კი ხელი შეუწყო საბოლოო შედეგის წარმატებით მიღწევას და როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნას.

პუბლიკაცია, ერთი მხრივ, დარგის პრაქტიკოს სპეციალისტებზე, ხოლო მეორე მხრივ, ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი. მისი სტრუქტურა და შინაარსი შესაძლებლობას იძლევა, კურსი მოერგოს როგორც მონაწილეთა ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე ინსტიტუციურ მოთხოვნებს.

პირველ ეტაპზე, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში დაინერგება და იგი ორიენტირებული იქნება პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და დარგის სხვა სპეციალისტების სისტემაში ადაპტირებაზე, პროფესიული უნარების ამაღლებასა და თეორიული ცოდნის გაღრმავებაზე. იმედი გვაქვს, სამომავლოდ, სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული და პრაქტიკული (უნარების) სასწავლო მოდულები ადაპტირდება და გამოყენებულ იქნება საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში, ასევე იგი სისტემის გარეთაც შეუწყობს ხელს მულტიდისციპლინური მუშაობის გაძლიერებას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ურთიერთდაკავშირებასა და დარგთა შორის მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოცემული თემატიკის გარშემო ქართულ ენაზე საკმაოდ მწირი რესურსი მოიპოვება.

ბოლოს, სააგენტოსა და კომპანია „Evolvexe Consulting“-ის სახელით გვსურს მადლობა გადავუხადოთ თითოეულ ავტორს, სახელმძღვანელოს მომზადებაში ჩართულ პირს და ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით განხორციელებას.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო საფუძველს ჩაუყრის საქართველოში როგორც პრაქტიკოსი სპეციალისტების, ასევე სტუდენტებისა და სხვა მომიჯნავე სპეციალისტების დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემის მიმართ ხედვის ცვლილებას და ქვეყანაში დანაშაულის პრევენციისა და რეაგირების მიდგომების თანამედროვე ხედვის ჩამოყალიბებას.

**ლადო ჯავახიშვილი**
დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის
ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე,
სამართლისა და საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრი

**თეიმურაზ მაღრაძე**
საერთაშორისო ექსპერტი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების
საკითხებში, Evolvexe Consulting-ის დამფუძნებელი

# თავი I. სამართალი და სამართლიანობა, დანაშაული, სისხლის სამართლის პოლიტიკა

ავტორი: *მორის შალიკაშვილი*

## 1. სამართლის და სამართლიანობის ცნება, სისხლის სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

სამართალი, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო ნორმათა სისტემა, შინაარსობრივად დაკავშირებულია იმ ყველაფერთან, რაზედაც საერთოდ შეიძლება არსებობდეს ნორმები. სამართლიანობა არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ურთიერთობების პრინციპი, რომლის მიზანია, ყველას ჰქონდეს საკუთარი სამართლის ქონის (პოვნის) შესაძლებლობა.

სამართალი შედის ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და არის სოციალური მეცნიერებების ნაწილი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებას.

სისხლის სამართლის ამოცანაა, ადამიანთა თანაცხოვრების უმნიშვნელოვანესი სფეროები ანდა უმნიშვნელოვანესი ინტერესები განსაკუთრებით მკაცრად იქნეს დაცული. ამრიგად, სისხლის სამართლის ამოცანა სამართლებრივ სიკეთეთა დაცვაა. დასაცავია საზოგადოებისა (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება) და ინდივიდის (მაგ.: სხეული, სიცოცხლე, საკუთრება და ქონება) სამართლებრივი სიკეთეები.

სამართლებრივ შედეგთა სიმკაცრის გამო სისხლის სამართლის გზით სამართლებრივი სიკეთის დაცვას განსაკუთრებული ლეგიტიმაცია სჭირდება. სისხლის სამართალი არის სამართლებრივი სიკეთის დაცვის ultima ratio (უკანასკნელი საშუალება). იგი სუბსიდიურია, ე.ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მისი გამოყენება, თუ სხვა საშუალებები არ არის საკმარისად ქმედითი.

სისხლის სამართლის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დასჯადობა ქმედების ჩადენამდე იყო გათვალისწინებული. სასჯელის დაწესება ასევე მოითხოვს, რომ ამსრულებელი ბრალეულად, ე.ი. გასაკიცხად მოქმედებდეს (ბრალეულობის პრინციპი).

კლასიკური მიდგომით სამართალი იყოფა ორ სფეროდ: კერძო და საჯარო. კერძო სამართლისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს, საჯარო სამართალი, პირიქით, მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპით. საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დადგენილი კანონით. საჯარო სამართალი ყველა იმ დავას მოიცავს, სადაც ერთ-ერთ მხარედ სახელმწიფოა წარმოდგენილი.

თანამედროვე მიდგომით სისხლის სამართალი თავისი მნიშვნელობის გამო ცალკე გამოიყოფა, რის შედეგადაც სამართლის დაყოფა ხდება სამი მიმართულებით: კერძო სამართალი, საჯარო სამართალი და სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი არეგულირებს სახელმწიფოს რეპრესიული უფლების წარმოშობას

(მატერიალური სისხლის სამართალი) და მის განხორციელებას (ფორმალური სისხლის სამართალი: სისხლის სამართლის პროცესი). სისხლის სამართლის კუთვნილებას საჯარო სამართლისადმი ის განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ე.წ. დასჯის მონოპოლია.

მეორე მოსაზრება ეფუძნება მართლმსაჯულების განხორციელების სამი სვეტის პრინციპს. ამ სისტემის მიხედვით, მართლმსაჯულების პირველ სვეტს წარმოადგენს კანონმდებლობა და მატერიალური სისხლის სამართალი, მეორე სვეტს - სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე და საპროცესო ნორმები, ხოლო მესამე სვეტს - სასჯელაღსრულების სფერო.

## 2. დანაშაულის ცნება

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

დანაშაულის შესახებ მოძღვრება შეისწავლის ქმედების დასჯადობის სამართლებრივ საფუძველს. დანაშაულის ზოგადი მოძღვრება განსაზღვრავს იმ ელემენტებსა და მის შემადგენელ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისათვის, რის გამოც ისინი წარმოადგენენ დანაშაულის სისტემის შემადგენელ ნაწილს. დანაშაული შედგება სამი ელემენტისაგან: 1) ქმედების შემადგენლობა (პირის მიერ ჩადენილი ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით), 2) მართლწინააღმდეგობა (პირის მიერ ჩადენილი ქმედება წინააღმდეგობაშია კულტურის ნორმებთან) და 3) ბრალი (მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის).

## 3. დანაშაულის სახეები და კეტეგორიები

### 3.1. განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

ა-მ ცეცხლი წაუკიდა სახლს, რათა სადაზღვევო კომპანიისაგან აიღოს თანხა. ამასთან, მან იცის, რომ სახლში იმყოფება ლოგინად ჩავარდნილი ბ, რომელიც ამ ხანძრისგან აუცილებლად დაიღუპება.

მართალია ა-ს არ უნდა ბ-ს სიკვდილი, მაგრამ განიხილავს როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ ა დარწმუნებულია სიკვდილის დადგომაში, სახეზე გვექნება პირდაპირი განზრახვა.

იმ შემთხვევაში, თუ ა-ს შედეგის დადგომა მხოლოდ შესაძლებლობად მიაჩნია, რადგან იგი ფიქრობს, რომ ავადმყოფს მეზობელი ან მეხანძრე გადაარჩენს, სახეზე გვექნება არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. ქმედება ***თვითიმედოვნებითაა*** ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ქმედება ***დაუდევრობითაა*** ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.

ა-მ ფანჯრიდან გაფუჭებული უთო გადააგდო, რომელიც თავზე დაეცა ბ-ს და გარდაიცვალა. ა-მ დაარღვია წინდახედულობის ნორმა. იგი მოქმედებდა არა განზრახვით, არამედ გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნება).

ა-მ სამსახურში, სამუშაო ოთახში აანთო სანთელი. გავიდა ოთახიდან და დაავიწყდა ანთებული სანთელი. გაჩნდა ხანძარი და დაიწვა სახლი. ამ შემთხვევაში სახეზეა დაუდევრობა.

### 3.2. ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, დანაშაული არის სამი კატეგორიის: ნაკლებად მძიმე დანაშაული, მძიმე დანაშაული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას; მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; ხოლო განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

## 4. დანაშაულის სტატისტიკა

### 4.1. დანაშაულის სტატისტიკის მნიშვნელობა

სტატისტიკა ლათინური სიტყვაა და ნივთიერების, საგნების, მოვლენების მდგომარეობას ნიშნავს. დანაშაულის ანალიზის მნიშვნელოვანი საშუალება არის (სისხლისსამართლებრივი) კრიმინალური სტატისტიკა.

კრიმინალური სტატისტიკის ქვეშ მოიაზრება მათემატიკური ციფრები, რომლებიც დამნაშავის და/ან დანაშაულის შესახებ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე კონტროლის ორგანოების მიერ სისტემატურად იქნა დაფიქსირებული, ანუ კრიმინალური სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა და დინამიკა.

კრიმინალურ სტატისტიკას გააჩნია ოთხი ძირითადი მნიშვნელობა:

1. ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა არის სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ანგარიში. პოლიციის, სასამართლოს, პრობაციის და სასჯელაღსრულების ორგანოები აწარმოებენ სტატისტიკას საკუთარი საქმიანობის წარმოსადგენად;
2. კრიმინალური სტატისტიკა არის კვლევის ინსტრუმენტი. იგი იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა და, სავარაუდოდ, რა მიზეზებით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული;
3. კრიმინალური სტატისტიკის მეშვეობით ხდება მოსახლეობის ინფორმირება, დანაშაულების მდგომარეობის, დინამიკისა და სტრუქტურის მიხედვით, რათა მოსახლეობამ შეძლოს თავი აარიდოს მსხვერპლად გახდომას;
4. კრიმინალური სტატისტიკის ძირითად ფუნქციად მიჩნეულ უნდა იქნეს დანაშაულის კონტროლი და მის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში დახმარება. კრიმინალური სტატისტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ახალი კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილებებს.

კრიმინალური სტატისტიკა დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვის შედეგებთან უნდა იქნეს შეჯერებული და დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სოციალურ-პოლიტიკური თუ სხვა საშუალებებით ინტერპრეტირებული, ვინაიდან მხოლოდ ერთი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობა, დასკვნის გაკეთების თვალსაზრისით, არასრული და არასასურველია. გარდა ამისა, სტატისტიკის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს სისხლის სამართლის მეცნიერებას დაასაბუთოს წინადადებები სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ.

### 4.2. დანაშაულის სტატისტიკა

***პოლიციის სტატისტიკა:*** პოლიციის სტატისტიკის წარმოება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ. პოლიციის სტატისტიკა მოიცავს საქართველოში (ერთი წლის განმავლობაში) რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკას, დანაშაულის გახსნის სტატისტიკას დანაშაულთა სახეების მიხედვით და ძებნაში მყოფ დამნაშავეთა სტატისტიკას. რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა დაყოფილია დანაშაულის სახეების, რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულთა რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლების და დანაშაულთა მატება-კლების მიხედვით.

შსს-ს მიერ 2007 წელს 54 746 დანაშაული დარეგისტრირდა, 2008 წელს - 44 644, 2016 წელს - 35 997, 2017 წელს - 37 944, 2018 წელს - 58 412. დარეგისტრირებული დანაშაულის ასეთი განსხვავება შსს-ს მიერ განმარტებულ იქნა სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიის შეცვლით.

2018 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 34,64 პროცენტი იქნა გახსნილი. გაუხსნელ დანაშაულთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ბინის ქურდობაზე (გახსნილია მხოლოდ 13,26%), თაღლითობაზე (გახსნილია 31,5%) და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე (გახსნილია 35,11%).

***პროკურატურის სტატისტიკა:*** პროკურატურის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე

ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველო. გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, კერძოდ, აწარმოებს შემდეგი სახის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, არდაწყება და შეწყვეტა, გამოძიების შეწყვეტა; დაზარალებული პირები - ფიზიკური პირები და გვამი; განრიდება. აღნიშნულ სტატისტიკას გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო აწარმოებს სსკ-ის მუხლების, დევნის არდაწყების/შეწყვეტის საფუძვლების, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულებისა და პირის ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა: სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, ეროვნება, ნასამართლობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობის სფერო და ა.შ.

***სასამართლო სტატისტიკა:*** სასამართლო სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება. სასამართლო სტატისტიკა მოიცავს: მონაცემებს საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ (დანაშაულის სახეების მიხედვით), მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკას, თავისუფლებააღკვეთილ პირთა სტატისტიკას, გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკას, მონაცემებს ნასამართლობის შესახებ.

2019 წელს საერთო სასამართლოების მიერ განხილულ იქნა 16025 სისხლის სამართლის საქმე, 17 819 პირის მიმართ. 15 089 პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, აქედან, 3 402 - თავისუფლების აღკვეთა, 7 527 - პირის პირობითი მსჯავრი, 2 990 - ჯარიმა, 1 136 - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, 33 - შინაპატიმრობა.

2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენებიდან 66 პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთა იქნა გამოყენებული, 170 - პირობითი მსჯავრი, 7 - ჯარიმა, 16 - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, 31 - შინაპატიმრობა.

***სპეციალური პენიტენციური სამსახურის სტატისტიკა:*** ეს სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა რაოდენობის შესახებ, ასევე მონაცემებს პირობით ვადამდე გათავისუფლების, პრეზიდენტის შეწყალების და ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებულ პირთა და გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის შესახებ, პაემნების რაოდენობისა და დისციპლინური ღონისძიებების სახეებისა და რაოდენობის შესახებ, ინფორმაციას მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და დაავადებათა სახეების შესახებ და ა.შ.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით პენიტენციურ დაწესებულებებში სასჯელს იხდიდა 9 740 პირი, აქედან, 9342 კაცი და 398 ქალი. 9 740 პირიდან მსჯავრდებულია 7 935 და ბრალდებულია 1 805 პირი.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში 47 არასრულწლოვანი იყო, საიდანაც 10 იყო ბრალდებული, ყველა მამრობითი სქესის.

***პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკა:*** პრობაციის სტატისტიკას აწარმოებს პრობაციის ეროვნული სამსახურის აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს საქართველოს მთელ ტერიტორიასა და თითოეულ პრობაციის ბიუროში რეგისტრირებულ პირებზე, რომლებსაც დაედოთ პირობითი მსჯავრი, პრობაციონერთა რაოდენობის, ალტერნატიული სასჯელების აღსრულების რაოდეობის შესახებ და ა.შ.

### 4.3. დანაშაულის სტატისტიკის და ლატენტური დანაშაულის ურთიერთმიმართება

„ლატენტური“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გაუმჟღავნებელს, ფარულს. ლატენტურად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დასჯადი ქმედება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია. თუმცა იგი „სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებულია და დიდ გავლენას ახდენს კრიმინოლოგიურ სიტუაციაზე“.

სამართალდამცავი ორგანოებისათვის უცნობი რჩება, ძირითადად, ისეთი დანაშაული, რომლის მსხვერპლი ან სხვა პიროვნება (თვითმხილველი, მსხვერპლის ნათესავი ან მეგობარი) არ მიმართავს შესაბამის სტრუქტურებს (პოლიციას, პროკურატურას).

გერმანელ კრიმინოლოგთა აზრით, ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ ათი პროცენტი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობიდან ცნობილი, ესენია - დანაშაულის ჩადენაზე შემთხვევით წასწრება ან საკუთარი ინფორმანტებისაგან ინფორმაციის მიღება; ხოლო ჩადენილი დანაშაულის 90% მოქალაქეთა შეტყობინების შედეგია. გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რაც პოლიციისათვის ასევე დანაშაულის დაფიქსირების საშუალებაა (მაგ., მკვლელობა ქუჩაში).

გერმანიაში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობისაგან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თანაფარდობა რეგისტრირებულ და ლატენტურ დანაშაულებს შორის 1:3-ზეა, ანუ დანაშაულის საერთო მაჩვენებელი სამჯერ აღემატება შსს-ს მიერ რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობას. არარეგისტრირებულ დანაშაულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქურდობას და სხვისი ნივთის დაზიანებას. არასრულწლოვანთა გამოკითხვის თანახმად, მოცემულ ასაკში ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი, ოფიციალურ დანაშაულებთან შედარებით, ძალიან მაღალია.

## 5. სასჯელის ცნება, სახეები და მიზნები

### 5.1. სასჯელის ცნება

სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც, საქართველოს სახელით, მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს.

სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე ითვალისწინებს არა მარტო დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავის პიროვნებას.

### 5.2. სასჯელის სახეების მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, სასჯელის სახეებია: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, შინაპატიმრობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა, ქონების ჩამორთმევა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.

სასჯელები გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით.

გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა შეიძ-ლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

***ჯარიმა.*** სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თა-ვისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით, და განაჩენში უთითებს გადასახდელი ჯარიმის ოდენობას ლარებში.

თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, შინაპატიმრობის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან შინაპატიმრობისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში, იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.

***თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.*** სსკ-ის 43-ე მუხლის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან მუნიციპალიტეტის ორგანოებში ან/ და ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

***საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.*** სსკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო (შემდგომ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო). საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით

შეცვლის შემთხვევაში, ან ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან/და თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება შინაპატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – შინაპატიმრობის ერთი დღე, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნებათ პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

***გამასწორებელი სამუშაო.*** სსკ-ის 45-ე მუხლის მიხედვით, გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა. თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება შინაპატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – შინაპატიმრობის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

***სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა.*** სსკ-ის 45-ე მუხლის მიხედვით, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ენიშნება სამხედრო მოსამსახურეს ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არა უმეტეს ოცი პროცენტისა. ამ სასჯელის მოხდის დროს არ შეიძლება მსჯავრდებულის დაწინაურება თანამდებობაზე, მისთვის სამხედრო წოდების მომატება. სასჯელის ვადა მას არ ჩაეთვლება ნამსახურობის ვადაში მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად.

***შინაპატიმრობა.*** სსკ-ის 47[1] მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. თავისუფლების აღკვეთის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან ჯარიმის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ექვს თვეზე მცირე და ორ წელზე მეტი ვადითაც.

თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს შინაპატიმრობას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით – განაჩენით დანიშნული შინაპატიმრობის ვადით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

***ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.*** სსკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით.

სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან.

***უვადო თავისუფლების აღკვეთა.*** სსკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

***ქონების ჩამორთმევა.*** სსკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

***იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.*** სსკ-ის $52^1$ მუხლის მიხედვით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ნიშნავს იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების შეზღუდვას ან/და აკრძალვას.

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დამატებით სასჯელად დანიშვნისას აუცილებელი არ არის, იარაღი დანაშაულის იარაღი იყოს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

### 5.3. სასჯელის მიზნები

სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ა. სამართლიანობის აღდგენა

სასჯელის დანიშვნით სამართლიანობა უნდა აღუდგეს როგორც უშუალოდ მსხვერპლს, ასევე დამნაშავეს. სამართლიანობის აღდგენა დამნაშავისთვის გულისხმობს მისი პიროვნებისა და დანაშაულებრივი ქმედების პროპორციული სასჯელის მისჯას,

ბ. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არის მოკლე და გრძელვადიანი. მოკლევადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სახეზეა, როცა დამნაშავე ციხეში იმყოფება, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივით - მსჯავრდებულის რესოციალიზაციის შედეგად.

გ. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

## 6. სისხლის სამართლის პოლიტიკის ცნება, ძირითადი პრინციპები და სახეები

### 6.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის ცნება

სისხლის სამართლის პოლიტიკად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო სტრუქტურების დანაშაულთან ბრძოლის მოვალეობა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ რეპრესიული ქმედებების, არამედ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარდა, სხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

ლიტერატურაში გამოიყენება კრიმინალური და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უფრო ვიწრო სფეროა კრიმინალური პოლიტიკისა, ხოლო კრიმინალური პოლიტიკა, როგორც ცნება, აერთიანებს ყველა იმ პოლიტიკურ სფეროს, რომელიც დანაშაულს ებრძვის (სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, საპოლიციო, საპროკურორო, პენიტენციური პოლიტიკა).

კრიმინალური პოლიტიკა შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: რაციონალური, ემოციური და პოპულისტური.

ქვეყნის რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა სახეზეა, თუ იგი საზოგადოების სოციალურ და ეთიკურ ნორმებს აკმაყოფილებს და მეცნიერულ (მათ შორის, კრიმინოლოგიურ) კვლევებზეა ორიენტირებული.

ქვეყნის ემოციური კრიმინალური პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოს წარმომადგენლების და მეცნიერების მიერ კრიმინალური პრობლემების ემოციურად გადაწყვეტას. ემოციურად უნდა იქნეს მიჩნეული არა მხოლოდ ლობისტების მიერ ზეწოლის ნებისმიერი ფორმის განხორციელება, არამედ კოლექტიური გრძნობების ზეგავლენით მიღებული გადაწყვეტილებაც.

ქვეყნის პოპულისტურ კრიმინალურ პოლიტიკაში იგულისხმება კრიმინალურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მასმედიის და საზოგადოებრივი გამოკითხვის ზეგავლენა. გერმანიაში ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ პოლიტიკა და საკანონმდებლო ორგანოები ხშირად ექცევიან მასმედიის გავლენის ქვეშ.

კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. კრიმინოლოგიური კვლევები და მათი ანალიზი ძირითადი საფუძველია ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაზღვრაში. კრიმინოლოგიური ცოდნით გაჯერებული კრიმინალური პოლიტიკა ზედმიწევნით უწყობს ხელს სახელმწიფო კრიმინალური პოლიტიკით საზოგადოების კმაყოფილებას.

### 6.2. სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია:

- **ადამიანი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვის ობიექტი**

კრიმინალური პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ზიანი ადგება ადამიანს; დამნაშავეები ადამიანებს აყენებენ ფიზიკურ, მორალურ (ფსიქოლოგიურ), სოციალურ ზიანს და მატერიალურ ზარალს. სამართლებრივი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე, დაიცვას ისინი დანაშაულებრივი ქმედებისაგან, შეამციროს დანაშაული და ებრძოლოს მას.

ადამიანი, როგორც სულიერი არსება და ინდივიდი, მიისწრაფვის სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისაკენ. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა (მათ შორის, კრიმინალური პოლიტიკის) ხელი შეუწყოს მის ამ მისწრაფებას.

- **ადამიანის პატივი და ღირსება**

სახელმწიფო ვალდებულია კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება. ადამიანის პატივისა და ღირსების დარღვევად ჩაითვლება ისეთი კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც ადამიანს, როგორც ობიექტს, მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენებს.

- **სუბსიდირების პრინციპი**

სუბსიდირების პრინციპს მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კრიმინალური პოლიტიკის დროს. კრიმინალური პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების დროს სისხლისსამართლებრივი ხასიათის რეაგირება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და სასურველი, თუ სხვა საზოგადოებრივი ნორმის დაცვის მექანიზმები (არაფორმალური სოციალური კონტროლი, ადმინისტარციული ხასიათის იძულების მექანიზმები) საკმარისი არ არის სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

- **ოპორტუნობის პრინციპი**

კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია ოპორტუნობის პრინციპი. ოპორტუნობის პრინციპი გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს შესაძლებლობას, უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების შერჩევა, რომელიც სისხლის სამართლებრივად არ იდევნება. შერჩევა შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულების და დამნაშავეების მიხედვით, მათი პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ან, ზოგადად, გარკვეულ დანაშაულთა სახეებისა და დამნაშავეების მიხედვით (მაგ., არა-

სრულწლოვანთა მიერ პირველად ჩადენილი ყველა ნაკლებად მძიმე დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა).

კრიმინალური პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების დროს მნიშვნელოვანია ქვეყნის ადამიანური და ეკონომიკური რესურსის სათანადო შესწავლა და გათვალისიწინება. სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია საკუთარი ადამიანური და ეკონომიკური რესურსი ისე გადაანაწილოს, რომ შეძლოს ქვეყნის კრიმინოგენური ვითარების კონტროლი. კრიმინალური პოლიტიკისთვის ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ახალი დანაშაულებრივი საფრთხეების (მაგალითად, კომპიუტერული დანაშაული) გასანეიტრალებლად პროფესიონალი კადრების შერჩევა და წინასწარ გადამზადება. პირველად ახალი დანაშაულებრივი საფრთხეების შესახებ სწორედ პოლიციის და პროკურატურის თანამშრომლები იგებენ. შესაბამისად, მათ მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რესურსების არასწორმა გადანაწილებამ შესაძლებელია ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობა გააუარესოს.

## 7. გამოყენებული ლიტერატურა


- *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013.
- *მუთჰორსტი ო.*, სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2019.
- *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მე-3 გამოც., თბ., 2017.
- *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014.
- *ვარძელაშვილი ი.*, სასჯელის მიზნები, თბ., 2016.

## თავი II. დანაშაულის ახსნა-განმარტების კრიმინოლოგიური თეორიები

ავტორი: *მორის შალიკაშვილი*

### 1. კრიმინოლოგიური თეორიების ცნება და მნიშვნელობა

თეორიებს კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თეორიები წარმოადგენს სინამდვილის აზრობრივ კონსტრუქციას. ისინი იმ სამყაროს შესახებ გვაწვდიან განმარტებით ინფორმაციას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თეორიების საშუალებით მეცნიერები ცდილობენ ჩვენ მიერ აღქმული მოვლენების დალაგებას, თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა. მით უფრო კარგია თეორია, რაც უფრი ზუსტად გამოხატავს იგი სინამდვილეს.

კრიმინოლოგიური თეორიები ოთხ სხვადასხვა საკითხს ეხება. ესენია: დანაშაული, დამნაშავე, დანაშაულის კონტროლი და დანაშაულის მსხვერპლი.

ერთმანეთისგან განასხვავებენ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობ პირობებსა და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს.

### 2. დანაშაულის ახსნა-განმარტების ფსიქოლოგიური თეორიები

#### 2.1. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია

ფროიდის აზრით ადამიანი, როგორც სულიერი არსება, ანტისოციალური მოვლენაა, რომელიც ბავშვობის ადრეულ ასაკში სწავლობს საკუთარ მოთხოვნილებათა კონტროლს, ანუ აღზრდის მეშვეობით ხდება მისი შინაგანი კონტროლის ჩანერგვა, რათა ადამიანმა შეძლოს ემოციების და სურვილების საზოგადოებრივ ნორმებთან შეხამება. იგი აქვს ყველა ადამიანს და გულისხმობს შინაგან სურვილებს (იმპულსურობა, აღგზნება) და მოთხოვნილებებს. იგი მოითხოვს სწრაფ დაკმაყოფილებას და იმყოფება „ლოგიკის, ღირებულებების და ზნეობის მიღმა“.

„ზე-მე“ არის მორალი და აღზრდის ყველა ის ნორმა, რომელიც საჭიროა ადამიანის სოციალიზაციისათვის. ზე-მე არის თვითკონტროლი. „მე“ არის პირის აზროვნება, შეხედულებები, ღირებულებებისადმი და ნორმისადმი დამოკიდებულება.

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, ზე-მე–ს და მე-ს განვითარებაში ხელის შეშლა იწვევს პიროვნების განუვითარებლობას, რაც აფერხებს მის სოციალიზაციას და იწვევს დანაშაულებრივ ქმედებებს.

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, დანაშაული არის „სიმპტომი შიდასულიერი კონფლიქტის მე-ს, ზე-მე–ს და იგის შორის“.

ფროიდის სამი ინსტანციის ჰარმონიული თანაცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, მშობლების შვილებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული, ვინაიდან საზოგადოებრივი ღირებულებების და ნორმების ბავშვის ზე-მე–ში „ტრანსპორტირება“ სწორედ ბავშვის მიერ მშობლებთან იდენტიფიკაციით ხდება.

ზე-მე–ს, როგორც მორალური ინსტანციის, ანუ მამის არყოლის ან მამის მიერ საკუთარი როლის არაჯეროვნად შესრულების (იგულისხმება ბავშვის ორიენტაცია მამის საქციელზე) შემთხვევაში, შეიძლება ბავშვი არასაკმარისად განვითარდეს, ხოლო ბავშვის მოთხოვნილებათა დასაოკებლად მკაცრმა მორალურმა ნორმებმა კი შეიძლება იგი მის არაცნობიერში გადაიტანოს. მოზარდების დროზე ადრე გამიჯვნა საკუთარი დედის ან მამის ცხოვრების წესისაგან, იმ პირებში, რომლებშიც დიდია ზე-მე–ს (მორალური ნორმების) როლი, იწვევს ე.წ. ოიდიპოსის კომპლექსს და, გაუცნობიერებლად, საკუთარი თავის დადანაშაულებას, რამაც ასევე დანაშაულის ჩადენა შეიძლება გამოიწვიოს.

### 2.2. „განტევების ვაცის“ თეორია

თუ კრიმინოლოგიური თეორიები ძირითადად დამნაშავის პიროვნებას აქცევენ ყურადღებას და ჩადენილი დანაშაულის და მიზეზობრივი კავშირის დადგენას ცდილობენ, „განტევების ვაცის“ თეორია ორიენტირებულია სოციალურ რეაქციაზე და დამსჯელი საზოგადოების ფსიქოლოგიაზე. ამ თეორიის თანახმად, საზოგადოება ქმნის თავის დამნაშავეებს და სჯის მათ საკუთარი უკურეაქციისათვის.

„განტევების ვაცის“ ფსიქოლოგიურ თეორიაში იგულისხმება ადამიანების თვისება, საკუთარი ნაკლოვანებები, სისუსტეები და აკრძალული ემოციების და სურვილების შეუსრულებლობა, რომელთა რეალიზაციის უნარი თვითონ არ შესწევს, სხვა საგნებზე, ცხოველებსა და უცხო ადამიანებზე გადაიტანოს. აღნიშ-ნულს ადგილი აქვს, როდესაც საზოგადოების წევრებს საკუთარი აკრძალული სურვილები უცხო ადამიანებზე ან დამნაშავეებზე გადააქვთ. შეუსრულებელი ემოციების უცხო პიროვნებაზე გადატანა ხელს უწყობს მათ საკუთარი თავი საზოგადოების ღირსეულ და საუკეთესო წევრად წარმოიდგინონ.

## 3. დანაშაულის ახსნა-განმარტების სოციოლოგიური თეორიები

### 3.1. დიფერენცირებული კავშირების თეორია (ე. საზერლენდი)

დიფერენცირებული კავშირის თეორია პირველად წარმოადგინა ედვინ საზერლენდმა 1939 წელს თავის წიგნში „კრიმინოლოგია“. საზერლენდი პირველი იყო, ვინც ეცადა ბიოლოგიური თეორიებისაგან გათავისუფლებას და დანაშაულის ახსნა-განმარტებაში სოციალურ-ფსიქოლოგიური მომენტების გათვალისწინებას.

დიფერენცირებული კავშირის თეორია წინა პლანზე აყენებს კრიმინალურ ჯგუფებში დანაშაულებრივი ქმედებების, ღირებულებების, მოტივებისა და ტექნიკის სწავლას. მისი აზრით, „ადამიანის დანაშაულებრივი ან არადანა-შაულებრივი ქცევა განისაზღვრება მისი უახლოესი გარემოცვის ხასიათით“.

საზერლენდის თეორიას გააჩნია 9 დებულება, რომლებსაც შემდეგ 9 პრინციპი ეწოდა. საზერლენდისთვის დანაშაულებრივი ქცევა შეისწავლება სხვა პირებთან კომუნიკაციის პროცესში. დანაშაულებრივი ქმედების შესწავლა, ძირითადად, ხდება ჯგუფებში, სადაც პირებს ახლო, პირადი კავშირები გააჩნიათ. დანაშაულებრივი ქმედების შესწავლა თავის თავში მოიცავს დანაშაულის ჩადე-ნის ტექნიკის შესწავლასაც, რაც ხშირად ძალიან რთულია ან, პირიქით, ძალიან ადვილია. აქ ყურადღება ექცევა პიროვნების მოტივებს, რაციონალურ აზროვნებას და განწყობას.

### 3.2. ჰირშის კონტროლის თეორია

ტრავის ჰირშიმ გამოიკვლია 5 545 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი. მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით ჰირში აღწერს თავის თეორიას. ჰირშის აზრით, თუ რომელიმე ადამიანი სხვა ადამიანის სურვილებსა და მოლოდინზე არ არის მინდობილი, მაშინ იგი აღარც ნორმებზეა მიჯაჭვული.

ადამიანებსა და ნორმებს შორის კავშირს ჰირში ოთხ ელემენტად ყოფს:

1. რაციონალური კომპონენტი ნიშნავს რაციონალურ, გონივრულ გააზრებას იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნორმისგან გადახრას.
2. ემოციური კომპონენტი/მიჯაჭვულობა არის ემოციური კავშირი სხვა ადამიანებთან. ეს არის სოციალური კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ემოციური კავშირი სოციალურ „პარტნიორებთან“ – მშობლებთან, მეგობრებთან და მასწავლებლებთან - ამცირებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის და მის კრიმინალად ჩამოყალიბების ალბათობას. პირის ემოციური კავშირი მასში აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას მისი სოციალური „პარტნიორებისადმი“, რაც მას ხელს უშლის დანაშაულის ჩადენაში.
3. დროის კომპონენტი/ჩართულობა ნიშნავს იყო ჩაბმული კონფორმისტულ (არადანაშაულებრივ) ქმედებებში, ე.ი. პირი იმდენად არის დაკავებული თავისი საქმით, რომ მას აღარ აქვს დრო ჩაიდინოს დანაშაული. ვინც მუშაობს, სპორტს მისდევს, ეკლესიაში დადის ან სხვადასხვა სახის კავშირებშია გაერთიანებული, აღარც კი ექნება დრო დაგეგმოს ან ჩაიდინოს კრიმინალური ქმედებები.
4. მორალური კომპონენტი ნიშნავს რწმენას, რომ არსებობს საყოველთაო ღირებულებათა სისტემა, როგორც მორალური კეთილდღეობისა და კონვენციონალური წესების შეფასება და აღიარება. ჰირშის თეზა კი იმ მიმართულებისაა, რომ ნორმის დამრღვევს წესების სჯერა მანამ, ვიდრე ის მათ დაარღვევს. რაც უფრო ნაკლებად სჯერა პირს მორალური ნორმებისა და აღიარებს მათ, მით უფრო დიდია საშიშროება, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს.

### 3.3. რამდენიმე ფაქტორთა შეხედულება

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ერთ რომელიმე ფაქტორს ადამიანის დამნაშავედ გახდომა არ შეუძლია. არასრულწლოვნებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, არ ჰქონდათ ერთი ან ორი პრობლემა, რამაც მათ მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვია, არამედ მათ გააჩნდათ შვიდი ან რვა მძიმე ხასიათის უარყოფითი ფაქტორი. შესაძლებელია, ერთ ან ორ პრობლემას მოზარდი გაუმკლავდეს და დამნაშავე არ გახდეს (მაგ.: მშობლების გაყრა, სიღარიბე), მაგრამ თუ მოზარდს უმუშევარი მამა ჰყავს, რომელიც ხშირად სვამს, დედა, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილია, მშობლები, რომლებიც მოზარდს სკოლიდან გამოიყვანენ და ფაბრიკაში გააგზავნიან სამუშაოდ, სამეზობლო ან/და სამეგობრო, რომელსაც ცუდი გავლენა შეუძლია მოახდინოს მოზარდზე, მაშინ თითოეული ფაქტორი მოზარდს დამნაშავედ ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს, ანუ შესაძლებელია ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა ცალ-ცალკე პირის დამნაშავეობა არ გამოიწვიოს, მაგრამ მათი ერთობლიობა საკმარისია დანაშაულის ჩასადენად.

კლასიკური კვლევები, რომლებიც რამდენიმე ფაქტორის კონცეფციას გაამყარებდნენ, მრავლად იქნა ჩატარებული. მაგალითად, გლიუკებმა კვლევებში

მიზნად დაისახეს პროგნოზისათვის გამოსადეგი (გამოსაყენებელი) ფაქტორების მოძიება. გლიუკებმა გამოიკვლიეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 11-17 წლის მამრობითი სქესის 500 განმეორებითი დანაშაულისათვის ნასამართლევი არასრულწლოვანი და არანასამართლევი ახალგაზრდების იმავე რაოდენობის საკონტროლო ჯგუფი, და მიაკვლიეს თავდაპირველ 402 ფაქტორს, რომლებიც მათ სამამდე შეამცირეს. ავტორების აზრით, ამ ფაქტორების საფუძველზეც შესაძლებელი უნდა იყოს მამრობითი სქესის ბავშვების მომავალი სოციალური ქცევის წესის შესახებ პროგნოზი. ეს სამი ფაქტორია: 1) ბიჭებზე მეთვალყურეობა დედის მხრიდან; 2) სიმკაცრე, რომელსაც დედები იჩენენ ბიჭების მიმართ აღზრდის დროს, და 3) ოჯახის წევრებს შორის მჭიდრო კავშირი.

### 3.4. სოციალური დეზორგანიზაციის თეორია

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩიკაგოს სკოლის საქმიანობამ. ჩიკაგოს სკოლა ჩამოყალიბდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. ჩიკაგოს სკოლას ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის კრიმინოლოგიის განვითარების ისტორიაში. მისმა სოციოლოგიის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა მეცნიერული კვლევის ახალი შტო, რომელიც პირდაპირ იყო დაფუძნებული გამოცდილებასა და დაკვირვებაზე.

ჩიკაგოში სოციალური პრობლემების შესწავლა ხშირად იწვევდა ტერმინ „ეკოლოგიის“ ხმარებას. „ეკოლოგია“ წარმოადგენს ბიოლოგიურ მეტაფორას, რომელიც მიუთითებს ბუნებრივი დალაგების მნიშვნელობაზე, ჯიშების ერთიმეორისგან გამიჯვნის გზით, რომელიმე კონკრეტულ სამყაროში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამყაროს წარმოადგენდა ქალაქი ჩიკაგო და „ეკოლოგიის“ მიზანი იყო, დაკვირვებოდა, თუ როგორ ვითარდებოდა და იზრდებოდა ქალაქი. ჩიკაგოს სკოლის შესწავლის საგანი იყო ქალაქის არქიტექტურული განვითარება და დანაშაული.

ჩიკაგოს სკოლის გამოკვლევის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ზონობრივი ჰიპოთეზა, რომელიც მოიცავდა იდეას, რომ ქალაქი ვითარდება კონკრეტული წრეების მეშვეობით, რომელთაგანაც თითოეული წარმოადგენს სოციალური და კულტურული ცხოვრების ზონას. ამ ზონების ხასიათი, ძირითადად, გამოწვეულია მისი მაცხოვრებლების ხასიათით. ბურგესმა შექმნა ჩიკაგოს სოციალური რუკა. მან დაასკვნა, რომ ქალაქი იზრდებოდა საზოგადოების კონკრეტული წრეების მეშვეობით. ბურგესის ვარაუდით, ცენტრი ამ წრეებისა იყო ბიზნეს წრე (პირველი ზონა), ანუ ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა შედარებით ნაკლები ხალხი, თუმცა საკუთრების ფასი იყო მაღალი. მეორე ზონა, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ზონა იყო. აქ ცხოვრობდა ის დროებითი მოსახლეობა, რომლებიც იყვნენ ღარიბები და ცხოვრობდნენ ცუდ პირობებში. ამ ზონის გარდა, იყო კიდევ სამი საცხოვრებელი ზონა, რომლებიც განასახიერებდა პოპულაციის განვითარებას; ანუ მეორე ზონიდან მესამეში გადადიოდა შედარებით ფეხზე მყარად მდგარი ნაწილი ღარიბი საზოგადოებისა, ანუ მუშახელი, მესამედან მეოთხეში - საშუალო შემლების ადამიანები, ხოლო მეოთხედან მეხუთეში კი - უკვე შედარებით მდიდარი ადამიანები და ეს წარმოადგენდა ქალაქის გარე უბნებს, სადაც მდიდრები ცხოვრობდნენ.

მეორე ზონა წარმოადგენდა სოციალური პრობლემების კერას: იქ იყო დანაშაული, პროსტიტუცია, ამორალური ცხოვრება, ჯანმრთელობის ცუდი პრობლემები და სიღარიბე. ჩიკაგოს სკოლის კრიმინოლოგების აზრით, ასეთი პრობლემები იწვევდა

ამ საზოგადოების არაორგანიზებულობას და კანონისადმი უპატივცემულობას (მათ შორის, დანაშაულს). მათ დაადგინეს, რომ ქალაქის გარკვეულ ნაწილებში კრიმინალის მაღალ ოდენობას ასევე იწვევდა უცხო, აფრიკული წარმოშობის ოჯახების დიდი მაჩვენებელი, უმუშევრობა და საკუთრების ქონის დაბალი პროცენტიული მაჩვენებელი.

დანაშაულის სტატისტიკური რაოდენობა პირველიდან მეხუთე ზონისაკენ კლებულობდა.

### 3.5. ღირებულებები და დანაშაული

ღირებულებები არის ის მყარი კრიტერიუმები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება კეთილისა და ბოროტის, კარგის და ცუდის გარჩევაში. ღირებულებები ის (ხშირად გაუცნობიერებელი) სტანდარტებია, ფუნდამენტია, საიდანაც ყოველდღიური ქმედებები (მათ შორის, დანაშაულებრივი), გადაწყვეტილებები და მიზნები აღმოცენდებიან. კულტურული ღირებულებები არ არის უცვლელი და მათ ფორმირებაში დიდი როლი გააჩნია რელიგიას. საგანმანათლებლო სკოლების დანერგვამ სხვა არაფერი მოიტანა, თუ არა დომინანტი საზოგადოების ღირებულებების გავრცელება, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც კულტურის ტრადიციულ ღირებულებებს.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დამნაშავის ღირებულებების შესწავლას ეთმობა.

- Homo Sowjeticus

იური ლევადამ 1989-91 წლებში გამოკითხა 2 700 საბჭოთა კავშირში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების მოქალაქე. კითხვარი შედგებოდა 100 კითხვისაგან.

ლევადა საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ Homo Sowjeticus-ს ახასიათებს ოთხი ძირითადი ნიშნით: 1. მისთვის შთაგონებული და მისგან აღიარებული წარმოდგენა მისი ერთადერთობის შესახებ; 2. მისი „შვილ-მამობრივი“ ორიენტაცია სახელმწიფოსადმი; 3. მისი მიდრეკილება იერარქიულობისადმი; 4. მისი იმპერიული ხასიათი.

ლევადას აზრით საბჭოთა სისტემამ შექმნა ფრუსტრირებული, გაორებული, ადვილად მართვადი და მორჩილი ადამიანის ფენომენი, რომელსაც ორიენტაცია აქვს დაკარგული და ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი თავის დამკვიდრება უჭირს. მას იმის ძალაც კი არ შესწევს, რომ რაიმე იღონოს საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

- Homo Sowjeticus დღეს

2005 წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოკითხულ იქნა 12-17 წლამდე ასაკის, როგორც ქალაქის, ასევე რაიონის მცხოვრები, 1374 მოზარდი. კვლევაში მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდებიც.

მოზარდის ქცევითი პრობლემების სპექტრის შეფასება განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით.

როგორც კვლევა ადასტურებს, მოზარდებს აღენიშნებათ ორიენტაციისა და ფასეულობათა სისტემის პრობლემები, კერძოდ: „მოზარდებში, თავიანთი პრიორიტეტებისა და არაპრიორიტეტების შესაბამისად, გამოიკვეთა სწრაფვა

ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც დატოვებს განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას, იქნება დახვეწილი, ზრდილობიანი, ჯანმრთელი, ამავდროულად, მას შეიძლება არ ჰქონდეს არც მაღალი შემეცნებითი აქტივობა, არც რაციონალურობა, მისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანია სიხალისე, სიამოვნება, მაგრამ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეგობრები და სიყვარული“.

ზემოაღნიშნული კვლევების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ის ღირებულებები, რაც ჩვენს საზოგადოებას ნაკლებად გააჩნია. ესენია: კონკურენტუნარიანობა, შრომისმოყვარეობა და საქმის კეთების დროს სიამოვნება. სამივე ეს ფასეულობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. პიროვნება ვერ იქნება კონკურენტუნარიანი, თუ არ სიამოვნებს საკუთარი საქმიანობა და არ არის შრომისმოყვარე. ინდივიდის პროფესიულ საქმიანობაზეა დამოკიდებული მისი ფასი, ღირებულება საზოგადოებაში.

სამწუხაროდ, არც დღეს და არც ადრე არ ხდებოდა შრომის პროპაგანდა საზოგადოებაში, რამაც მიგვიყვანა სწორედ იმ დამოკიდებულებამდე, რაც 2005 წელს ახალგაზრდების გამოკითხვამ დაადასტურა: ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, უნაყოფობა [დატოვებს განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას, მას შეიძლება არ ჰქონდეს არც მაღალი შემეცნებითი აქტივობა და არც რაციონალობა]. აკაკი ბაქრაძის აზრით, „შრომით გამდიდრებული კაცი ქართულ მწერლობას არ დაუხატავს. თუ ვინმე მდიდარია ქართულ მწერლობაში დახატული, ქონება აუცილებლად ავაზაკობით აქვს შეძენილი... ეს გულგატეხილობას ნერგავს – შრომით სიმდიდრეს ვერ შეიძენ და სულ მათხოვარი იქნები. ქართული მწერლობა არ იცნობს ისეთ ტიპს, როგორიცაა, ვთქვათ, დავით სარაჯიშვილი, ანდა ზუბალაშვილების ოჯახი.“

ზემოაღნიშნული იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ეკონომიკური დანაშაულის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს შეიძლება საზოგადოებაში დამკვიდრებული ისეთი ღირებულებები წარმოადგენდნენ, როგორიცაა: კონკურენტუნარიანობის გრძნობის არქონა, შრომისმოყვარეობის ნაკლებობა და საკეთებელი საქმის სიყვარულის, სიამოვნების არქონა. ამ ფასეულობების არქონა იწვევს ისეთ მდგომარეობაში ყოფნას (სოციალური გაჭირვება), რომლისგანაც თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად ადამიანი ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ჩადენას მიიჩნევს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს შორის არის საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულება აგრესიისადმი, რომელიც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ გამართლებულ საშუალებად აგრესიას გულისხმობს.

### 4. ძალადობის გამომწვევი თეორიები

#### 4.1. ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია ორიენტირებულია ფროიდის ფსიქოანალიტიკურ თეორიაზე და აგრესიას მიიჩნევს როგორც რეაქციის საშუალებას გარკვეული მდგომარეობის არსებობის დროს. დოლარდმა ფსიქოანალიტიკური ასპექტიდან შეიმუშავა ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის ოთხი ძირითადი თეზისი:

1. ფრუსტრაციას ადამიანი მიჰყავს აგრესიულ ქმედებებამდე და აგრესია არის ფრუსტრაციის შედეგი; 2. აგრესიულობის სიძლიერე პროპორციულია ადამიანში მანამდე განვითარებული ფრუსტრაციის სიძლიერისა; 3. კათარზისის თეორიის

მიხედვით, აგრესიული ქმედების გამოვლენით ადამიანში არსებული აგრესიული ენერგია ნელდება და ადამიანი სხვა აგრესიულ ქმედებებს ნაკლებად სჩადის; 4. თუ მოხდება აგრესიის გამოვლენის ბლოკირება, აგრესია გადავა სხვა ადამიანებზე ან ობიექტზე (იხ. „განტევების ვაცის თეორია").

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის მიხედვით, დამნაშავე მოზარდები უფრო ფრუსტრირებულნი არიან, ვიდრე არადამნაშავეები. არადამნაშავე მოზარდები ფრუსტრაციას სხვა რეაქციებით ავლენენ, ხოლო დამნაშავეები ძალადობრივ დანაშაულს (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, ნივთის დაზიანება) ჩადიან. ფრუსტრაციის მომტანია მოზარდის უმუშევრობა ან დაუსაქმებლობა, რაც შეიძლება აგრესიაში, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებაში გამოიხატოს.

### 4.2. რენე ჟირარის მიმეტური თეორია

სიტყვა მიმეტური წარმოშობილია ძველი ბერძნული სიტყვისგან და ნიშნავს მიბაძვას.

რენე ჟირარის თეორიის მიხედვით, ბიოლოგიური მოთხოვნილებები - შიმშილი, სექსი, ძილი და ა.შ. - ბუნებრივი მოვლენებია. ადამიანის სურვილი, რომელიც სცილდება ბუნებრივ მოთხოვილებებს, მაგ.: ძალაუფლება, სიმდიდრე, ქონების დაგროვება, საზოგადოებრივი აღიარება, ადამიანური ურთიერთობები, არის მიმეტური ანუ მიმბაძველობითი მოთხოვნილებები, რომელიც ადამიანს წარმოეშვება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად. ადამიანი მისთვის მისაღები (სამაგალითო) ადამიანის მიბაძვით სწავლობს, თუ რა შეიძლება იყოს მისთვის მოსათხოვნი, სათაყვანებელი. ჟირარის მიხედვით, ძალადობა და კონფლიქტები მას შემდეგ ხდება, რაც ორ დაპირისპირებულ მხარეს ერთი და იგივე სათაყვანებელი ობიექტი აქვთ ამორჩეული. ადამიანისათვის ასეთი სათაყვანებელი კლასიკური ობიექტებია ძალაუფლება, პარტნიორი (სექსში) და ქონება. დაპირისპირებული მხარეები, ისე რომ მათ ეს გააზრებულიც კი არ აქვთ, ბაძავენ მეორე მოქიშპე მხარეს, რითაც ძლიერდება მოქიშპე მხარისადმი პატივისცემის და თაყვანისცემის გრძნობა. მოქიშპე მხარეებისათვის ერთმანეთის მიმბაძველობით ის სათაყვანებელი ობიექტი, რის გამოც მათი დავა წარმოიშვა, მეორე პლანზე გადადის და წინა პლანზე სიძულვილი, ძალადობა და დაპირისპირება წამოიწევა, რომელიც (როგროც აღინიშნა) ერთმანეთის მიმბაძველობის შედეგია. ძალადობაში მიბაძვის ამ პროცესში მოქიშპე მხარეები არა საკუთარ თავს, არამედ დაპირისპირებულ მხარეს მიიჩნევენ „ჩხუბისთავად" და მიმბაძველად. სინამდვილეში კი ორივე მხარე ერთმანეთს ბაძავს ძალადობრივი გზით კონფლიქტის მოგვარებაში.

ჟირარის აზრით, თუ ვიღაც რაიმე ობიექტს ეთაყვანება, ჩვენ ვცდილობთ, რომ მას ეს ობიექტი წავართვათ. ამიტომ მას და ჩვენ შორის იწყება კონფლიქტი. მას შემდეგ, რაც ვიღაც ჩვენთვის სათაყვანებელი ობიექტის წართმევას დაგვიპირებს, ბუნებრივად ვეწინააღმდეგებით და ამ ობიექტისადმი ჩვენი და მისი თაყვანისცემაც იზრდება. ეს არის მიმეტური (მიმბაძველობითი) დაპირისპირება, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანებს შორის ძალადობრივ კონფლიქტებზე. საგულისხმოა, რომ „გადამწყვეტი არ არის [სათაყვანებელი] ობიექტის ღირებულება, თავად ძალადობა სძენს ფასს ამა თუ იმ ობიექტს".

კრიმინოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ აგრესიული ქცევის მიბაძვა ადამიანებს ძალიან ადვილად შეუძლიათ და ადვილად დაისწავლიან, იმის

მიუხედავად თუ როგორი (დადებითი თუ უარყოფითი) ურთიერთობა აქვთ მისაბაძ პიროვნებასთან.

რენე ჟირარისათვის ძალადობის მიმეტური თვისებები ძალიან ჰგავს ბუნებრივ კატასტროფას, ცეცხლს, რომელიც სწრაფად ვრცელდება.

მიმბაძველობითი აგრესიის კარგი მაგალითია ამერიკელი ფსიქოლოგის ფილიპე ზიმბრდოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. ზიმბარდომ დაიბარა პირველი კურსის სტუდენტები და სთხოვა (უფლება მისცა) ძველი ავტომობილი ჩაქუჩებით დაეზიანებინათ. თავდაპირველად სტუდენტებს უჭირდათ ავტომობილის დაზიანება და სიფრთხილით ურტყამდნენ ჩაქუჩებს ავტომობილს. მას შემდეგ რაც მათში თავშეკავების მომენტი გაქრა, ისეთი ფიზიკური დაზიანების სურვილმა გაიღვიძა, რომ მათ ავტომობილი უმოკლეს ვადაში დაჭეჭყეს. ძალადობას მოწყურებულები, არ გაჩერდნენ და ავტომობილი დაწვეს, სახანძრო მანქანებს კი ავტომობილის ჩაქრობაში ხელს უშლიდნენ. პოლიცია იძულებლი გახდა, პრევენციული ღონისძიებებისთვის მიემართა, რათა მოძალადე სტუდენტებს სხვა ობიექტებიც არ დაეზიანებინათ (სხვა ავტომობილები, მაღაზიები). მოცემული ექსპერიმენტი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანები, სოციალური გარემოდან (მიბაძვა) და ჯგუფის დინამიკიდან გამომდინარე, მოძალადეები გახდნენ.

### 5. ვიქტიმოლოგიის თეორიები

ვიქტიმოლოგია შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის პიროვნებას, მის მსხვერპლად გახდომის გარემოს (პირობებს), მის საქციელს, როგორც მსხვერპლად გახდომის მომენტში, ასევე მას შემდეგ და მსხვერპლად გახდომით გამოწვეულ შედეგებს. გარდა ამისა, იგი შეისწავლის დამნაშავისა და დანაშაულის მსხვერპლს შორის ურთიერთობას.

არსებობს ვიქტიმოლოგიის ცნების ორგვარი გაგება: ვიწრო, რომლის მიხედვით, ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლს, და ფართო, რომლის მიხედვით, ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არა მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლს, არამედ უბედური შემთხვევებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მსხვერპლს.

#### 5.1. ცხოვრების წესის თეორია

„ცხოვრების წესის“ თეორიის მიხედვით, პირის ვიქტიმირება გამომდინარეობს მისი ცხოვრების წესიდან, ანუ დანაშაულის მსხვერპლის ქცევა (ცხოვრების წესი) გარკვეულწილად დაკავშირებულია სხვა პირების დანაშაულებრივ ან ამორალურ საქმიანობასთან.

მსხვერპლად გახდომის მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც პირის საქმიანობა, ასევე მის მიერ შერჩეული ქუჩა, უბანი, ქალაქი.

ადამიანებს შორის „ცხოვრების წესის“ ფაქტორთა სხვადასხვაობა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში აიხსნება: 1. სოციალური შეჩვევის პროცესებით (შეჩვევა სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის, თავისუფალი დროის გატარების დაწესებულების მიმართ); 2. საკუთარი თავის (იდენტიტეტის) ძიების პროცესით.

მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობა იზრდება, იმისდა მიხედვით, შეუძლია თუ არა პირს რისკზე წასვლა (მაგ., მოგზაურობა ისეთ რეგიონში, სადაც შეიარაღებული დაპირისპირებაა).

### 5.2. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის / დასწავლილი უმწეობის თეორია

„ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია ეკუთვნის სელიგმანს. სელიგმანის ექსპერიმენტები დაყოფილი იყო ორ ნაწილად. ექსპერიმენტის პირველ ფაზაში მან ძაღლები დაყო სამ ჯგუფად. პირველ და მეორე ჯგუფს ელექტრონული დენის წყაროს უერთებდა ისე, რომ მათ ტკივილი ეგრძნოთ. პირველ ჯგუფს შეეძლო ელექტრონული შოკისგან თავის დაღწევა, გაქცევა, ხოლო მეორე ჯგუფს ტკივილისაგან თავის დაღწევა არ შეეძლო. მეორე ჯგუფის ძაღლები დაბმულები იყვნენ. ძაღლების მესამე საკონტროლო ჯგუფს საერთოდ არ ჰქონდა ელექტრონულ შოკთან შეხება. ექსპერიმენტის მეორე ფაზა მდგომარეობდა შემდეგში. სელიგმანმა დადგა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი გალია, რომელიც მხოლოდ მცირე წინაღობით იყო გატიხრული ისე, რომ ძაღლებს თავისუფლად შეეძლოთ ერთი გალიიდან მეორეში გადახტომა. სამივე ჯგუფის ძაღლები სათითაოდ შეიყვანა ერთ გალიაში და ელექტრონული შოკით ტკივილი მიაყენა. პირველი ჯგუფის ძაღლები არათუ გაექცნენ ელექტრონულ შოკს, არამედ ელექტრონული შოკის მიერთებამდე ხტებოდნენ მეორე გალიაში, რათა თავი დაეღწიათ ტკივილისაგან. ასევე იქცეოდნენ მესამე, საკონტროლო ჯგუფის, ძაღლები. მეორე ჯგუფის ძაღლები კი, რომლებსაც ექსპერიმენტის პირველ ფაზაში შესაძლებლობა არ ჰქონდათ გაქცეულიყვნენ და ელექტრონული შოკით გამოწვეული ტკივილი თავიდან აეცილებინათ, რჩებოდნენ გალიაში, ეგუებოდნენ ტკივილს და აღარ ხტებოდნენ მეორე გალიაში, იმის მიუხედავად, რომ მათ მეორე გალიაში გადახტომით შეეძლოთ ამ ტკივილისაგან თავის დაღწევა. მეორე ჯგუფის ძაღლებმა ექსპერიმენტის პირველი ფაზიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე ისწავლეს, რომ ისინი უარყოფით შედეგს (ელექტრონული შოკით გამოწვეულ ტკივილს) თავიდან ვერ აიცილებდნენ, მათი ნებისმიერი საქციელის მიუხედავად.

თეორიის მიხედვით, ადამიანს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არის დანაშაულის მსხვერპლი და იმყოფება ტრავმატიზირებულ და გამოუვალ მდგომარეობაში, დანაშაულის დამთავრების შემდეგ უძნელდება დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, მაგ., პირი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მძევალთა ხელში იმყოფება და ყოველდღიურად მას შეურაცხყოფას აყენებენ, ან მოსწავლე, რომელიც სხვა მოსწავლეებისაგან სისტემატიურად იჩაგრება. „ნასწავ-ლი“ დაუხმარებლობის თეორიის თანახმად, დამნაშავე მსხვერპლზე სისტემატური ამორალური თუ უკანონო ქმედებებით, მასში (მსხვერპლში) სპობს საკუთარი თავისადმი ნდობის გრძნობას და საკუთარი ღირსების დაცვის სურვილს, რაც აძლიერებს ალბათობას იმისა, რომ მოხდეს იმავე პირის (საკუთარი თავისადმი რწმენადაკარგულის) სხვებისაგან (რე)ვიქტიმიზაცია.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა


- *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მე-3 გამოც., თბ., 2017.
- *შალიკაშვილი მ.*, ძალადობის კრიმინოლოგია, თბ., 2012.

## თავი III. ორგანიზებული დანაშაული და კრიმინალური სუბკულტურა

ავტორი: *მორის შალიკაშვილი*

### 1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც, სულ ცოტა, ორი საუკუნის ისტორია გააჩნია, რამდენიმე ათწლეულია მეცნიერების კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

სიტყვა „ორგანიზება“ წარმოიშვა ბერძნული და ფრანგული სიტყვებისგან და ინსტრუმენტს, იარაღს, მოწესრიგებას, დაგეგმვას, გაერთიანებას ნიშნავს.

ცნება „ორგანიზებული დანაშაული“ 1919 წელს აშშ-ში, ჩიკაგოში, იქნა პირველად გამოყენებული. ორგანიზებული დანაშაულის (ცნების) გავრცელება-გაძლიერებას ხელი შეუწყო „მშრალმა კანონმა“ აშშ-ში, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და გაყიდვას 1920-1933 წლებში, რამაც გამოიწვია მისი (ალკოჰოლური სასმელის) არალეგალური წარმოება, კონტრაბანდა, ფალსიფიცირებული სასმელის გაყიდვა, ანუ ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობები, რომლებიც დანაშაულებრივი ჯგუფისაგან კარგ ორგანიზებას მოითხოვდა.

გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1992 წელს ორგანიზებულ დანაშაულთან არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის ცნება. ამ ცნების მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით სისტემატიურად და ხანგრძლივი (და განუსაზღვრელი) პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია ორზე მეტი პირის მიერ:

ა) პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით;

ბ) ძალადობით ან დაშინებით;

გ) პოლიტიკაზე, მედიაზე, იუსტიციასა და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენით.

ეს არ არის ორგანიზებული დანაშაულის ცნება, ეს არის ის ასოციაციები, რასაც იწვევს სიტყვა „ორგანიზებული დანაშაული“.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მიღებულია ორგანიზებული დანაშაულის აღწერა მისი საქმიანობის და ინდიკატორების საფუძველზე. მათ შორის მნიშვნელოვანია: 1. ადამიანთა ჯგუფის შექმნა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთად ყოფნის სურვილით (პირები, რომლებიც კრიმინალური საქმიანობით ცხოვრობენ, მატერიალური ქონების მიღების მიზნით შექმნილი კრიმინალური ჯგუფები); 2. ამგვარ ჯგუფებში ადამიანები „გაწევრიანებულნი“ არიან მთელი სიცოცხლის მანძილზე; 3. მაღალი ორგანიზებულობა ჯგუფის შიგნით, რაც დამყარებულია მყარი მმართველობის სტილზე (დისციპლინის მაღალი დონე, ერთმანეთისადმი პატივისცემა, უფროსებისადმი მორჩილება, საიდუმლოს შენახვის მაღალი კულტურა, შიდა სადამსჯელო აპარატი, სხვისი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება, ჯგუფის წევრების ოჯახების პატივისცემა

და დახმარება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯგუფში დაბრუნება); 4. წინასწარ კარგად დაგეგმილი დანაშაულები, რომელთა ჩადენის დროს განაწილებულია დანაშაულებრივი საქმიანობა ჯგუფის წევრების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით; 5. არალეგალური საქმიანობები (იარაღით, ნარკოტიკული საშუალებებით, ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა, კაზინოების მართვა და პროსტიტუციის მომსახურების კონტროლი; საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულია ლეგალურ ბიზნესთან: რესტორნების, ბარების, ბანკების, სასტუმროების საქმიანობა); 6. კონტაქტების გამოყენება, რომელიც საჭიროა (არა)ლეგალური საქმიანობის განსახორციელებლად; 7. დანაშაულის თვითმხილველზე ზემოქმედება (ძალის გამოყენება, დაშინება, მოსყიდვა) და სხვა.

**2. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები**

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს კანონიერი ქურდების ცნებას, რაც განაპირობებს სისხლის სამართლის კოდექსის 2231 („ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“), 2232 („ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა), 2233 („ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა) და 2234 („ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა) მუხლებით ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ საკითხებს.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით:

- „ქურდული სამყარო“ არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც შეთანხმებულია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაზე.
- „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა არის „ქურდული სამყაროს“ წევრის/ „კანონიერი ქურდის“ საქმიანობა, განხორციელებული დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, „ქურდული შეკრებით“/„ქურდული გარჩევით“, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით, რომლის მიზანია თავისთვის ან სხვისთვის სარგებლის ან უპირატესობის მიღება, ძალაუფლების ან/და გავლენის მოპოვება/მინიჭება.
- „ქურდული სამყაროს“ წევრი არის პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, აგრეთვე პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და სახეზეა აშკარად გამოხატული ნიშნების ერთობლიობა, რომ პირი თავისი ქმედებით გამოხატავს მზადყოფნას „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობისთვის.
- „კანონიერი ქურდი“ არის პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდულ სამყაროს“ ან „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მეთოდების გამოყენებით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს პირთა გარკვეულ ჯგუფს.
- „ქურდული გარჩევა“ არის „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ მიერ პირის ქმედების შეფასება ან/და დავის განხილვა/გადაწყვეტა ნებისმიერი ფორმით (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით), „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელების მიზნით.
- „ქურდული შეკრება“ არის ორი ან ორზე მეტი პირის შეკრება ან დაკავშირება ნებისმიერი ფორმით (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის

საშუალებით) პირთა „ქურდულ სამყაროში“ გაწევრების ან წევრობის შეწყვეტის, სტატუსის შეცვლის ან „ქურდული სამყაროს“ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის (მათ შორის, ფინანსური/მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხის) განხილვის/გადაწყვეტის მიზნით.

### 3. კრიმინალური სუბკულტურის ცნება და ისტორია

სუბკულტურის ცნების ჩამოყალიბებისას ძირითადი აქცენტი მიმართულია კულტურასა და სუბკულტურას შორის იერარქიულ დამოკიდებულებაზე (sub = ლათ.: ქვევით). „სუბ“ თავისთავად მიუთითებს, რომ ადგილი აქვს სუბკულტურასა და კულტურას შორის ჰეგემონიურ დამოკიდებულებას.

სუბკულტურა არის ადამიანთა ჯგუფის ან ერთი რომელიმე სოციალური კატეგორიის ქცევის მოდელი, რომელიც ხორციელდება მთლიანი კულტურის (ფარგლებში) შიგნით და საკუთარი თავისებურებანი გააჩნია, რომელთა მეშვეობითაც ისინი განსხვავდებიან გაბატონებული კულტურისა ან სხვა სუბკულტურებისაგან.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში სუბკულტურის შესახებ შემდეგი სახის განმარტებას ვხვდებით: „სოციალური ნორმებისა და ღირებულებების, ქცევის მოდულების სისტემა, რომელიც განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას საზოგადოებაში გაბატონებული კულტურისაგან (ანუ, საზოგადოების უმრავლესობის კულტურისაგან). არ არის აუცილებელი, სუბკულტურა ეწინააღმდეგებოდეს გაბატონებულ კულტურას, არამედ შეიძლება იყოს მისი რელევანტური. თუმცა ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს პრობლემა, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებებში კულტურული ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხი აძნელებს გაბატონებული კულტურის გამოყოფას. სუბკულტურებში ჩართულობის მოტივაცია ზოგიერთისათვის შეიძლება იყოს კომპენსაცია იმ წარუმატებლობისა და წყენისა, რაც მათ საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან შეხვდათ. სუბკულტურა შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, როგორიცაა ეთნიკურობა, კლასობრივი და რელიგიური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, უბრალოდ, ცხოვრების ახალი სტილი (ისეთი, რომელიც დაამკვიდრეს, მაგ., პანკებმა) და სხვა“.

ლიტერატურაში გამოყოფენ სამი სახის სუბკულტურას: 1. არაკრიმინალური სუბკულტურა - იგულისხმება ჯგუფები, რომლებიც გაბატონებულ კულტურას ეკუთვნიან, მაგრამ საკუთარი ნორმატიული სისტემა გააჩნიათ და გაბატონებული კულტურისაგან ან მათი სოციალური მდგომარეობით, ან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი გაბატონებული კულტურის ზოგიერთ ასპექტს უარყოფენ. ასეთი სახის სუბკულტურებს კონფლიქტი არ გააჩნიათ გაბატონებულ კულტურასთან და ლეგიტიმურ საშუალებებს იყენებენ მიზნის მისაღწევად; 2. კონტრა სუბკულტურა - დანაშაულებრივი სუბკულტურა, რომელიც თავისი ნორმების და ღირებულებების სისტემით საგრძნობლად განსხვავდება გაბატონებული კულტურისაგან, მაგრამ არ ცდილობს გაბატონებული კულტურის შეცვლას; 3. საწინააღმდეგო სუბკულტურა, რომელსაც ასევე საკუთარი ნორმები გააჩნია, რომლებიც გაბატონებული კულტურის ოპოზიციურობიდან გამოიკვეთა და სურს შეცვალოს გაბატონებული კულტურა.

ერთ-ერთი პირველი სუბკულტურული კვლევები ეკუთვნის ტრეშერს და ვაიტს.

- **ტრეშერის კვლევები სუბკულტურის შესახებ**

ტრეშერი ითვლება რობერტ პარკის მოსწავლედ და კოლეგად. ტრეშერი 1919-1926 წლებში იკვლევდა და გაანალიზა 1 313 მოზარდების ბანდა. ტრეშერის აზრით, სუბკულტურული ჯგუფები (ბანდები) ეს არის ბუნებრივი და სპონტანური რეაქცია იმ უამრავ ფრუსტრაციაზე, რომელიც ბანდის წევრებმა განიცადეს ოჯახური დეზორგანიზაციის, პოლიტიკური კორუფციის, დაბალი ხელფასების, ცუდი სამუშაო პირობების, მაღალი უმუშევრობისა და გეტოებში არასახარბიელო საცხოვრებელი პირობების გამო. ბანდების წევრების დიდი ნაწილი ემიგრანტი ან შავკანიანია. ბანდა ხშირ შემთხვევაში მათი სტატუსის მიღების ერთადერთი საშუალებაა. ბანდების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი არის სოციალური კონტროლის ნაკლებობა ან სისუსტე. ტრეშერი ბანდების დაყოფას ახდენს წევრების ასაკის მიხედვით. ბანდების ერთი ნაწილისთვის ასაკობრივი ზღვარი დადგენილი არ არის. ხშირად ბანდის ასაკოვანი წევრების მიერ ბავშვები კარგად გამოიყენება უკანონო საქმიანობისათვის. ამის მიუხედავად, ტრეშერი გვთავაზობს სამ ასაკობრივ ბანდას:

ა) ბავშვების ბანდა, რომელიც არაორგანიზებულია და ერთ სამეზობელოში მცხოვრები ბავშვების ჯგუფურ კავშირს წარმოადგენს;

ბ) მოზარდთა ბანდა. ასეთი ჯგუფები უკეთესად არიან ორგანიზებულნი, ვიდრე ბავშვების ბანდები, ორიენტირებულნი არიან კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, არიან ზედამხედველობიდან გასული და ნახევრად კრიმინალები (ქურდობა, ვანდალიზმი). ხშირად ამ ბანდების წევრები მოგვიანებით ხდებიან პროფესიონალი დამნაშავეები;

გ) ზრდასრულთა ბანდები. ამ ტიპის ასაკობრივ ჯგუფებს გააჩნიათ კონკრეტული შეხვედრის ადგილი (ბარი, კლუბი). ასეთი ბანდები არის დანაშაულებრივი ტიპის, აქტივობა მრავალფეროვანია და მათთვის კონფლიქტი შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობს. კონფლიქტური სიტუაციების გამოცდილება ქმნის ჯგუფის იდენტობას, ერთობას, სიმბოლოებს და წევრებს შორის დამოკიდებულებებს.

მოზარდთა და ზრდასრულთა კრიმინალურ ბანდებს შორის არ არსებობს მკვეთრი განსხვავება. ხშირია მოზარდთა ბანდიდან ზრდასრულებში რეკრუტირების შემთხვევები. ბანდის წევრების კრიმინალური კარიერა ხშირად იმაზე ადრე იწყება, ვიდრე ისინი პირველად იქნებიან მართლმსაჯულების წინაშე წარდგენილნი. ასაკის მატებასთან ერთად მძიმდება დანაშაულებრივი ქმედებები.

- **ვაიტის კვლევები სუბკულტურის შესახებ**

ვაიტის სუბკულტურული კვლევების განსაკუთრებულობა მდგომარეობს მის მეთოდში. ვაიტი სამი წლის განმავლობაში თანამონაწილეობით დაკვირვებას აწარმოებდა და თავად იყო „წევრი“ კრიმინალური ბანდის. ვაიტი აწარმოებდა ბანდის უკანონო თუ კანონიერი საქმიანობის აღწერას და ანალიზს. თანამონაწილეობითი დაკვირვებით ვაიტმა შეძლო, დაედგინა ის ზოგადი ვარაუდი, რომელიც მანამდე არსებობდა, იმის თაობაზე, რომ ღარიბთა დასახლებები (slums) დეზორგანიზებულები არიან, რომ ბანდებს მყარი სტრუქტურა, ნორმები და ღირებულებათა სისტემა გააჩნიათ და სხვა.

ვაიტის კვლევის შედეგების განზოგადება პრობლემურია, რადგან მისი კვლევა შეეხებოდა ემიგრანტი იტალიელების ცხოვრებას და სხვა ეროვნებების შესახებ მას ინფორმაცია არ შეუგროვებია.

ვაიტის მიერ გაანალიზებულ იქნა 5 ბანდა, რომელთა წევრების ასაკი 20-30 წელი იყო (ეს იყო ზრდასრულთა ბანდები, თუ ტრეშერის მიხედვით ვიმსჯელებთ).

ვაიტი დასახლდა ბოსტონის ერთ-ერთ ღარიბთა დასახლებაში (slum) და 1936-1939 წლებში თანამონაწილეობით დაკვირვებას ატარებდა. თავდაპირველი კონტაქტის დამყარების პრობლემების მიუხედავად, მან შეძლო, დაახლოებოდა ბანდის ერთ-ერთ ლიდერს, რომელთან სიახლოვემაც მას შესაძლებლობა მისცა, ინფორმირებული ყოფილიყო ისეთი საკითხებისა და საქციელის შესახებ, რომელიც ბანდის არაწევრებისთვის ხელმიუწვდომელი იქნებოდა.

ვაიტის თანახმად, ემიგრანტთა უშედეგო ინტეგრაციისა და კრიმინალური საქმიანობის გვერდით ადგილი ჰქონდა წარმატებული ინტეგრაციის მაგალითებსაც. ემიგრანტთა ინტეგრაცია ხშირად პიროვნულ ხასიათს ატარებდა და ნაკლებად იყო გარემო პირობებზე დამოკიდებული.

იმის მიზეზი, თუ რატომ იყო დაბალი ფენის ქცევა დევიაციური, განპირობებული იყო იმით, რომ დაბალი და საშუალო ფენის ქცევის წესებს შორის კავშირი არ არსებობდა. ზოგიერთი ნორმა და ქცევის წესი, მაგ.: სიძლიერე, ამტანობა, ძალადობის გამოყენების ან ძალადობის ატანის უნარი, ერთნაირად იყო მიღებული როგორც დაბალი, ასევე საშუალო ფენის წარმომადგენლებისთვის.

ვაიტის მიერ გამოკვლეული ბანდებიდან საინტერესოა ე.წ. ნორტონის ბანდა. ეს კრიმინალური სუბკულტურული ჯგუფი ძირითადად ნორტონის ქუჩაზე ოპერირებდა, შედგებოდა იტალიელი მიგრანტი 13 წევრისგან, რომელთა ასაკი 20-30 წელი იყო, ჰქონდათ მხოლოდ ცხრა კლასის განათლება და იყვნენ უმუშევრები ან თავი გაჰქონდათ პერიოდული სამუშაოებით.

**ნორტონის ბანდის „საქმიანობა“ შემდეგნაირად გამოიყურება:**

ნორტონის ჯგუფი ერთმანეთს ერთსა და იმავე ადგილას ხვდებოდნენ თითქმის ყოველ დღე ნაშუადღევს ან საღამოს. მათი საუბრის თემა იყო სპორტი, სექსი, პოლიტიკა და ჯგუფის წევრების ესა თუ ის პიროვნული პრობლემები. სისტემატურმა ურთიერთობებმა განაპირობა მყარი სტრუქტურა და იერარქია, რომელსაც ისინი ვერც ამჩნევდნენ. იერარქია შესამჩნევი იყო მხოლოდ მათ საქციელზე დაკვირვებისას. კერძოდ, იმ დამოკიდებულებებზე დაკვირვებისას, რომელიც სუბკულტურის წევრებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ სივრცული მიმართებების შემთხვევაში (პროქსემიკა), მაგ., კაფეში დასაჯდომი ადგილების გადანაწილების დროს. ჯგუფის წევრებს გააჩნდათ საკუთარი ნორმები, ღირებულებები და ვალდებულებები, რომლებიც იერარქიული პოზიციებიდან განისაზღვრებოდა.

ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები ჯგუფის წევრებისთვის უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ოჯახები ძირითადად დეზორგანიზებული იყო. წევრებისთვის ოჯახი და სახლი მხოლოდ ძილისთვის გამოიყენებოდა. ოჯახის წევრებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, განსხვავება არ იყო დაოჯახებულ და დასაოჯახებელ ჯგუფის წევრებს შორის. დაოჯახებული ჯგუფის წევრები იგივე დროს ატარებდნენ ოჯახის გარეთ, ბანდასთან, როგორც დასაოჯახებელი წევრები. ნორტონის ჯგუფის წევრების დამოკიდებულება და იდეოლოგია ოჯახის შესახებ საგრძნობლად განსხვავდებოდა საშუალო ფენის თვალსაზრისისგან.

საშუალო ფენის სუბკულტურისგან ნორტონის დაბალი ფენის ჯგუფის სუბკულტურა იმითაც განსხვავდება, რომ თუ საშუალო ფენის სუბკულტურის წევრი ინდივიდუალურადაც ცდილობს განვითარებას და საზოგადოებაში სტატუსის

მოპოვებას, დაბალი ფენის სუბკულტურის წევრს არ სურს ან უნარი არ შესწევს დატოვოს სუბკულტურა.

ნორტონის ჯგუფის სუბკულტურის წარმოქმნა შესაძლებელია განპირობებული იყოს ინტეგრაციის პრობლემებით და/ან იტალიური კულტურული ნორმებისა და ღირებულებების განსხვავებულობით ამერიკულ საზოგადოებაში. ემიგრანტთა მიერ ინტეგრაციის კულტურული პრობლემისა და, ამ პრობლემიდან გამომდინარე, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, საინტერესოა ტორსტენ სელინის (Thorsten Sellin) კულტურის კონფლიქტის თეორია.

## 4. კრიმინალური სუბკულტურის წარმოქმნის თეორიული ახსნა-განმარტება

### 4.1. ქოენის სუბკულტურის თეორია

ქოენის სუბკულტურის თეორია წარმოიშვა დაკვირვებებიდან, რომლებსაც იგი აწარმოებდა დაბალი ფენის (კლასის) არასრულწლოვან ვაჟებზე, იმის თაობაზე, თუ როგორ ხვდებოდნენ ისინი კრიმინალურ დაჯგუფებებში. ქოენის სუბკულტურის მოდელის უკეთ გასაგებად აუცილებელია მისი ტერმინების - დაბალი და საშუალო ფენების (კლასები) - განმარტება.

ქოენის აზრით, ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვების სოციალური მდგომარეობა. ბავშვები დაბალი სოციალური ფენიდან დიდი ალბათობით ნაკლები კულტურული ღირებულებების მატარებლები არიან, ვიდრე ბავშვები საშუალო ფენიდან. ბავშვებს დაბალი სოციალური ფენიდან არ შესწევთ უნარი (კულტურული შესაძლებლობა) კონკურენცია გაუწიონ საშუალო ფენის ბავშვებს და დააკმაყოფილონ მასწავლებელთა, მზრუნველთა, პოლიციელთა და ეკლესიის მსახურთა მოთხოვნები, რომლებიც საშუალო ფენის ნორმებით ხელმძღვანელობენ.

დაბალი სოციალური ფენის წევრობა ხშირად დამოკიდებულია მისი ოჯახის ადგილზე საზოგადოებაში, კერძოდ, მისი ოჯახისა და სხვა ოჯახების პოზიციაზე (მდგომარეობაზე) საზოგადოებაში. გამოცდილება და პრობლემები და მათი მოგვარების ხერხები, რომლებსაც ოჯახის წევრები სხვა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დროს ხაზს უსვამენ, განაპირობებს ამ ოჯახის პოზიციას საზოგადოებაში.

ოჯახის მნიშვნელობა დიდია ბავშვის, მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ოჯახური ურთიერთობები და ამ ურთიერთობიდან მიღებული გამოცდილება დიდ როლს თამაშობს მოზარდის ჩამოყალიბებაში და საზოგადოების სხვა წევრებთან (არაოჯახის წევრებთან) ურთიერთობებში. შეიძლება ითქვას, რომ სამყარო, არაოჯახური გარემო არის სცენა, სადაც მოზარდს უწევს როლის თამაში და იმ ქცევითი იმპულსების წარმოჩენა, რომლის ფორმირებაც მოხდა ოჯახის პირობებში. ეს სცენა, თეატრის სცენისგან განსხვავებით, რეალურია. იგი შედგება ფაქტების, ადამიანების, ქცევების, გამოწვევებისა და რეაქციებისაგან, რომელსაც ადამიანი თავს ვერ აარიდებს და რომელზეც დამოკიდებულია მისი ადგილი საზოგადოებაში. აქ ხდება რეალური დასაჩუქრება ან დასჯა, აქ მიღებული კმაყოფილება ან ფრუსტრაცია მნიშვნელოვანია მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახური და ოჯახის გარეთ არსებული სამყარო განსხვავდება ერთმანეთისგან; პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევა, რომელსაც მოზარდი ითვისებს ოჯახში, პირდაპირ უწყობს მას ხელს სწავლის პროცესსა და გარესამყაროსთან წარმატებით გამკლავებაში.

ოჯახებს გარკვეული სტატუსის მატარებლად თუ ჩავთვლით, მაშინ ეს

ოჯახები გარკვეულ სოციალურ კლასებად უნდა დაიყოს. ქოენის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური კლასები არსებობენ. „სოციალური კლასის" ქვეშ იგულისხმება შეფასება, რომელსაც თემის მაცხოვრებლები გააკეთებდნენ მათი ნაცნობი თემის სხვა ოჯახების შესახებ, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, სოციალური სტატუსის მიხედვით. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გამოიყო საშუალო და დაბალი ფენა. საშუალო ფენას განეკუთვნებიან მასწავლებლები, სასულიერო პირები, მზურველობით ორგანიზაციებში მომუშავე პირები, სამეზობლო საცხოვრებლების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები. მათ მიერ აღიარებული ნორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სავაჭრო, საეკლესიო, სამეზობლო და აღმზრდელობით ცხოვრებაში. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თემის, დასახლების სიმბოლოებად არიან ქცეულნი და მოზარდები მათ ბაძავენ. ნორმები, რომლებსაც ჩამოთვლილი პირები – საშუალო ფენა - აღიარებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებული ღირებულებათა სისტემაა. ეს ნორმები პროტესტანტული წესჩვეულებებისა და ეთიკის საფუძველზე იქნა შექმნილი და დიდ როლს თამაშობს ამერიკელი ხალხის და ამერიკული საზოგადოების ფორმირებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, საშუალო ფენის ეთიკა მოწოდებულია ადამიანის მიერ რაციონალური, ასკეტური, თვითდისციპლინური და დამოუკიდებელი საქმიანობისა და დოვლათის შექმნისკენ. საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებით, თუ ადამიანი წარმატებულია, ის ამ ზემოაღნიშნული ეთიკური ნორმების დაცვით უნდა ცხოვრობდეს. ოჯახს საშუალო ფენიდან უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, მოამზადოს შვილი წარმატებული სტატუსის მოსაპოვებლად. როდესაც საუბარია საშუალო და დაბალი ფენის კულტურებზე, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ორი ფენა ერთმანეთთან დაპირისპირებულია ან კულტურულად ჰეგემონიური ფენა არსებობს. დაყოფა უფრო კვლევის მიზნებისთვის მოხდა. ამ ფენის ჯგუფები მშვიდობიან თანაცხოვრებაში არიან ამერიკის ქალაქებში.

ამ ფენებს შორის „კონკურენციის" შედეგად დაბალი ფენის ბავშვებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების გრძნობა, უარს ამბობენ გავრცელებული ნორმების აღიარებაზე და უპირისპირდებიან მას.

საშუალო ფენასთან კონკურენციაში „დამარცხებული" დაბალი ფენის მოზარდები, რომელთაც საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დამკვიდრების და ინტეგრაციის პრობლემა გააჩნიათ, ქმნიან თანატოლთა და თანამოაზრეთა ჯგუფებს, კრიმინალური ბანდის კულტურას. ასე წარმოიშობიან სუბკულტურული ჯგუფები. დელიქვენტი მოზარდი, რომელიც დაბალი ფენის/კლასის გაბატონებული ღირებულებების საზოგადოებაშია სოციალიზირებული, არარაციონალური, უპასუხისმგებლო და აგრესიული ქცევით უპირისპირდება გაბატონებული საშუალო კლასის ნორმებს.

ქოენის მიხედვით, გადამწყვეტი არის ის, რომ მოზარდები კულტურული სისტემის საკუთარ ფორმას აყალიბებენ და ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა განხორციელების კონტროლი თვითონვე შეუძლიათ და რომლებიც მათ დაეხმარება ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრან სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები.

დასასრულს, ქოენის თეორია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თეზისების სახით:

1) თუ საზოგადოება დაყოფილია კლასების მიხედვით, 2) თუ საზოგადოების ერთ ნაწილს სოციალური სტატუსი აქვს მინიჭებული, რომელიც კლასების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, 3) თუ საზოგადოების ერთი ნაწილი კლასების სპეციფიკურობიდან გამომდინარე წარმოშობილ ნორმებს და ღირებულებებს და

დაბალი ფენის სტატუსს აღიარებს, 4) თუ დაბალი ფენის მოზარდებს საკუთარი სტატუსი გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის პრობლემებს უქმნის, 5) თუ დაბალი ფენის მოზარდებს გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის პრობლემები ერთნაირი აქვთ, 6) თუ დაბალი ფენის მოზარდები გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) მიღებული იმ ნორმების და ღირებულებების წინააღმდეგ ერთად გამოდიან, რომელთა გამოც მათ დაბალი ფენის სტატუსი მიენიჭათ - მაშინ დაბალი ფენის მოზარდები ქმნიან ინტერაქტიულ ჯგუფებში ნორმებს და ღირებულებებს (სტატუსის კრიტერიუმებს), რომლებიც გაბატონებული საზოგადოების (კულტურის) მიმართ ნეგატიურად არის მიმართული და ახორციელებენ ქმედებებს ამ კულტურის წინააღმდეგ.

### 4.2. მილერის სუბკულტურის თეორია

ქოენის მსგავსად, ვალტერ მილერიც ცდილობს ახსნას დაბალი ფენის მოზარდების ბანდების ფენომენი. თუ ქოენი სუბკულტურის წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს დაბალი ფენის კოლექტიურ რეაქციას საშუალო ფენის ნორმებისადმი, მილერის აზრით, სუბკულტურის წარმოშობის მიზეზი არის არა ფენებს შორის კონფლიქტი, არამედ დაბალი ფენის ქცევის მარეგულირებელი ნორმები. მილერის აზრით, ბანდების დანაშაულების შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც პირდაპირი ზემოქმედება აქვს ბანდის წევრების საქციელზე, თავად წარმოადგენს დაბალი ფენის კულტურას, რომელიც დიდი ხნის დამკვიდრებული, ტრადიციულია და მათი ერთობის ნიშანს წარმოადგენს.

მილერის კვლევის ემპირიული მონაცემების დიდი ნაწილი შეგროვებულ იქნა მოზარდთა ბანდების დანაშულის კონტროლის კვლევითი პროექტის ფარგლებში. პროექტის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში 7 წინასწარ კარგად გადამზადებული სოციალური მუშაკი მუშაობდა 21 დანაშაულებრივ ქუჩის ბანდასთან ღარიბთა (slum) რაიონში.

ეს ბანდები შედგებოდა შავკანიანი და თეთრკანიანი წევრი ბიჭებისა და გოგონებისაგან, რომელთა ასაკი იყო 17-22 წელი. 8 000 გვერდის მოცულობის პირდაპირი დაკვირვების მონაცემები იქნა შეგროვილი ბანდის წევრების ქცევისა და რაიონის მოსახლეობის შესახებ. შეგროვილი მონაცემები შედგებოდა იმ სოციალური მუშაკების მოხსენებებისაგან, რომელთაც ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდათ ბანდის წევრებთან, ავტორის კულტურის ანთროპოლოგის თანამონაწილეობითი დაკვირვების ოქმებისაგან და ჯგუფური დისკუსიების პირდაპირი აუდიო ჩანაწერებისაგან.

შეგროვებული მასალის შედეგად გამოკვლეულ და გაანალიზებულ იქნა ბანდის წევრების ქცევები და დამოკიდებულებები სკოლასთან, პოლიციასთან, სექსუალურ სურვილებთან, დანაშაულებთან (ქურდობა, ყაჩაღობა), სპორტულ ღონისძიებებთან და სხვა აქტივობებთან მიმართებით. დაახლოებით 70 ასეთი ქცევა იქნა კვლევის მონაცემებიდან გამოყოფილი, ბარათებზე გადატანილი და კატალოგიზირებული. ამ მონაცემების ანალიზი მიზნად ისახავდა ამ რაიონში ჩვეულებად ქცეული ქცევითი სტრუქტურების დადგენას.

მილერის აზრით, დაბალი ფენა არის ავტონომიური, რომელსაც გააჩნია ტრადიციულად დამკვიდრებული კულტურული სისტემა. როგორც დაბალი ფენის ცხოვრების წესი, ასევე თითოეული კულტურული ჯგუფი ხასიათდება ექვსი მნიშვნელოვანი და ცენტრალური ასპექტით, რომლებიც ყველას (კულტურის ყველა წევრის) ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ყველა თაობაშია გავრცელებული, ყველას ყურადღებას იპყრობს და ემოციურად მისაღებია. ეს ცენტრალური ასპექტებია:

1. სიძნელეები - იგულისხმება ისეთი სიტუაცია ან ქცევა, რომელსაც ოფიციალურ ორგანოებთან ან საშუალო ფენის წარმომადგენლებთან რთული ურთიერთობები ახლავს თან. ასეთი ძნელი ურთიერთობების „დაძლევა“ მიიჩნევა დადებით თვისებად. სიძნელეებისაგან თავის დაღწევა დაბალი ფენის კულტურის ყველა ასაკისა და სქესის წევრისთვის არსებითი გამოწვევაა და ეს ის საკითხია, რომელიც მათი ცხოვრების მთავარ თემად შეიძლება მოიაზრებოდეს. სიძნელეების განზომილება ეხება როგორც კანონიერ, ისე უკანონო ქცევას. მამაკაცებისათვის ასეთი სიძნელეები ეხება ხშირ ჩხუბს, ნასვამ მდგომარეობაში სექსუალურ თავგადასავლებს, ქალების შემთხვევაში კი სექსუალურ ურთიერთობებს უარყოფითი შედეგებით. დაბალი ფენის წევრების სურვილი, უარი თქვან ისეთ ქცევაზე, რომელიც მორალურ და დადგენილ ნორმებს არღვევს, გამომდინარეობს არა ამ ოფიციალური ნორმების აღიარებისაგან, არამედ სურვილისაგან, არ გაეხვიონ შარში, არ შეხვდეთ სიძნელეები.

დაბალი ფენის კულტურაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი უნარ-ჩვევების ქონას, რომელიც სიძნელეების დაძლევას შეუწყობს ხელს. თუ საშუალო ფენის კულტურაში მიღწევები პირდაპირ განაპირობებს პირის სტატუსს საზოგადოებაში, დაბალი ფენის კულტურაში პირის სტატუსი დამოკიდებულია მის კანონიერ და უკანონო საქციელზე. დედა საკუთარი ქალიშვილის მეგობარს აფასებს არა იმ ცოდნით, რაც მას მიღწევებში დაეხმარება, არამედ იმ უნარ-ჩვევებით, რითაც ის სიძნელეების გადალახვას შეძლებს.

საინტერესოა, თუ როგორ არის აღქმული კანონიერი და უკანონო საქციელი. ბევრ შემთხვევაში არსებობს კანონიერი ნორმების აღიარების მოჩვენებითი სურვილი და შინაგანი, დაფარული სიმპათია უკანონო საქციელისადმი. ხშირად სიძნელეები, შარში გახვევა პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს.

დაბალი ფენის კულტურა მის წევრებს სთავაზობს კანონიერი და უკანონო საქციელის არჩევის ალტერნატივას, ამიტომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი ძმა პოლიციის შერიფია, ხოლო მეორე - კრიმინალური ავტორიტეტი.

2. სიძლიერე - იგულისხმება ისეთი  თვისებები, როგორიცაა ფსიქიკური სიმყარე, ძალა, გამძლეობა, სითამამე.

მასკულინობის დასადასტურებლად დაბალი ფენის წევრები ხშირად იყენებენ სიმბოლოებს ტატუს სახით, მათთვის უცხოა სენტიმენტალობა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ გააჩნიათ ნეგატიური, გულგრილი დამოკიდებულება, ქალები ფიქრობენ, რომ ისინი დაპყრობის ობიექტები არიან.

მასკულინური (მამაკაცური) ჩვევების წარმოშობის მიზეზად მილერი მიიჩნევს ვაჟი მოზარდების მიერ მამაკაცად იდენტიფიცირების შესაძლებლობის ნაკლებობას, რაც განპირობებულია იმით, რომ დაბალი ფენის ოჯახებში სახლის საქმეებს ქალები მართავენ და მამაკაცები არ არიან სახლში.

ჰომოსექსუალების მიმართ ინსტიტუციური აგრესია არსებობს და ხშირია მათზე ფიზიკური თავდასხმები. ჰომოსექსუალიზმი მიჩნეულია სისუსტედ. ჰომოსექსუალად მოხსენიება სალანძღავ სიტყვად ითვლება.

3. გონებრივი მოქნილობა - გონებრივი მოქნილობა გულისხმობს თვისებას, რომლითაც მოზარდს შეუძლია სხვებს აჯობოს, „მოატყუოს“, სხვების ქმედებები ღირსეულად მოიგერიოს, ნდობა გამოიყენოს და სხვას ჭკუაში აჯობოს. გონებრივი მოქნილობის დროს ადამიანს აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია მატერიალური სარგებლის მიღება, პიროვნული სტატუსის მოპოვება მინიმალური ფიზიკური ძალისხმევით. ასეთ უნარ-ჩვევებს დაბალი ფენის

კულტურაში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია და განსაკუთრებულად დადებითად ფასდება. ამის საპირისპიროდ, ინტელექტუალობა (ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურაში გათვითცნობიერება) უარყოფითად ფასდება და ქალურობის ნიშანია. გონებრივი მოქნილობის უნარ-ჩვევებს დაბალი ფენის ბავშვი ქუჩის კუთხეში სწავლობს. ბავშვები ყოველდღიურად ვარჯიშობენ ასეთი უნარ-ჩვევების (მოტყუება, ჭკუაში ჯობნება) მოსაპოვებლად კარტის და სხვადასხვა თამაშის დროს. მაგ., ერთი თამაში შემდეგნაირად მიმდინარეობს: ორი ანტაგონისტურად განწყობილი მოზარდი (ზრდასრული) ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. სიტყვიერი დაპირისპირების თემა, ძირითადად, მოპაექრის დედასთან სექსულური ურთიერთობების სურვილია. ასეთი სერიოზული, არასახუმარო ლანძღვის დროს ვლინდება დაპირისპირებული მხარეების გონებრივი მოქნილობა, ენაწყლიანობა, პასუხების სისწრაფე, სიმწვავე და ფანტაზია. ბანდის ხელმძღვანელის სტატუსი ხშირად მოიპოვება გონებრივი მოქნილობისა და სიძლიერის საფუძველზე.

გონებრივი მოქნილობის თვალსაზრისით, ადამიანების ორ ჯგუფს განასხვავებენ: ბრიყვი, უტვინო, სულელი – ადამიანი, რომელიც საკუთარ სარჩოს შრომით შოულობს, და მოხერხებული, საზრიანი, რომელიც თავისი მოხერხებულობით ცხოვრობს და ბრიყვს და უტვინოს ატყუებს.

4. აღგზნებადობა - ამ პუნქტში გაერთიანებულია ყველა ის საშუალება, რომლითაც დაბალი ფენის წარმომადგენლები ეძიებენ დაძაბულობასა და დასვენებას, რომელიც ალკოჰოლში, კარტის თამაშში, სექსუალურ და აგრესიულ თავგადასავლებში გამოიხატება. ალკოჰოლის მიღება და გასართობი თამაშები (ცხენების დოღზე ფულის დადება, კამათლების გაგორება, კარტის თამაში) გავრცელებულია დაბალ ფენაში. ადამიანების ჯგუფი ან ერთეულები ღამის საათებში დადიან ბარიდან ბარში, იღებენ ალკოჰოლს და ცდილობენ გაიცნონ გოგონები. ასეთი ღამის თავგადასავლის შედეგი ძალიან ხშირად არის ერთი და იგივე: ჩხუბი, ფიზიკური დაპირისპირება სხვა ჯგუფთან ან სხვა მამაკაცთან გოგონას (გოგონების) გამო. დაბალი ფენის წევრები სექსუალურ და აგრესიულ თავგადასავლებს ხშირად არაცნობიერად ეძებენ. ვინაიდან ალბათობა ასეთი სექსუალური თავგადასავლისა არის ჩხუბი, ფიზიკური დაპირისპირება, უნდა ითქვას, რომ ეს ადამიანები საფრთხეს არაცნობიერად ეძებენ და ეს მათთვის ჩვეულებრივი ცხოვრების სტილია. ეს არის „საფრთხესთან ფლირტაობა". დაბალი ფენის წევრების დიდი ნაწილი კვირაში ერთხელ „ფლირტაობს" ალკოჰოლით, სექსუალური სურვილებით და ჩხუბებით გამოწვეულ საფრთხესთან.

5. ბედისწერა - მილერის ეს პუნქტი გამოიხატება ცხოვრებისადმი ექსტრემალურ მიდგომაში: იყო ბედნიერი ან იყო უბედური. დაბალი ფენის წარმომადგენლების წარმოდგენით შეუძლებელია იმ მაგიური ძალის წინააღმდეგ მოქმედება, რომლებიც ადამიანის ბედნიერება/უბედურების საკითხს წყვეტს. ისინი ფიქრობენ, რომ მათი ცხოვრება გარკვეული ძალების ხელშია, რომელზეც ისინი ვერ ბატონობენ. ეს ძალა ბედისწერაა ან მაგიურია და მისთვის ადამიანი ქცევის ობიექტია. დაბალი ფენის წევრები ფიქრობენ, რომ თუ ბედი შენს მხარესაა, ყველაფერს შეძლებ და მიაღწევ, ხოლო თუ ბედი განგიდგა, მაშინ ცდასაც კი აღარ აქვს აზრი. მათი ფანტაზიის უნარი საკმაოდ მსუყეა და ბედის ქონის შემთხვევაში ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაა პირველ ადგილზე: დიდი მანქანა, დიდი სახლი და საკმარისი ფული, რომ ერთხელ მაინც „დაიმხოს თავზე" ღამის კლუბი. ასეთ შემთხვევაში მათი ფანტაზია და სურვილები უმნიშვნელო დეტალებშიც კი აღწევს.

6. ავტონომია (დამოუკიდებლობა) - ავტონომია გამოიხატება გარეგანი კონტროლის მექანიზმებზე უარის თქმაში, რაც მიუთითებს მათ სურვილზე იყვნენ დამოუკიდებლები. ადამიანის ქცევაზე კონტროლის ფორმა და სიხშირე ყველა კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია. დაბალი ფენის კულტურაში ყველაზე მწვავედ განიხილება გარეგანი კონტროლის, უსამართლო, მოძალადე ავტორიტეტი. „მე არავის ვაბრძანებინებ!" ან „ეს მე არ მაინტერესებს!" არის ავტონომიურობის გამოხატვის ლოზუნგები. პიროვნული ავტონომიის სურვილი ხშირად გამოიხატება სიტყვებით: „მე არავინ მჭირდება, ვინც ჩემზე იზრუნებს. ჩემს თავს თავად მივხედავ". ამ სიტყვების მიუხედავად, რეალური სიტუაცია და ქცევა სხვაგვარია. სინამდვილეში, დაბალი ფენის კულტურის წარმომადგენლების უმრავლესობა ეძებს ისეთ ურთიერთობებს, სადაც მათი ავტონომია შეზღუდული იქნება და ამ ავტონომიის შეზღუდვაზე შეძლებენ გაბრაზებას და ჩხუბს. ისეთი ინსტიტუციები, როგორიც არის ციხე, ჯარი, აღმზრდელობითი დაწესებულებები, წარმოადგენენ ავტონომიის შეზღუდვის საშუალებებს. ამ ინსტიტუტებში ადამიანების ყველა ნაბიჯი და საქციელი წინასწარაა გაწერილი და ნორმის დარღვევები სანქციონირებულია. ასეთი ინსტიტუტები ზღუდავენ პირის ავტონომიურობას. თუ დაბალი ფენის წარმომადგენლები ასეთ ინსტიტუტებში აღმოჩნდებიან, ბრაზდებიან და უკმაყოფილონი არიან იქ არსებული უსამართლობით და დესპოტური დამოკიდებულებით. გარეთ თუ გამოვლენ ასეთი ინსტიტუტებიდან, ცდილობენ სხვას მოაჩვენონ, რომ მათ მალე ისევ უკან შეაბრუნებენ.

ავტონომიის და არაავტონომიის ციკლი შემდეგნაირად გამოიყურება. დაბალი ფენის კულტურის წევრები სიძნელეების და თავგადასავლების ძიების შემდეგ (ავტონომიურობა) ეძებენ დროებით ნავსაყუდელს ციხის, მეუღლის ან სამსახურის სახით (არაავტონომიურობა). გარკვეული პერიოდის შემდეგ უგროვდებათ შინაგანი პროტესტი, ბრაზი, აგრესია და ისევ უჩნდებათ სიძნელეებისა და თავგადასავლების მოთხოვნილება.

მილერის მიერ შედგენილი კულტურული ფაქტორები არის საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების", მოზარდი მამაკაცების, ის ზოგადი კულტურული გარემო (ადგილი), სადაც მათ უწევთ მოქმედება. ჩამოთვლილი ექვსი პუნქტის გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე: კუთვნილება (ჯგუფის წევრობა) და სტატუსი.

კუთვნილება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ასრულებს ადამიანი ჯგუფის მიერ აღიარებულ ნორმებს, ხოლო სტატუსი დამოკიდებულია ადამიანის სიძლიერეზე, გონებრივ მოქნილობასა და მის სხვა ისეთ თვისებებზე, რომლებიც მას უპირატესობას მოუტანს სხვა პირებთან მიმართებით.

- კუთვნილება

დაბალი ფენის ბანდების წევრების პირველი და უმთავრესი კითხვაა - ვინ არის ამ ჯგუფის აღიარებული წევრი. მუდმივად იმის გარკვევა, თუ ვინ ეკუთვნის ამ ჯგუფს და ვინ არა, აუცილებელს ხდის ჯგუფის წევრობის კრიტერიუმები იქნეს დადგენილი. სიტყვები - „ის ჩვენთან ერთად დგას/არის", ერთმნიშვნელოვნად ჯგუფის წევრობაზე მიუთითებს, ხოლო სიტყვები - „ის არ არის ჩვენთან", ჯგუფის წევრობაზე უარს ნიშნავს. ჯგუფის წევრი გახდება ის, ვინც იცნობს ჯგუფის ნორმებს, ჯგუფის წევრების მიერ აღიარებული უნარ-ჩვევები გააჩნია. ეს უნარ-ჩვევები ძირითადად გამომდინარეობს ფასეულობებიდან - „სიძლიერე", „გონებრივი მოქნილობა" და ავტონომიურობა. ჯგუფის ნორმების დარღვევის სანქცია ჯგუფიდან გაძევებაა.

● სტატუსთან მიმართებით, აღსანიშნავია მოზარდთა სურვილი, იყვნენ ისეთები, როგორებიც ზრდასრულები არიან. მათთვის ზრდასრულობა არ არის დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან. ჯგუფის წევრებს სურთ ჰქონდეთ ის ცხოვრებისეული უპირატესობები, რომლითაც ისინი ზრდასრულებად ჩაითვლებიან (ავტომობილი, ფული, ნარკოტიკული საშუალებები ან ალკოჰოლი). მათ სურთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჰქონდეთ მათთვის საინტერესო მოვლენებზე ხელმისაწვდომობა. ხშირად მოზარდები ზრდასრულებზე მკვეთრად გამოხატავენ ისეთ თვისებებს, რაც მათ ზრდასრულად ჩათვლის.

ჯგუფში სტატუსის საკითხი ხშირ ცვლილებას განიცდის და მუდმივად აქტუალურია. ჯგუფის იერარქიაში სტატუსის მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელი უნარ-ჩვევებია: ფიზიკური სიძლიერე, გონებრივი მოქნილობა, თამაშის დროს გამჭრიახობა.

საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, მილერის აზრით, არის შედეგი მათი ორიენტაციის დაბალი ფენისათვის დამახასათებელი ნორმებისა და ღირებულებებისა, ანუ კულტურული ფაქტორებისა (focal concerns).

## 5. კრიმინალური სუბკულტურის წარმოქმნის თეორიები პენიტენციურ დაწესებულებაში

პატიმართა სუბკულტურა, როგორც მსჯავრდებულთა „მმართველობის ორგანო“, პრობლემური ჯგუფია. რაც უფრო დიდია პატიმრებზე ციხის ადმინისტრაციისაგან ზეწოლა, მით უფრო დიდია ალბათობა ციხის შიგნით ძლიერი სუბკულტურული ჯგუფის ჩამოყალიბებისა. გრატცის აზრით, ციხის ადმინისტრაციის მმართველობა პატიმართა მიერ არ არის აღიარებული, რაც ხელს უწყობს პატიმართა შორის საპირისპირო მმართველობის რგოლების ჩამოყალიბებას. ,,პატიმართა ლოზუნგია: მართალია, თქვენს ხელშია ძალაუფლება, ჩვენ აქედან (ციხიდან) არ გაგვიშვათ, მაგრამ თქვენს ხელთ არ არის ძალაუფლება ჩვენი გამოსწორებისა. რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ზეწოლა ჩვენზე, მით უფრო დიდი იქნება ჩვენგან წინააღმდეგობა. ყოველი ჩვენი შევიწროვება არის ჩვენთვის გამოწვევა, მოვახდინოთ მისგან თავის დაღწევა!“

ლიტერატურაში პატიმართა სუბკულტურის სამ კატეგორიას გამოყოფენ: კრიმინალური სუბკულტურა, პატიმართა სუბკულტურა და ლეგიტიმური სუბკულტურა:

1. კრიმინალური სუბკულტურის არსი მდგომარეობს განსაკუთრებულ ლოიალობაში საკუთარი ჯგუფისადმი, მიუხედავად შიდა სადამსჯელო მექანიზმებისა. ვინაიდან დაპატიმრება, როგორც ყოველდღიური პროფესიული რისკი, გარდაუვალია, სუბკულტურის მიზანია ციხეში დროის, რაც შეიძლება, ადვილად გატარება.
2. პატიმართა სუბკულტურა უტილიტარიზმის ცენტრალური ღირებულების მმართველობის ქვეშ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც მეტ ოინს ფლობს, ის თავის საკუთარ ანგარებას ოპტიმალურად მიჰყვება და სხვა პატიმრების ექსპლუატაციის გზით მატერიალურ უპირატესობებს და გავლენიან პოზიციებს აღწევს. ეს სუბკულტურა ახალგაზრდა ნასამართლევი პატიმრებისთვის განსაკუთრებულად პატივსაცემია. ამავე დროს ამ სუბკულტურის ურთიერთობები შემოიფარგლება, ძირითადად, საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდით.

3. ლეგიტიმური სუბკულტურა მოიცავს პატიმრებს, რომლებიც ორივე განსხვავებულ სუბკულტურაზე უარს ამბობენ. ამის გამო ისინი მათგან იზოლირებულნი არიან. ამ სუბკულტურის წევრები ორიენტირებულნი არიან მიზნების იმ საშუალებებით მიღწევაზე, რომლებიც ციხის გარეთ ლეგიტიმურად მიიჩნევა.

ციხის სუბკულტურის ნორმებად გვევლინება ისეთი ხასიათის წინადადებები, რომლებიც კონკრეტულ ქცევას გამოხატავს, აღიარებს ან კრძალავს. როდესაც ღირებულებებს და ნორმებს არა მხოლოდ ერთი ადამიანი, არამედ ადამიანების გარკვეული ჯგუფი აღიარებს, მაშინ საქმე გვაქვს სოციალურ ნორმასთან, ღირებულებასთან. ციხის სუბკულტურული ნორმები ამ კონკრეტული ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოხატავს იმ მდგომარეობაში (ციხეში) თავის გადარჩენის ან მდგომარეობის შემსუბუქების, გაუმჯობესების შესაძლებლობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული პატიმართა ნორმები/ღირებულებები:

● **ერთად დგომა და სოლიდარობა** - მსჯავრდებულებს შორის ერთად დგომა და სოლიდარობა ყველაზე მაღალი კლასის ღირებულებაა. მსჯავრდებულები ერთიანდებიან ციხის დაწესებულების ადმინისტრაციის (შტაბის) წინააღმდეგ. მსჯავრდებულების ლოზუნგია: არასოდეს დაეხმარო შტაბს, თუ იგი პატიმრის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული! არასოდეს ითანამშრომლო შტაბთან! სოლიდარობის მიზანია შტაბისგან დისტანციის დაჭერა და, კონფლიქტის შემთხვევებში, მსჯავრდებულების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა. მსჯავრდებულებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან აღნიშნულ ლოზუნგებზე და იცავენ ამ ნორმას, შანსი აქვთ გახდნენ ავტორიტეტები და მისაბაძნი სხვა მსჯავრდებულებისთვის.

● **ძალაუფლება** - ძალაუფლება განიხილება როგორც საშუალება, რათა შტაბიდან წამოსული ზეწოლა იქნეს განეიტრალებული, მოგერიებული. მსჯავრდებული, რომელიც შეძლებს გაუძლოს შტაბის ზეწოლას ან შტაბს და სხვა მსჯავრდებულებს საკუთარი სურვილი მოახვიოს თავზე, შეძლებს გახდეს „დამოუკიდებელი“. ძალაუფლების დემონსტრირების ერთ-ერთი შესაძლებლობაა ახალბედა მსჯავრდებულისგან მატერიალური მოგების, სექსუალური ან სხვაგვარი უპირატესობის მიღება.

● **სიმშვიდე** - სიმშვიდე, როგორც ნორმა შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: 1) მშვიდად იყავი. არ დაკარგო თავი! ნუ შეხვალ ზედამხედველებთან და მსჯავრდებულებთან კონფლიქტში! ამ ნორმით მსჯავრდებულს, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არსებული მისთვის არასასურველი მდგომარეობის მიუხედავად, მოეთხოვება იაზროვნოს რაციონალურად და აიყვანოს ხელში საკუთარი თავი; 2) არ შემაწუხო! გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთამისჯილი მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც უკვე დაალაგეს ურთიერთობა შტაბთან, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში მოიხადონ სასჯელი.

● **მამაკაცურობა** - მამაკაცურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები. ვინაიდან ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ციხის პირობებში შეუძლებელია, წინა პლანზე იწევს მამაკაცურობის სხვა კრიტერიუმები - არ დაკარგო ღირსება, დეპრივაციის და სიმკაცრის მიუხედავად. მამაკაცურობა გამოიხატება ლოზუნგებში: არ დაგიმორჩილონ! არ აჩვენო სისუსტე! ისწავლე აღებ-მიცემობა, როგორც მამაკაცმა! მამაკაცურობის ერთ-ერთი ნიშანია მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან

თავდასხმის მოგერიება და არავითარ შემთხვევაში ასეთ საკითხებზე შტაბთან თანამშრომლობა.

- **თანამოსაკნის გაფრთხილება** - თანამოსაკნის გაფრთხილების პუნქტში გამოკვეთილია რამდენიმე მსჯავრდებულისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: 1) არასოდეს ჰკითხო თანამოსაკნეს, რა დანაშაულზე იხდის სასჯელს; 2) თანამოსაკნის მიმართ ისე არ წარმოაჩინო თავი, თითქოს მორალურად მასზედ უკეთესი იყო; 3) ნუ იფიქრებ, რომ სასამართლო განაჩენი სამართლიანია. ეცადე სხვა ადამიანებს დააბრალო შენი დანაშაული; 4) არასოდეს აღიარო, რომ ციხეში შეიძლება გამოსწორდე.

### 5.1. დეპრივაციის თეორია

დეპრივაციის მოდელი ეფუძნება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების შეცნობას, როგორც ტოტალურ ინსტიტუციას და განასახიერებს პატიმრების რეაქციის გამოვლენის ფორმებს საპატიმრო დეპრივაციის გამო. დეპრივაცია - ეს არის გაჭირვების მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება იზოლაციის ან თავისუფლების აღკვეთის გამო. ჰარბორდტი საუბრობს 5 კომპონენტზე, ე.წ. თავისუფლების აღკვეთის ტკივილზე, რომელიც პატიმრებს ცხოვრებას უმძიმებს. დაუგეგმავი, არაპირდაპირი, აუცილებადი სულიერი ტანჯვა პატიმრებისა არის არანაკლებ მავნებელი. ეს ტანჯვა გამოწვეულია სხვადასხვაგვარი გაჭირვებითა და აკრძალვებით. ესენია: თავისუფლების დაკარგვა, მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების (უფლებების) ჩამორთმევა, ავტონომიის შეზღუდვა, უსაფრთხოების ნაკლებობა, კრიმინალი თანაპატიმრების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შეუძლებლობა.

ა) თავისუფლების დაკარგვა იწვევს პატიმრებისთვის სოციალური ურთიერთობების რადიკალურ შეზღუდვას, ამასთანავე, სოციალური როლის დაკარგვას, მაგალითად მამის, ძმის ან მეგობრის როლის.

ბ) მატერიალური ან არამატერიალური სიკეთეების ჩამორთმევა, ბუნებრივია, არ შეეხება საარსებო მინიმუმს, მაგრამ თითქმის ყველა პირადი საკუთრების დროებითი დაკარგვა და იძულებითი უარის თქმა მათ გამოყენებაზე იწვევს გაღარიბების შეგრძნებას.

გ) ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შეუძლებლობა არის პატიმრების ძირითადი პრობლემა. წლების განმავლობაში სექსუალური მოთხოვნილება იწვევს ამ სფეროში ფიქრებისა და შეგრძნებების უზომო კონცენტრაციას. პატიმარს ენატრება ქალის სახის დანახვა და სიცილის გაგონება. მამაკაცობის დაკარგვის შიში გავლენას ახდენს პატიმრების ფსიქიკაზე, ამის საფუძველზე კი ეწყებათ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები.

დ) ავტონომიის შეზღუდვა ანუ პატიმრის პერსონალური თვითგამორკვევა, რესოციალიზაციის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. სასჯელაღსრულების დაწესებულებების დეტალიზებული განაწესისა და განკარგულებების შესახებ არ არსებობს არავითარი დისკუსია. ეს ემსახურება იმას, რომ მოხდეს პატიმრის კონტროლი და მისი დამორჩილება. ყოველთვის სხვა პირები განსაზღვრავენ, თუ რისი გაკეთების უფლება აქვს პატიმარს და როდის. პატიმრებს ექცევიან არა როგორ ზრდასრულ პირს, არამედ როგორც ბავშვს, რომელმაც ყოველთვის რაღაც უნდა ისწავლოს.

ე) კრიმინალი პატიმრებისგან უსაფრთხოება არ არის ყოველთვის საკმარისი. თუმცა პატიმართა კოდექსი პატიმრებს სოლიდარობისკენ მოუწოდებს, პატიმართა დაჯგუფებებს შორის ჩხუბი ყოველთვის დგას დღის წესრიგში; ამას კი შედეგად მოჰყვება პატიმრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ციხის ქონების უსაფრთხოების პრობლემები.

აქ მოყვანილი კომპონენტები პატიმრებზე ახდენს უარყოფით გავლენას. თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არასაკმარისობის გამო პატიმრები განიცდიან ძლიერ იმედგაცრუებას. სხვებისთვის „თავისუფლების აღკვეთის გამო ტანჯვის“ საფუძველზე ხდება საკუთარი ღირსების შეგრძნების ძლიერი დაზიანება. პატიმარს აქვს ერთადერთი შესაძლებლობა თავისი ტანჯვის წინააღმდეგ საბრძოლველად შეუერთდეს სხვა პატიმრებს, გამოუცხადოს მათ სოლიდარობა და ამით თავისი „დამჩაგვრელების“ ანუ შტაბის (სასჯელაღსრულების დაწესებულების) წინააღმდეგ წავიდეს, თვითონ შექმნას ან გაერთიანდეს ციხის სუბკულტურაში.

### 5.2. კულტურული გადატანის თეორია

კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორია არის პატიმართა სუბკულტურის განმარტების მეორე თეორიული შესაძლებლობა. პატიმართა სუბკულტურა განიხილება, როგორც ნაწარმი დაბალი სოციალური ფენებისა, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებული სუბკულტურული სტრუქტურები და ნორმები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარედან „შეიტანება“ და იქ განაგრძობს არსებობას. კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორიის მიხედვით, პატიმრები ციხემდე უკვე ფლობდნენ შესწავლილ და ქცევის „ღირებულებებს“ და პატიმართა ქცევის კოდექსი არის ნაწილი კრიმინალური კოდექსისა, რომელიც აგრეთვე ციხის გარეთაც არსებობს.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა


- *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.*, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014.
- *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მე-3 გამოც., თბ., 2017.
- *კრისტი ნ.*, დანაშაულის კონტროლი, როგორც ინდუსტრია, თბ., 2017.
- *ნაჭყებია გ., გორაშვილი გ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გოგშელიძე რ., სულაქველიძე დ., დვალიძე ი.*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012.

# თავი IV. განმეორებითი და ახალი დანაშაულის პრევენცია

ავტორები: *ლადო ჯავახიშვილი / მორის ბარამია*

## 1. შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაული რთული და კომპლექსური ფენომენია და დაკავშირებულია მრავალ მიზეზთან. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია კომპლექსური და მულტიუწყებრივი მიდგომები. ამ თავში ავტორების მიერ ხშირად იქნება გამოყენებული ტერმინი - დანაშაულის პრევენცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის არ წარმოადგენს საერთაშორისოდ გამოყენებად ერთადერთ ტერმინს. სხვადასხვა კონტექსტში თუ სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია შევხვდეთ განსხვავებულ ტერმინებსაც, როგორიცაა - უსაფრთხოება და დაცულობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დანაშაულის შემცირება და სხვა. ტერმინი - საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ხშირად გამოიყენება და მოიცავს მხედველობაში მისაღები საკითხების ფართო წრეს დანაშაულისაგან თავისუფალი, უსაფრთხო ქალაქებისა და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. მიუხედავად ტერმინოლოგიური განსხვავებისა, უმნიშვნელოვანესია ისეთი სტრატეგიული მიდგომების გამოყენება, რომლებიც პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა და პრაქტიკოს პროფესიონალებს მისცემს საშუალებას გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ პრაქტიკულ პრობლემებს, შეარჩიონ ყველაზე ეფექტიანი ინტერვენციის საშუალება და იპოვონ ბალანსი მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებს შორის ადამიანის უფლებების დაცვის გზით.

თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემაში დღითიდღე იზრდება დანაშაულის პრევენციის სისტემების როლი. დასავლური დემოკრატიული მიდგომებისა და ღირებულებების თანახმად, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები უპირატესი, ეფექტიანი, ხარჯთეფექტური, ჰუმანური და ადამიანის უფლებებთან სრულ შესაბამისობაშია, ვიდრე დასჯასა და რეპრესიაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის მიდგომები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დასავლური დემოკრატიული ქვეყნები დღითიდღე ისწრაფვიან გააძლიერონ პრევენციული მექანიზმები და ნაკლები რესურსი გახდეს საჭირო მართლმსაჯულების სისტემისათვის, კერძოდ, დანაშაულის გამოძიების, დანაშაულის შედეგების, საქმის სასამართლო განხილვისა და სასჯელის აღსრულებისთვის თუ სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდისათვის. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირება დასაწყის ეტაპზე, დანაშაულის გამომწვევი ფაქტორებისა თუ მიზეზების აღმოფხვრა ჩანასახშივე, რომ სახელმწიფოს არ მოუწიოს მასზე რეაგირება უკვე დაგვიანებულ ეტაპზე. არაერთი კვლევით არის დადგენილი, რომ პრევენციულ ღონისძიებებზე გაწეული

ხარჯი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში გაწეული სახელმწიფო ხარჯი.

ზოგადად მიჩნეულია, რომ დანაშაულის ნებისმიერი სახე და ფორმა ძირს უთხრის დემოკრატიულ საზოგადოებასა და კანონის უზენაესობას. დანაშაულის პრევენცია კი თავის თავში გულისხმობს და მოიაზრებს შესაბამისი ზომების, მიდგომების გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას. ვინაიდან ამ სფეროში გათვითცნობიერებული ყველა სპეციალისტი სრულად იაზრებს, რომ დანაშაულის პრევენციის პროგრამები ყოველთვის ვერ იქნება სრულად ეფექტიანი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარანტირებული შედეგის მომტანი, ამიტომ აღნიშნული პროგრამების მიზანი აგრეთვე არის დანაშაულის თანმხლები პოტენციური, მავნე ზეგავლენისა და ზემოქმედების შემცირება როგორც საზოგადოების, ასევე ინდივიდების მიმართ.

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილდება და საუბარი შეეხება დანაშაულის პრევენციის თანამედროვე სამ დონეს, რომლებიც თავის თავში მოიცავს ზოგად პრევენციულ, ფოკუსირებულ და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის დონეებს. ამ სისტემაში, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროცესში, აღდგენითი მართლმსაჯულების, ალტერნატიული პასუხისმგებლობის ფორმების და ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობაზეც გამახვილდება ყურადღება. დანაშაულის პრევენციის მიმართულებით მუშაობა გულისხმობს ადამიანის უფლებების, პატივისა და ღირსების მაქსიმალურ დაცვასა და პატივისცემას.

ამ თავის მიზანი მკითხველისათვის როგორც ჩვენი პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების, ასევე საერთაშორისო მიდგომებისა და საქართველოში არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა.

## 2. დანაშაულის პრევენციის სისტემის როლი და კავშირი თანამედროვე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან

თეორიაში დანაშაულის პრევენციის მიმართ ურთიერთგანსხვავებული ხედვებია, თუმცა ჩვენი პოზიციისა და თანამედროვე მიდგომების თანახმად, დანაშაულის პრევენციის სისტემას უნდა შევხედოთ, როგორც მართლ-მსაჯულების სისტემისაგან განუყოფელსა და მასთან მჭირდო კავშირში მყოფ სისტემას. საკითხს თუ ზოგადად შევხედავთ, გარკვეულ შემთხვევაში, შეგვიძლია დავინახოთ მართლმსაჯულების სისტემის პრევენციული ფუქნცია და მიზნები. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა დანაშაულის პრევენციის მესამე დონის პრაქტი-კაში დანერგვის მექანიზმია, რაზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

გაეროს მიდგომების თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა საზოგადოებაში კრიმინალური ქცევის შედეგებისკენაა მიმართული და მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანის უფლება, იცხოვროს უსაფრთხო, დანაშაულის-გან თავისუფალ გარემოში; და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სხვა უფლებების დაცვასაც.

ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა წარმოუდგენე-ლია „სამართლიანობის“ გარეშე, რომელიც კაცობრიობის ძირითადი ღირებულებაა. იგი ყოველთვის გვხვდება სხვადასხვა კულტურაში, ცივილიზაციასა თუ იურიდიულ სისტემაში. სწორედ სამართლიანობისთვის არის უმნიშვნელოვანესი კანონის უზენაესობის განმტკიცება, რომელიც შეუძლებელია არსებობდეს

დანაშაულის პრევენციის სისტემის გარეშე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივაღწევთ სამართლიან, ჰუმანურ და ანგარიშვალდებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, რაც დღევანდელი, თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს აუცილებელი ნაწილია და ევროპული ქვეყნებიც სწორედ ამ სისტემის პოპულარიზაციისკენ არიან მიმართულნი.

საერთაშორისო მიდგომების თანახმად, დანაშაულის პრევენციის სწორი მექანიზმების დანერგვა, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაშიც, პირველ რიგში, იცავს სიცოცხლეს და სიცოცხლის უფლებას, ამასთანავე, იგი ხარჯთეფექტურია და სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დაზოგოს ფინანსური რესურსები. გაზრდილი ხარჯები დანაშაულის პრევენციაში, თუ იგი სწორად არის ინვესტირებული და შესაბამისი პროგრამებიც სწორად არის დანერგილი, პროპორციულად აისახება სასჯელის აღსრულების სისტემაში დახარჯული რესურსების შემცირებაზე.

მართლმსაჯულების სისტემაში კონკრეტული პროგრამების დანერგვის პროცესში, დანაშაულის პრევენციის სისტემებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიც არის დისკრიმინაციისა და უთანასწორობის დაუშვებლობა, და ამ პროცესში ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სიღარიბე, საკმარისი შესაძლებლობების არარსებობა, ადამიანის უფლებების უგულებელყოფა, რომლებმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს, ზოგადად, დანაშაულსა და დანაშაულებრივ ქცევაზე, როგორც ფენომენზე.

როდესაც სისხლის სამართლის სისტემაში დანაშაულის პრევენციაზეა საუბარი, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტები ყოველთვის უნდა იყვნენ ბავშვები, ქალები, სხვა მოწყვლადი ჯგუფები და დანაშაულის შედეგად დაზარალებულები. მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება და მათთვის განსაკუთრებული მიდგომების დანერგვა როგორც დანაშაულის პრევენციის, ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია და მოწოდებაა. განსაკუთრებით, ბავშვებისა და ქალების შემთხვევაში დიდი ყურადღება ეთმობა ძალადობისგან დაცვას, რადგან ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფის ხშირი ფორმაა. შესაბამისად, ყველა სახელმწიფომ თავისი პასუხისმგებელი ორგანოების საშუალებით უნდა იმუშაოს ძალადობის პრევენციის მიმართულებით.

ყოველთვის, როდესაც პრევენციაზეა საუბარი, აუცილებელი და სავალდებულოა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დაზარალებულს, დაზარალებულის ხმას და მსხვერპლის უფლებას, ისარგებლოს მასზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემით; მიიღოს დახმარება და ასევე ჩაერთოს სხვა დაზარალებული პირების მხარდაჭერის პროცესში იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხელახალი ვიქტიმიზაცია თუ მეორეული ვიქტიმიზაცია, როგორც კონკრეტულ შემთხვევებში, ასევე, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია ურთიერთდაკავშირებული თუ ურთიერთგადაჯაჭვულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი სახელმწიფო ამ ორი მიმართულების თანაბარ განვითარებაზე უნდა მუშაობდეს და არ იშურებდეს ძალისხმევას. მაგალითისთვის, წარმოუდგენელია სახელმწიფოს ჰქონდეს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა და კანონმდებლობა სათანადოდ

განვითარებული დანაშაულის პრევენციის სისტემისა და პროგრამების გარეშე. მსგავს შემთხვევაში, ვერასოდეს მიიღწევა ამ ორივე სისტემის საერთო მიზანი და შედეგიც მხოლოდ რესურსების ფუჭი ხარჯვა იქნება.

**3. დანაშაულის პრევენციის სახეები (საერთაშორისო მიდგომები და კატეგორიები)**

დანაშაულის პრევენციის მიდგომების ჩამოყალიბებას არაერთი წელი დასჭირდა, განსაკუთრებით აქტიური კი გასული საუკუნის 90-იანი და 2000-იანი წლები იყო. ამ პერიოდში არაერთი მიდგომა ჩამოყალიბდა, საბოლოო ჯამში კი დღის სინათლე იხილა საერთაშორისო რეკომენდაციებმაც, რომლებიც ეფუძნებოდა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას, კვლევებსა და შეფასებებს. გაერო განასხვავებს შემდეგ ძირითად მიდგომებს: განვითარებაზე ორიენტირებული, გარემოზე ორიენტირებული, სიტუაციური, სოციალური და თემზე დაფუძნებული დანაშაულის პრევენცია. აღნიშნული მიდგომები  და პრევენიული პროგრამები კი შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად კატეგორიად:

**3.1. დანაშაულის პრევენცია სოციალური განვითარების გზით** - ამ კატეგორიაში შეგვიძლია მოვიაზროთ  როგორც სოციალური, აგრეთვე განათლებისა და ჯანმრთელობის პროგრამების ფართო სპექტრი, სხვადასხვა ტიპის არაფორმალური განათლების აქტივობებთან და ტრენინგკურსებთან ერთად. ასეთი პრევენციული პროგრამების მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა კეთილდღეობას და წაახალისოს პროსოციალური ქცევა სოციალური, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენების გზით. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის პროგრამები მიმართულია, განსაკუთრებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებზე და ფოკუსირებულია დანაშაულთან  ასოცირებულ რისკებსა და დამცავ ფაქტორებზე;

**3.2. დანაშაულის პრევენცია თემისა და მუნიციპალიტეტის დონეზე** - ასეთი ტიპის პროგრამები მიზნად ისახავს არა ინდივიდების, არამედ კონკრეტულ თემში კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვის ანდა ვიქტიმიზაციის რისკების შეფასებას და შემდგომ ეტაპზე სპეციალური ღონისძიებების და აქტივობების განხორციელებას.

მსგავსი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თემში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის გაზრდას იმისათვის, რომ დროულად მოხდეს რეაგირება საზოგადოებრივ პრობლემებსა და კრიმინოგენურ ვითარებაზე, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს სერვისები და სოციალური კაპიტალი კონკრეტულ საზოგადოებაში;

**3.3. სიტუაციური დანაშაულის პრევენცია** -  ეს კატეგორია მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობების შეზღუდვაზე და დანაშაულის გამოვლენის შესაძლებლობების გაზრდაზე, რასაც თან ახლავს დაკავებისა და სხვა მართლმსაჯულების თანმხლები რეპრესიული შედეგები. სიტუაციური მეთოდები რეკომენდებულია გამოვიყენოთ გარკვეული ჯგუფის გავრცელებულ დანაშაულთა პრევენციის მიზნით. მაგალითისთვის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში, ეფექტიანია იმ სივრცის ან ტერიტორიის სპეციალური დაცვის საშუალებებით, შესაბამისი ვიდეო მეთვალყურეობის აპარატურით აღჭურვა, სადაც ხშირად ხდება ასეთი ტიპის დანაშაული. ელექტრონული ტექნიკისა და სხვა გაჯეტების ისეთი უსაფრთხოების ზომებით აღჭურვა და ისეთი ფორმით წარმოება, რომ მოპარვის შემთხვევაში ნივთის გამოყენება შეუძლებელი იყოს. საჯარო სივრცეების, ბაღების, სკვერების, საბავშვო მოედნებისა და სხვა რეკრეაციული სივრცეების იმგვარად მოწყობა და ისეთი უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი, რომლებიც

უზრუნველყოფს დღე-ღამის ბნელ მონაკვეთში მათ სრულად განათებას, ვიდეო მეთვალყურეობას და სხვა დაცვის მექანიზმების აქტიურ გამოყენებას. მეორე მხრივ კი აქვე შეიძლება მოვიაზროთ გარკვეული ტიპისა და კატეგორიის დანაშაულებზე სასჯელებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება. მაგალითად, ოჯახში ძალადობის, სამოხელეო დანაშაულების მაჩვენებლის ზრდის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება და ა.შ.

**3.4. რეინტეგრაციული მიდგომები** - ეს კატეგორია მოიაზრებს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის სწორად წარმართვასა და მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბენეფიციარების იმ პროგრამებითა და მომსახურებებით უზრუნველყოფას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას, განმეორებითი დანაშაულის რისკების შემცირებას და მოქალაქის საზოგადოებაში სრულფასოვან და ჯანსაღ წევრად დაბრუნებას. ზოგადად მიჩნეულია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ადამიანების მხრიდან მაღალია დანაშულის განმეორების რისკი. ეს კი განსაკუთრებით ეხება თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ და პენიტენციურ სისტემაში მოხვედრილ პირებს, რადგანაც მათ უკვე დაარღვიეს კანონი, აქვთ გარკვეული გამოცდილება და უნარები დანაშაულის ჩასადენად და, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ჰქონდეთ მჭიდრო კავშირები სხვა დამნაშავეებთან თუ, ზოგადად, კრიმინალური ცხოვრების სტილთან. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომ ასეთ ბენეფიციარებთან სწორად დაიგეგმოს ინტერვენციები და მათ მიეწოდოთ სერვისები იმისათვის, რომ გამოიმუშაონ ცხოვრებისეული და სამუშაო უნარ-ჩვევები, მიიღონ განათლება, გაიარონ ტრენინგები და შეძლონ ალტერნატიული კანონმორჩილი ცხოვრების დაწყება. ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათ ცხოვრებაში გაჩნდეს როლური მოდელები და მათ ჰქონდეთ მხარდაჭერა საზოგადოებისგან იმისთვის, რომ სწორად წარიმართოს რეინტეგრაციის პროცესი. ამ კატეგორიაში მოიაზრება ისეთი პროგრამები, როგორიცაა პენიტენციურ დაწესებულებაში გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამები, განათლებისა და სოციალური, აგრეთვე კონფლიქტების მართვისა და სწორი ქცევითი სტრატეგიების უნარების განვითარებაზე ფოკუსირებული პროგრამები, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების გამოყენების გზით.

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას და პროგრამების ჯგუფს, ინდივიდუალურად, აქვს ძალიან ბევრი დადებითი მხარე, უარყოფითთან ერთად, და არ შეიძლება რომელიმე მათგანი, ინდივიდუალურად, ჩაითვალოს, როგორც უპირატესი და გამოსადეგად ვარგისი ნებისმიერი შემთხვევისათვის. თითოეული მათგანი სწორად უნდა იქნეს დაგეგმილი, ადგილობრივ კონტექსტს მაქსიმალურად უნდა მოერგოს და გამოყენებულ იქნეს განსხვავებულ სიტუაციებში გააზრებულად, აღნიშნული ძლიერი და სუსტი მხარეების მხედველობაში მიღებითა და ანალიზით. ხშირად უმჯობესია სხვადასხვა ჯგუფის პროგრამების კომბინირებულად გამოყენება.

### 4. დანაშაულის პრევენციის დონეები

მიუხედავად იმისა, თუ რომელ მიდგომას გამოვიყენებთ, საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, დანაშაულის პრევენციის მიდგომები იყოფა სამ დონედ: პირველი (ზოგადი პრევენცია), მეორე (ფოკუსირებული პრევენცია) და მესამე (განმეორებითი დანაშაულის პრევენცია) დონის დანაშაულის პრევენცია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

**პირველადი დანაშაულის პრევენცია** - პირველი დონის პრევენციის სამიზნე ჯგუფია საზოგადოება და მისი ის წევრები, რომლებიც არ არიან ჩართულნი კრიმინალურ თუ ანტისოციალურ საქმიანობაში.

პირველი დონის მიმართულებით მუშაობის მიზანია სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მიერ ისეთი პროგრამებისა და ინიციატივების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს მოქალაქეების სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ პროცესებსა და აქტივობებში ჩართვას, საზოგადოებისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, ზოგადად, დანაშაულის, ძალადობის, ბულინგის, კონფლიქტების მართვის თუ სხვა საკითხებზე; საზოგადოების, როგორც მთლიანობის, ასევე მისი ინდივიდუალური წევრების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში.

პრევენციის ამ დონეზე არ არსებობს იდენტიფიცირებული კონკრეტული რისკის ფაქტორები. ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, როდესაც ისინი იმყოფებიან ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპზე. ამ ტიპის პროგრამები მთლიანობაში მიმართულია მოზარდებისა და ახალგაზრდების სწორად განვითარების, აღზრდის, ფორმალური განათლების მიღების, არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართვისა და პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვისაკენ. ამავე დონეზე შესაძლებელია მოვიაზროთ მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის განვითარება, სამართლებრივი, მოქალაქეობრივი შეგნების განვითარება მოზარდებში და ა.შ.

პირველი დონის პრევენციის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს საკმაოდ პოზიტიური და დიდი გამოცდილება, განსაკუთრებით, ბავშვთა და მოზარდთა შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდული ორგანიზაციების, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული კლუბების როლი და ფუნქცია. განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველობის ორგანოებს, მასობრივი სპორტის, რეკრეაციული, კულტურული, არაფორმალური განათლების, მოხალისეობრივი, ინტელექტუალური აქტივობებისა და მოხალისეობის კულტურის განვითარების მიმართულებით. თუმცაღა, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, განსაკუთრებით კი უწყებათაშორისი და მულტისექტორული კოორდინაციის ნაკლებობაზე, არასაკმარის რესურსებზე, რესურსების დუბლირებასა და აქტივობების დაგეგმვის თანმხლებ სხვა გამოწვევებზე.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის პროგრამების დანერგვის დროს სხვადასხვა თვითმმართველი ორგანოები, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებდნენ კოორდინირებულად, ურთიერთშეკავშირებულად და თითოეული პროგრამის დაგეგმვისა თუ განხორციელების ეტაპზე ითვალისწინებდნენ როგორც ორგანიზაციულ, ასევე საზოგადოებისა და მოზარდების ინტერესებსა და საჭიროებებს, სწორად არჩევდნენ სამიზნე ჯგუფებს. თითოეული ასეთი პროგრამა უნდა ემსახურებოდეს და ეხმაურებოდეს თემში არსებულ გამოწვევებს, საჭიროებებს და კონკრეტულად დასახულ მიზნებს.

აგრეთვე უმნიშვნელოვანესია აღნიშნული მიმართულებით მუშაობის თუ, პროგრამების განხორციელების პარალელურად, პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება, სამეცნიერო კვლევები და აკადემიურ სფეროსთან თანამშრომლობა.

**მეორე დონის - ფოკუსირებული (დამიზნებითი) დანაშაულის პრევენციის** - პროგრამები, პირველი დონის პრევენციისაგან განსხვავებით, მიმართული და ორიენტირებულია კონკრეტულ ჯგუფებზე, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები ანდა გამოკვეთილი რისკის ფაქტორები, და მიზნად ისახავს ამ რისკების ნეიტრალიზაციას.

როდესაც სახეზეა კონკრეტული რისკის ფაქტორები, იზრდება დანაშაულის ჩადენის რისკიც, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ რისკის ფაქტორების არსებობა არ ნიშნავს ამ სამიზნე ჯგუფისაგან დანაშაულის ჩადენის გარდაუვალობას, არამედ ეს ფაქტორები წარმოადგენს შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანიზაციებისათვის ჩარევის აუცილებლობის სპეციალურ მანიშნებელს.

მეორე დონის პრევენციის მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებთან, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სპეციალური პროგრამების შემუშავება და გამოყენება ზრდასრულთა შემთხვევებშიც.

მეორე დონის პრევენციის პროგრამების მთავარი მიზანი არის რისკის ფაქტორების დროული იდენტიფიცირება, შემდეგ ამ რისკის ფაქტორების ნეიტრალიზაცია და, ამავდროულად, ბენეფიციარის ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერება იმისათვის, რომ საჭირო არ გახდეს, გარკვეულ შემთხვევებში, მესამე დონის პრევენციის პროგრამების გამოყენება, რაც, მაგალითად, გულისხმობს მოზარდობის ასაკში რთული ქცევის დროულ იდენტიფიცირებას, შემდეგ ამ რთული ქცევის სწორად მართვას; მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია არა მხოლოდ ბენეფიციართან, ასევე მათი ოჯახის წევრებთან მუშაობაც. ბავშვების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ დროს ოჯახის გაძლიერება, მშობლების ან სხვა მზუნველი პირების რთული ქცევის მართვის უნარებით აღჭურვა. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება შეეხებოდეს, ზოგადად, ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გაძლიერებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, რისკის ფაქტორებად შეიძლება მოგვევლინოს მშობლების მხრიდან მოზარდების მიმართ უყურადღებობა, ოჯახური კონფლიქტები, სხვადასხვა ტიპის ძალადობა, ოჯახის წევრების მხრიდან ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ავადმოხმარება. გარკვეული მოსაზრებების თანახმად, სიღარიბე და ოჯახის წევრების ნასამართლობაც მიიჩნევა, როგორც რისკის გაზრდის ფაქტორი, თუმცა ეს განსაკუთრებით ფრთხილ, არადისკრიმინაციულ და სწორ მიდგომებს საჭიროებს. სოციალურ დონეზე კი რისკის მომატების ფაქტორი, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, შეიძლება გახდეს ის სოციალური წრე, რომელშიც არასრულწლოვანი დიდ დროს ატარებს, კრიმინალურ სუბკულტურასთან კავშირები, კრიმინალური წარსულის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, ამ სოციალურ წრეში აკრძალული ნივთირებების, ალკოჰოლის, ნარკოტიკის ხელმისაწვდომობა. სოციალური გარემოს ფაქტორებში ასევე შეიძლება მოვიაზროთ თანატოლების მხრიდან ბულინგი, დისკრიმინაცია, საზოგადოებრივი წნეხი და ა.შ.

ინდივიდუალური მახასიათებლების დონეზე კი შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საყურადღებო ფაქტორებია მოზარდის ანტისოციალური ქცევა, უმართავი ბრაზი და აგრესია, ჩაკეტილობა, განცდილი დანაშაული, ნაკლებად განვითარებული სხვადასხვა სასიცოცხლო და სოციალური უნარი და ა.შ.

მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, რომ არცერთი ეს ფაქტორი, ინდივიდუალურად, არ წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის მანიშნებელს.

აუცილებელია, რომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში კვალიფიციური სპეციალისტის მიერ სწორი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასდეს ამ ფაქტორების გავლენა შესაძლო დანაშაულის ჩადენაზე. ყოვლად გამორიცხული უნდა იყოს ამ დროს დისკრიმინაციული ან მასტიგმატიზირებელი მიდგომები და თითოეული სახელმწიფო უწყება თუ სპეციალისტი ვალდებულია მაღალი ეთიკური სტანდარტებით იმუშაოს თითოეულ ასეთ შემთხვევაზე. ეს ჩამონათვალი კი, რაც ჩვენ წინა აბზაცში მოვიყვანეთ, მხოლოდ და მხოლოდ საილუსტრაციოა და მკითხველმა არ უნდა ჩათვალოს იგი, როგორც გზამკვლევი ან დანაშაულის ჩადენის რისკის განმსაზღვრელი უტყუარი ფაქტორი.

**რაც შეეხება დანაშაულის მესამე დონის პრევენციას**, ის მოიცავს ისეთ სამიზნე ჯგუფს, რომლებიც იმყოფებიან მართლმსაჯულების სისტემაში, ან მიმდინარეობს მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესი, და მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის, რეციდივიზმის პრევენციას. საერთაშორისო დონეზე, ამ მიმართულებით არსებობს განსხვავებული მიდგომები. მესამე დონის პრევენცია, უმეტესწილად, მიემართება და მოიცავს ისეთ პირებთან მუშაობას, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ კრიმინალური ქცევა და მათთან გამოსაყენებელია მნიშვნელოვანი ინტერვენციები; ზოგიერთ შემთხვევაში კი მესამე დონის პრევენციაში მოიაზრება, ზოგადად, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება. საქართველოც სწორედ ამ მიდგომას იზიარებს და, მიუხედავად კრიმინალური ქცევის ინტენსივობისა თუ წარსული კრიმინალური გამოცდილებისა, დანაშაულის პირველ შემთხვევაზეც კი მიიჩნევა, რომ ბენეფიციარი დანაშაულის მესამე დონის პრევენციის პროგრამებით მოსარგებლე უნდა გახდეს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიაზროთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების მექანიზმი, რომელიც საქართველოში მესამე დონის პრევენციის პროგრამად მიიჩნევა, თუმცა ევროპაში იგი, ძირითადად, მეორე დონის პრევენციაში მოიაზრება. შეფასების თვალსაზრისით, მიდგომებს შორის განსხვავება დიდ სირთულეს არ ქმნის და ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება არ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად, თუმცა მაინც ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ მკითხველს ჰქონოდა ინფორმაცია განსხვავებული მიდგომების არსებობის შესახებ.

მესამე დონის პრევნეცია მართლმსაჯულებისა და სასჯელის აღმასრულებელი სისტემისათვის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია. იგი მოიაზრებს როგორც ალტერნატიული პასუხისმგებლობის ფორმებს, აგრეთვე სასჯელის ალტერნატივებს, ყველა ტიპის არასაპატიმრო სასჯელს, ასევე პირობით მსჯავრს და საპატიმრო სასჯელებს. შესაბამისად, პრობაციის სისტემაში მოქმედი სხვადასხვა ტიპის სასჯელის აღსრულებისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესები და პროგრამები თავს იყრის სწორედ მესამე დონის პრევენციის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით იზრდება პრობაციის სამსახურის სპეციალისტების, მათ შორის, პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლი და ფუნქციები. მნიშვნელოვანია, რომ ისინი მუშაობდნენ კოორდინირებულად, თანამედროვე, დასავლური ღირებულებებისა და მიდგომების შესაბამისად. სპეციალისტების მხრიდან სასჯელის აღსრულება არა მხოლოდ სამართლებრივი აქტების აღსრულებად უნდა მოიაზრებოდეს, არამედ ეს პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებისა და დანიშნულების მიღწევას, რომლებიცაა - განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია,

სამართლიანობის აღდგენა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის გარანტიების შექმნა და მსჯავრდებულის, როგორც მესამე დონის პრევენციის სამიზნე პირის, საზოგადოების ჯანსაღ წევრად რეინტეგრაცია.

საერთო ჯამში, არაერთი კვლევითა თუ საერთაშორისო რეკომენდაციით, სწორედ დანაშაულის პრევენციის მიდგომების გაძლიერება არის მოწოდებული, და რაც უფრო ძლიერია პირველი და მეორე დონის პრევნეციის სისტემები და რაც უფრო მეტი რესურსი იხარჯება სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით, პირდაპირპროპორციულად მცირდება მესამე დონის ინტერვენციებისა და შესაბამისი ხარჯების საჭიროება. ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ პირველი და მეორე დონის პრევენციის პროგრამებში ადრეულ ეტაპზევე ჩადებული ინვესტიცია გრძელვადიანი და უფრო ეფექტიანია, ვიდრე მესამე დონის პროგრამებში. მართალია, მესამე დონის პრევენციის პროგრამებიც, საბოლოოდ, გათვლილია გრძლევადიან პერსპექტივაზე იმავე მიზნებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, შედეგების მიღწევა ბევრად უფრო რთულ და კომპლექსურ, უფრო ხარჯიან პროცესებს მოიაზრებს, რადგანაც ამ დროს, ხშირ შემთხვევაში, ინტერვენცია დაგვიანებულ ეტაპზე ხდება და ბენეფიციართან დაკავშირებული სირთულეები ბევრად უფრო კომპლექსური, რთულად მოგვარებადი და ხარჯიანია.

## 5. პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმების ადგილი და როლი დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სისტემაში

დანაშაულის პრევენციის მესამე დონის პრევენციული მიდგომებიდან, ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუბარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ალტერნატიულ ფორმებზე და მათ როლზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, ხოლო მესამე დონის პრევენციის სხვა მიდგომებზე მოცულობით ინფორმაციას მკითხველი სახელმძღვანელოს სხვა თავებშიც შეხვდება. შესაბამისად, ამ თავში ყურადღება არ იქნება გამახვილებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებისა და მათი გამოყენების საკითხებზე.

პასუხისმგებლობის ალტერნატიული მიდგომები და აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, თუმცაღა ეს არ აკნინებს მათ ფუნქციასა და როლს, მთლიანად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან და კანონთან კონფლიქტში მყოფ ზრდასრულ პირებთან მიმართებით.

ამ შემთხვევაში კი, საერთაშორისო დონეზე ფართოდ გავრცელებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმა, განრიდება, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში და ენაში განსხვავებული ტერმინებით ვხვდებით, საქართველოში კი სწორედ ამ ტერმინით - განრიდება, დაიმკვიდრა თავი როგორც არასრულწლოვანთა, ასევე ზრდასრულთა მართლმსაჯულებაში. ამ მექანიზმს ცნობს და რეკომენდაციას უწევს არაერთი საერთაშორისო აქტი თუ რეკომენდაცია, თუმცა მისი გამოყენება სრულიად განსხვავებულია ქვეყნებს შორის და იგი დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის მოწყობასა და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ზოგიერთ ქვეყანაში განრიდებას ვხვდებით მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ზოგან შეიძლება შევხვდეთ როგორც არასრულწლოვანთა, ასევე ზრდასრულთა მართლმსაჯულებაში, თუმცა მხოლოდ შედარებით მსუბუქ დანაშაულებზე; ქვეყანათა ნაწილში კი იგი თანაბრად გამოიყენება როგორც მსუბუქ, ასევე რთულ დანაშაულებზეც.

ზოგადად, გამოყოფენ განრიდების ორ სახეს - „განრიდება ჩარევით“ და „განრიდება ჩარევის გარეშე“.

განრიდება ჩარევის გარეშე მოიაზრებს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის რეაგირების გარეშე არდატოვებას ისეთი კონკრეტული შემთხვევების დროს, როდესაც დანაშაული, საზოგადოებისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, დანაშაულის ხასიათის, ზიანის სახისა და ზიანის ოდენობის მიხედვით, არ არის ისეთი, რომ სახელმწიფოს დასჭირდეს სისხლის სამართლებრივი დევნის მექანიზმის გამოყენება, ხოლო თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის პიროვნული მახასიათებლებიდან თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, სახეზე არ გვაქვს ჩარევის აუცილებლობა. ჩარევაში იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პროგრამებისა თუ რესურსების მობილიზება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ განმეორებითი დანაშაული და მივაღწიოთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს. ჩარევის გარეშე განრიდების დროს სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად ვხვდებით ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ჯარიმა, დანაშაულთან დაკავშირებული ნივთებისა თუ ქონების კონფისკაცია, გამოსაცდელი ვადა სპეციალური პირობების გარეშე, გაფრთხილება და ა.შ.

რაც შეეხება განრიდებას ჩარევით, ამ დროს სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან გამოიყენება უკვე სპეციალური პროგრამები და ღონისძიებები განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მართლმსაჯულების მიზნების მისაღწევად. ასეთ დროს შეიძლება შევხვდეთ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, სოციალური, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე ტიპის განრიდების დროს მიიჩნევა, რომ სახელმწიფოს რესურსი მინიმალურად იხარჯება და ეს მიდგომა ბევრად უფრო ხარჯთეფექტურია, ვიდრე ტრადიციული მართლმსაჯულების მიდგომები, საპატიმრო სასჯელები და მათი აღსრულება.

ალტერნატიული მექანიზმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ეფექტიანია არასრულწლოვანთა შემთხვევაში. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიდგომების თანახმად, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, მართლმსაჯულების სისტემა მაქსიმალურად უნდა შეეცადოს განარიდოს ბავშვი ფორმალურ განხილვებს, სასამართლო პროცესებს და ამით უზრუნველყოს მათი დაცვა ამ პროცესებით გამოწვეული სტრესისა და ნეგატიური გავლენებისაგან. ამასთანავე, ამ დროს სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არა გათავისუფლებაზე, არამედ მის ჩანაცვლებაზე ადამიანის უფლებების, ბავშვის უფლებების დაცვის სპეციალურ სტანდარტებთან შესაბამისი ღონისძიებებით. არასრულწლოვანთა შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ფორმალური პროცესებისაგან და ჩარევებისაგან თავის შეკავება საუკეთესო პასუხია დანაშაულზე, თუმცა ეს მაშინ, როდესაც ამას თან ახლავს ისეთი სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოზარდის მიერ დანაშაულის გაცნობიერებას, შესაძლებლობების გაძლიერებას როგორც ინდივიდუალურ, ასევე ოჯახისა და სოციუმის დონეზე. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ბავშვის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რაც პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება დანაშაულის წამახალისებელი

ფაქტორიც გახდეს; არამედ მოხდეს ალტერნატიული ფორმით პასუხისმგებლობის დაკისრება, სადაც მოზარდი საკუთარი ქმედებითა და სურვილით გამოასწორებს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგებს, ხელს შეუწყობს ზიანის აღდგენას; და სწორედ ამით მივაღწევთ განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.

გაერო და, შესაბამისად, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი თავის რეკომენდაციებსა და ზოგად კომენტარებში პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შემთხვევაში, პრიორიტეტული გახადონ და უზრუნველყონ ისეთ მექანიზმების არსებობა, რომლებიც განსხვავდება ფორმალური, ზრდასრულთა მართლმსაჯულების სისტემისაგან და ორიენტირებულია ალტერნატივებზე, კერძოდ, სპეციალური ღონისძიებებისა და სერვისების გამოყენებაზე, რაშიც, უმეტესწილად, პირდაპირ მოიაზრება განრიდების მექანიზმები, რომლებიც საუკეთესოდ უწყობს ხელს ბავშვის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

განრიდება არა მხოლოდ ხელს უშლის სტიგმატიზაციას და ემსაურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არამედ იგი დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე და, უფრო მეტიც, იგი სახელმწიფოს ეხმარება დაზოგოს მართლმსაჯულების ხარჯები. ანუ, საერთო ჯამში, ვიღებთ ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებულ სისტემას, რომელიც მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას და იწვევს მინიმალურ ხარჯებს.

ზრდასრულთა შემთხვევაში, განრიდების მექანიზმები მეტწილად ორიენტირებულია შედარებით მსუბუქი დანაშაულების შემთხვევებზე, პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე და ამით მართლმსაჯულების სისტემის რესურსების უფრო მეტად რთული და კომპლექსური საქმეებისაკენ მიმართვაზე. ევროპის ქვეყნებში ზრდასრულთა განრიდების მექანიზმები, უმეტესწილად, მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამოსაცდელი ვადა, დაზარალებულთან შერიგება, სხვადასხვა სარეაბილიტაციო, აღმზრდელობითი თუ სოციალური პროგრამის გამოყენება და ა.შ. ეს მექანიზმი კარგი საშუალებაა მართლმსაჯულების სისტემის რესურსების ოპტიმიზაციისათვის და საშუალებას აძლევს სახელმწიფოს მოახდინოს დანაშაულზე რეაგირება შედარებით მცირე რესურსით და უყურადღებოდ არ დატოვოს კანონსაწინააღმდეგო ქცევა, ისე რომ პროცესებში არ ჩართოს კომპლექსური მართლმსაჯულების ბიუროკრატიული მექანიზმები. ამ პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია წარმოადგენს უპირველეს მიზანს, ნაცვლად მისი დასჯისა ტრადიციული მართლმსაჯულების წესით. ზოგადად, მიჩნეულია, რომ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა დანაშაულის პრევენციის მიზნებისათვის უფრო ეფექტიანია გრძელვადიანი პერიოდისათვის, ვიდრე მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა ეფექტიანი იყოს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობს მაღალი ალბათობა, გახდეს ნეგატიური შედეგების მომტანი.

განრიდების მექანიზმის მხრივ, საინტერესოა საქართველოს გამოცდილებაც როგორც ზრდასრულთა, ასევე არასრულწლოვანთა შემთხვევაში. განრიდების

მექანიზმების გამოყენება ორივე სამიზნე ჯგუფისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს ნასამართლობას, თუმცა ეს ორი მექანიზმი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია. არასრულწლოვანთა განრიდება ეფუძნება სრულად აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს და იგი ჩარევით განრიდების ნათელი მაგალითია. არასრულწლოვანთა შემთხვევაში, განრიდების მექანიზმი მოიაზრებს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება, შესაბამისი რისკებისა და ბავშვის საჭიროებების შეფასება, რის საფუძველზეც განისაზღვრება განრიდების ღონისძიებები, რომლებიც აუცილებლად მოიცავს, ერთი მხრივ, დანაშაულის გაცნობიერებისკენ მიმართულ, შემზღუდავ ღონისძიებებს, მეორე მხრივ კი, ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისაკენ მიმართულ საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. არასრულწლოვანთა განრიდება საქართველოში ეფუძნება მთელ რიგ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს. ესენია: ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა; ნებაყოფლობითობა; პროპორციულობა; კონფიდენციალურობა; სტიგმატიზაციის დაუშვებლობა; არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულია, რომ განრიდება წარმოადგენს პრიორიტეტულ ღონისძიებას და პროკურორი ვალდებულია ნებისმიერი ბავშვის დანაშაულის საქმეზე, სადაც არსებობს განრიდების გამოყენების წინაპირობები, განიხილოს განრიდების გამოყენების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი მიიჩნევს, რომ არსებობს არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი, ის ვალდებულია დაასაბუთოს თავისი უარი განრიდების გამოყენებაზე. იმისათვის, რომ კოდექსით განმტკიცებული განრიდების პრიორიტეტულობის პრინციპი პრაქტიკაში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ, განრიდების მიზნით, პროკურორისათვის საქმის დაბრუნების მექანიზმს, რაც ქმნის მეტ გარანტიებს იმისათვის, რომ ეს მექანიზმი აქტიურად იქნეს გამოყენებული მართლმსაჯულების სისტემაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა განრიდების ქართულ მექანიზმში ინტეგრირებულია აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა - მედიაცია. მედიაციის მიზანია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის არსებული უთანხმოების, კონფლიქტის ამოწურვა. მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს და ორიენტირებულია ადამიანებზე, დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის ჩართულობაზე, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და დაკმაყოფილებაზე. აღდგენით მართლმსაჯულებასა და მედიაციაზე უფრო ვრცლად სხვა თავში იქნება საუბარი.

საქართველოში განრიდების მექანიზმი რეგულირდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით, განსხვავებით სრულწლოვანთა განრიდების მექანიზმისაგან, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

რაც შეეხება სრულწლოვანთა განრიდების მექანიზმს, განსხვავებით არასრულწლოვანთა შემთხვევებისაგან, ის არ ითვალისწინებს და არ ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს. იგი, უმეტესწილად, ორიენტირებულია ჩარევის გარეშე განრიდების მექანიზმების გამოყენებაზე, ისეთების, როგორი-

ცაა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, უკანონოდ მოპოვებული ქონების კონფისკაცია, დანაშაულის საგნის ჩამორთმევა. ზრდასრულების შემთხვევაში, არ მზადდება სპეციალური ანგარიში, რომელშიც ასახულია პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ პროკურორია და პროცესში არ არიან ჩართულნი ისეთი პროფესიონალები, როგორც სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედიატორი და ა.შ. ზრდასრულთა განრიდება, შეიძლება ითქვას, რომ საპროკურორო დისკრეციის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც სწრაფი და ხარჯთეფექტურია, თუმცა კი ნაკლებად არის ორიენტირებული პირის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე და მის მიმართ ინდივიდუალური პრევენციული ღონისძიებების გამოყენებაზე. რა თქმა უნდა, ამ მექანიზმსაც აქვს თავისი უპირატესობები, თუმცა კი ალბათ სასურველია, ზრდასრულების განრიდების მექანიზმიც მეტად იყოს დაახლოებული აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებთან და მოიაზრებდეს თუნდაც მხოლოდ ისეთ კომპონენტს, როგორიც არის განრიდების ღონისძიება - სისხლის სამართლის მედიაციის გამოყენება. ამ შემთხვევაში, კანონქვემდებარე აქტებით არ არის დარეგულირებული განრიდების პროცედურები, და მისი გამოყენების როგორც წინაპირობები, ასევე ღონისძიებები არსებითად განსხვავდება არასრულწლოვანთა განრიდების მექანიზმისაგან. მაგალითად, არასრულწლოვანთა განრიდებაში არ ვხვდებით და დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ჯარიმის მექანიზმი, ისევე როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამ უკანასკნელის ალტერნატივად არასრულწლოვანთა განრიდებაში ვხვდებით საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებს. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ მექანიზმს საერთო ღონისძიებებიც აქვთ. მაგალითად, ორივე მათგანში ვხვდებით ზიანის ანაზღაურების, უკანონოდ მოპოვებული ქონების, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთის თუ დანაშაულის იარაღის კონფისკაციის კომპონენტებს.

## 6. შეჯამება

ამ თავში მოყვანილი ინფორმაცია მკითხველს შეიძლება, გარკვეულწილად, მხოლოდ თეორიულად მოეჩვენოს, თუმცა თითოეული ეს მიდგომა უკვე დროში გამოცდილია და არაერთი კვლევის მიხედვითაა შეფასებული როგორც ეფექტიანი მიდგომა. შესაბამისად, მოცემული თავის მიზანი იყო, მკითხველისათვის ამ მიდგომების გაცნობა, რომ თითოეულმა სპეციალისტმა თუ სტრუქტურამ, როგორც ერთიანმა ორგანიზმმა, ისინი გამოიყენოს ყოველდღიურ პრაქტიკაში. მართალია, სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, ამ თავში ვერ მოხერხდა თითოეული საკითხის სრულად განხილვა, თუმცა მკითხველისათვის მიწოდებულ იქნა საბაზისო ინფორმაცია. ამასთან, თითოეულ ამ საკითხზე ინფორმაციის უფრო დეტალურად გაცნობა შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილ სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურის სიაში მოცემულ ნაშრომებში. მართალია, პირველი და მეორე დონის პრევენციის პროგრამები ნამდვილად ეფექტიანია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს არის პანაცეა და, ყველაფრის სწორად გაკეთების შემთხვევაში, მესამე დონის პრევენციის პროგრამები საჭირო აღარ იქნება. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორად და ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს მიდგომა, ინტერვენცია და განისაზღვროს ბენეფიციარის საჭიროებები, რისკები და შესაძლო ზიანის ალბათობა. შესაბამისად, თავში მოყვანილ თითოეულ მიდგომას, დანაშაულის პრევენციის დონეს თუ მექანიზმს თავისი ადგილი აქვს

მართლმსაჯულების და პრევენციის სისტემაში და აუცილებელია მისი ფრთხილად, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებულად შერჩევა და გამოყენება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პრევენცია, როგორც მიდგომა, რთული და კომპლექსური პროცესია და მისი განხორციელება შეუძლებელია მულტიუწყებრივი და მულტიგუნდური მიდგომის გარეშე. აუცილებელია თითოეული პროგრამა დანერგვამდე და განხორციელებამდე შეფასდეს სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ფუნქციისა და როლის მქონე მართლმსაჯულების სისტემის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საკითხების თუ სხვა სისტემის სპეციალისტების მიერ. უმჯობესია, ამ პროცესში აგრეთვე ჩართული იყოს არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორიც, და სწორედ ამ მიდგომით შეიძლება საუკეთესო შედეგების მიღწევა, რისი კარგი მაგალითიც ამ თავში უკვეა მოყვანილი - არასრულწლოვანთა განრიდების სისტემა საქართველოში.

## 7. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენერმა სესიის დაგეგმვის დროს სასურველია გაითვალისწინოს როგორც თეორიული მასალა, მინილექციები, აგრეთვე პრაქტიკული სავარჯიშოები. სესიები უნდა ემყარებოდეს სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: სალექციო მეთოდი, გონებრივი იერიში, დისკუსია და პრაქტიკული სავარჯიშოები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაწილეებისათვის დანაშაულის პრევენციის მიდგომებისა და ხედვის სწორად ახსნას და მათ მიერ ამ მიდგომების ღირებულებების ზუსტად გააზრებას. სესიების ბოლოს მსმენელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შემდეგი საკითხები:

- დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობა, მიზნები;
- დანაშაულის პრევენციის ადგილი და როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, განსაკუთრებით, დანაშაულის პრევენციისა და სასჯელის აღსრულების პროცესში;
- დანაშაულის პრევენციის სახეები, კატეგორიები და დანაშაულის პრევენციის დონეები;
- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმების ადგილი და როლი დანაშაულის პრევენციის სისტემაში.

ტრენერი/ლექტორი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მონაწილეების სალექციო პროცესში ჩართვას, მათი პირადი, სამსახურებრივი, პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებას და ხელი შეუწყოს მონაწილეთა აქტიურ ჩართულობას, ხოლო შემდეგ სალექციო პროცესი, სავარჯიშოების განხილვა თუ დისკუსია დააფუძნოს სწორედ ჯგუფის მიერ წამოჭრილ საკითხებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

## 8. გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა


- UNODC, Handbook on The Crime Prevention Guidelines Making Them Work, 2010.
- *ჯავახიშვილი ლ.*, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია საქართველოში, საერთაშორისო პრაქტიკა და პრობლემების გადაჭრის გზები (სამაგისტრო ნაშრომი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019.
- *ბარამია მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის გან-

ვითარების სპეციფიკა საქართველოში (სამაგისტრო ნაშრომი), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2019.

- *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, 2016.
- UNODC, Compendium of United Nations Standards and Norms in Crime Prevention and Criminal Justice, 2006, <https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Compendium_UN_Standards_and_Norms_CP_and_CJ_English.pdf> [5.05.2021].
- ბრძანებულება №235 „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 2012.
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, 2019, <https://justice.gov.ge/Ministry/Index/237> [5.05.2021].
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათა-შორისი საკოორდინაციო საბჭო, 2019, <https://justice.gov.ge/Ministry/Index/237> [5.05.2021].
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1999, კონსოლიდირებული ვერსია, [11.05.2021].
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2009, კონსოლიდირებული ვერსია, [11.05.2021].
- საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2015, კონსოლიდირებული ვერსია, [11.05.2021].
- მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1985.

# თავი V. საქართველოს პრობაციის სამსახური (ისტორიული მიმოხილვა, განვითარების ეტაპები)

ავტორი: ***თეიმურაზ მაღრაძე***

*ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ჩემი მოღვაწეობა ცვლილებებს ეფუძნებოდა, ჩემი ძალისხმევა მიმართული იყო მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელნიც პირველად იყვნენ გასამართლებულნი და რომელთა გულებიც მთლიანად არ იყო დანაშაულით მოცული, არამედ უკეთესის იმედს იძლეოდნენ.*

**ჯონ ავგუსტუსი**

## 1. შესავალი

იმისათვის, რომ მკაფიო გახდეს, თუ რას ნიშნავს პრობაცია და, ზოგადად, რას ემსახურება პრობაციის სისტემა, აუცილებელია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ მის ძირითად პრინციპს, არსსა და მიზანს პიროვნების (მსჯავრდებულის) რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია წარმოადგენს. პრობაცია გულისხმობს როგორც „პატიებასა“ და „დაკვირვებას“, ასევე „გამოცდას“. აღნიშნულ პროცესში სამართალდამრღვევს ეძლევა ნებელობის გამოვლენის შესაძლებლობა, რათა ჩამოყალიბდეს კანონმორჩილ ადამიანად და საზოგადოებრივი ნორმების დამცველ პიროვნებად. პრობაციის სისტემის, საჭიროებისა და განვითარების ეტაპების შექმნა და ჩამოყალიბება დაიწყო ოდნავ მოგვიანებით და ის სამართლის ზოგადი პრინციპების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე, სამართლისა და კანონის აღსრულება, ძირითადად, სასჯელზე იყო ორიენტირებული და, შესაბამისად, დანაშაულის „პრევენციის” ერთ-ერთ მთავარ საშუალებად სასჯელის სიმკაცრე მიიჩნეოდა; რაც შეეხება სასჯელის ლიბერალიზაციითა და პიროვნების რესოციალიზაციის გზით დანაშაულის პრევენციას, ეს ყოველივე საზოგადოებაში მოგვიანებით დამკვიდრდა.

პრობაცია პირველად, ჩანასახოვანი სახით, შუა საუკუნეების ევროპაში, კერძოდ კი ინგლისში გვხვდება, სადაც, საზოგადოების მოთხოვნით, მონარქიულ სახელმწიფოშიც კი დადგა დანაშაულისა და სასჯელის ფუნდამენტურად განსხვავებული ფორმით მოაზრების საჭიროება. ლიბერალური სასჯელის პრეცედენტული სახით დანერგვის შემდგომ, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, უფრო ღრმად მოხდა სასჯელის ლიბერალიზაციის დადებითი შედეგების გააზრება, რამაც ამ სისტემას დანაშაულისა და სასჯელის თანაარსებობის ურთულეს რგოლში განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა.

მოცემული თავის მიზანს იმ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაცნობა წარმოადგენს, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე, ლიბერალურ პრინციპებზე დამყარებული პრობაციის სამსახურის შექმნას. მნიშვნელოვანია მკითხველმა

გააცნობიეროს, რომ პრობაციის სამსახურის მთავარ ამოცანას მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და მათი რესოციალიზაცია წამოადგენს.

## 2. პრობაციის ისტორიის განვითარების ეტაპები

პრობაციის ისტორია შუა საუკუნეების ინგლისის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემიდან იღებს საფუძველს, როდესაც მცირედი დანაშაულის ჩამდენი პირიც კი განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯებოდა, მათ შორის, არასრულწლოვნებიც. ხშირი იყო ისეთი მძიმე სასჯელი, როგორიცაა გაროზგვა, დასახიჩრება, ეგზეკუცია და, რა თქმა უნდა, უმრავლეს შემთხვევებში, საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება. მაგალითად, ინგლისში, ჰენრი VIII-ის მეფობის პერიოდში, წელიწადში დაახლოებით 200-ზე მეტი ადამიანი ისჯებოდა სიკვდილით; ამ დანაშაულთა უმეტესობა წვრილმან კანონდარღვევას უკავშირდებოდა.

მართლმსაჯულების ასეთი ბრუტალური მეთოდების გამოყენებამ ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. საზოგადოების პროტესტის გარდა, სახელმწიფო სხვა პრობლემების წინაშეც დადგა, რაც გამოიხატა ციხეების გადატვირთულობაში, სხვადასხვა დაავადების გავრცელებასა და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან პატიმრებზე გაწეული ხარჯების ზრდაში.

შემდგომ ამისა, არაადამიანური სასჯელის შერბილების მიზნით, შედარებით ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით, მოხდა სასჯელის განსხვავებული ზომების შემოღება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენება, ნაცვლად რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა, ხშირ შემთხვევაში, იწვევდა ჯანსაღი საზოგადოების ძლიერ პროტესტს სისტემის მიმართ.

საზოგადოების პროტესტმა და სხვა ზემოაღნიშნული პრობლემების გამწვავებამ ის შედეგი მოიტანა, რომ მოგვიანებით ბრალდებულებს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, სამეფო შეწყალების მიღების საშუალება მიეცათ, მოსამართლეებს კი - უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების უფლება. საბოლოოდ, სასამართლოებმა შემოიღეს „სანიმუშო ყოფაქცევისთვის პირობითი მსჯავრის“ გამოყენების პრაქტიკა, რაც მსჯავრდებულის დროებით გათავისუფლებაში გამოიხატებოდა. თუ გათავისუფლებული პირი ამ პერიოდის განმავლობაში გამოიყენებდა მიცემულ შანსს და მოიქცეოდა სანიმუშოდ, შესაძლებელი ხდებოდა მისთვის სასჯელის შემსუბუქება ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება, რაც თავის თავში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პრინციპს მოიაზრებდა.

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ინგლისელმა კაპიტანმა ალექსანდრე მაკონოქმა და ირლანდიელმა სერ უოლტერ კროფტონმა. 1840 წელს მაკონოქი დაინიშნა ინგლისის ცნობილი გამოსასწორებელი კოლონიის ხელმძღვანელად. ინგლისელი დამნაშავეები სასჯელს იმ პერიოდში ავსტრალიის ტერიტორიაზე იხდიდნენ; შესაბამისად, ყველა, ვინც სასჯელის მოხდის მიზნით ნორფოლკის კუნძულზე (ავსტრალია) იგზავნებოდა, ორჯერ ნასამართლევად მიიჩნეოდა. გადმოცემის თანახმად, აღნიშნულ კუნძულზე იმდენად მძიმე პირობები იყო, რომ პირები, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუვადდებოდათ, სასჯელის აღსრულებას ნატრობდნენ. მაკონოქის პირველი რეფორმა გახლდათ ფიქსირებული ვადით სასჯელის ფორმის გაუქმება; აგრეთვე მის სახელს უკავშირდება მსჯავრდებულთათვის „ქულების სისტემის“ შემოღება, რაც ადამიანს აძლევდა შანსს, შრომითა და სანიმუშო ყოფაქცევით მოეპოვებინა როგორც სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა, ასევე სასჯელისაგან გათავისუფლებაც.

სერ უოლტერ კროფტონის შეხედულებაც, მაკონოქის მსგავსად, დამყარებული იყო მსჯავრდებულის რეაბილიტაციაზე, ასევე დანაშაულისა და გამოყენებული სასჯელის ადეკვატურობაზე. კროფტონი შეიძლება ჩაითვალოს იმ სისტემის ფუძემდებლად, რომელიც ალტერნატიული სასჯელების, კერძოდ, მკაცრი პატიმრობის, გაურკვეველი ვადით პატიმრობისა და ვადაზე ადრე გათავისუფლების გამოყენებას ითვალისწინებდა.

ტერმინი „პრობაცია“ პირველად „პრობაციის მამად“ წოდებულმა ჯონ ავგუსტუსმა გამოიყენა. იგი პრობაციის სისტემის ფუძემდებლად და პრობაციის პირველ ოფიცრადაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ბოსტონის სასამართლოებში მისი მოხვედრა განპირობებული იყო „ალკოჰოლისაგან სრული თავშეკავების ვაშინგტონის საზოგადოების“ წევრობით. აღნიშნული მოძრაობის წევრები თვლიდნენ, რომ ალკოჰოლიზმი წარმოადგენდა უდიდეს პრობლემას როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე საზოგადოებისათვის, და ალკოჰოლი, ამავდროულად, აფერხებდა პიროვნების თვითგანვითარებას და, ხშირ შემთხვევაში, პრობლემებს უქმნიდა მის ოჯახსაც. მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ორგანიზაციის წევრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ალკოჰოლდამოკიდებული ადამიანების რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

1841 წელს ჯონ ავგუსტუსი დაესწრო სასამართლო პროცესს, სადაც შუამდგომლობდა ალკოჰოლდამოკიდებულ პიროვნებას და ითხოვდა მისი თავდებით გამოშვებას. სასამართლომ მსჯავრდებულს 3-კვირიანი ვადა განუსაზღვრა, რის შემდგომაც იგი კვლავ სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. სამი კვირის გასვლის შემდეგ მსჯავრდებული აბსოლუტურად ფხიზელი წარსდგა სასამართლოს წინაშე, მკვეთრად შეცვლილი ქცევით და გამომეტყველებით, რამაც მას ისტორიაში პირველი პრობაციონერის, ავგუსტუსს კი მოხალისე ოფიცრის სახელი დაუმკვიდრა.

ავგუსტუსის გამოსაცდელ ვადასა და დღეს არსებულ გამოსაცდელ ვადას შორის არაერთი მსგავსება შეინიშნება. ბენეფიციარის შერჩევისას ავგუსტუსი ითვალისწინებდა პიროვნების სხვადასხვა მახასიათებელს, კერძოდ, მის ხასიათს, ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას, წინასწარ აფასებდა რისკებსა და სხვა ფაქტორებს, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალდამრღვევზე გათავისუფლების შემდეგ. მომატებული რისკების არსებობის შემთხვევაში, ავგუსტუსი ითხოვდა სამართალდამრღვევისათვის გარკვეული პირობების შექმნას, როგორიც იყო დასაქმება და სწავლება, რაც, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო მსჯავრდებულის წინასწარი შეფასების პროცესს, ასევე თანამედროვე საზოგადოებრივი ზედამხედველობის ზოგად პრინციპებს, როგორიცაა პირობით მსჯავრდებულთა განათლება ან დასაქმება.

ავგუსტუსის, როგორც პრობაციის მოხალისე ოფიცრის, მოღვაწეობა შეიძლება ყველაზე წარმატებულად ჩაითვალოს, რადგან მისი თავდებობით გამოხსნილი 1946 ადამიანისაგან, რომლებიც სასჯელისგან გათავისუფლდნენ, მხოლოდ ათმა დაკარგა თავდებობა. აქვე აღსანიშნავია, რომ პირველი საკანონმდებლო აქტი გამოსაცდელი ვადის (პრობაციის) შესახებ, რომელიც მასაჩუსეტსში 1859 წელს ავგუსტუსის გარდაცვალებიდან მალევე ამოქმედდა, მეტწილად მის ძალისხმევას მიეწერება.

დღევანდელი თანამედროვე პრობაციის სისტემას, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ის სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც, თავის დროზე, ინგლისსა და ამერიკის სასამართლოებში იყენებდნენ. ზემოხსენებული ფაქტების გარდა, მაგალითად ისეთი აღკვეთი ღონისძიებების მოყვანაც შეიძლება, როგორიცაა „გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლება” ან გირაო/თავდებობა. ადამიანებს,

რომლებიც თანხმდებოდნენ შეთავაზებულ პირობებს, საზოგადოებაში დაბრუნებისა და, გარკვეულწილად, რესოციალიზაციის საშუალება ეძლეოდათ. პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეს ადამიანები კარგავდნენ პირობითი მსჯავრის შანსს და განესაზღვრებოდათ რეალური სასჯელი.

ამრიგად, ზემოაღნიშნული რთული და ხანგრძლივი განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ პრობაცია არის რთული სოციალური და იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სასჯელის ისეთ ფორმას, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის გადაცემას სპეციალური სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ თავისუფლების აღკვეთის გარეშე, განსაზღვრული ვადითა და პირობებით, ხოლო, მეორე მხრივ, სასჯელის აღსრულების ისეთ სისტემას (მათ შორის, ღონისძიებათა ერთობლიობას), რომელიც მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

### 3. საქართველოში პრობაციის სამსახურის ჩამოყალიბების ისტორია

საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, პრობაციის სამსახურს სრულიად განსხვავებული განვითარების ისტორია აქვს. საბჭოთა პერიოდში პრობაციის სამსახური თავისი შინაარსით რადიკალურად განსხვავდებოდა იმ თანამედროვე და ლიბერალური ღირებულებებისა და მიდგომებისაგან, რაც აღნიშნულ სისტემას დღევანდელ რეალობაში გააჩნია; მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში არ არსებობდა ისეთი სამსახური, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა პირობით მსჯავრდებულთა მონიტორინგზე და, იმავდროულად, მათ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე.

ქვეყნის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც საქართველომ დაიწყო კანონმდებლობის რეფორმირება და თანამედროვე ევროპულ კანონმდებლობასთან მიახლოება, დღის წესრიგში დადგა პრობაციის სამსახურის შექმნისა და, შესაბამისად, სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების საკითხი.

ევროპულ კანონმდებლობასთან მიახლოება, თავის მხრივ, გულისხმობდა ისეთი ლიბერალური საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც ძირეულად განსხვავებული იქნებოდა საბჭოთა საქართველოში არსებული კანონმდებლობისაგან. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამსახურები, მართალია, ზედამხედველობას უწევდნენ იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც არ იხდიდნენ სასჯელს საპატიმროებში, მაგრამ მათი საქმიანობა არ შეესაბამებოდა იმ სტანდარტებს, რომლის დანერგვაცა და განხორციელებაც სახელმწიფოს მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა, რამეთუ ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი კანონმდებლობისა და სამართლებრივი პროცესების ლიბერალიზაცია იყო. შესაბამისად, 2001 წლიდან დაიწყო რეფორმების განხორციელების ის ეტაპი, როდესაც დადგა საჭიროება, მსჯავრდებულთა კონტროლის სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროში გადასულიყო.

აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი ფუნქციებიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ზოგადად, არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა არ იზიარებს მსგავსი სამსახურების ძალოვანი სტრუქტურების დაქვემდებარებაში არსებობას; მეტიც, არაერთი ექსპერტის შეხედულებით, აღნიშნული სისტემის ძალოვან სტრუქტურებში ყოფნა წარმოადგენს გარკვეული

ტიპის ინტერესთა კონფლიქტსაც. სწორედ ამიტომ, რეფორმების განხორციელების შემდგომ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფომ შემოიღო ანგლოამერიკული (საერთო) სამართლის სისტემის კომპონენტები და იუსტიციის სამინისტრო გააერთიანა გენერალურ პროკურატურასთან, დღის წესრიგში დადგა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემების იუსტიციის სამინისტროსგან გამოყოფისა და ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც 2009 წელს, რის შედეგადაც, შესაბამისად, შეიქმნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

აღნიშნული რეფორმების განხორციელებამდე, იმ სამსახურების საქმიანობის გარდა, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროში გარკვეულწილად აკონტროლებდნენ მსჯავრდებულებსა და ყოფილ მსჯავრდებულებს, იუსტიციის სამინისტროში ხორციელდებოდა პირობითი მსჯავრის დანიშვნის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება, რაც რეგულირდებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის №80 ბრძანებით „პრობაციის სამსახურის ფუნქციების განხორციელებისა და „პირობითი მსჯავრის დანიშვნის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ სასამართლო აქტების აღსრულების დროებითი წესის" დამტკიცების შესახებ.

მოგვიანებით, 2003 წელს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის მიღებასთან ერთად, გაჩნდა შესაძლებლობა არა მარტო ცენტრალურ, არამედ რეგიონულ დონეზე მომხდარიყო პრობაციის სამსახურის ფუნქციების განხორციელება. შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა პრობაციის რეგიონული ბიუროები, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო სამართლებრივი აქტების კონტროლი და პირობით მსჯავრდებულთა მოვალეობებზე კანონმდებლობის შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება.

აღნიშნული კანონის მიღებასთან ერთად, გაჩნდა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ პრობაციის სამსახურს იმ ფუნქციების განხორციელება დაეწყო, რაც პრობაციის საბაზისო პრინციპებს ეფუძნებოდა, კერძოდ, მსჯავრდებულის რეაბილიტაცია, მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა და რეციდივის შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის სამსახურის განვითარების ეტაპები იუსტიციის სამინისტროში გარკვეული სამოქმედო გეგმის შესაბამისად ხორციელდებოდა, რაც 2007 წელს აღნიშნული სამსახურის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად ჩამოყალიბებაში აისახა, რეფორმების კვალდაკვალ, 2009 წელს იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა პრობაციისა და პენიტენციური სამსახურების ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბების საკითხი, რაც განხორციელდა კიდეც.

ხოლო 2010 წელს განხორციელდა სამართლებრივად ფუნდამენტური რეფორმა, რომლის საფუძველზეც პრობაციის ეროვნულ სამსახურს შეეცვალა სტატუსი და ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - პრობაციის ეროვნულ სააგენტოდ. აღნიშნული სამართლებრივი რეფორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი განხორციელების შემდეგ პრობაციის ეროვნული სამსახური გარდაიქმნა ნაწილობრივ დამოუკიდებელ სუბიექტად, რამაც დიდწილად განსაზღვრა მისი შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობა და ეფექტურობა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს განვითარების ეტაპები და განხორციელებული რეფორმები ემსახურებოდა ევროპულ კანონმდებლობასთან მაქსიმალურად

დაახლოებას, ვინაიდან სწორედ ევროპული სტანდარტებით ფუნქციონირებადი სისტემა განსაზღვრავდა მისი დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხარისხს. შესაბამისად, პრობაციის სამსახურის ეროვნულ სააგენტოდ ჩამოყალიბებასთან ერთად, 2010 წელს აღნიშნული სამსახური ევროპის პრობაციის კონფედერაციაში გაწევრიანდა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ევროპის პრობაციის კონფედერაციაში გაწევრიანება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა სისტემის თავისთავად და ავტომატურად განვითარებას, მაგრამ სწორედ ევროპული გამოცდილება, განვითარების ეტაპები და გამოწვევები იყო ის მთავარი ბიძგის მიმცემი ფაქტორები, რამაც დიდწილად განაპირობა პრობაციის სააგენტოს შემდგომი წინსვლა.

აღნიშნულმა პროცესებმა პრობაციის სააგენტოს სწორი მიმართულებით განვითარებას მისცა გეზი, რაშიც, თავის მხრივ, დიდი წვლილი შეიტანეს ევროპელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა. იუსტიციის სამინისტროსთან კვლავ გაერთიანებამდე და შემდგომ პერიოდშიც, რაც საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი პროცესი აღმოჩნდა, პრობაციის სააგენტომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილება მიიღო. ეს ყოველივე გამოიხატა მრავალი ახალი ინიციატივის დანერგვაში, როგორებიც იყო: სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება; პრობაციის ოფიცრებთან ერთად, სოცმუშაკთა და ფსიქოლოგთა ინსტიტუტის შექმნა; ისეთი ალტერნატიული სასჯელების დანერგვა, როგორიცაა შინაპატიმრობის აღსრულება ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით; ვიდეოპაემნისა და თავისუფლების შეზღუდვის სისტემის შექმნა; წინასასამართლო ანგარიშების მომზადება და სხვა მრავალი ინიციატივა. პრობაციის სამსახურისა და იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის გაერთიანებამ, რამაც გაზარდა პრობაციის სისტემის ეფექტიანობა, განაპირობა მისი გამართული მუშაობა და ასევე საფუძველი ჩაუყარა სისტემის სამომავლო განვითარებას.

2006 წელს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულმა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპმა, ერთი მხრივ, გარკვეულწილად შეამცირა კრიმინალი ქვეყანაში, თუმცა, მეორე მხრივ, საგრძნობლად გაზარდა მსჯავრდებულთა რაოდენობა, ამ უკანასკნელმა კი შეაფერხა პრობაციის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირება. აღნიშნული პერიოდისთვის, პრობაციის თითოეულ ოფიცერზე მოდიოდა ხუთასზე მეტი საქმე, რაც შეუძლებელს ხდიდა ოფიცრის,



სოცმუშაკისა და ფსიქოლოგის მხრიდან მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური მუშაობის განხორციელებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ პირობით მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი წარმოადგენს პრობაციის სამსახურის ფუნქციონირების მთავარ არსს. ისტორიული მიმოხილვისას აღნიშნული მოვლენის მსგავსად, ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპმა საქართველოშიც გამოიწვია საზოგადოების პროტესტი და საჭირო გახდა მეტად ლიბერალური მიდგომისა და ზომების განხორციელება.

ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, სახელმწიფომ შეცვალა ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპი, რის შემდეგაც პრიორიტეტი ლიბერალური მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება გახდა. მოცემული დიაგრამა ზუსტად ასახავს ზემოაღნიშნულს და გვიჩვენებს პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის დინამიკას წლების მიხედვით.

## 4. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ზემოაღნიშნული თეორიული მასალის გამოყენებით და მსმენელთათვის მისი გაცნობით, სალექციო კურსის მიმდინარეობისას, ტრენერმა ზუსტად უნდა განუსაზღვროს მონაწილეებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, როგორ წარმოიშვა პრობაციის სისტემა და განვითარების რა ეტაპები გაიარა მან.

ტრენერი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, წარმოაჩინოს საქართველოს პრობაციის სამსახური, როგორც სოციალური სერვისების მქონე ორგანიზაცია, რომლის მთავარ მისიას, სასჯელის აღსრულებასთან ერთად, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია წარმოადგენს.

## 5. გამოყენებული ლიტერატურა


- *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არსოშვილი გ.*, პრობაციის სამართალი, თბ., 2014.
- *მაღრაძე თ., გოზალიშვილი ნ.*, პრობაცია ევროპაში, საქართველო, ნიდერლანდები, 2016.
- *ჰამარბერგი თ.*, საქართველო გარდამავალ პერიოდში. ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თბ., 2013.
- *Vanstone M.*, The International Origins and Initial Development of Probation: An Early Example of Policy Transfer, The British Journal of Criminology, 2008.
- *MacKenzie D. L.*, Probation and Parole: History, Goals, and Decision-making; Encyclopedia of Crime and Justice, <https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/probation-and-parole-history-goals-and-decision-making>
- სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <https://justice.gov.ge/Ministry/Index/237>

# თავი VI. პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლი მართლმსაჯულების სისტემაში

ავტორები: *რანდელ ბაროუზი / დენიელ კლარკი / სალომე ნამიჭეიშვილი*

## 1. შესავალი

ამ თავში აღწერილია პრობაციონერებთან მომუშავე პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების როლი, კერძოდ, თუ როგორ მუშაობენ პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები ყველაზე ეფექტიანად რისკების შემცირებისა და მართვის, რეაბილიტაციის ხელშეწყობის და პრობაციის სისტემის ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ამ სპეციალისტთა სამუშაო ძირითადად განხილულია ევროპულ კონტექსტში, თუმცა ეს კონტექსტი ძალზე რელევანტურია საქართველოში მიმდინარე განვითარების ტენდენციების თვალსაზრისითაც. საქართველოს კონტექსტში ასევე მიმოხილულია სოციალური მუშაობის (როგორც ახლადჩამოყალიბებული პროფესიის) განვითარების მახასიათებლები, ასევე პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მუშაობის ძირითადი მახასიათებლები.

## 2. პრობაციის ოფიცრებისა და სოციალური მუშაკების როლი

ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს დანაშაულისა და მსხვერპლთა რაოდენობის შემცირებას, ასევე დანაშაულის მიმართ შიშის შემცირებას და გაცილებით უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნას. ეს მიზანი ასახულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის სტრატეგიაში პენიტენციური, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ კონტექსტში პრობაციის ოფიცრები სოციალური მუშაკების მსგავს მომზადებას გადიან და ასრულებენ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, საქართველოში კი პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ, როგორც სხვადასხვა თანამდებობისა და პასუხისმგებლობის მქონე პირები: პრობაციის ოფიცრები ძირითადად შემთხვევის მმართველები არიან და კონტროლის ზომებზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობა აკისრიათ, ხოლო სოციალური მუშაკები განიხილებიან დამატებით სპეციალისტებად, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო და სოციალიზაციის ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ დანაშაულის თავიდან აცილებასა და ზიანის რისკის მართვას. ამრიგად, ევროპულ კონტექსტში პრობაციის ოფიცრის თანამდებობაზე ინიშნება სპეციალისტი, რომელიც მომზადებულია, როგორც სოციალური მუშაკი. შესაბამისად, ეს ორი ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

*რისკის შეფასება* და *მართვა* არის ან უნდა იყოს საქართველოში დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემათა საქმიანობის ცენტრალური ნაწილი და ყველა თანამშრომლის სამუშაო პროცესის მუდმივი ფოკუსი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის („სააგენტო“), რომელიც ითავსებს *დანაშაულის პრევენციისა* და *მსჯავრდებულთა ზედამხედველობის* ფუნქციებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის პრევენცია. ეს უმნიშვნელოვანესია იდენტიფიცირებად მსხვერპლთა და ფართო საზოგადოების დაცულობისა და უსაფრთხოებისათვის. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს სააგენტოს რეპუტაცია და, უფრო ფართოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მიმართ სანდოობა.

### 2.1. გადაწყვეტილების მიღება და რისკი

მართალია, მსჯავრს სასამართლო განსაზღვრავს, მაგრამ პრობაციის სისტემის თანამშრომლები და მენეჯერები იღებენ მთელ რიგ აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დანიშნული სასჯელის სახეზე. ასეთი გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: კონტაქტის სიხშირე და ხასიათი, ჩატარებული შეფასებები, ასევე შემოთავაზებული და განხორციელებული ინტერვენციები, როგორებიცაა დასაქმების/ტრენინგის/საგანმანათლებლო შესაძლებლობები, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შემცირების პროგრამები, ოჯახთან მუშაობა და ა.შ. გარდა ამისა, მიღებულია ან შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები შემდეგ საკითხებზე: პენიტენციური დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება, პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობები ან პრობაციაში აღრიცხვის ვალდებულებისგან გათავისუფლება. სააგენტოს საქმიანობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლო განაჩენზეც კი, (არასრულწლოვანთა) წინასასამართლო ანგარიშის სახით. ყველა ამ გადაწყვეტილებაში თუ ქმედებაში ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს *რისკის* გათვალისწინება. ძირითადი კითხვებია: *რომელია კონკრეტული რისკები ამ შემთხვევაში? როგორია შემდგომი დანაშაულის ან ინციდენტის ალბათობა? არის თუ არა კონკრეტული ადამიანი ან პირთა კატეგორია ზიანის საფრთხის წინაშე? არის თუ არა ეს ადამიანი თვითდაზიანების რისკის ქვეშ? რა ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ამ რისკების შესაფასებლად? რისკის შეფასების რა ინსტრუმენტების გამოყენებაა შესაძლებელი? რა შეიძლება გაკეთდეს შეფასებული რისკების შესამცირებლად? არსებობს თუ არა „მაპროვიცირებელი“ ფაქტორები, რომლებიც ზრდის რისკს?* რისკის ბუნებისა და დონის სრულად შეფასებამდე არ უნდა გადაიდგას სხვა ნაბიჯები.

### 2.2. მეთოდოლოგია

*რისკზე* ორიენტირებული სისტემა უფრო დინამიკური და პროაქტიურია ისეთ სისტემასთან შედარებით, რომელიც ეფუძნება რუტინულ ანგარიშგებას ან თითის ანაბეჭდის ამოცნობას. იგი მოითხოვს რეაგირებას, რომელიც ემყარება ბენეფიციარის პიროვნების შესახებ ინფორმაციის დეტალურ ცოდნას. ამ ცოდნის გამოყენება კი შესაძლებელია განსახორციელებელი ქმედებების განსასაზღვრად. ბოლო წლებში საქართველოში დაინერგა და ჯერ კიდევ მუშავდება სხვადასხვა

მეთოდოლოგია, რომლებიც ეფუძნება იმ მტკიცებულებებს, თუ „რა მუშაობს“ რისკის დონის დადგენის, ასევე მისი მართვისა და შემცირების ეფექტიანი საშუალებების განსაზღვრის კუთხით საერთაშორისო დონეზე.

### 2.3. ინდივიდუალური შეფასება

ამ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების ძირითადი მახასიათებელია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება - როგორც რისკების ზოგადი შეფასებისათვის, ისე კონკრეტული დანაშაულის რისკის უფრო სიღრმისეულად შეფასებისათვის, როგორიცაა ოჯახში ძალადობა ან სექსუალური დანაშაული. ამ ტიპის შეფასების ინსტრუმენტი ხელმისაწვდომია და მას იყენებენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სოციალური მუშაკები მრავალ იურისდიქციაში სისტემაში მსჯავრდებულის „მოგზაურობის“ ყველა ეტაპზე შემდეგი მიზნებისთვის: არასრულწლოვანთა საქმეებში განრიდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში პროკურორთა დახმარება; სასამართლოსა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოებისთვის წარსადგენ ანგარიშთა შინაარსის განსაზღვრა; აგრეთვე იმ ზომებისა და ინტერვენციების დადგენა, რომლებიც აუცილებელია სასჯელის ან პრობაციის პერიოდის განმავლობაში ან პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკების შესამცირებლად. ეს ინსტრუმენტები ღირებულია, რადგან ისინი აერთიანებენ, ერთი მხრივ, სტატისტიკური პროგნოზირების ალგორითმებს, მეორე მხრივ კი, განმეორებითი დანაშაულის ალბათობის ინდივიდუალურ შეფასებას და ინფორმაციას დანაშაულის მიზეზების შესახებ. შემდგომი სამუშაოები ფოკუსირდება თითოეულ მიზეზზე ან პრობლემაზე, როგორიცაა ოჯახში უთანხმოება, უარყოფითი დამოკიდებულებები, მსხვერპლის მიმართ ემპათიის ნაკლებობა, ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, ფინანსური სახსრების ნაკლებობა ან ამ სხვადასხვა ფაქტორის კომბინაცია. თუ პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები შეძლებენ ამ პრობლემების შერბილებას ან თუნდაც აღმოფხვრას, მაშინ გაიზრდება დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრების შანსები. რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი (RNA), რომელიც საქართველოში გამოიყენება, ემყარება საერთაშორისო დონეზე დადასტურებულ მიდგომებს, თუმცა „შეფასება“ გაცილებით მეტია, ვიდრე ფორმის შევსება. შეფასებისას აუცილებელია, რომ შემფასებელი პროფესიონალურად გაესაუბროს ბენეფიციარს. „პროფესიონალური“ ნიშნავს გასაუბრებას ადეკვატურ სამუშაო/ინტერვიუს სივრცეში, შინაარსიან ჩართულობას, გულწრფელ ინტერესს და იმ მინიშნებების ყურადღებით „მოსმენის“ უნარს, რომლებიც მიუთითებს, რომ საჭიროა საკითხის შემდგომი შესწავლა. ეს მინიშნებები მოიცავს არავერბალურ ნიშნებს, როგორიცაა სხეულის ენა. ამრიგად, ყველა თანამშრომელმა, რომელიც რისკს ინდივიდუალურად აფასებს, უნდა ეძიოს ინტერვიუსა და ჩართულობის უნარების განვითარების შესაძლებლობები და გასაუბრება უნდა ჩაატაროს მშვიდ ვითარებაში და ისეთ გარემოში, რომელიც კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის საშუალებას იძლევა.

### 2.4. ინტერვენციები

ინდივიდუალურმა შეფასებებმა შეიძლება განსაზღვროს რისკის საერთო დონე ორი თვალსაზრისით. ესენია: დანაშაულის ჩადენის ალბათობა და ამ დანაშაულისგან მომდინარე მნიშვნელოვანი ზიანის პოტენციური რისკი. მსჯავრდებულის

მიმართ ზედამხედველობისადმი მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს ამ ორივე თვალსაზრისს. ზედამხედველობის გეგმა შეიძლება მოიცავდეს მაღალი დონის ინტრუზიულ კონტროლს იდენტიფიცირებადი მსხვერპლის ან მსხვერპლთა კატეგორიის დასაცავად, თუ ეს ორივე განზომილება *(ალბათობა და ზიანის რისკი)* შეფასდება, როგორც „მაღალი". დაბალი რისკის შემთხვევებში, ძირითადი აქცენტი გაკეთდება *ინტერვენციების* მიწოდებაზე, რომელთა მიზანია რისკის შემცირება და კანონმორჩილი ცხოვრების გზების დასახვა. ეს ინტერვენციები ემყარება დინამიკურ რისკფაქტორს/რისკის სფეროს და საჭიროებას, რომლებსაც რისკისა და საჭიროებების შეფასება იკვლევს. ესენია: საცხოვრებელი, ურთიერთობა ოჯახსა და ახლობლებთან, განათლება, დასაქმება, ეკონომიკური მდგომარეობა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ალოკოჰოლისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარება, დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ, ანტისოციალური ურთიერთობები, ცვლილების მოტივაცია, აზროვნება და ქცევის კონტროლი, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. საერთაშორისო დონეზე და საქართველოში შემუშავებული ინტერვენციების მიზანია, ხელი შეუწყოს პოზიტიურ არჩევანსა და შანსებს და შეამციროს კანონმორჩილი ცხოვრების ბარიერები.

### 2.5. მოტივაცია

სპეციფიკური რისკისა და საჭიროებების გარდა, რომლებსაც RNA ადგენს, კონკრეტულ ინტერვენციაში მონაწილეობის შესაფერისობის დასადგენად მნიშვნელოვანი საკითხია ცვლილების ან გაუმჯობესების ინდივიდუალური მოტივაცია, თუმცა მოტივაცია არ არის სტატიკური და პრობაციის ოფიცრისა თუ სოციალური მუშაკის როლი გულისხმობს მსჯავრდებულთან ჩართულობას ისეთი ფორმით, რომელიც აძლიერებს ამ პირის ცვლილების მოტივაციას. მართლაც, რწმენა, რომ პირს შეუძლია შეიცვალოს, მნიშვნელოვანი წინაპირობაა პრობაციის სისტემაში მომუშავე ყველა თანამშრომლისთვის. თითქმის არაფერია იმაზე უფრო იმედგამაცრუებელი და მოტივაციის ჩამხშობი თითოეული ჩვენგანისათვის, ვიდრე რწმენის არქონა, რომ ცვლილება შესაძლებელია. პრობაციის სისტემის ბენეფიციარებს, ჩვეულებრივ, ცხოვრებაში საკმაოდ ბევრჯერ აქვთ გამოცდილი უარყოფითი დამოკიდებულება და ისინი მალევე იგრძნობენ პრობაციის მუშაკის მხრიდან რწმენისა და გულწრფელობის ნაკლებობას.

### 2.6. პროფესიული ღირებულებები

როგორც ყველა სხვა ტიპის სოციალურ მუშაობას, მას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაშიც მნიშვნელოვანი პროფესიული ღირებულებები და პრინციპები გააჩნია, რომლებიც მოიცავს: სისხლის სამართალსა და სოციალურ სამართლიანობას შორის კავშირის არსებობას; ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ყველაზე დაუცველნი არიან საზოგადოების მიერ გარიყვისაგან (სისხლის სამართლის სისტემაში ეს გულისხმობს როგორც მსხვერპლის, ისე მსჯავრდებულის უფლებების დაცვას); და ადამიანთა შესაძლებლობების ურყევ რწმენას, ისწავლონ, განვითარდნენ და გაიზარდონ, მიუხედავად თავიანთი პრობლემებისა. პროფესიონალიზმი სოციალურ მუშაობაში მნიშვნელოვანია და ძალზე ღირებული, რადგან ჭეშმარიტი პროფესიონალი სწორად იქცევა უშუალო ზედამხედველობის გარეშეც; ცდილობს, გააუმჯობესოს საკუთარი უნარები, ცოდნა და სამუშაოს შესრულების ხარისხი; ასევე შეუძლია

მოიპოვოს როგორც ბენეფიციართა, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა პატივისცემა და ნდობა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობისთვის აუცილებელი უნარები აერთიანებს როგორც ზრუნვის, ისე კონტროლის ასპექტებს. სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ ძლიერნი (რა თქმა უნდა, არა ფიზიკურად) - უნდა ებრძოდნენ დანაშაულს, და არა თავად მსჯავრდებულთ; მათ უნდა ჰქონდეთ ღრმა ანალიტიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მტკიცედ მიღების უნარი; უნდა შეძლონ ბენეფიციარებთან სამუშაო ალიანსის დამყარება; მოახდინონ ისეთი ქცევის მოდელირება, რომელიც სურთ, რომ მსჯავრდებულმა გამოავლინოს სხვებთან მიმართებით; ხელი შეუწყონ ცვლილების მოტივაციას; წაახალისონ მსჯავრდებულები „კარგი ცხოვრებისკენ"; დაეხმარონ მათ, მოიპოვონ პროსოციალური (და არა ანტისოციალური) ელემენტების მხარდაჭერა თავიანთ სოციალურ წრეებში; და წაახალისონ მსხვერპლის მიმართ მსჯავრდებულთა ემპათია, რაც ნიშნავს, რომ მათ საკუთარი თავი მსხვერპლის ადგილას წარმოიდგინონ.

ამავდროულად, ისინი ეჭვს ქვეშ უნდა აყენებდნენ და, საჭიროებისამებრ, უპირისპირდებოდნენ მინიმიზაციას და რაციონალიზაციას, რაც დამახასიათებელია დამნაშავეთათვის მათ მიერ საკუთარი დანაშაულისა და მათი გავლენის აღწერისას. ამ ყველაფრის კარგად განხორციელება რთულია ნებისმიერ გარემოში; თუმცა პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის სისტემაში ეს იმგვარად უნდა გაკეთდეს, რომ ადამიანი გაიმიჯნოს საკუთარი დანაშაულისაგან - დაიგმოს დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ წახალისდეს საკუთარი თავის პატივისცემა და თვითშეფასება, რაც აუცილებელი მოთხოვნებია მომავალი კანონმორჩილი ცხოვრებისათვის. ამ ღირებულებების დემონსტრირება და შენარჩუნება მოითხოვს უამრავ პიროვნულ თვისებას: ზოგიერთი ადამიანის შემთხვევაში, ეს შეიძლება თანდაყოლილი უნარები იყოს, მაგრამ თუ ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომელთა განვითარების შესაძლებლობები ამას ხელს შეუწყობს, ამ უნარების გამომუშავება პრობაციის სისტემის ყველა თანამშრომელშია შესაძლებელი.

### 2.7. პიროვნული თვისებები

ქვემოთ ის პიროვნული თვისებებია მოცემული, რომლებიც აუცილებელია პრობაციის სისტემაში რისკთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოს ეფექტიანად შესასრულებლად:

- **ემპათია:** სხვისი ემოციებისადმი მგრძნობელობა სოციალურ მუშაკებს ეხმარება, მაქსიმალურად კარგად შეასრულონ სამუშაო. თანაგრძნობის უნარის ქონა უზრუნველყოფს კარგ სოციალურ უნარებს, ეფექტიან გუნდურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობით მუშაობას. ემპათიურ მუშაკებს შეუძლიათ გაუგონ და თანაუგრძნონ ბენეფიციარებს მათ მრავალფეროვან შემთხვევებთან მიმართებით, მოიპოვონ მათი ნდობა და გაუჩინონ თანამშრომლობის სურვილი.
- **მოთმინება:** მოთმინება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცხოვრების რთულ პერიოდს გადიან, სოციალურ მუშაკს მთელი ისტორიის გააზრების შესაძლებლობას აძლევს. ეს ქმნის მკაფიო სურათს, თუ რისი გაკეთება შეიძლება პირის დასახმარებლად.
- **ინტერესი და ცნობისმოყვარეობა სხვების მიმართ:** სხვათა მიმართ გულწრფელი ინტერესი ბევრ ადამიანს იზიდავს სისხლის სამართლის

მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის დასაწყებად. დადებითი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა სხვა ადამიანის ცხოვრებაში დიდი ჯილდოა.

- **ეფექტიანი კომუნიკაცია:** კომუნიკაციის უნარი აუცილებელია სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცრის საქმიანობისათვის. გზავნილის ადრესატამდე სწორად მიტანის, აგრეთვე მოსმენის კარგი უნარები უზრუნველყოფს სოციალური მუშკის მიერ ყველა საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად მიღებას, ხოლო *მოტივაციურ ინტერვიუირებას* კი შეუძლია ბენეფიციარის დახმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში.
- **ორგანიზება:** დატვირთულ რეჟიმში სამუშაოდ სოციალური მუშაკები/ პრობაციის ოფიცრები უნდა იყვნენ კარგად ორგანიზებულნი, რაც მოიცავს დაგეგმვას, პრიორიტეტების განსაზღვრას, გრაფიკის შედგენასა და ჩანაწერების წარმოებას.
- **ანალიტიკური უნარები:** სხვადასხვა (განსაკუთრებით, რისკშემცველი) სიტუაციის გაანალიზების უნარი აუცილებელია სოციალური მუშაკის/ პრობაციის ოფიცრის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კარგ ანალიტიკურ უნარებს მივყავართ ისეთ გადაწყვეტილებებამდე, რომლებსაც სასარგებლო შედეგები მოაქვს ბენეფიციარებისთვის, მსხვერპლთათვის და ფართო საზოგადოებისათვის.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული თვისებები სასარგებლოა სხვა გარემოშიც და იგი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უფრო ფართო სისტემასაც მოიცავს.

### 2.8. რისკის მართვა - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა აქტორებთან მუშაობა

იმ გამოძიებათა საერთაშორისო მტკიცებულებებს, რომლებიც ჩატარებულ იქნა პირის მიერ ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, როცა ეს პირი უკვე ექვემდებარებოდა პრობაციასთან ან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ზედამხედველობას, საერთო მახასიათებლები გააჩნია. ეს მტკიცებულებები თითქმის ყოველთვის იმას მიუთითებს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენამდე არსებობდა ისეთი ნიშნები ან ინდიკატორები, რომლებზე რეაგირებაც არ მომხდარა, უკვე მომხდარს კი, რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი მშვენივრად აანალიზებს; ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის პრევენცია შესაძლებელი იყო. თუმცა მტკიცებულებებში, ამ თვალსაზრისით, გასაოცარი თანმიმდევრულობა შეინიშნება: ნიშანთა უმეტესობას ჰქონდა მცირე გამოვლინება და მხოლოდ ერთი ადამიანისთვის ან სააგენტოსათვის იყო ცნობილი. ეს ნიშნები, თავისთავად, არ ჩანდა საგანგაშო, თუმცა სხვისთვის ცნობილ ან სხვაგან ხელმისაწვდომ ინფორმაციასთან ერთობლიობაში იქმნებოდა სრული სურათი, რომელიც უკვე ძალზე საგანგაშო იყო. საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უწყებები გარკვეულწილად თანამშრომლობენ ერთმანეთთან; თუმცა, მიუხედავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უწყებების არსებობისა, არ არსებობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა. აღნიშნულის გამოხატულებაა ინფორმაციის ნაკლებობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ პრობაციის ოფიცრებს არასრული სურათი ექმნებათ თავიანთი ბენეფიციარების შესახებ. დროთა განმავლობაში ამის შეცვლა შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებებითა და მონაცემთა დაცვის კონცეფციის გადასინჯვის შედეგად; მანამდე კი პრობაციის სააგენტოს ყველა თანამშრომელი უნდა ეცადოს დამატებითი

ინფორმაციის მოძიებით სრული სურათის შექმნას თითოეულ შემთხვევაზე, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს სერიოზული ზიანის რისკი.

### 2.9. რეინტეგრაცია: სხვა სახელმწიფო სამსახურებთან, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სააგენტო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე. 2018 წლიდან ადგილობრივი ბიუროები გადაიტანეს იუსტიციის სახლებში/ადგილობრივ საზოგადოებრივ ცენტრებში. იმისდა მიუხედავად, რომ ინდივიდუალურ ბენეფიციარებთან მუშაობის ელემენტები კვლავაც სენსიტიური და კონფიდენციალური რჩება, კანონმორჩილი ცხოვრებისკენ მიმავალი „გზების“ მხარდაჭერა დიდწილად სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელ სხვა დეპარტამენტებს ან სააგენტოებსაც შეუძლია. ზოგ შემთხვევაში პრობაციის სააგენტოს შეუძლია ამ გზებსა და საშუალებებზე (მაგალითად, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობებზე) წვდომას შეუწყოს ხელი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. სხვა ინტერვენციები (მაგალითად, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლთან დაკავშირებული ღონისძიებები) შეიძლება შემუშავდეს ჯანდაცვის პროვაიდერებთან ერთად პირდაპირი პარტნიორობის სახით. ეს გულისხმობს ბევრად მეტს, ვიდრე ადგილობრივი რესურსების მონაცემთა ბაზის არსებობაა. ბენეფიციარები, უპირველესად, მოქალაქეები არიან: მსჯავრდებულობის სტატუსი არ უნდა განსაზღვრავდეს მათ ცხოვრებას; ამიტომ ყველა სახელმწიფო სერვისპროვაიდერის ინტერესშია, მხარი დაუჭიროს რეაბილიტაციისკენ მიმართულ ძალისხმევას. ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ გაძლიერდება ურთიერთობა და თანამშრომლობის ქსელი ისეთ ადგილობრივ აქტორებს შორის, როგორებიც არიან: ბიუროები, თემები, სხვა სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასთან დაკავშირებული სამუშაოების გულმოდგინედ დაგეგმვის შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობები შეიძლება ორმხრივად სასარგებლო იყოს.

ადამიანს მხოლოდ იმისი გაკეთება შეუძლია, რისი შესაძლებლობაც მას აქვს. ძალიან ბევრ მსჯავრდებულს გამოუცდია სოციალურად არასახარბიელო მდგომარეობა. ასეთ პირობებში ხანგრძლივად ყოფნა ძლიერ ართულებს დანაშაულისგან დეზისტანსის მიღწევას. ამრიგად, პრობაციის ოფიცრის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკისა და მათი დამსაქმებლის პასუხისმგებლობათა ნაწილია ადვოკატირების გზით საზოგადოების წახალისება, ხელი შეუწყოს სოციალურ ინკლუზიას, სტიგმაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის შემცირებასა და საჭირო მომსახურებებსა და შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფას ყოფილი მსჯავრდებულებისათვის. რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის კონცეფციები გულისხმობს, რომ არა მხოლოდ ინდივიდი უნდა ცდილობდეს შეცვლას, არამედ საზოგადოებასაც უნდა სურდეს იმ ფაქტის მიღება, რომ ამ პირს შეუძლია შეიცვალოს, და სამართლიანად მისცეს მას იმ უკეთესი ცხოვრების შანსი, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის.

## 3. პრობაციის სისტემაში დასაქმებულ ფსიქოლოგთა როლი

### 3.1. პრობაციაში დასაქმებული ფსიქოლოგები

ევროპაში ფსიქოლოგებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ - განსაკუთრებით, სამართლის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე მსჯავრდებულთა შეფასების კუთხით, ასევე პატიმრობის პერიოდში ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე მსჯავრდებულთა მხარდაჭერის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, სხვა სფეროებთან შედარებით, სადაც ფსიქოლოგიის ექსპერტები არიან ჩაბმულნი, სასამართლო/კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის აღიარება საკმაოდ გვიან მოხდა. ასევე სიახლეა ფსიქოლოგების მონაწილეობა საზოგადოებაში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და მართვაში. საქართველოში კი ფსიქოლოგიის ეს სპეციალობა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მსჯავრდებულს არ აქვს ფსიქოლოგიური პრობლემა და ყველა დანაშაულებრივი ქცევა არ საჭიროებს ფსიქოლოგიურ ახსნას. ბევრი მსჯავრდებულისთვის ფინანსური, პრაქტიკული და სოციალური პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია. ფსიქოლოგიური რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი შერჩევით მიმართონ იმ შემთხვევებისკენ, სადაც ყველაზე მეტი საჭიროებაა. ყველა თანამშრომელი კარგად უნდა იაზრებდეს, რომელი შემთხვევები უნდა გადამისამართდეს ფსიქოლოგთან; ასევე უნდა არსებობდეს მიმართვის სათანადო პროცედურა.

ზოგადად, ფსიქოლოგები ყველაზე ხშირად ისეთ მსჯავრდებულებთან მუშაობაში შეიძლება ჩაერთონ, რომლებიც ყველაზე სერიოზულ რისკს ქმნიან - განსაკუთრებით, სერიოზული ზიანის რისკს საკუთარი თავის ან სხვების მიმართ. ამასთანავე, ყველა მაღალრისკიან მსჯავრდებულს როდი აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები. მაგალითად, „პროფესიონალ“ კრიმინალებს, რომლებიც ინტენსიურად მონაწილეობენ ორგანიზებულ დანაშაულში, შეიძლება არ სურდეთ ფსიქოლოგებთან მუშაობა ან ასეთი მუშაობა მათთვის სასარგებლო არ აღმოჩნდეს. არსებობენ სხვა, ნაკლებად სერიოზული მსჯავრდებულებიც, რომელთა შემთხვევაში ფსიქოლოგიური პრობლემა ან პიროვნული აშლილობა დანაშაულებრივი ქცევის მთავარი მიზეზია. მაგალითად: მაღაზიის ქურდი, რომელიც იპარავს არა ფინანსური სარგებელის მისაღებად, არამედ გარკვეული ემოციური საჭიროების დასაკმაყოფილებლად ან ადიქციური ქცევის გამო, როგორიცაა აზარტული თამაშები; ანდა ადამიანი, რომელიც წვრილმან ვანდალიზმს ჩადის, რადგან საკუთარი ფრუსტრაციის სხვაგვარად გამოხატვა არ შეუძლია. ასეთი დამნაშავეებისთვის სასარგებლო იქნება ფსიქოლოგიური ჩარევა. ამიტომ გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ უნდა მიიღონ დამნაშავის საჭიროებების, არსებული პრობლემებისა და მათგან მომდინარე რისკების შეფასების შემდეგ. რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტი კარგი საწყისი წერტილია ასეთი შეფასებებისათვის.

ფსიქოლოგების მუშაობა მსჯავრდებულებთან შეიძლება ოთხ ტიპად დავყოთ:

- ფსიქოლოგიური შეფასება;
- ინტერვენციები განმეორებითი დანაშაულის შესამცირებლად;
- კრიზისული ინტერვენცია;
- ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული სხვა ტიპის მხარდაჭერა და რეაბილიტაცია.

### 3.2. შეფასება

ფსიქოლოგები მრავალი თვალსაზრისით უწყობენ ხელს პრობაციონერთა შეფასებას. როგორც მულტიდისციპლინური გუნდის წევრები, მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ რისკისა და საჭიროების პროცესში, განსაკუთრებით იმ სექციებში, რომლებიც ეხება აზროვნებისა და ქცევის კონტროლს და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს.

ფსიქოლოგებს აქვთ წვდომა სხვადასხვა ფსიქომეტრულ ინსტრუმენტზე, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მსჯავრდებულთა შემდგომი შეფასებისათვის, მაგალითად:

- ინტელექტის ტესტები და ინტელექტუალური ფუნქციონირების სხვა საზომები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება დადგინდეს ინტელექ-ტუალური დარღვევებით გამოწვეული სირთულეები, რომლებსაც ზოგი-ერთი მსჯავრდებული განიცდის;
- პიროვნების შეფასებები, რომლებმაც შეიძლება დაადგინოს ზოგიერთი ისეთი თვისება, რომლებიც, ჩვეულებრივ, უკავშირდება დანაშაულებრივ ქცევას, როგორიცაა იმპულსურობა, ეგოცენტრიზმი, ჰედონიზმი, ადიქციუ-რი პიროვნული აშლილობა და ფსიქოპათია;
- ისეთი გუნება-განწყობის სტანდარტიზებული კლინიკური შეფასებები, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, PTSD, ფობიები და ა.შ., რომლებიც გავრცელებულია მსჯავრდებულებში;
- სტანდარტიზებული კითხვარები, რომლებიც აფასებს ზოგად დამო-კიდებულებებს სამართალდარღვევებისა და დანაშაულის მიმართ;
- სპეციალიზებული შეფასების ინსტრუმენტები მსჯავრდებულთა კონკრე-ტული ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან მოძალადე ან დევიანტური სექსუალური ქცევის მქონე მსჯავრდებულები.

ამ ინსტრუმენტების ერთი ნაწილის გამოყენება საჭიროებს სპეციალურ ტრენინგს, რომლის დროსაც ყოველი მათგანი უნდა განმარტოს მხოლოდ ისეთმა პირმა, ვისაც კარგად ესმის ეს კონცეფციები და ფსიქომეტრული შეფასების ბუნება. ზოგადად, მიიჩნევა, რომ არ არის კარგი პრაქტიკა ფსიქომეტრული შეფასებების გამოყენება კონკრეტული მიზნის გარეშე (ასეთი მიზანი შეიძლება იყოს, მაგალითად, ინტერვენციის ტიპის განსაზღვრა ან გამორიცხვა).

დანაშაულის ფუნქციური ანალიზით ფსიქოლოგებს ასევე შეუძლიათ უკეთ შეისწავლონ მსჯავრდებული და მისი რისკები. ეს გახლავთ სრული სურათის შექმნის პროცესი: რატომ და როგორ მოხდა დანაშაული; მათ შორის, როგორია მსჯავრდებულის შეხედულებები მოვლენებთან დაკავშირებით. ეს ანალიზი შეისწავლის მოვლენებს დანაშაულის ჩადენამდე (რაც შესაძლოა მოიცავდეს რო-გორც გაცილებით ადრეულ ცხოვრებისეულ მოვლენებს, ისე უშუალოდ დანაშაუ-ლის გამომწვევ მიზეზებს). ფსიქოლოგები ასევე ახდენენ დანაშაულის დეტალურ აღწერას, რომელიც ფოკუსირდება მსჯავრდებულის აზრებზე, გრძნობებსა და მოტივაციაზე. ამ პროცესში ითვალისწინებენ იმასაც, რას ფიქრობდა და გრძნობდა მსჯავრდებული უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ასევე, როგორია მისი ამჟამინდელი შეხედულებები. ამ შესწავლის მიზანია იმის გააზრება, თუ რა „ფუნქციას“ ასრულებდა დანაშაული მსჯავრდებულისათვის, რათა განისაზღვროს განმეორებითი დანაშაულის პრევენციის საუკეთესო გზა. ცხადია, ეს პროცესი შეიძლება შრომატევადი იყოს და მოითხოვს ბენეფიციართან კარგი სამუშაო ურთიერთობის დამყარებას. აღნიშნული პროცესი ყველაზე ღირებულია ისეთ

შემთხვევებში, როცა დანაშაული თითქოს უცნაურია, არ არის დამახასიათებელი მოცემული პირისთვის, ან არ იკვეთება მარტივად დადგენადი მოტივაცია. ასეთი შემთხვევებია, მაგალითად: არაპროვოცირებული აგრესია, ხანძრის გაჩენა, დევიანტური სექსუალური ქცევა, ასევე შემთხვევები, სადაც იკვეთება ზიანის სერიოზული რისკი.

### 3.3. ინტერვენციები დანაშაულის განმეორებით ჩადენის შესამცირებლად

არსებობს მრავალი სხვადასხვა ფსიქოლოგიური მეთოდი და ტექნიკა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სერიოზული ზიანისა და განმეორებითი დანაშაულის ალბათობის შემცირებაში მსჯავრდებულთა დასახმარებლად. ასეთებია: კოგნიტურ-ქცევითი თერაპიები, ქცევის მოდიფიკაციის ტექნიკები, რეციდივის პრევენცია, კოგნიტური უნარების ტრენინგი, ნეიროლინგვისტური პროგრამირება, სოციალური უნარების ტრენინგი, ფსიქოდინამიკური მიდგომები, სტრუქტურირებული ფსიქოთერაპია, რელაქსაციისა და ცნობიერების ფოკუსირების ტექნიკები. ამ მეთოდების უმეტესობა თავდაპირველად ბენეფიციართა სხვა ჯგუფებთან მომუშავე ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს, მაგრამ მათ წარმატებით იყენებენ მსჯავარდებულებთან მიმართებითაც.

მეტაანალიტიკურ მიმოხილვებში, რომლებიც სისტემატურად შეისწავლის კვლევით ლიტერატურას, შემოთავაზებულია ფსიქოლოგიური ინტერვენციები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობს მსჯავრდებულებში დანაშაულებრივი ქცევის შემცირების კუთხით. ისინი სხვადასხვა მახასიათებლით გამოირჩევიან: მათ აქვთ მყარი თეორიული საფუძველი; ისინი პირდაპირ მიემართება მსჯავრდებულთა დანაშაულებრივ ქცევას; მორგებულია ბენეფიციარის საჭიროებებზე; ეხმარება მსჯავრდებულს ახალი უნარების შეძენაში, რაც მას განსხვავებულად ფიქრისა და ქცევის შესაძლებლობას აძლევს; საკმარისად ინტენსიურია და იძლევა თანდათანობითი პრაქტიკის, ათვისებისა და რეფლექსიის შესაძლებლობას; მოიცავს სამოტივაციო კომპონენტებს; მათში ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე შეფასება და უკუკავშირი პროგრესის მონიტორინგისთვის და, საჭიროებისამებრ, ინტერვენციის შესაცვლელად.

კოგნიტურ-ბიჰევიორულ მიდგომებს ყველაზე მყარი მტკიცებულებითი საფუძველი გააჩნია იმ ინტერვენციათა ტიპებს შორის, რომლებიც, როგორც ნაჩვენებია, ყველაზე ეფექტიანია დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირების თვალსაზრისით. ასევე ეფექტიანია კოგნიტური უნარების ტრენინგი და ინტერპერსონალური უნარების განვითარება, რაც ზრდის თვითეფექტიანობასა და გამძლეობას. ფსიქოთერაპია, რომელიც ძირითადად ცნობიერების ამაღლებას ან გააზრების უნარის გაძლიერებას ისახავს მიზნად, შეიძლება სასარგებლო იყოს ცვლილებების პროცესში მსჯავრდებულთა წინსვლის ხელშესაწყობად, მაგრამ ის იშვიათადაა საკმარისი განმეორებითი დანაშაულის შესამცირებლად.

სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ფსიქოლოგიური ინტერვენციების ორგანიზება სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი. ფსიქოლოგებმა შეიძლება იმუშაონ პირდაპირ მსჯავრდებულებთან - ინდივიდუალურად ან ისეთ ჯგუფებში, რომელთა წევრებსაც მსგავსი რისკები და საჭიროებები აქვთ. მათ ასევე შეიძლება ორგანიზება გაუწიონ ინტერვენციას მესამე მხარის ჩართულობით - მაგალითად, პრობაციის სისტემის სხვა თანამშრომლების მონაწილეობით - ან, ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით, არასრულწლოვნების შემთხვევაში), იმუშაონ მშობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან და სათანადო სრულწლოვნებთან ერთად. მუშაობის თითოეულ ამ მეთოდს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მსჯავრდებულებთან ინდივიდუალურად მუშაობა ნამდვილად საუკეთესო საშუალებაა ბენეფიციართან თერაპიული ალიანსის შესაქმნელად, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მრავალი სახის ფსიქოლოგიური ინტერვენციისთვის. ფსიქოლოგს შეუძლია ბენეფიციარი დაარწმუნოს კონფიდენციალურობაში, აღუძრას მისადმი ნდობა, ხელი შეუწყოს მეტი ინფორმაციის გაზიარებას და გააუმჯობესოს მოტივაცია. ფსიქოლოგის ინტერვენციათა უმეტესობა მოიცავს გარკვეულ ინდივიდუალურ მუშაობას როგორც დასაწყისში, შემთხვევის ფორმულირების ფაზაში, ისე შეფასებისა და შემდგომ ეტაპებზე - მაშინაც კი, როდესაც რეაბილიტაციის ძირითადი მეთოდი ჯგუფური მუშაობაა. ინდივიდუალური მუშაობის უარყოფითი მხარე ის გახლავთ, რომ ბენეფიციარი შეიძლება გახდეს ფსიქოლოგზე ზედმეტად დამოკიდებული, ან დროთა განმავლობაში სესიებმა დაკარგოს ფოკუსი კრიმინოგენურ საჭიროებებთან გამკლავებაზე. ამან შეიძლება გაართულოს ფსიქოლოგის მიერ ინტერვენციების წარმატებით დასრულება ან, იშვიათ შემთხვევებში, გავლენა მოახდინოს ფსიქოლოგის მიერ ბენეფიციარის შეფასების მიუკერძოებლობაზე. ამ პრობლემების თავიდან აცილების მთავარი მექანიზმია ფსიქოლოგების რეგულარული პროფესიული ზედამხედველობა და ინტერვენციის დაწყებისას ბენეფიციართან მკაფიო საზღვრების შეთანხმება.

ჯგუფურ მუშაობას აქვს აშკარა უპირატესობა დროის ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით (ერთდროულად რამდენიმე ბენეფიციარის რეაბილიტაცია, სესიის ერთ პირთან ჩატარების ნაცვლად). ზოგიერთი ტიპის თერაპიაში ჯგუფურ მუშაობას დამატებითი უპირატესობები აქვს - განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს ინტერპერსონალური უნარების სწავლებას. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება განხორციელდეს როლური თამაშები (რომლებიც საფუძვლად უდევს ბრაზის მართვისა და ასერტიულობის ბევრ ინტერვენციას) ინდივიდუალური მუშაობის ფორმატით. ჯგუფური მუშაობის სესიები ასევე შეიძლება ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდეს დანაშულის ჩადენის ხელშემწყობი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გამოსავლენად, ასევე მათი სისწორის ეჭვს ქვეშ დასაყენებლად. ხშირად ჯგუფის წევრებს შეუძლიათ თავიანთ თანატოლებში ამოიცნონ ეგოისტური აზროვნება (self-serving cognition), ასევე ქცევა, როცა მსჯავრდებული ქმედებას არაჯეროვნად მიაწერს სხვა პირებს - მაშინაც კი, როდესაც საკუთარი აზროვნების პროცესის მიმართ არ აქვთ ასეთივე კრიტიკული მიდგომა. ჯგუფური მუშაობა ყველაზე ეფექტიანია, როცა მსჯავრდებულებს მსგავსი ტიპის დანაშაული აქვთ ჩადენილი. მაგალითად, ჯგუფური მუშაობა ხშირად სასარგებლო ელემენტია ისეთ პირთა მკურნალობის პროცესში, როგორებიც არიან სექსუალური დამნაშავენი, ასევე მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ან სხვა ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი პირები. იგი ასევე ეფექტიანად გამოიყენება მრავალი სხვა ისეთი ჯგუფის დამნაშავეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შესაცვლელად, როგორებიც არიან მძღოლები, რომლებიც მსჯავრდებულები არიან სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართვის ან სიჩქარის გადაჭარბების გამო; სიძულვილის დანაშაულში მონაწილე პირები; ასევე პიროვნული აშლილობის მქონე დამნაშავეები. ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები სამი სახისაა: პირველი სახეობა ორგანიზაციული გახლავთ. შეიძლება რთული აღმოჩნდეს მსჯავრდებულთა სწორ დროს სწორად შერჩევა შეკრული ჯგუფის შესაქმნელად, რომ აღარაფერი ვთქვათ სესიების განრიგის შედგენასა

და შესაფერისი ადგილის მოძებნაზე; მეორეც, ბევრი დამნაშავე ორჭოფობს მონაწილეობაზე და ჯგუფური მუშაობის პროგრამის დატოვების მაჩვენებელი შეიძლება ძალიან მაღალი იყოს; ზოგიერთმა დამნაშავემ კი შეიძლება ცადოს ჯგუფში „დამალვა“ და, მიუხედავად იმისა, რომ სესიას ფიზიკურად ესწრება, არ ჩაერთოს მუშაობაში; მესამე, ჯგუფური მუშაობა დიდი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს თანამშრომლებისგან და შეიძლება პრობლემად იქცეს პერსონალის გადაწვა. ჯგუფურ მუშაობაში ჩართულ თანამშრომლებს ტრენინგის გზით გამომუშავებული უნდა ჰქონდეთ სწორი უნარები და უნდა იღებდნენ სრულ მხარდაჭერას თავიანთ სამუშაო პროცესში.

მსჯავრდებულთა სხვადასხვა გზით შეცვლის მიზნებისათვის ფსიქოლოგებმა შეიძლება იმუშაონ დისტანციურად, მესამე პირების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს სოციალურ მუშაკებთან ან სხვა პერსონალთან უკუკავშირს, მსჯავრდებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და ერთმანეთისთვის გაზიარებას შემთხვევასთან დაკავშირებული კონფერენციის ფარგლებში. სხვა შემთხვევებში, ეს შეიძლება გულისხმობდეს პერსონალისთვის რჩევის მიცემას ფსიქოლოგიური მიდგომებისა და სტრატეგიების გამოყენების თაობაზე შემდეგი მიზნებისთვის: მოტივაციის ამაღლება, ან კონკრეტული კოგნიტური დარღვევების ან ემოციური პრობლემის გადაჭრა, რომლებიც აბრკოლებენ რეაბილიტაციას. ევროპული გამოცდილებით, ფსიქოლოგი უფრო აქტიურად ერთვება სამუშაო პროცესში, თუ იგი პასუხისმგებელია იმ კურსის შემუშავებაზე, რომელიც მსჯავრდებულთან უკვე მომუშავე სხვა თანამშრომელმა (ფასილიტატორმა, მაგ., სოციალურმა მუშაკმა) უნდა ჩაატაროს. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგი და ფასილიტატორი ერთობლივად განსაზღვრავენ გადასაჭრელ ფსიქოლოგიურ პრობლემასა და სასურველ შედეგს. შემდეგ ფსიქოლოგი განიხილავს რეაბილიტაციის საუკეთესო კურსს და შეიმუშავებს ინტერვენციის მეთოდს ფასილიტატორთან ერთობლივი განხილვის საფუძველზე.

ფასილიტატორი ჩაატარებს ინტერვენციას და უკუკავშირის პროცესში გაუზიარებს ფსიქოლოგს ინფორმაციას მიღწეული შედეგების შესახებ. ინტერვენცია დაკორექტირდება მისი დამნაშავისათვის სარგებლიანობის გათვალისწინებით, ასევე იმის მიხედვით, რამდენად სრულად იქნა მიღწეული სასურველი შედეგი. მუშაობის ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად: თუ ბენეფიციარი ცხოვრობს მოშორებულ რეგიონში, სადაც ფსიქოლოგის მომსახურება ადგილობრივად არ არის ხელმისაწვდომი; თუ დამნაშავე არ ფლობს ქართულ ენას და სამუშაო უნდა წარიმართოს თანამშრომლის შუამავლობით, რომელიც საუბრობს მსჯავრდებულის ენაზე; ან თუ დამნაშავემ უკვე დაამყარა კარგი თერაპიული კავშირი „ფასილიტატორთან“ და ამ ურთიერთობის შენარჩუნება უფრო ეფექტიანია და სასურველი. ამ მოდელის მთავარი ნაკლი ის გახლავთ, რომ მესამე მხარის შუამავლობით მუშაობა ნიშნავს, რომ წარმოიშობა ინტერპრეტაციისა და დაყოვნების პრობლემები. ფსიქოლოგიური თერაპიები ხშირად ეყრდნობა ბენეფიციარის შეხედულებებისა და ემოციების კარგად გააზრებას, რაც, ჩვეულებრივ, მიიღწევა ბენეფიციართან პირდაპირი კომუნიკაციით. შესაბამისად, ამ პროცესში მესამე მხარის მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დამახინჯება ან გაუგებრობა.

მსჯავრდებულთან მუშაობისას, მის პიროვნებაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად, ფსიქოლოგმა შეიძლება გამოიყენოს ოჯახის სხვა წევრების ან

მეგობრების მხარდაჭერა. როგორც უკვე ითქვა, სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული ხშირად უკეთ იმუშავებს არასრულწლოვნების შემთხვევაში, როცა ოჯახის წევრებს, ბუნებრივია, აქვთ გარკვეული პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი მათთან მიმართებით; თუმცა ის შეიძლება სარგებლიანი იყოს სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის დროსაც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანხმობას განაცხადებენ პროცესში სხვათა ჩართვაზე. ერთ-ერთი მოდელით, ფსიქოლოგი ოჯახს უხსნის სამუშაოს, რომელსაც ასრულებს მსჯავრდებულთან მიმართებით, და სთხოვს მათ, სესიებს შორის დაეხმარონ მსჯავრდებულს ქცევის ან აზროვნების ახალშესწავლილი გზების პრაქტიკულად გამოცდაში. მაგალითად, მათ შეუძლიათ პოზიტიური ქცევის განმტკიცება და შექება ან მსჯავრდებულისათვის იმის შეხსენება, თუ რის მიღწევას ცდილობს იგი, რამაც შეიძლება გაზარდოს მისი მოტივაცია. ეს ძალზე შედეგიანია, როდესაც პირი ცდილობს თერაპიის სესიებზე (მაგალითად, ასერტიულობის ან ემოციური კონტროლის ტრენინგზე) ნასწავლი ახალი უნარების განზოგადებას ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებით. უფრო ინტენსიური მოდელია, როცა ფსიქოლოგი ოჯახის წევრებს ან სხვა შესაბამის პირებს რთავს ინტერვენციის ზოგიერთი ასპექტის განხორციელების პროცესში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ამ უკანასკნელთა ქცევის ან რეაგირების ფორმების შეცვლას დამნაშავესთან მიმართებით. ინტერვენციებს ამ მეთოდების გამოყენებით დიდი ხანია იყენებენ ბავშვთა და საგანმანათლებლო სფეროს ფსიქოლოგები იმ არასრულწლოვნებთან მუშაობისას, რომლებსაც გამომწვევი ან დესტრუქციული ქცევა აქვთ.

### 3.4. ფსიქოლოგიური პრობლემების შეფასება და რეაბილიტაცია

პრობაციის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ბევრ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემა, რომლებიც შეიძლება არც უკავშირდებოდეს პირის დანაშაულებრივ ქცევას. ამ პრობლემებმა შეიძლება მავნე ზეგავლენა იქონიოს, ზოგადად, მის ცხოვრებაზე და შეიძლება მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცეს პირობითი მსჯავრის დასრულებისა და მისგან სარგებლის მიღების გზაზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში მსჯავრდებულებში ფსიქოლოგიური პრობლემების მაჩვენებლები გაცილებით მაღალია დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით. მსჯავრდებულებს უფრო ხშირად აქვთ შემდეგი პრობლემები: კლინიკური დეპრესია, დაბალი თვითშეფასება, დამოკიდებულებები, შფოთვა, პარანოიდული აზროვნება, კონტროლის გარეგანი „ლოკუსი“ (ნასწავლი უმწეობა), სუიციდური აზრები და თვითდაზიანება, ასევე ბევრი სხვა მოსაზღვრე პიროვნული აშლილობა. ქალ მსჯავრდებულებს ხშირად უფრო მეტი და რთული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ, ვიდრე მამაკაც მსჯავრდებულებს. ბევრ მსჯავრდებულს რთული ბავშვობა აქვს გამოვლილი და ამა თუ იმ სახის ძალადობის მსხვერპლიც ყოფილა, რაც ზოგიერთი ტრავმის მიზეზია; სხვების შემთხვევაში, მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური პრობლემები კიდევ უფრო გამწვავებულია იმ სამართლებრივი პროცესებით, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ.

სავსებით მიზანშეწონილია, რომ პრობაციის სისტემის ფსიქოლოგებმა შეაფასონ და იმუშაონ ასეთ მსჯავრდებულებთან მაშინაც კი, თუ ისინი არ არიან მაღალი რისკის კატეგორიაში და სამუშაო პირდაპირ არ უკავშირდება განმეორებითი დანაშაულის შემცირებას. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგის როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერ სხვა სფეროში მომუშავე კლინიკური ფსიქოლოგის ფუნქციის მსგავსია.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევებში ფსიქოლოგის ინტერვენციას ჰქონდეს გარკვეული სტრუქტურა. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ფსიქოლოგი მუშაობს მრავალდისციპლინური ჯგუფის ფარგლებში. ჩვეულებრივ, შემთხვევის მმართველი აკეთებს ფსიქოლოგთან მიმართვას, შემდეგ კი ფსიქოლოგი აფასებს ბენეფიციარის პრობლემებს და ამზადებს შემთხვევის ფორმულირებას. ამის შემდეგ ფსიქოლოგი ბენეფიციართან ათანხმებს, რა დონისა და ტიპის ფსიქოლოგიური ინტერვენციაა საჭირო. ინტერვენციის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების, ასევე მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთობლივი შედეგების შესახებ ანგარიშგების დროს მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული კლიენტის კონფიდენციალურობა. ასეთი პროტოკოლი უზრუნველყოფს, რომ ფსიქოლოგმა საკუთარი წვლილი შეიტანოს ბენეფიციარის შემთხვევის ერთობლივად მართვასა და მის რეაბილიტაციაში; ამ უკანასკნელთან ინტერვენციის გეგმის შეთანხმება კი უზრუნველყოფს, რომ ბენეფიციართან სესიები იყოს პრობლემაზე ფოკუსირებული და არ გადაიზარდოს უფრო ზოგადი მხარდაჭერის როლში.

### 3.5. კრიზისული ინტერვენციები

არსებობს სიტუაციები, როდესაც ფსიქოლოგებს მოეთხოვებათ სწრაფი რეაგირება ბენეფიციარის კრიზისული სიტუაციიდან გამოსაყვანად, მაგალითად, თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების მყისიერი საფრთხის არსებობა, სხვა სახის იმპულსური ქმედება, პანიკის მწვავე შეტევა და დისტრესი. ასეთ შემთხვევებში უმთავრესია ბენეფიციარისა და სხვათა უსაფრთხოების დაცვა. ფსიქოლოგები უნდა იყვნენ საკმარისად მომზადებულნი, კომპეტენტურნი და მოქნილნი ასეთ სიტუაციებში ფსიქოლოგიური ტექნიკების გამოყენებით რეაგირებისათვის, რათა ჩაწყნარდეს სიტუაცია და აღდგეს წონასწორობა. ფსიქოლოგის მიერ სპეციფიკური ინტერვენციის ტექნიკის შერჩევა დამოკიდებულია კრიზისის ხასიათზე, მოვლენის ფონსა და ბენეფიციარის რესურსებზე. ხშირად გამოყენებული ტექნიკებია: აფექტური ინტერვენცია (მაგ., ეხმარება ბენეფიციარს კრიზისის შედეგად წარმოქმნილი გრძნობების გამოხატვაში), კოგნიტური ინტერვენცია (მაგ., ეხმარება ბენეფიციარს, აღმოფხვრას უარყოფითი შეხედულებები, რომლებმაც ხელი შეუწყო კრიზისს), ქცევითი ამოცანები (მაგ., ბენეფიციარს მოეთხოვება, მეტი დრო გაატაროს სხვა ადამიანებთან) და გარემოთი მანიპულირება (მაგ., ხდება ბენეფიციარის გადამისამართება უწყებაში, რომელიც პრობლემების შემსუბუქებაში დაეხმარება მას). სხვა ტიპის ინტერვენციების მსგავსად, კრიზისის დროს ფსიქოლოგების მოქმედება სიტუაციაზე მულტიდისციპლინური რეაგირების ნაწილია.

## 4. საქართველოს კონტექსტის მახასიათებლები

### 4.1. სოციალური მუშაობის, როგორც ახლადჩამოყალიბებული პროფესიის, განვითარების გზა საქართველოში

საქართველოში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სოციალური მუშაკების როლის აღიარება. სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ბავშვთა კეთილდღეობის, პრობაციისა და სასჯელაღსრულების, ჯანდაცვის, განათლების, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის სფეროებში იბრძვიან სირთულეების გადასალახავად და მათი ცხოვრებისეული პერსპექტივების რეალიზებისთვის. სოციალური მუშაკებისა და მათი ბენეფიციარების ასეთი ძალისხმევა კიდევ უფრო გართულებულია ეკონომიკური კრიზისის, სიღარიბისა და უთანასწორობის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა ახლადჩამოყალიბებული პროფესიაა. იგი განვითარდა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად. საბჭოთა კავშირის დაშლამ შედეგად მოიტანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის რღვევა. საერთაშორისო კონტექსტში სოციალური მუშაობა სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე აღმოცენდა და, ამ მხრივ, არც ქართული რეალობა წარმოადგენს გამონაკლისს. 1990-იანი წლების მიწურულს არასამთავრობო სექტორმა საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიწყო სოციალური მუშაობის ცნების დანერგვა. სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარების მიმართულებით პიონერია ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სფერო. სწორედ ბავშვზე ზრუნვის სისტემის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში მოხდა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა და ბავშვებსა და ოჯახებთან სოციალური მუშაობის პილოტირება და განვითარება. 2004 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიის განვითარებაში. 2006 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამები სოციალურ მუშაობაში. სოციალური მუშაობა ნელ-ნელა ვითარდება სხვადასხვა სფეროში და განსხვავებულ მიზნობრივ ჯგუფებთან. რაც შეეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს, აქაც სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დაიწყო სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა 2009 წლიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში; ხოლო 2012 წლიდან პოლიტიკის დღის წესრიგში მოექცა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულება სასჯელაღსრულების სფეროში, რის შემდეგაც სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარების მნიშვნელობის აღიარება გარდაუვალი გახდა.

საქართველო აღიარებს საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სისხლის სამართლის სფეროში სარეაბილიტაციო მიდგომების დამკვიდრებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, შექმნას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველო, როგორც გაეროსა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, ისწრაფვის, სრულად გაითვალისწინოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნების მიერ აღიარებული რეკომენდაციები პატიმრობის აღსრულების, პრობაციის, ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის მომზადებისა და დაცვის შესახებ. ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სოციალური მუშაობის ინტეგრირება ამ სფეროში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში აქტიურად ხდება სოციალური მუშაკის როლის გააზრება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. სოციალური მუშაობის როლი უმნიშვნელოვანესია მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანია განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. თუმცა აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში გამოწვევებით აღსავსე პროცესია, რადგან ამ ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა სისტემის ჰუმანიზაცია, ხოლო სისტემაში არსებული მძიმე ტრადიციებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რთულად ხდება სოცია-

ლური მუშაობის პროფესიული მანდატის გათავისება და მისთვის კუთვნილი ადგილის მინიჭება პროფესიული ღირებულებებისა და პრინციპების დაცვით.

### 4.2. პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები საქართველოს პრობაციის სისტემაში

პრობაციის სფეროში პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ძირითადი საქმიანობის სფეროა პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდებულთათვის კონტროლისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით.

პრობაციის სისტემაში პრობაციის ოფიცერი არის წამყვანი სპეციალისტი, რომლის მთავარი ფუნქციაა ზრდასრული პირობით მსჯავრდებულის შემთხვევის მართვა, ხოლო სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი კი არიან სპეციალისტები, რომლებიც დამატებით მუშაობენ საშუალო და მაღალი რისკის სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან და მათი, როგორც სპეციალისტების, როლი ამ ჯგუფის ბენეფიციარების რისკებისა და საჭიროებების სიღრმისეული შეფასება და მათი რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელებაა. ამ მიდგომის მთავარი მახასიათებელია დამატებითი რესურსის გამოყენება იქ, სადაც დიდია რისკი; რაც უფრო მაღალია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა და ზიანის რისკი, მით უფრო მეტი ძალისხმევაა გასაღები პრობაციის გუნდის მიერ (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი) ამ პირთა კონტროლისა და რეაბილიტაციის მიმართულებით. პრობაციის ოფიცერი მუშაობს ყველა კატეგორიის ზრდასრულ პირობით მსჯავრდებულთან (დაბალი, საშუალო და მაღალი რისკი), საშუალო რისკის შემთხვევისას საქმის წარმართვაში იგი რთავს სოციალურ მუშაკს, ხოლო მაღალი რისკის ბენეფიციარებთან კი - ფსიქოლოგს. ამ პროცესში პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ერთობლივ, მჭიდროდ კოორდინირებულ, თანამიმდევრულ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები ჯერჯერობით არ მუშაობენ ყველა რაიონულ ოფისში. ისინი დაქირავებულნი არიან პრობაციის ყველა რეგიონულ ბიუროში და მხოლოდ რამდენიმე რაიონულ ოფისში, სადაც დიდია საქმეთა რაოდენობა. ოფისებში, რომლებშიც არ ჰყავთ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, შემთხვევის მიმდინარეობის ყველა სტადიაზე წამყვანად პრობაციის ოფიცერი გვევლინება, ხოლო განსაკუთრებით მწვავე შემთხვევებში, ბიუროს უფროსთან შეთანხმებით, ერთვებიან შესაბამისი რეგიონული ბიუროს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. სრულწლოვანი პრობაციონერების შემთხვევის მმართველები არიან პრობაციის ოფიცრები. პრობაციის ოფიცრები, საჭიროებიდან გამომდინარე, საქმის მიმდინარეობაში რთავენ სოციალურ მუშაკებს, კერძოდ მაშინ, როდესაც გამოიკვეთება: ზიანის რისკი (სხვებისა და საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების საფუძვლიანი ეჭვი); თავად მსჯავრდებულია ძალადობის მსხვერპლი; დამოკიდებულების (ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, აზარტული თამაშები) მწვავე შემთხვევა; თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პერიოდი; შეზღუდული შესაძლებლობა. რაც შეეხება არასრულწლოვან პრობაციონერებს, იმ რაიონებში, სადაც მუშაობენ სოციალური მუშაკები, ისინი თავადვე არიან შემთხვევის მენეჯერები, ხოლო სადაც არ არიან სოციალური მუშაკები, იქ ამ მოვალეობას პრობაციის ოფიცრები ასრულებენ. არასრულწლოვანი პრობაციონერების შემთხვევაშიც სოციალური

მუშაკების ჩართვა ხდება საჭიროებისამებრ, ზემოთ აღწერილ შემთხვევებში.

პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები გუნდური მუშაობის მიდგომების გამოყენებით, მსჯავრდებულთან გასაუბრებისა და სხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების გზით, აფასებენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას, ზიანის რისკს და, შესაბამისად, ინდივიდუალურად უდგენენ მას სასჯელის მოხდის გეგმას. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა ითვალისწინებს რისკფაქტორების შემცირებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებშიც პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია პრობლემური საკითხები და რეაგირების ზომები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პრობაციის ოფიცერსა და პრობაციონერს შორის დადებულ შეთანხმებას, რომლის შესრულებაზეც ორივე მხარე ხელმოწერით კისრულობს პასუხისმგებლობას. აღნიშნული გეგმის მიხედვით პრობაციის ოფიცერი და სოციალური მუშაკი მსჯავრდებულებს აკავშირებენ სხვადასხვა სერვისთან, ასაქმებენ და რთავენ მათ სარეაბილიტაციო პროგრამებში.

სარეაბილიტაციო პროგრამების განმახორციელებლები არიან სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. ეს სპეციალისტები, ძირითადად, ერთობლივად მუშაობენ სხვადასხვა სარეაბლიტაციო პროგრამის განხორციელების პროცესში. სარეაბილიტაციო პროგრამები ორგანიზებულია ორი ძირითადი მიმართულებით: დანაშაულზე ფოკუსირებული პროგრამები (მაგ., ოჯახში მოძალადეთათვის) და ზოგადი კოგნიტურ-ფსიქოსოციალური უნარების განვითარების პროგრამები (მაგ.: ბრაზის მართვა, პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება და სხვა).

საჭიროების მიხედვით და გარკვეული პერიოდულობით (სულ ცოტა, ექვს თვეში ერთხელ) განმეორებით ხდება რისკფაქტორების ცვალებადობის შეფასება და, ახალ გარემოებათა გათვალისწინებით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გადახედვა და შეცვლა. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ამ მეთოდოლოგიით მუშაობა ტარდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვნების, ქალთა კონტინგენტისა და თავისუფლების აღკვეთის შემდგომი საპრობაციო ვადადანიშნული პირების 100%-ის, ასევე სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა დაახლოებით 75%-ის მიმართ (საშუალო და მაღალი რისკის პირები).

### 5. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენინგის სესიები პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დანიშნულებისა და როლის შესახებ სასურველია თეორიული ნაწილითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით იყოს დაბალანსებული.

ქვემოთ მოცემულია ის მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები, რის მიღწევასაც უნდა ემსახურებოდეს შესაბამისი სატრენინგო პროგრამა და მასში შემავალი პრაქტიკული სავარჯიშოები:

- რისკის კონცეფციის გააზრება და რისკის განსაზღვრის მნიშვნელობის გაცნობირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის ცოდნა;
- რეაბილიტაციის კონცეფციის გააზრება;
- რეაბილიტაციისა და კონტროლის მექანიზმებს შორის ბალანსის გააზრება;
- სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, პრობაციის ოფიცრის მანდატების სპეციფიკის ცოდნა;

- პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობის გაცნობირება და მათი გუნდური მუშაობის სპეციფიკის ცოდნა;
- სხვადასხვა უწყებასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობის გააზრება და ამ ტიპის თანამშრომლობის მახასიათებლების ცოდნა.

ცნობილია, რომ სატრენინგო სესიების დროს მონაწილეთა მიერ განხილული თემების საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება ეხმარება მათ საკითხების გაცნობიერებაში. შესაბამისად, მასალის ათვისებას მნიშვნელოვნად გააადვილებს ტრენერის მიერ  პროცესის ისე წარმართვა, რომ ტრენინგის მონაწილენი წახალისებულ იქნენ, მოიყვანონ ანალოგიური მაგალითები საკუთარი სამუშაო გამოცდილებიდან და გაავლონ რელევანტური პარალელები განხილულ თემებთან მიმართებით.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა


- *ბერნჰარდტი ე., ბაროუზი რ.  და სხვა ავტორები,* სახელმღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
- Good Practice Guidelines on the Use of Psychological Formulation; Division of Clinical Psychology, British Psychological Society, 2011.
- Code for Good Practice in Psychological Testing; BPS Psychological Testing Centre, British Psychological Society, 2002, <www.Psychtesting.org.uk>
- Psychology in Probation Services, *Eds: Creighton D.* and *Towl G.* The British Psychological Society and Blackwell Publishing Ltd, 2005.
- *Fortune C. A.* and *Heffmann R.,* The Psychology of Criminal Conduct: A Consideration of Strengths, Weaknesses and Future Directions; Psychology, Crime and Law, 25:6, 659-674, 2018. DOI: 10.1080/1068316X.2018.1560445.
- *Milkman H.* and *Wanberg K.,* Cognitive-Behavioral Treatment: A Review and Discussion for Correction Professionals; Washington, DC: U.S. Department of Justice, National Institute of Corrections, 2007.
- *Ramsden J., Joyes E., Gordon N. et al,* How Working with Psychologists Has Influenced Probation Practice: Attempting to Capture Some of the Impact and the Learning from the Offender Personality Disorder Pathway Project; Probation Journal, Sage Publishing, 2016, <https://doi.org/10.1177/0264550515620694>
- *Yoon I. A., Slade K., & Fazel S.,* Outcomes of Psychological Therapies for Prisoners with Mental Health Problems: A Systematic Review and Meta-Analysis, Journal of Consulting and Clinical Psychology, 85(8), 783-802, 2017, <http://dx.doi.org/10.1037/ccp0000214>
- *McGuire J. (Ed.)*, What Works: Reducing Reoffending: Guidelines from Research and Practice, John Wiley & Sons, 1995.
- Transforming Rehabilitation: A Summary of Evidence on Reducing Reoffending; Ministry of Justice, UK, 2013.

- Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to Member States on the Council of Europe Probation Rules.
- Recommendation No. R (97) 12 of the Committee of Ministers to Member States on Staff Concerned with the Implementation of Sanctions or Measures.
- Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures.
- Council of Europe Committee of Ministers Recommendation Rec(2000)20 to Member States on the Role of Early Psychosocial Intervention in the Prevention of Criminality.
- CoE Guidelines Regarding Recruitment, Selection, Education, Training and Professional Development of Prison and Probation Staff, <https://rm.coe.int/guidelines-training-staff/1680943aad>


## 7. რეკომენდებული ლიტერატურა


- *ბერნჰარდტი ე., ბაროუზი რ. და სხვა ავტორები*, სახელმღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
- Good Practice Guidelines on the Use of Psychological Formulation; Division of Clinical Psychology, British Psychological Society, 2011.
- *McGuire J. (Ed.)*, What Works: Reducing Reoffending: Guidelines from Research and Practice, John Wiley & Sons, 1995.

# თავი VII. რისკის შეფასება და მართვა დანაშაულის განმეორებით ჩადენის შესამცირებლად

ავტორები: *დენიელ კლარკი / რანდელ ბაროუზი / სალომე ნამიჭეიშვილი*

## 1. შესავალი

მე-18 საუკუნემდე რისკი არსებითად ნეიტრალური კონცეფცია გახლდათ, რომელიც შემუშავებული იყო აზარტულ თამაშებში შანსების აღსაწერად. შემდგომში რისკის კონცეფცია სადაზღვევო სამყაროში, განსაკუთრებით გადაზიდვებზე, და ბიზნესის უფრო ფართო სფეროებზეც გავრცელდა. ამ თვალსაზრისით, რისკი არის გაანგარიშება - მოვლენის ალბათობა, შერწყმული იმ ზარალის ან მოგების სიდიდესთან, რაც შესაძლოა რისკის განხორციელებამ გამოიწვიოს. მეოცე საუკუნის ბოლოს „რისკმა“ შეიძინა უფრო ფართო მნიშვნელობა და აგრეთვე მოიცვა რაიმე ცუდის მოხდენის საფრთხის ან ალბათობის მნიშვნელობა. თანამედროვე პერიოდში „რისკის მატებამ“ ხელი შეუწყო იმ კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის შექმნას, რაც განაპირობებს ცხოვრების მრავალ ასპექტში რისკის შეფასების როლის ზრდას. საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემებში შემუშავდა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა აქტუარული (actuarial) რისკის შეფასებები. ასეთი შეფასებებით განისაზღვრება ან მათ ეფუძნება სხვადასხვა აღმასრულებელი გადაწყვეტილება, რომლებიც შეეხება რეჟიმს, გათავისუფლებას, შეზღუდვას ან ინტერვენციის ხარისხს, ასევე ციხეში დაბრუნებას. მსჯავრდებულები, რომლებიც შეფასებულნი არიან, როგორც მაღალი რიკის ან პოტენციურად საშიში მსჯავრდებულები, ექვემდებარებიან კონტროლის დამატებით ზომებს პენიტენციურ დაწესებულებასა და საზოგადოებაში.

ამ თავის მიზანია, გააცნოს მკითხველს ის თეორიული და პოლიტიკასთან დაკავშირებული კონტექსტი, რაც თან ახლავს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ბოლო პერიოდში დანერგილ და განვითარებულ რისკის შეფასების გაუმჯობესებულ ინსტრუმენტებსა და მსჯავრდებულთა მართვის უფრო მეტად რისკზე ორიენტირებულ მიდგომას. „დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირების“ ამოცანა დასახულია 2018 წლის იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული სტრატეგიითა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმებით. შემუშავებულ იქნა ან დამუშავების პროცესშია რისკის შეფასების მთელი რიგი ინსტრუმენტები, თუმცა მათი მდგრადი და წარმატებით განხორციელება პროფესიონალურ დონეზე მოითხოვს აქტიურ ინსტიტუციურ მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა საჭიროებს რისკის შეფასების ინსტრუმენტების მიზნის, უპირატესობების, გამოყენებისა და შეზღუდვების გააზრებას პერსონალის ფართო სპექტრის მიერ: იმ პირების მიერ, ვინც რეალურად გამოიყენებს აღნიშნულ ინსტრუმენტებს, ასევე უფროსი და ადგილობრივი მენეჯერებისა და პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომლების მიერ.

დღესდღეობით რისკის შეფასება და რისკის მართვა მრავალი ქვეყნის

მართლმსაჯულების სისტემის იმ ნაწილების (კერძოდ, პენიტენციური და პრობაციის სისტემების) წამყვანი პროცესებია, რომლებიც მსჯავრდებულთა დასჯას, თავისუფლების აღკვეთას, ზედამხედველობას ან/და რეაბილიტაციას ემსახურება. სისხლის სამართლის კოდექსები, ჩვეულებრივ, სასჯელის მიზნად მოიაზრებენ დანაშაულისთვის დასჯას, საზოგადოების დაცვასა და სხვა მოქალაქეთა მიერ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავებას.

საპატიმრო სასჯელები და თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა ნაწილობრივ იცავს საზოგადოებას გარკვეული დროის განმავლობაში, რამდენადაც ამ დროს მცირდება მსჯავრდებულის მიერ შემდგომი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობები. რისკზე და, განსაკუთრებით, მიზანმიმართული სარეაბილიტაციო ზომების საშუალებით რისკის შემცირებაზე ფოკუსირებით შესაძლებელია საზოგადოების დაცვის ეფექტის გახანგრძლივება პატიმრობისა თუ სხვაგვარი შეზღუდვების დასრულების შემდგომაც.

ამრიგად, პენიტენციური დაწესებულების ან პრობაციის პირობებში დამნაშავეთა რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავს კრიმინალურ საქმიანობაში მათი მონაწილეობის რისკის შემცირებას. მართლაც, სარეაბილიტაციო ინტერვენციის წარმატება, როგორც წესი, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ამცირებს იგი დანაშაულის განმეორებით ჩადენის სიხშირეს. შესაბამისად, არსებული რისკების დონისა და ტიპის, ასევე მათი შეფასებისა და მართვის ცოდნა აუცილებელია მსჯავრდებულთა სამართავად, მსჯავრდების/სასჯელის განსაზღვრის და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, ასევე პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა თუ პრობაციის სააგენტოს მიერ ზედამხედველობის დონის განსასაზღვრად. იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი განხორციელდეს ეფექტიანად და თანამიმდევრულად, უნდა არსებობდეს *რისკის მკაფიო განმარტება, რისკის შეფასების ობიექტური საშუალება,* ასევე სათანადოდ გააზრებული უნდა იქნეს ის, თუ როგორ ხდება *იდენტიფიცირებული რისკების მართვა და გაუმჯობესება.*

## 2. რისკის განმარტება

რისკი შესაძლებელია განიმარტოს, როგორც საფრთხის ან სხვა უარყოფითი შედეგის დადგომის ალბათობა ან შესაძლებლობა. რისკი არ არის ერთმნიშვნელოვანი კონსტრუქცია. ერთი პირი შესაძლოა დაექვემდებაროს მრავალ სხვადასხვა ტიპის რისკს, როგორებიცაა ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევის, თვითმკვლელობის, ფინანსური და სხვა ტიპის რისკები. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში აუცილებელია შეფასდეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა ურთიერთდამოკიდებული რისკის ელემენტი, რომელთა წინაშეც დგას მსჯავრდებული: როგორია ალბათობა იმისა, რომ მსჯავრდებული განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს? და როგორია მსჯავრდებულის მიერ სხვისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკი?

დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა განისაზღვრება, როგორც *ალბათობა იმისა, რომ მომავალში მსჯავრდებულს შეეფარდება მსჯავრი რაიმე სხვა სისხლისსამართლებრივი დანაშულის ჩადენისათვის.* ეს შესაძლოა იყოს ნებისმიერი დანაშაული, იმისდა მიუხედავად, თუ რა ტიპის იქნება იგი. დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას შეიძლება მიენიჭოს გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა, რადგან იგი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ასევე შესაძლებელია, მსგავსი ტიპის მსჯავრდებულთა ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტენდენციები გაანგარიშდეს მათ კრიმინალურ ისტორიასა და დემოგრაფიულ მონაცემებზე

დაყრდნობით. დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის გამოთვლა და აღნიშვნა შესაძლებელია პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც მიუთითებს კონკრეტული ისტორიის მქონე მსჯავრდებულის მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ჩვეულებრივ, 12 ან 24 თვე) სხვა დანაშაულისთვის გასამართლების ალბათობაზე. გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს ჯგუფურ სტატისტიკას და არა თითოეული მსჯავრდებულის უპირობო პროგნოზს. შესაბამისად, თუ ხელახალი მსჯავრდების ალბათობის მაჩვენებლი მსგავსი დემოგრაფიული მონაცემებისა და დანაშულის პროფილის მქონე მსჯავრდებულების ასკაციანი ჯგუფისთვის არის 70 პროცენტი, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ 100-დან 30 ადამიანი არ ჩაიდენს განმეორებით დანაშაულს. საჭიროა შემდგომი ინდივიდუალური შეფასების ჩატარება, რათა მოხდეს ამ ჯგუფში იმ პირების იდენტიფიცირება, თუ ვინ ჩაიდენს, ყველაზე დიდი ალბათობით, განმეორებით დანაშაულს და ვინ - არა. სწორედ ამიტომ, მხოლოდ დემოგრაფიულ მონაცემებსა და კრიმინალურ ისტორიაზე დაფუძნებული პროგნოზი არ არის საკმარისი. წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილავთ ინფორმაციის სხვა წყაროებსაც, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის პროგნოზირებისათვის, თუმცა მანამდე განვიხილავთ რისკთან დაკავშირებულ მეორე საკითხს: მნიშვნელოვან ზიანს.

მნიშვნელოვანი ზიანი განიმარტება, როგორც *სიცოცხლისთვის საშიში ან/და ტრავმული ძალადობრივი ან სექსუალური ხასიათის ქცევა, რომლისგანაც ფსიქოლოგიური ან ფიზიკური რეაბილიტაცია, გონივრული მოლოდინით, რთული ან შეუძლებელი იქნება.*

დანაშაული, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს, მოიცავს ძალადობის მაღალი ხარისხის შემცველ დანაშაულებს, სექსუალური ხასიათის დანაშაულებს, ბავშვებისა და მოწყვლადი პირების წინააღმდეგ დანაშაულებს, და რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებს, მაგალითად, ტერორისტული შეტევა. ინდივიდის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონე არ შეიძლება გამოითვალოს აქტუარული მეთოდებით ან ალგორითმის გამოყენებით. ეს იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევები შედარებით იშვიათია და, შესაბამისად, არ ემორჩილება სტატისტიკურ პროგნოზირებას. დამნაშავეთა უმეტესობა, რომელთაგანაც მომდინარეობს მნიშვნელოვანი ზიანის რისკი, საშიშია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში. ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკის ქვეშ მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებს აყენებს. მაგალითად, პედოფილები რისკს უქმნიან ბავშვებს, ოჯახური ძალადობის ჩამდენი დამნაშავეები კი - თავიანთ ინტიმურ პარტნიორებს ან ოჯახის წევრებს. დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისაგან განსხვავებით, რომელიც შედარებით სტაბილური მაჩვენებელია და დროთა განმავლობაში ნელა იცვლება, დამნაშავის მიერ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკი შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს მისი შინაგანი მდგომარეობიდან და იმჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე. ამიტომ მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს განსხვავებული მეთოდოლოგია. ეს გულისხმობს დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხის, რისკის ქვეშ მყოფი პირებისა და იმ სავარაუდო გარემოებების იდენტიფიცირებას, რომელშიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანის განხორციელება.

დანაშულის განმეორებით ჩადენის ალბათობასა და ამგვარი განმეორებითი სამართალდარღვევის სავარაუდო გავლენას შორის ურთიერთდამოკიდებულება ნაჩვენებია 1-ელ დიაგრამაზე. დიაგრამაზე ჰორიზონტალური ღერძი ასახავს

დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას, მაღალი რისკიდან (მარცხნიდან) დაბალი რისკის (მარჯვნივ) მიმართულებით, ხოლო ვერტიკალური ღერძი მიუთითებს დანაშაულის ჩადენის რისკის დონეს და მიმართულია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების დაბალი პოტენციალიდან მაღალი პოტენციალისკენ. დიაგრამის ცენტრში არსებული მუქი სივრცე კი წარმოადგენს საშუალო რისკის ზონას ორივე განზომილების მიხედვით.

**დიაგრამა 1: ხელახალი მსჯავრდების ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პოტენციალის კომბინაცია**




ილუსტრირების მიზნით, დიაგრამაზე თითოეულ კვადრატში განთავსებულია ხუთი სტერეოტიპული დამნაშავე:

**დამნაშავე 1.** განმეორებითი ძალადობა მეუღლის მიმართ. ამ დამნაშავეს მსჯავრი შეეფარდა მისი მეუღლისა და ყოფილი პარტნიორების მიმართ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულის გამო. შესაბამისად, იგი ექცევა მაღალი რისკის კატეგორიაში როგორც დანაშაულის განმეორებით ჩადენის, ისე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკის შექმნის (განსაკუთრებით კი მისი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ) ალბათობის გათვალისწინებით.

**დამნაშავე 2.** მკვლელობის მცდელობა. დამნაშავე, რომელსაც ჩადენილი აქვს ერთი ძალიან სერიოზული ძალადობის შემცველი დანაშაული, აუცილებლად ქმნის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკს. თუმცა, თუ ეს არის დამნაშავის მხოლოდ ერთი მსჯავრდება და სხვა ძალადობის ან კრიმინალური ქცევის მტკიცებულება არ არსებობს, იგი განმეორებითი მსჯავრდების დაბალი რისკის ქვეშ იქნება. იგი

მოთავსდება დიაგრამის ზედა მარჯვენა კვადრატში, რომელიც მნიშვნელოვანი ზიანის მაღალ რისკს, მაგრამ დანაშაულის განმეორებით ჩადენის მცირე ალბათობას წარმოადგენს.

**დამნაშავე 3.** პროფესიონალი ქურდი, მაგალითად, ჯიბის ქურდი, რომელსაც არ გააჩნია სხვა შემოსავალი და წარსულში მრავალჯერ არის ნასამართლევი, დიდი ალბათობით, განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, ამიტომ იგი მოთავსებულია დიაგრამის მარცხენა მხარეს. თუმცა არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ მომავალი დანაშაულები მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იქნება, შესაბამისად, იგი დიაგრამის ქვედა ნახევარშია მოქცეული (შესაბამისად, ქვედა მარცხენა კვადრატი).

**დამნაშავე 4.** ის, ვინც ნასამართლევია დამსაქმებლისთვის რაიმეს მოპარვის გამო და მანამდე არ ჰქონია არავითარი დანაშაულებრივი წარსული, არ ქმნის მნიშვნელოვანი ზიანის რისკს; ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს. შესაბამისად, ასეთი დამნაშავე მოქცეულია დიაგრამის ქვედა მარჯვენა კვადრატში.

**დამნაშავე 5.** ახალგაზრდა, რომელიც ნასამართლევია ძალადობის მუქარით ფულის გამოძალვისთვის და ასევე ნასამართლევია წარსულშიც, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენის საშუალო რისკის ქვეშაა და აგრეთვე ქმნის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საშუალო რისკს. იგი მოთავსებულია დიაგრამის ცენტრთან, „საშუალო რისკის“ შეფერადებულ სივრცეში, ხოლო ძალადობის ჩადენის შედარებით მაღალი პოტენციალის გამო, იგი მოხვდა ჰორიზონტალური ღერძის ზემოთ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზემოაღწერილი შემთხვევები მხოლოდ მაგალითადაა მოყვანილი  და დამნაშავეების განლაგება დიაგრამაზე მხოლოდ მწირ ინფორმაციას ეფუძნება. თითოეული მათგანის რისკის სრულმა შეფასებამ შესაძლოა შეცვალოს მათი პოზიცია დიაგრამაზე. მაგალითად, მე-5 შემთხვევის სრული შეფასებისას, შეიძლება გამოიკვეთოს დამატებითი გარემოებები, როგორებიცაა ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც შესაძლოა მათ მიერ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პოტენციალი გაიზარდოს.

### 3. თეორიული პერსპექტივა

რისკის შეფასება მყარად უნდა ეფუძნებოდეს დანაშაულებრივი ქცევის თეორიულ გაგებას.  აშკარაა, რომ ზოგიერთ ინდივიდს აქვს მიდრეკილება დანაშაულებრივი ქცევის მიმართ. ეს ალბათ მემკვიდრეობითი თვისებებისა და ადრეული ცხოვრებისეული გამოცდილების კომბინაციის შედეგია. რა თქმა უნდა, პიროვნების ზოგი თვისება, რომელიც დაკავშირებულია  დანაშაულთან, როგორიცაა იმპულსურობა და მძაფრი შეგრძნებების ძიება, მემკვიდრეობითია; თუმცა დიდ ზეგავლენას ახდენს აგრეთვე ბავშვობის ადრეულ წლებში მიღებული გამოცდილება, განსაკუთრებით, ცუდი ან არათანამიმდევრული აღზრდის პრაქტიკა, რომელიც არ აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, განავითაროს სიამოვნების გადავადების უნარი და ემოციების ეფექტიანად მართვის უნარი.

რისკის შეფასების  თითქმის ყველა თანამედროვე მიდგომა ეფუძნება სოციალური დასწავლის თეორიას. აღნიშნული კარგად არის აღწერილი და შეჯამებული ბანდურას მიერ. სოციალური დასწავლის თეორია გულისხმობს, რომ კრიმინალური ქცევები, ისევე როგორც ადამიანის ყველა სხვა ქცევა, დროთა განმავლობაში ისწავლება, ჩვეულებრივ, სხვებზე დაკვირვებით. ინდივიდები ასრულებენ ისეთ ქცევას, რომელსაც, მათი დაკვირვებით, მოაქვს შედეგი. თუ ქცევის შესრულება წარმატებით უზრუნველყოფს ინდივიდის მიზნის მიღწევას, იგი განმტკიცდება

და გახდება ქცევითი „რეპერტუარის“ რეგულარული ნაწილი. ამისი მარტივი მაგალითია, როდესაც პატარა ბავშვი აკვირდება უფროსს ან უფროს ბავშვს, როდესაც ისინი აგრესიული ქმედებით აიძულებენ სხვებს დაემორჩილონ მათ ნებას. ხშირად პატარა ბავშვი მსგავს სიტუაციაში იმავე მიდგომას მიმართავს. ისინი მხოლოდ მაშინ შეწყვეტენ ამგარად მოქცევას, როდესაც თავდაპირველი ქცევა აღარ მოიტანს სასურველ შედეგს და მის ნაცვლად ისწავლიან ქცევის უფრო წარმატებულ მოდელს. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დასწავლის თეორია ვრცელდება არა მხოლოდ ფიზიკურ ქცევებზე, არამედ ფიქრისა და დამოკიდებულებების ჩვევებზეც, რასაც ასევე სხვებისგან სწავლობენ ადამიანები. მე-2 დიაგრამა ასახავს კრიმინალური ქცევისა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის ანალიზს სოციალური დასწავლის ჭრილში.

**დიაგრამა 2: დანაშაულებრივი ქცევის განვითარების ფსიქოსოციალური მოდელი**




სოციალური დასწავლის თეორიიდან გამომდინარე, რისკის შეფასების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ინდივიდის ამჟამინდელ ქცევებზე, უნარებსა და დამოკიდებულებებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოახდინოს მასზე გავლენა ამჟამინდელმა სოციალურმა სიტუაციამ. მაგალითად, გამოუსწორებელი ქურდი ალბათ ის არის, ვინც მოზარდობის ასაკში შეიტყო უფროსი თანატოლებისაგან, რომ ქურდობა არის ფულად სახსრებსა და საქონელზე იმწუთიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სწრაფი და მარტივი გზა. მათ ასევე შემუშავებული აქვთ დამოკიდებულება და შეხედულებები თავიანთი ქცევის გასამართლებლად. სკოლის გაცდენა, კრიმინალურ კულტურაში ჩართვა და შესაძ-ლო პერიოდული პატიმრობა ნიშნავს იმას, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, შეეძინათ უნარები ან გამოემუშავებინათ ისეთი დამოკიდებულება, რაც მათ დაეხმარებოდა მოწესრიგებული და კანონიერი გზით ცხოვრებაში. შესაბამისად, ისინი განაგრძობენ ქურდობას საარსებო წყაროს მოპოვების მიზნით. იმისათვის, რომ შევამციროთ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა, აუცილებელია იმ დამოკიდებულებათა უარყოფა, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულს, და მათ ნაცვლად ალტერნატიული გზების შესწავლა, მაგალითად, იმის აღიარება და გააზრება, რომ ის გრძელვადიანი ზარალი, რაც ქურდობას მოაქვს თავად

ქურდებისთვის და მათთვის მნიშვნელოვანი სხვა ადამიანებისთვის, გადაწონის ქურდობის მოკლევადიან უპირატესობებს.

რისკის შეფასებისას ასევე უნდა მოხდეს კრიმინალური კარიერის შესახებ თეორიებისა და კვლევის გათვალისწინება. დროში განგრძობადი კვლევები მიუთითებს, რომ კრიმინალური კარიერის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა რისკფაქტორია რელევანტური. როგორც წესი, კრიმინალური კარიერა იყოფა სამ ეტაპად: დასწავლა/შესწავლა (Acquisition), შენარჩუნება და შესრულება (Maintenance and Performance) და დანაშაულისგან განდგომა (Desistance). დასწავლა/შესწავლის ფაზაში, როდესაც იწყება დანაშაულებრივი ქცევა, დამნაშავე, როგორც წესი, ბავშვი ან მოზარდია. ყველაზე საგულისხმო რისკფაქტორებია ცუდი მოსწრება სკოლაში და სკოლის გაცდენა, მოწყენილობა და პროსოციალური აქტივობების ნაკლებობა, თანატოლთა მხრიდან ზეწოლა და მშობლების მითითებებისა და მხარდაჭერის ნაკლებობა. შენარჩუნების ფაზაში, როდესაც დამნაშავეები ალბათ შედარებით უფროსი ასაკის არასრულწლოვნები ან მოზარდები არიან, რისკის ზოგიერთი ძირითადი ფაქტორია დასაქმების შესაძლებლობებისა და უნარების ნაკლებობა, ფინანსური პრობლემები, ანტისოციალური დამოკიდებულებები, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებსა ან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, სუსტი საზოგადოებრივი კავშირები, რეალისტური ცხოვრებისეული მიზნების ნაკლებობა და არარეალური მოლოდინები. ამ მიზეზით, მოზრდილთა რისკის შეფასების ფოკუსი განსხვავდება არასრულწლოვნების რისკის შეფასების ფოკუსისაგან.

დასკვნითი ეტაპი ცნობილია, როგორც დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზა. ამ ეტაპზე დანაშაულის ჩადენა ხდება უფრო იშვიათად და უმრავლესობა მთლიანად წყვეტს დანაშაულებრივ ქცევას. დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზის გათვალისწინებით, მამაკაცი დამნაშავეები იყოფიან ორ ჯგუფად: ისინი, ვისი დანაშაულებრივი ცხოვრებაც შემოიფარგლება მოზარდობის წლებით, და ზრდასრული ასაკის რეციდივისტები. პირველ ჯგუფში შემავალი დამნაშავენი თავიანთი კრიმინალური ჩართულობის მწვერვალს აღწევენ მოზარდობის ასაკში, ხოლო მას შემდეგ, რაც ზრდასრულ ასაკში შედიან და მეტ პასუხისმგებლობას იღებენ, სწრაფად წყვეტენ დანაშაულებრივ ქცევას. მეორე ჯგუფის შემთხვევაში კი დანაშაულის ჩადენა გრძელდება ზრდასრულ ასაკშიც. სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანები წყვეტენ დანაშაულის ჩადენას მას შემდეგ, რაც აღმოაჩენენ და აითვისებენ თავიანთი მიზნების მიღწევის ალტერნატიულ და უფრო სანდო გზებს. აქედან გამომდინარე, სარეაბილიტაციო პროგრამები ხშირად ორიენტირებულია დამნაშავეებისთვის პირად და სოციალურ უნარებთან ერთად ახლებური ტიპის აზროვნების სწავლებაზე, რათა მათი არჩევანი ცხოვრებაში უფრო გაფართოვდეს.

დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზა ბოლოდროინდელი კვლევებისა და თეორიული განვითარების მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს. დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზაზე ორიენტირებული კვლევების თანახმად, საჭიროა დამნაშავეთა ხელახალი ადაპტაციის უფრო ფართომასშტაბიანი პროცესი, რომლის ფარგლებშიც დამნაშავემ უნდა გადააფასოს საკუთარი იდენტობა, მიზნები და საზოგადოებასთან ურთიერთობა. ეს შესაძლოა მოხდეს ბუნებრივად, პიროვნების მომწიფებისას. ამ პროცესების წახალისება შესაძლებელია სხვებთან სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობების შექმნით. აღნიშნული შეიძლება უფრო მოულოდნელადაც მოხდეს, თუ სახეზეა რაიმე კატალიზატორი ან გარემოებების ცვლილება, რაც შეცვლის დამნაშავის შეხედულებებს. დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შესაფასებლად მნიშვნელოვანია, დამნაშავის მოტივაციისა და

ცვლილების უნარის გათვალისწინებით, გავაცნობიეროთ, თუ რამდენად „შორსაა“ დამნაშავე დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზისაგან.

ჯერჯერობით ჩვენ შემოგთავაზეთ „რისკის" რამდენიმე სამუშაო განმარტება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის კონტექსტში და აღვწერეთ თეორიული ჩარჩო. ახლა კი განვიხილავთ იმ ფაქტორებს, რომლებიც დაგეხმარებათ რისკის ობიექტურ შეფასებაში.

## 4. რისკის ობიექტური შეფასება: რისკთან დაკავშირებული ფაქტორები

რისკის შეფასებისას მრავალი სხვადასხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი. ესენია: *სტატიკური/ისტორიული ფაქტორები, დინამიკური რისკფაქტორები ან კრიმინოგენური საჭიროებები, მწვავე დინამიკური ფაქტორები (მაპროვოცირებელი ფაქტორები), დამცავი ფაქტორები ანუ ძლიერი მხარეები, რეაბილიტაციისა და სხვა ინტერვენციების გავლენა და დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზასთან დაკავშირებული ფაქტორები.*

### 4.1. სტატიკური/ისტორიული რისკფაქტორები

სტატიკური/ისტორიული რისკფაქტორები ემყარება ოფიციალურ დოკუმენტებში ინდივიდის შესახებ დაფიქსირებულ მონაცემებს. ისინი წარმოადგენენ ზუსტ ანგარიშს კონკრეტული თარიღისთვის, რომელიც აღარ შეიცვლება, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს მონაცემები - კრიმინალური ისტორია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორია, დამნაშავის ასაკი პირველი მსჯავრდებისას, წარსული პატიმრობების რაოდენობა, წინა მსჯავრდებების რაოდენობა, დანაშაულის სახე, ასაკი მიმდინარე დანაშაულის ჩადენისას და ა.შ. ეს ყოველივე წარმოადგენს დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაპროგნოზირებელ ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ნასამართლობა სრული დამნაშავეობის მხოლოდ არაპირდაპირ საზომია, კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს ძლიერი თანხვედრა, ერთი მხრივ, დანაშაულების რაოდენობასა და ტიპს და, მეორე მხრივ, დანაშაულში მონაწილეობის ფაქტობრივ დონეს შორის. სისხლისსამართლებრივი განაჩენები ხშირად ინფორმაციის ყველაზე საიმედო წყაროა, რომელიც შემფასებლისთვისაა ხელმისაწვდომი.

დროთა განმავლობაში ადამიანები, როგორც წესი, თანამიმდევრულად იქცევიან. საყოველთაოდ ცნობილია გამონათქვამი, რომ „წარსული ქცევა სამომავლო ქცევის საუკეთესო პროგნოზია“. ამრიგად, წინა მსჯავრდებები არა მხოლოდ პროგნოზირებენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას, არამედ მიგვანიშნებენ მომავალი დანაშაულების ტიპზე და გავლენაზე/სერიოზულობაზე.

რისკის შეფასებაში შემავალი სხვა სტატიკური ფაქტორები, ჩვეულებრივ, არის ასაკი და სქესი. ახალგაზრდა დამნაშავეები, როგორც წესი, ხელახალი მსჯავრდების უფრო მეტი რისკის წინაშე დგანან, ვიდრე უფროსები; ხოლო მამაკაცი დამნაშავეების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იმავე ასაკისა და დანაშაულებრივი წარსულის მქონე ქალი დამნაშავეების მიერ. ინგლისში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კრიმინალურმა ისტორიამ, ასაკმა და სქესმა ერთობლივად შეიძლება წარმოადგინოს ზუსტი შეფასება იმის შესახებ, თუ რამდენად სავარაუდოა, რომ კონკრეტული ჯგუფის ტიპური წარმომადგენელი განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს მომდევნო ერთი ან ორი წლის განმავლობაში. სიტყვა "ტიპური" მნიშვნელოვანია, რადგან პროგნოზირების სიზუსტე ვრცელდება ჯგუფურ მონაცემებზე და არა ინდივიდზე. სტატიკური ფაქტორები კარგი საწყი-

სია რისკის *ინდივიდუალურად* შესაფასებლად, *დინამიკური* რისკფაქტორების გათვალისწინებით.

### 4.2. დინამიკური რისკფაქტორები

დინამიკური რისკფაქტორები არის პიროვნების გარშემო ცვალებადი გარემოებების, მისი დამოკიდებულებებისა და ცხოვრების წესის ასპექტები, რაც ზრდის მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას. ეს ფაქტორები ცნობილია, როგორც დინამიკური რისკის ფაქტორები, რადგან ექვემდებარება ცვლილებას. მათ ასევე კრიმინოგენური საჭიროებების სახელითაც მოიხსენიებენ, რადგან ისინი პირდაპირაა დაკავშირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენასთან. ტერმინი „კრიმინოგენური" ითვალისწინებს იმას, რომ დამნაშავეებს, ისევე როგორც ბევრ მათ თანამოქალაქეს, აქვს ბევრი საჭიროება, რომელსაც ყურადღების მიქცევა სჭირდება, თუმცა ყველა ეს საჭიროება არ უკავშირდება მათ დანაშაულებრივ ქცევას. მაგალითად, დამნაშავეებს, როგორც წესი, ფიზიკური ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა აქვთ, მაგრამ ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა, ზოგადად, არ არის დაკავშირებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის ზრდასთან; თუმცა ჯანმრთელობის კონკრეტული პრობლემები, როგორიცაა ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულება, აშკარად უკავშირდება დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს და, შესაბამისად, კრიმინოგენურ საჭიროებას წარმოადგენს.

დინამიკური რისკის ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი დაკავშირებულია დამნაშავის სოციალურ და პიროვნულ გარემოებებთან, როგორიცაა საცხოვრებელი პირობები, განათლების დონე, დასაქმება, ფინანსები, ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და მეგობრებისა და თანამოაზრეების გავლენა. მეორე ჯგუფი კი უკავშირდება საკუთრივ დამნაშავის დამოკიდებულებას, აზროვნებასა და ქცევას, როგორიცაა დანაშაულისადმი დამოკიდებულება, პიროვნული სოციალური უნარების ნაკლებობა, არარეალური მოლოდინები, ემოციების არაეფექტიანი კონტროლი და ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავების უნარის ნაკლებობა. დინამიკური რისკფაქტორების სწორად შეფასება შესაძლებელია მხოლოდ დამნაშავესთან გასაუბრებისა და ისეთი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, როგორიცაა ოჯახის წევრები, დასაქმებულის შესახებ სამსახურებრივი ჩანაწერები, სხვა პროფესიონალები, რომლებსაც ჰქონიათ დამნაშავესთან შეხება. დამნაშავის დინამიკური რისკფაქტორები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, დამნაშავემ შეიძლება მოიპაროს ფინანსური სირთულეების გამო, ეს სირთულეები კი შესაძლოა გამოწვეული იყოს სამუშაო ადგილების არარსებობით, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სხვა რისკფაქტორების შედეგი, როგორიცაა განათლების დაბალი დონე, შრომისადმი ცუდი დამოკიდებულება, კოლეგებთან ურთიერთობისთვის აუცილებელი უნარების ნაკლებობა ან არაორგანიზებული ცხოვრების წესი, რაც ხელს უშლის სამუშაო რუტინის დამკვიდრებას. დანაშაულს ხშირად ერთზე მეტი დინამიკური რისკის ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, გამოწვეულია ურთიერთობების შესახებ ღრმად ჩაბეჭდილი შეხედულებებითა და პრობლემების გადასაჭრელად ძალადობის გამოყენებით, თუმცა ხშირად ოჯახური ძალადობის გამწვავება  შესაძლოა ალკოჰოლის ავადმოხმარებამ გამოიწვიოს.

ზოგადად, რაც უფრო მეტი დინამიკური რისკის ფაქტორია დაკავშირებული დამნაშავესთან, მით უფრო მაღალია მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი. თუმცა ხანდახან ცალკეული რისკის ფაქტორიც საკმარისია მომავალში

დანაშაულის ჩადენის რისკის შესაფასებლად ან დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაჩვენებლის გასაზრდელად. მაგალითად, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ბევრ დაბალი დონის დანაშაულს ახასიათებს. ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზულ-მა პრობლემამ შეიძლება პირდაპირ განაპირობოს მძიმე დანაშაულის ჩადენა, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უმეტესობა, როგორც წესი, არ ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს. დინამიკური რისკის ყველა ფაქტორი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ცვლილების ვადები დამოკიდებულია რისკის ზუსტ ბუნებასა და ინდივიდუალურ დამნაშავეზე. ეს ნიშნავს, რომ დინამიკური რისკის ფაქტორების გათვალისწინება სასჯელის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტია. დამნაშავეებს შეიძლება ასწავლონ ახალი უნარები, რაც გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს, ან ინტერპერსონალური უნარები სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად; მათ შესაძლოა დაეხმარონ ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულების შესამცირებლად; მაგრამ ინდივიდუალური შეხედულებების, დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილებები, რომლებიც ამცირებენ დანაშაულში მონაწილეობის ალბათობას, როგორც წესი, ხდება ბუნებრივად, პიროვნების გონებრივად მომწიფების პროცესში. აღნიშნული ცვლილებების მიმდინარეობის პროცესი, თავის მხრივ, შეიძლება დაჩქარდეს შესაბამისი პროსოციალური მოდელების ზემოქმედებით, პრობაციის მეთვალყურეობით, მენტორთან კონტაქტით ან ოჯახის და თანატოლთა ჯგუფის მხარდაჭერით.

### 4.3. მწვავე დინამიკური ფაქტორები (მაპროვოცირებელი გარემოებები)

დამნაშავეთა უმრავლესობა ყოველთვის არ არის დაკავებული კრიმინალური ქმედებებით. ზოგიერთი დამნაშავე, განსაკუთრებით ისინი, რომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულსაც მეტი გავლენა აქვს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სხვებს, მაგალითად, ძალადობრივი ან სექსუალური დანაშაული, დანაშაულს ჩადიან სპორადულად. ხშირად დანაშაულის ჩადენას დამნაშავის მდგომარეობის კონკრეტული ცვლილება განაპირობებს. ეს ცვლილებები მოიხსენიება, როგორც მწვავე ფაქტორები ან მაპროვოცირებელი მოვლენები. მაგალითად, ახლო ურთიერთობის გაწყვეტამ, სამსახურის დაკარგვამ, მცირედმა საფრთხემ ან უსამართლობამ შეიძლება ზოგიერთი პიროვნების დესტაბილიზება გამოიწვიოს. მწვავე დინამიკური ფაქტორები განსხვავდება სტაბილური დინამიკური ფაქტორებისგან იმით, რომ ისინი დამნაშავის განწყობის უეცარ ცვლილებას იწვევენ და, შესაბამისად, ასევე უეცრად იზრდება რისკის დონეც (მისგან განსხვავებით, სტაბილურ დინამიკურ ფაქტორებს მეტი მუდმივობა/სტაბილურობა ახასიათებს).

მწვავე ფაქტორები ინდივიდუალურია და ძალიან სპეციფიკურია თი-თოეული ადამიანისათვის. ისინი ასახავენ დამნაშავის თვალით დანახულ რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ზამბლემ და ქვინსიმ ჩაატარეს კვლევითი ინტერვიუები კანადელი პატიმრების დიდ ჯგუფთან, რომლებმაც პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებში განმეორებით ჩაიდინეს დანაშაული. მათ გამოჰკითხეს დამნაშავეებს იმ გარემოებების შესახებ, რამაც ამ უკანასკნელთ დანაშაულის განმეორებით ჩადენისაკენ უბიძგა. ზამბლემ და ქვინსიმ დაადგინეს, რომ ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენას განაპირობებდა პირობით ვადამდე გათავისუფლებული დამნაშავეების წინაშე არსებული დაბრკოლებები, მაგალითად, საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება, სოციალური დახმარების დაგვიანებით გადახდა, დავა ავტორიტეტის მქონე პიროვნებასთან, რაც ამძაფრებდა მათში ნეგატიურ ემოციებს. თავის მხრივ, ნეგატიური ემოციები განაპირობებდა მათ

მიერ ძველი ჩვევებისა და ანტისოციალური ქცევის გამეორებას; სხვებისთვის კი მაპროვოცირებელი მიზეზი იყო ძველ გარემოში (და, შესაბამისად, ძველ ქცევებთან) დაბრუნება: ძველ კრიმინალ თანამოაზრეებთან შემთხვევითი შეხვედრა, ოჯახთან არსებული ძველი დავის გახსენება, სასმელის ჭარბი ოდენობით მიღება ან დანიშნული მედიკამენტების არმიღება.

მწვავე ფაქტორები ძალიან უჩვეულოა და განსხვავდება თითოეული დამნაშავის შემთხვევაში. როდესაც დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღება ხდება, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს ნებისმიერი პოტენციური მწვავე ფაქტორი და, შეძლებისდაგვარად, მოხდეს მათი მართვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დამნაშავეების შემთხვევაში, რომლებიც ქმნიან სხვებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკს. მწვავე ფაქტორების დადგენა შესაძლებელია დამნაშავეების მოტივაციისა და იმ გარემოებების შესწავლით, რამაც ხელი შეუწყო წარსულში დანაშაულის ჩადენას. ამას ეწოდება დანაშაულისა და წარსული დანაშაულების ფუნქციონალური ანალიზი. ეს უკანასკნელი მოითხოვს სამართალდამრღვევისაგან მაღალი დონის თანამშრომლობას, რადგან შემფასებელმა უნდა შეისწავლოს დანაშაულის მისეული (დამნაშავის გადმოსახედიდან) აღქმა და გაგება. იგი ასევე მოითხოვს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული დეტალური ინფორმაციის შესწავლას ჩადენილი დანაშაულისა და წარსული დანაშაულების გარემოებებისა და წვრილმანი დეტალების შესახებ.

### 4.4. დამცავი ფაქტორები ანუ ძლიერი მხარეები

რისკის შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ნებისმიერი დადებითი ელემენტის განსაზღვრა მსჯავრდებულის წარსულიდან, რომელმაც შეიძლება შეამციროს მისი რისკის დონე, აგრეთვე ის ფაქტორებიც, რაც ზრდის ამგვარ რისკს. ამ ფაქტორებს ეწოდება ძლიერი მხარეები ანუ დამცავი ფაქტორები.

ზოგჯერ ძლიერი მხარე (დამცველობითი ფაქტორი), უბრალოდ, დინამიკური კრიმინოგენური რისკფაქტორის საპირისპირო ფაქტორია, მაგალითად, მხარდამჭერი მეუღლე ან ოჯახი, იმ უნარების შეძენა, რაც ხელს უწყობს დასაქმებას, ან კრიმინალურ საზოგადოებასთან კავშირის გაწყვეტა.

დამცავი ფაქტორები შეიძლება იყოს დამნაშავეთა პიროვნებისთვის ან მათი გარემოსთვის დამახასიათებელი დამატებითი ელემენტი, მაგალითად, ისეთ აქტივობებში ჩართვის ინტერესი, რომლებიც არ არის დაკავშირებული კრიმინალურ აქტივობებთან (მაგ.: სპორტი, ჰობი, განგრძობადი განათლება), სოციალური ღირებულებების გამავრცელებელი ორგანიზაციის (მაგ., ეკლესიის ან რაიმე საქველმოქმედო ჯგუფის) წევრობა, ასევე ახალი პასუხისმგებლობის აღება (მაგ., მშობლის პასუხისმგებლობის აღება შვილის გაჩენის შემთხვევაში). ხშირად კრიმინალური ცხოვრებიდან სოციალური ცხოვრების წესზე გადასვლას დამნაშავეების მიერ პარტნიორის ან მისაბაძი ადამიანის პოვნა განაპირობებს.

### 4.5. სარეაბილიტაციო და სხვაგვარი ინტერვენციები

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ სავალდებულოდ დაწესებულ თუ ნებაყოფლობით ინტერვენციებს, რომლებიც მიზნად ისახავს რისკის ფაქტორების შემცირებას, მართლაც შეუძლია რისკის შემცირება. არსებობს მრავალი ფორმის ინტერვენცია. მაგალითად, ფსიქიატრიული მედიკამენტებით მკურნალობა შეიძლება შესაფერისი იყოს ისეთი დამნაშავეებისათვის, რომლებსაც აქვთ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული მენტალური ჯანმრთე-

ლობის პრობლემები; ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის მკურნალობა, რომელიც იწვევს დამოკიდებულების შემცირებას, ასევე ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს; დანაშაულებრივი ქცევის პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლას, და როგორიცაა ბრაზის მართვის პროგრამები, ინტერვენცია სექსუალური დანაშაულის ჩამდენთა მიმართ, ასევე პრობლემის მოგვარებისა და სოციალური უნარების შემსწავლელი პროგრამები, ეფექტიანია დანაშაულის ჩადენის შესამცირებლად. დამნაშავის სამომავლო რისკების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამნაშავის ჩართულობა ყველა ამგვარ აქტივობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია შემფასებელმა ობიექტურად და სკეპტიკურად შეაფასოს ინტერვენციების გრძელვადიანი გავლენა. ინტერვენციაში მონაწილეობა ან მსჯავრდებულთან თანამშრომლობა, თუნდაც ენთუზიაზმით, არ იძლევა რისკის შემცირების გარანტიას, თუ ჩარევის შედეგად არ მოხდება აზროვნების, დამოკიდებულებისა და ქცევის მდგრადი ცვლილება.

### 4.6. დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაქტორები

როგორც ზემოთ იქნა განხილული, დანაშაულისგან განდგომის (Desistance) თეორია გვთავაზობს, რომ დანაშაულის შეწყვეტის სურვილი თავად დამნაშავეს უნდა ჰქონდეს. დღეისათვის არსებულ კვლევებს დანაშაულისგან განდგომის (Desistance) შესახებ არ გააჩნია შეჯერებული მონაცემები, ამიტომ ამგვარ კვლევებს ჯერჯერობით ვერ მოაქვს სარგებლობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასებისთვის. თუმცა ყოფილა დანაშაულისგან განდგომის (Desistance) შესახებ კვლევებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების ერთმანეთთან შეჯერების მცდელობებიც. რისკის შეფასებისას დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ელემენტის დადგენა ხდება ცვლილების მიმართ დამნაშავის მოტივაციისა და ცხოვრებისეული დაბრკოლებების მიმართ მისი გამძლეობის დონის შეფასებით. „ცვლილების მოტივაციის“ ჩვეულებრივი მოდელი მოიცავს ოთხ სტადიას - შეცვლის სურვილისა თუ მოტივაციის არქონით დაწყებული, ცვლილებების აქტიური ძიებითა და შეძენილი ცვლილებების შენარჩუნების სურვილით დამთავრებული. შესაბამისად, დამნაშავეები ცვლილებისკენ მიმავალ გზაზე ამ ოთხიდან ყოველთვის რომელიღაც ერთ სტადიაში იმყოფებიან. ცვლილების მოტივაციის შეფასების სირთულე იმაშია, რომ ინდივიდუალური მოტივაცია შეიძლება იცვლებოდეს ინდივიდის განწყობისა და ბოლოდროინდელი მოვლენების შესაბამისად. ეს განსაკუთრებით იმ პირებს ეხება, რომლებიც არ არიან მიჩვეული ემოციების კონტროლს. მოტივაციას ასევე უკავშირდება ცხოვრებისეული გამძლეობის ცნება. ინდივიდის გამძლეობის დონე არის იმის საზომი, თუ რამდენად კარგად გაუმკლავდება იგი დაბრკოლებებს და პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება დანაშაულისგან განდგომისკენ (Desistance) მიმავალ გზაზე: განიხილავს თუ არა იგი სირთულეებს, როგორც გადასაჭრელ პრობლემებს, რაც უფრო ძლიერს ხდის მას, თუ ის დამძიმდება ამგვარი ნეგატიური მოვლენებით, რასაც მოჰყვება ანტისოციალური ქცევა?

## 5. რისკის შეფასება და მართვა

კრიმინალური ქცევის თეორიული პერსპექტივებისა და პროგნოზირების სხვადასხვა ხელშემწყობი ელემენტის განხილვის შემდეგ, დანაშაულის განმეორებითი ჩადენის ალბათობა და იმ დანაშაულის პოტენციური ზემოქმედება, რასაც მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვა, მოითხოვს ყველა ფაქტორის ფრთხილად და სისტემურ დონეზე განხილვას. მე-3 დიაგრამა წარმოგიდგენთ ამ ფაქტორების კავ-

შირს რისკის შეფასების დროს. ისტორიული  და სტატიკური ფაქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მსგავსი ტიპისა და დანაშაულებრივი ისტორიის მქონე დამნაშავეთა შეფასების საბაზისო პრინციპებს. ეს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დამნაშავის ზოგად შეფასებას, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ასევე შემუშავებულია კონკრეტული ტიპის დამნაშავეებზე მორგებული შეფასების კითხვარები. მაგალითად, საქართველოში მსგავსი სპეციალიზებული შეფასების ინსტრუმენტია მეუღლეზე/პარტნიორზე მოძალადის რისკის შეფასების კითხვარი.

რისკის შეფასებისას კრიმინოგენური საჭიროებები ან სტაბილური დინამიკური რისკის ფაქტორები ზრდის რისკის დონეს, დამცავმა ფაქტორებმა კი შესაძლოა შეამციროს რისკი. მწვავე დინამიკური ფაქტორები, განწყობისა და გარემო პირობების ცვლილებების ჩათვლით, წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელ გარემოებას. ისინი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი დანაშაულის განხილვისას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს. ინტერვენციებმა, გარემოში ცვლილებამ, გონებრივმა სიმწიფემ და დანაშაულისგან განდგომასთან (Desistance) დაკავშირებულმა ფაქტორებმა შეიძლება შეამციროს მომავალში დანაშაულის ჩადენის რისკი.

**დიაგრამა 3.**

| დინამიკური რისკის შეფასების მოდელი | | | |
|---|---|---|---|
| სტატიკური ფაქტორები | → „სტაბილური“ დინამიკური ფაქტორები | → „მწვავე“ დინამიკური ფაქტორები | → ინტერვენციები |
| დახარისხება სტატისტიკურად პროგნოზირებადი ქულის გამოყენებით ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, როგორიცაა სისხლის სამართლებრივი ისტორია. ან ფსიქოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორიცაა სექსუალური ხასიათის დანაშულის ჩამდენი პირების,  მეუღლეთა / პარტნიორთა მხრიდან ძალადობის ან ფსიქოპათიის შეფასების სკალა. | მიმდინარე, გაზომვადი დინამიკური რისკი და დამცავი ცვლადები (მათ შორის - პირადი და გარემო ფაქტორები). | (გაზომვადია? პროგნოზირებადია?) უეცარია, ხშირად მოულოდნელია, შედეგთან პირდაპირ კავშირშია ან აჩქარებს შედეგის დადგომას. | ცვლილებას დაქვემდებარებული და ცვლილების გამომწვევი მეთოდების იდენტიფიცირება; დამცავი ფაქტორების დადგენა და შედეგების მონიტორინგი. |

## 6. რისკის შეფასება და მენეჯმენტი - უწყვეტი პროცესი

რისკის შეფასება არ არის ერთჯერადი ქმედება. ეს არის გადაფასების უწყვეტი პროცესი, რომელიც მჭიდრო კავშირშია რისკის მართვის სტრატეგიებთან და რისკის დონის შესამცირებელ ინტერვენციებთან. რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს. პროცესი კარგად მუშაობს მაშინ, როდესაც სტრუქტურირებული შეფასების სისტემებს იყენებენ სათანადოდ გაწვრთნილი და გამოცდილი შემფასებლები. სტრუქტურირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება უზრუნ-ველყოფს ყველა იმ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეფასებაზე, და პიროვნული მიკერძოებულობისა და

შეუსაბამობების ზემოქმედების შემცირებას.

რისკის შეფასების კარგი ინსტრუმენტის გამოცდილი შემფასებლის მიერ გამოყენების მიუხედავად, პრაქტიკაში პროცესს მაინც ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად:

- **ინფორმაციაზე წვდომა** – თუ შემფასებელს არ აქვს წვდომა ამჟამინდელი ან ადრინდელი დანაშაულების დეტალებზე, ან ვერ იღებს ინფორმაციას დამნაშავის ოჯახური კავშირებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ან არ იცის, თუ როგორ იქცეოდა ის ციხეში, ამგვარი შეფასების სიზუსტე და ხარისხი შეზღუდული იქნება. ამ პრობლემის გადალახვა ხშირად მულტიდისციპლინური მიდგომით შეიძლება: ყველას, ვინც იცნობს დამნაშავეს ან ფლობს საჭირო ინფორმაციას, შეუძლია წვლილი შეიტანოს განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღებაში.
- **გარემოს შეზღუდვები** – როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე პრობაციის სივრცეში შესაძლოა არ არსებობდეს კონფიდენციალური ინტერვიუების ჩატარებისათვის სათანადო გარემო, რაც საჭიროა შეფასების ეფექტიანად განხორციელებისათვის. გარდა ამისა, პატიმრებს არ აქვთ თავისუფლად მოქმედების, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, როგორც ამას გააკეთებდნენ საზოგადოებაში ყოფნისას. გათავისუფლების შემდეგ სავარაუდო ქცევის თაობაზე პროგნოზებში ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს არ ნიშნავს, რომ ციხეში ყოფნისას დამნაშავის ქცევა არარელევანტურია სასჯელის შემდგომი რისკების შეფასებისთვის; მეტიც, მომავალი რისკის ნიშნების იდენტიფიცირება სასჯელის მოხდის პერიოდშიც არის შესაძლებელი. ამასთან, შემფასებელმა ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის ქცევა პენიტენციურ დაწესებულებაში, წარსული დანაშაულების კონ-ტექსტში, და მისი მიმართება გათავისუფლების შემდგომ ცხოვრებასთან.
- **პროგნოზირებადი გამოწვევები** - რაც უფრო იშვიათია მოვლენა, მით უფრო რთულია მისი პროგნოზირება. შესაბამისად, ექსტრემალური ძალადობ-რივი ქმედებების პროგნოზირება უფრო რთულია, ვიდრე ქურდობისა. ამავდროულად, ბევრ დამნაშავეს შეიძლება ჰქონდეს ექსტრემალური ქმედებების ჩადენის პოტენციალი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ რამ-დენიმე მათგანი ჩაიდენს მას. შეუძლებელია გარანტირება იმისა, რომ პოტენ-ციალის მქონე ყველა დამნაშავე დაკვალიფიცირდება, როგორც მაღალი რის-კის შემცველი. სინამდვილეში, თითოეული რისკის ჯგუფში, დამნაშავეთა რიცხვის ნორმალური განაწილებიდან გამომდინარე (დამნაშავეთა დიდი რაოდენობა შეფასდა, როგორც საშუალო რისკის მქონე, და შედარებით მცირე რაოდენობა შეფასდა, როგორც მაღალი და დაბალი რისკის მქონე), სტატისტიკურად სავარაუდოა, რომ ბევრი დამნაშავე, რომელიც შემდგომში ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს, იდენტიფიცირებულ იქნება, როგორც საშუალო რისკის დამნაშავე. ამიტომ, ყოველთვის უნდა მოხდეს საშუალო რისკის პირების მიმართ დანაშაულის ჩადენის ალბათობისა და მისი შესაძლო ზემოქმედების გადახედვა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თითოეულ შემთხვევაში გამოვლენილ მწვავე დინამიკურ ფაქტორებს. ეს ნიშნავს, რომ რისკის შეფასება არ შეიძლება განცალკევდეს რისკის მენეჯმენტისა და რისკის შემცირებისაგან. როგორც მე-4 დიაგრა-მაზეა ნაჩვენები, რისკის შეფასება, მართვა და შემცირება წარმოადგენს სამკუთხედის სამ წვეროს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის

დაკავშირებული. პროცესი ციკლურია და პატიმრობის, პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და პრობაციის ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში ციკლი შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს.

**დიაგრამა 4.**




წარმოგიდგენთ იმის ჰიპოთეტურ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ზემოაღწერილი განხორციელდეს პრაქტიკაში. მაგალითი ეხება ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც ჩხუბის დროს სხვა ადამიანისათვის მძიმე დაზიანების მიყენებაში ედება ბრალი. მისი ისტორია მოიცავს ორ დანაშაულს: ერთი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნითაა ჩადენილი, ხოლო მეორე წარმოადგენს ძალადობასთან დაკავშირებულ წარსულ დანაშაულს. სასჯელის წინა ეტაპზე რისკის შეფასებისას იგი განისაზღვრა, როგორც დანაშაულის განმეორებით ჩადენის საშუალო რისკის მქონე, რაც განაპირობა იმან, რომ მას ჰქონდა ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ისტორია, რასაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ზიანი გამოეწვია. ამგვარი შეფასება განაპირობებს სასჯელს და იწვევს თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისას განხორციელებული რისკის შემდგომი შეფასება მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავემ შეიძლება ციხეში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სხვა პატიმარს ან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს, და რომ მას აქვს მრავალი ისეთი საჭიროება, როგორიცაა განათლების ნაკლებობა და ემოციების კონტროლის ცუდი უნარი. აღნიშნული დაბრკოლებების მოგვარება შესაძლებელია სარეაბილიტაციო ინტერვენციით; შესაბამისად, დამნაშავე ესწრება გაკვეთილებს და ბრაზის ინტერვენციებს ზემოხსენებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს ხდება დაკვირვება დამნაშავის ქცევაზე პერსონალისა და სხვა პატიმრების მიმართ. რისკის შეფასებაში აღინიშნა, რომ თუკი დამნაშავე თავს შეურაცხყოფილად გრძნობს ან აღიქვამს, რომ მას უპატივცემულოდ ეპყრობიან, იგი ამგვარ სიტუაციებს აგრესიით პასუხობს. ამგვარი დაკვირვება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პენიტენციურ დაწესებულებაში მისი მონიტორინგისას. იმ დროისათვის, როდესაც შესაძლებელია პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლება, ჩატარებულია რისკის მესამე შეფასებაც - დამნაშავეს გავლილი აქვს რეკომენდებული ინტერვენციები; მან ასევე გამოავლინა უნარი, დაემორჩილოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედ წესებს; ამასთანავე, ადგილი არ ჰქონია ციხეში ჩხუბის ან კონტროლის დაკარგვის შემთხვევებს; ამ გარემოებების საფუძველზე, შემცირებულია რისკის დონეც.

საქმეში ჩართული სოციალური სამსახურის თანამშრომლები ასევე აცხადებენ, რომ დამნაშავე ამჟღავნებს პიროვნული სიმწიფის დამაკმაყოფილებელ ხარისხს და მოტივირებულია თავი აარიდოს მომავალში დანაშაულის ჩადენას. ამ დადებითი მახასიათებლების მიუხედავად, კვლავ არსებობს დამნაშავის მიმართ ეჭვები მისი გათავისუფლების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ მისი ყველა წინა დანაშაული ალკოჰოლის მიღების შემდეგ და, ძირითადად, უფროსი ძმისა და მისი მეგობრების გარემოცვაში ხდებოდა. ეს მიუთითებს, რომ შეიძლება წარმოიშვას საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საშიშროება, თუკი დამნაშავე თავს საფრთხეში ან შეურაცხყოფილად იგრძნობს თავის „ძმაკაცებთან დალევის“ დროს. ამ რისკფაქტორების შემოწმება შეუძლებელია უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში; მაგრამ გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებმა მოიცვას რისკის შემცირებასთან დაკავშირებული ქმედებების გასაგრძელებლად განსახორციელებელი ღონისძიებები (მაგ., „პოზიტიური აზროვნების უნარების“ პროგრამაზე დასწრება) და შეზღუდვები (მაგ., შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებით), თუკი არსებობს ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო.

## 7. შეჯამება და დასკვნა

წინამდებარე თავში განხილულია „რისკის ზრდა“ თანამედროვე საზოგადოებაში; ასევე განსაზღვრულია რისკის საზომი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში; ამასთან, ჩამოყალიბებულია რისკების შეფასების ძირითადი პრინციპები და მიდგომები; აღწერილია ის მოთხოვნები, რაც საჭიროა რისკის უწყვეტი შეფასების ინტეგრირებისათვის დამნაშავეთა მართვის პროცესში რისკის შემცირების მიზნის გათვალისწინებით. აღნიშნული თავი მიზნად არ ისახავს შეფასების ინსტრუმენტების ან რისკის შემცირების მიდგომებზე დაყრდნობით სასჯელის დაგეგმვის პროცესის დეტალურ აღწერას; არამედ ამ თავის მიზანია, დაეხმაროს მკითხველს იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რისკის შეფასება დამნაშავეთა მართვისთვის, რათა წარმატებით შემცირდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, რაც დიდი წვლილი იქნება, შეტანილი გაცილებით უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნაში.

ყურადღება, ძირითადად, გამახვილდა რისკის შეფასებაზე ინდივიდთან მიმართებით და იმ ფაქტორებზე, რომლებიც შეფასებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რისკის კარგი შეფასება და მენეჯმენტი მნიშვნელოვანია ორგანიზაციულ დონეზეც. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ხელისუფლებას, პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას ჰქონდეთ ნდობა იმ ორგანოების მიმართ (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემები), რომლებიც აღასრულებენ სასჯელს; ისინი ასევე უნდა აღიარებდნენ ამ ორგანოების კვალიფიციურობას და უნარს, ისე მართონ დამნაშვეთა პატიმრობისა და გათავისუფლების პროცესები, ასევე დამნაშავეთა საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესი, რომ შეამცირონ რისკები და დაიცვან საზოგადოება.

რისკის შემცირება არ ნიშნავს რისკის სრულ აღმოფხვრას. ამასთანავე, რისკზე ორიენტირებულმა მიდგომამ უნდა შეამციროს დანაშაულის განმეორებით ჩადენისა და ზიანის ალბათობა. უსაფრთხოების თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესებით, ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვანი სარგებელი უნდა მოუტანოს პოტენციურ მსხვერპლს და, ზოგადად, საზოგადოებას. რისკზე ორიენტირებული მიდგომა აგრეთვე იცავს თვით პერსონალსა და სისტემას რეპუტაციის შებღალვისაგან იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ხდება გარკვეული მოვლენების არასწორი/

არასათანდო გზით განვითარება. თუ გამოყენებულია რისკის სისტემური შეფასების, ასევე რისკის მართვის პრინციპები, ხოლო რესურსებისა და მეთოდოლოგიის შესახებ გადაწყვეტილებები ამ პრინციპებს ემყარება, მაშინ შესაძლებელია გონივრული და მყარი საპასუხო პოზიციის დაფიქსირება კრიმინალური დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი გარდაუვალი კრიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეხება ამჟამად ან გარკვეული ხნის წინ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულს და მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას.

## 8. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენინგის სესიები რისკის მნიშვნელობისა და თავისებურებების შესახებ სასურველია თეორიული ნაწილითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით იყოს დაბალანსებული.

ქვემოთ მოცემულია ის მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები, რის მიღწევასაც უნდა ემსახურებოდეს შესაბამისი სატრენინგო პროგრამა და მასში შემავალი პრაქტიკული სავარჯიშოები:

- დანაშაულებრივი ქცევის განვითარების ფსიქოსოციალური მოდელის მახასიათებლების გააზრება;
- რისკის კომპლექსური შინაარსის გაცნობიერება;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობისა და ზიანის რისკის ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება;
- რისკებისა და საჭიროების შეფასების მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გაცნობა;
- რისკის ობიექტური შეფასების თავისებურებების გააზრება;
- რისკის შეფასების სხვადასხვა ფაქტორის, როგორიცაა სტატიკური და დინამიკური ფაქტორები, აგრეთვე მაპროვოცირებელი და დამცავი ფაქტორების გააზრება, ასევე კრიმინოგენური საჭიროებების შინაარსის გაცნობიერება და ამ ფაქტორებისა და საჭიროებების ინდეტიფიცირებაში გავარჯიშება;
- რეაბილიტაციისა და სხვა ინტერვენციების გავლენის მნიშვნელობის გაცნობიერება და დანაშაულისგან განდგომის (Desistance) ფაზასთან დაკავშირებული ფაქტორების გამოკვეთაში გავარჯიშება;
- რისკის შეფასებას, რისკის მართვასა და რისკის შემცირებას შორის ურთიერთმიმართების გააზრება და რისკის მართვის კონცეფციის გაგება.

ცნობილია, რომ სატრენინგო სესიების დროს მონაწილეთა მიერ განხილული თემების საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება ეხმარება მათ საკითხების გაცნობიერებაში. შესაბამისად, მასალის ათვისებას მნიშვნელოვნად გააადვილებს ტრენერის მიერ პროცესის ისე წარმართვა, რომ ტრენინგის მონაწილენი წახალისებულ იქნენ, მოიყვანონ ანალოგიური მაგალითები საკუთარი სამუშაო გამოცდილებიდან და გაავლონ რელევანტური პარალელები განხილულ თემებთან მიმართებით.

## 9. გამოყენებული ლიტერატურა


- *Adam B. Beck U.* and *Van Loon J.*, The Risk Society and Beyond: Critical Issues for Social Theory, London, Sage, 2000.
- *Andrews D. A.* and *Bonta J.*, The Psychology of Criminal Conduct, New York, Routledge, 2014.

- *Arkowitz H., Miller W. R.* and *Rollnick S.*, Motivational Interviewing in the Treatment of Psychological Problems, Second Edition, New York, Guildford Press, 2017.
- *Bandura A.*, Social Cognitive Theory, *In Van Lange P. A. M., Kruglanski A. W.* & *Higgins E. T. (Eds.)*, Handbook of Social Psychological Theories, 349-373, London, Sage, 2011.
- *Brown S. L., Robinson D., Wanamaker K.* and *Wagstsaff M.*, Strengths Matter: Evidence from Five Separate Cohorts of Justice Involved Youths and Adults across North America; Criminal Justice and Behaviour, 47(11), 2020.
- *Douglas M.,* Risk and Blame: Essays in Cultural Theory, London, Routledge, 1992.
- *Farrington D. P., Kazemian L., Piquero A. R.*, The Oxford Handbook of Developmental and Life-Course Criminology, New York, NY, Oxford University Press, 2018, ISBN 978-0-19-020137-1, OCLC 1028581337.
- *Farrall S., Hunter B., Sharpe G.* and *Calverley A.*, Criminal Careers in Transition: The Social Context of Desistance from Crime, London, UK, Oxford Univiersity Press, 2014, ISBN-13: 9780199682157.
- *Howard P.*, Improving the Prediction of Re-offending Using the Offender Assessment System, London, UK, Ministry of Justice, Research Summary, 02/09, 2009.
- *Maruna S.* and *Mann R.*, Reconciling 'Desistance' and 'What Works', London, HM Inspectorate of Probation, Academic Insights, 2019/1, 2019.
- Risk Management Authority, Paisley, Scotland, 2013, <www.rma.scot>
- *Rocque M.*, Desistance from Crime: New Advances in Theory and Research, New York, Springer, 2017.
- *Zamble E.* and *Quinsey V. L.*, The Criminal Recidivism Process, Cambridge, UK. Cambridge University Press, 1997, ISBN 01 0521581796.


## 10. რეკომენდებული ლიტერატურა


- *ბერნჰარდტი ე., ბაროუზი რ. და სხვა ავტორები*, სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლ-მსაჯულების სფეროში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.
- *ნამიჭეიშვილი ს.*, ძირითადი კონცეფციების, ცნებებისა და ტერმინების განმარტება პრობაციისა და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების-თვის, ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდა-ჭერის პროექტი, 2018.
- *Andrews D. A.* and *Bonta J.*, The Psychology of Criminal Conduct, New York, Routledge, 2014.
- *Maruna S.* and *Mann R.*, Reconciling 'Desistance' and 'What Works', London, HM Inspectorate of Probation, Academic Insights, 2019/1, 2019.
- *Farrington D. P., Kazemian L., Piquero A. R.*, The Oxford Handbook of Developmental and Life-Course Criminology, New York, NY, Oxford University Press, 2018, ISBN 978-0-19-020137-1, OCLC 1028581337.

# თავი VIII. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადების სპეციფიკა და თავისებურებანი

ავტორი: *ნათია ალიაშვილი*

## 1. შესავალი

შემთხვევის მართვის პრაქტიკა გულისხმობს ზოგადი ინტერვენციის მოდელს. სიტყვა ინტერვენცია სოციალურ მუშაობაში ჩარევის მნიშვნელობით იხმარება და გულისხმობს სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის დასახმარებლად გაწეულ ნებისმიერ მომსახურებას. შემთხვევის მართვის პროცესში არსებობს სამი ურთიერთმოქმედი კომპონენტი. ესენია: რისკის შეფასება, რისკის შემცირება (ინტერვენცია) და რისკის მართვა. მოცემულ თავში აღწერილია პირველი კომპონენტი, რომელიც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას გულისხმობს. ამგვარად, აღნიშნული თავის მიზანია, სპეციალისტები გაეცნონ და მიიღონ ინფორმაცია, თუ რა როლი აქვს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს მართლმსაჯულების სისტემაში და რა მიზანს ემსახურება იგი.

## 2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და მისი მიზანი

მოგეხსენებათ, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში წარმოადგენს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ, მაქსიმალურად დეტალურ ინფორმაციას ბენეფიციარის საჭიროებების, მიზნებისა და ინტერესების შესახებ, რომელიც არის ნეიტრალური და ობიექტური. თავის მხრივ კი, შეფასების საბოლოო მიზანია სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც მაქსიმალურ შესაბამისობაში მოდის ბენეფიციარის საჭიროებებთან. შეფასება არის როგორც პროცესი, ასევე შედეგიც. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს ამოსავალი წერტილი არის ბენეფიციარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მასთან კარგი სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბება და რაპორტის (ნდობის) დამყარება. არასწორად წარმართული შეფასების პროცესი უარყოფითად აისახება როგორც შეფასების შედეგზე, ასევე, მთლიანად, შემთხვევის წარმატებაზეც.

### 2.1. ინფორმაციის შეგროვების მეთოდები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს სპეციალისტი ითვალისწინებს შეფასების მიზანს და მკითხველის ვინაობას, რაც ეხმარება მას ინფორმაციის სრულყოფილად ასახვაში. როგორც ცნობილია, სპეციალისტი, ძირითადად, ინფორმაციის მოძიების შემდეგ მეთოდებს იყენებს:

- ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- სპეციალისტი შეფასების მომზადების ეტაპზე აკვირდება ბენეფიციარის ქცევასა და მეტყველებას. სამუშაო პროცესში ყურადღება მახვილდება აზროვნების პროცესზე, მის ემოციურ მდგომარეობასა და გარეგნულ მხარეზე;

- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს ინფორმაციის შეგროვების მიზნით ხდება სხვადასხვა წყაროსთან გასაუბრება, მაგ.: ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან, საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლებთან, მეზობლებთან, აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტებთან;
- შეფასების მომზადების დროს სპეციალისტი დამატებით ეცნობა ბენეფიციარის შესახებ არსებულ დოკუმენტაციას, მაგ.: განაჩენს, პროკურატურის ან სასამართლოს მომართვის ფორმაში ასახულ ინფორმაციას, სამედიცინო ან/და სხვა სახის დოკუმენტაციას.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ დასაქმებული სპეციალისტები ამზადებენ შეფასების ანგარიშებს შემდეგი მიმართულებით:

- მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასება;
- განრიდების და მედიაციის ღონისძიების განსაზღვრისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში;
- სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასება.

## 3. მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების მომზადების სპეციფიკა

### 3.1. ანგარიშის მიზანი

დღეის მდგომარეობით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულია პრობაციის ოფიცერი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. სამივე სპეციალისტის მიზანია, გუნდური მუშაობის მიდგომების გამოყენებით, სწორად გამოკვეთოს ბენეფიციარის დამცავი და კრიმინოლოგიური ფაქტორები, განსაზღვროს მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონე და დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა, ასევე საჭიროებები, რათა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია უმტკივნეულოდ მოხდეს. შეფასების ეტაპზე თითოეულ სპეციალისტს აქვს საკუთარი როლი/ფუნქცია. ასევე ის იღებს მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ასახავს მას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში. აღსანიშნავია, რომ სამივე სპეციალისტი მიმართულია ბენეფიციარის საჭიროებების გამოკვეთასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებაზე. ერთობლივი ძალისხმევა სამუშაო პროცესს მეტად ეფექტიანს ხდის.

თავდაპირველად, რისკისა და საჭიროებების შეფასების ანგარიშის მომზადებისას, ივსება ინფორმაცია მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონისა და სტატიკური ფაქტორების შესახებ (ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცე-

ბის შესახებ“, მე-8 მუხლი, 7-8, 12/03/2020). აღნიშნულს პრობაციის ოფიცერი პირობითი მსჯავრდებულის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პირველადი გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ახდენს. პრობაციის ოფიცერი სამუშაო პროცესში აქცენტს აკეთებს შეფასების მიზნებზე, ასევე სამუშაო პროცესზე, რადგან პირობითი მსჯავრდებული ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ფლობდეს ინფორმაციას, რა მიზანს ემსახურება მათი შეხვედრა, რას გულისხმობს რისკისა და საჭიროებების შეფასების ანგარიში. პრობაციის ოფიცრის მიერ ხდება ინფორმაციის სწორად დამუშავება და, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო პროცესში სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის ჩართვა. აღნიშნული სპეციალისტები ახდენენ დინამიკური ფაქტორების შეფასებას.

ამგვარად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს სპეციალისტის მიერ ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: რა დამცავი და რისკფაქტორები არსებობს ბენეფიციარის ცხოვრებაში, რამ გამოიწვია დანაშაული, როგორია რეციდივის რისკი, როგორია სხვების ან საკუთარი თავის მიმართ სერიოზული ზიანის რისკი განმეორებითი დანაშაული ჩადენის შემთხვევაში, აქვს თუ არა ბენეფიციარს მზაობა ცვლილებების მიმართ ან თუ ფლობს აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო უნარებს. მაშასადამე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების შედეგად სპეციალისტი გამოკვეთს, თუ რა სახის ჩარევა იქნება საუკეთესო დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციისათვის.

### 3.2. ინფორმაციის მოპოვების წყაროები და მეთოდები

როგორც უკვე ცნობილია, შეფასების ეტაპზე ინფორმაციის მოპოვებას და წყაროებთან გასაუბრებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რისკისა და საჭიროებების შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე სპეციალისტის მხრიდან ინფორმაციის მიღება და დამუშავება ხდება არა მხოლოდ პირობით მსჯავრდებულთან გასაუბრების, დაკვირვებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, არამედ გამოიყენება სხვა წყაროებიც. რისკისა და საჭიროებების შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე სპეციალისტი ვიზიტს ახორციელებს საცხოვრებელ მისამართზე და კომუნიკაციას ამყარებს ოჯახის წევრებთან. აღნიშნული მეტად ყურადსაღებია განსაკუთრებით საშიში კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება ინდივიდუალური გასაუბრება ოჯახის წევრებთან საცხოვრებელ მისამართზე ყოფნის დროს, სპეციალისტს აქვს შესაძლებლობა მათთან შეხვედრა დაგეგმოს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“. ოჯახში ვიზიტის დროს სპეციალისტი იღებს ინფორმაციას საცხოვრებელი გარემოს, ოჯახის წევრების ურთიერთობების შესახებ. ასევე ხდება გაანალიზება, რამდენად არის შესაძლებელი, მოხდეს მათი მხარდაჭერა და ჩართვა სარეაბილიტაციო პროცესში.

ოჯახის და პირობითი მსჯავრდებულის გარდა, მნიშვნელოვანია, შეფასების ეტაპზე გასაუბრება მოხდეს დამატებით წყაროებთან, მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან, მწვრთნელთან, დამსაქმებელთან, მეგობრებთან, მეზობლებთან ან ნათესავებთან, კონფიდენციალურობის სრული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ პირობითი მსჯავრდებული გათავისუფლებულია სპეციალური პენიტენციური დაწესებულებიდან, სპეციალისტი ეცნობა იქ წარმოებულ დოკუმენტაციას და ახდენს ანალიზს. შესაძლებელია, ინფორმაციის გაცვლის ან/და დაზუსტების მიზნით, კომუნიკაცია დამყარდეს სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტებთან. შესაძლებლობის

შემთხვევაში, შეფასების ეტაპზე გასაუბრება ხდება დაზარალებულთან, გამომძიებელთან ან საქმის პროკურორთან, რაც სპეციალისტს ეხმარება სამუშაო პროცესში, დანაშაულებრივი ქმედების, ბენეფიციარის იმდროინდელი განცდებისა და ემოციების, ასევე დანაშაულებრივი ქმედების მიმართ მისი დამოკიდებულების უკეთ შესწავლაში. აღნიშნული ინფორმაცია სპეციალისტს აძლევს შესაძლებლობას, მის მიერ მომზადებული რისკისა და საჭიროებების შეფასება იყოს არგუმენტებით გაჯერებული და ანალიზზე დაფუძნებული.

იმ შემთხვევაში, თუ რისკისა და საჭიროებების შეფასების მომზადების ეტაპზე გამოიკვეთება გადაუდებელი საჭიროება და დამხმარე სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობა, სოციალურმა მუშაკმა დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება და მიმართოს სხვა სამთავრობო/არასამთავრობო უწყებას.

### 3.3. არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებანი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს

მოგეხსენებათ, რომ არასრულწლოვანი პირობითი მსჯავრდებულის რისკის შეფასების ანგარიშის მომზადებისას სპეციალისტი იჩენს განსაკუთრებულ მიდგომას, მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას. სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები ითვალისწინებენ მოზარდის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, რადგან, არასრულწლოვნების შემთხვევაში, სწრაფად ხდება ქცევისა და დამოკიდებულებების ცვალებადობა, ასევე მათ ცხოვრებაში არის უამრავი ფაქტორი, რომელიც კონტროლს მიღმაა დარჩენილი. სპეციალისტები ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს ითვალისწინებენ, რომ იმ არასრუწლოვნების ქმედების მიზეზი, რომლებიც ჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქცევას, ხშირ შემთხვევაში, არის გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ, და სოციალური წრე, რომელთანაც აქვთ კომუნიკაცია.

შეფასების მომზადების ეტაპზე სპეციალისტი არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დროს იყენებს ისეთ ტერმინებს, რომლებიც მარტივი აღსაქმელია. ასევე იგი სათანადო დროს უთმობს არასრულწლოვნის კეთილგანწყობის მოპოვებას. მათთან კონტაქტში შესვლა ხშირად მეტ მოქნილობას მოითხოვს. ასეთ დროს ურთიერთობის დამყარება ეფუძნება მისთვის საინტერესო თემებზე საუბარს, მისი ინტერესების გარკვევას.

სრულწლოვანი პირობითი მსჯავრდებულისგან განსხვავებით, არასრულწლოვნის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ავსებს მნიშვნელოვანი ზიანის რისკის შეფასების ფორმას და განსაზღვრავს დამატებითი სპეციალისტის ჩართვის საჭიროებას. რისკის შეფასება სპეციალისტს ეხმარება განსაზღვროს დანაშაულის განმეორების ჩადენის ალბათობა, ასევე სწორად დაგეგმოს ინტერვენცია, რომელიც საშუალებას აძლევს მას სამომავლოდ განსაზღვროს პროგრესი. შეფასების მომზადების ეტაპზე ვიზიტი ხორციელდება საცხოვრებელ მისამართზე და ხდება დამატებითი წყაროების მოძიება. არასრულწლოვნის შემთხვევაში, სავალდებულოა ვიზიტი განხორციელდეს მის ამჟამინდელ საცხოვრებელ მისამართზე და მოხდეს გასაუბრება ყველა იმ პირთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პირობითი მსჯავრდებულის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ სოციალურმა მუშაკმა/ოფიცერმა შემთხვევაზე მუშაობის პროცესში გამოკვეთა ეჭვი, რომ არასრულწლოვანი არის მზრუნველობას მოკლებული ან არის ძალადობის მსხვერპლი, მაშინ სოციალური მუშაკი გადაამისამართებს არასრულწლოვანს

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოში.

## 4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების თავისებურებანი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებისას

### 4.1. ანგარიშის მიზანი

2016 წელს საქართველოში ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. სწორედ აღნიშნულის შემდეგ გაიზარდა სოციალური მუშაკის როლი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში. აღნიშნული კოდექსის საფუძველზე, მზადდება არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და ხდება ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გაანალიზება, არასრულწლოვნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მისი ძლიერი (დამცავი) ფაქტორების იდენტიფიცირება; აღნიშნული კი მოსამართლეს/პროკურორს საშუალებას აძლევს დაინახოს ის ფაქტორები, რომელმაც არასრულწლოვანი ამ გარემოებამდე მიიყვანა. სპეციალისტის მიერ მომზადებული ანგარიში ნეიტრალურია, მოპოვებული ინფორმაცია ობიექტურად არის ასახული და ანალიზზეა დაფუძნებული.

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდებისა და მედიაციის წინასწარ გადაწყვეტილებას, საქმე იგზავნება სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, სამუშაო პროცესში ერთვება სპეციალისტი (სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი). განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკების/პრობაციის ოფიცრების მონაწილეობა (იმ რაიონებში, სადაც არ არიან სოციალური მუშაკები) მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების სწორად გამოკვეთას, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შემუშავებას, შესაბამისი დასკვნის მომზადებას (საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23).

### 4.2. ინფორმაციის მოპოვების წყაროები და მეთოდები

როგორც ზემოთ აღნიშნული შეფასების ანგარიშების მომზადებისას, ასევე განრიდების მიზნით მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და სხვადასხვა წყაროსთან გასაუბრებას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს სპეციალისტი ახორციელებს პირისპირ შეხვედრას, დაკვირვებას და ინტერვიუს განსარიდებელთან, მისი ოჯახის წევრებთან და სხვა წყაროებთან, ეცნობა დოკუმენტაციას; ხორციელდება ვიზიტი საცხოვრებელ მისამართზე, ხდება გასაუბრება საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო დაწესებულებაში დასაქმებულ თანამშრომლებთან, მეზობლებთან, აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტებთან. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა კონფიდენციალურია, შეფასების ეტაპზე სპეციალისტი შესაძლოა ვერ დაუკავშირდეს სხვა წყაროს, ოჯახის ან თავად განსარიდებელი პირის გარდა.

თუმცა სამუშაო პროცესის დაწყებისას მნიშვნელოვანია, განსარიდებელს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს განემარტოს წყაროების მნიშვნელობის საკითხი. ასევე იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის საჭიროება, სპეციალისტი, მიუხედავად არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის პოზიციისა, ახორციელებს ვიზიტს სკოლაში. სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი იღებს საჭირო ინფორმაციას, სკოლის წარმომადგენელს აცნობს ოქმს და აწერინებს ხელს ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის შესახებ, რათა არ მოხდეს შეხვედრის დროს განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია, განსარიდებელთან (მათ შორის, არასრულწლოვანთან) მოხდეს ინდივიდუალური გასაუბრება, რადგან, სხვა პირის დასწრების შემთხვევაში (იქნება ეს ოჯახის წევრი, მეგობარი თუ ნათესავი), შესაძლოა ბენეფიციარმა სპეციალისტთან საუბრის დროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი არ გააჟღეროს, განსხვავებულად გადმოსცეს ან, საერთოდ, არ ისურვოს საუბარი. სამუშაო პროცესში შესაძლოა გარკვეული სირთულეებიც წარმოიქმნას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დამსწრე პირი უარს აცხადებს, დატოვოს არასრულწლოვანი სპეციალისტთან საუბრის მიზნით. ასეთ დროს სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი წყვეტს საუბარს, ასრულებს შეხვედრას და შეფასების ეტაპზე მასთან ხელახალ გასაუბრებას გეგმავს. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია, სოციალურ მუშაკსა და განსარიდებელს შორის განხორციელდეს ინდივიდუალური შეხვედრა, მაშინ სპეციალისტი უხსნის მშობელს სამუშაო პროცესს და მისი დასწრების შემთხვევაში წარმოქმნილ რისკს. ასევე მიზანშეწონილია, შეფასების ეტაპზე ინდივიდუალური გასაუბრება განხორციელდეს ყველა იმ პირთან, რომლებიც განსარიდებლის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან სპეციალისტს. მნიშვნელოვანია, საუბრის დასაწყისში და ინფორმაციის გაცემამდე, ყურადღება გამახვილდეს კონფიდენციალურობის მნიშვნელობაზე.

სამუშაო პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა სპეციალისტებთან კომუნიკაციას. კერძოდ, სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში თანამშრომლობს სხვადასხვა პროფესიონალთან: ფსიქოლოგთან, პედაგოგთან, ფსიქიატრთან, ექიმთან, პროკურორთან, მედიატორთან და ა.შ. თუ განრიდების შემთხვევაზე მუშაობის პროცესში სოციალურმა მუშაკმა/პრობაციის ოფიცერმა გამოკვეთა ეჭვი, რომ არასრულწლოვანი არის მზრუნველობას მოკლებული ან არის ძალადობის მსხვერპლი, მაშინ სპეციალისტი ვალდებულია მოახდინოს გადაუდებელი რეაგირება და არასრულწლოვნის საქმე  გადაამისამართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოში, გადამისამართების შემდეგ კი პერიოდულად მიიღოს ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ამგვარად, დოკუმენტაციის გაცნობისა და წყაროებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი ამზადებს განრიდების ხელშეკრულებისთვის სარეკომენდაციო პირობების ჩამონათვალს და ასახელებს ხელშეკრულების ვადას, რომელთაც განიხილავს საქმეზე მომუშავე პროკურორთან და მედიატორთან ერთად. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ მომზადებული ანგარიში უნდა იყოს არგუმენტებით გაჯერებული, ობიექტური და ანალიზზე დაფუძნებული. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის დროს სპეციალისტმა შეიძლება მოახდინოს

არასრულწლოვნის ოჯახის წევრების ჩართვაც, რათა მოხდეს განსარიდებლის მიერ პირობების შესრულება, მის მიერ დროის სწორად გამოყენება ან ქცევის მართვა. ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობები უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის უნარებს და ინდივიდუალურ საჭიროებებს (სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისთვის და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ, პრობაციის ეროვნული სააგენტო).

## 5. სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რისკისა და საჭიროებების შეფასების დოკუმენტის მომზადების თავისებურებანი

მოგეხსენებათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სოციალური მუშაკები ჩართულნი არიან არასრულწლოვანი ბრალდებულების წინასასამართლო პროცესში. ისინი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებს ამზადებენ საქმის განხილვის შემდგომ ეტაპებზეც:

- საქმის არსებითი განხილვა - მოსამართლემ შესაძლოა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მოითხოვოს არასრულწლოვნის დამნაშავედ ცნობამდე. ასეთ დროს მზადდება და სასამართლოს ეგზავნება დამტკიცებული ანგარიშის ფორმა, გარდა იმ პუნქტებისა, რომელიც შეეხება არასრულწლოვნის დამოკიდებულებას ჩადენილი დანაშაულისადმი.
- სასჯელის შეფარდების სტადია - სასჯელის შეფარდების სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სოციალური მუშაკი. სასჯელის შეფარდების სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შეიძლება მოითხოვოს როგორც მოსამართლემ, ასევე პროკურორმა.
- საპროცესო შეთანხება - პროკურორი სასჯელის შეფარდების სტადიაზე ანგარიშს ითხოვს მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით.
- განრიდების მიზნით - იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურატურაში საქმის დაბრუნების გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლე ითხოვს შეფასების ანგარიშს, რომელსაც ამზადებს სოციალური მუშაკი.
- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა საქმე აკმაყოფილებს განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; 27-ე მუხლი, 11-12, 12.06.2015).

### 5.1. ანგარიშის მიზანი

ზემოაღნიშნულ ეტაპებზე სპეციალისტის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიზანს წარმოადგენს, დაეხმაროს მოსამართლეს/პროკურორს მიიღოს სრულყოფილად განხილული, დაბალანსებული გადაწყვეტილება სასჯელის სახისა და არსის განსაზღვრის თაობაზე. მნიშვნელოვანია, დანიშნული სასჯელი პასუხობდეს მიზნებს, ახდენდეს განმეორებითი დანაშაულის პრევენციას და არასრულწლოვანს უქმნიდეს ჯანმრთელი და უსაფრთხო განვითარების პირობებს. აქედან გამომდინარე, სას-

ჯელის განსაზღვრის ეტაპზე სასამართლოს/პროკურატურას წარედგინება ისეთი შინაარსის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ზემოხსენებული მიზნებისათვის.

ამგვარად, აუცილებელია, რომ შეფასების დროს იდენტიფიცირებული იყოს არასრულწლოვნის რისკფაქტორები და დამცავი ფაქტორები, ასევე მოხდეს მათი ასახვა ანგარიშის საბოლოო დასკვნით ნაწილში, მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად. ამასთან, სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ გამოკვეთილ რისკფაქტორებსა და დამცავ ფაქტორებს, დანაშაულის გამეორების რისკსა და მოზარდის სხვა წამყვან საჭიროებებს. ამავდროულად, სასურველია რეკომენდაციები იყოს რეალისტური და პრაქტიკული. მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ რატომაა შეთავაზებული ესა თუ ის ინტერვენცია და რა პოტენციური სარგებლის მოტანა შეუძლია მას არასრულწლოვნისათვის, რეციდივის შემცირებისა და პროსოციალური ქცევის გაზრდის თვალსაზრისით.

### 5.2. ინფორმაციის მოპოვების წყაროები და მეთოდები

მოგეხსენებათ, რომ შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე ხდება პირისპირ გასაუბრება არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან. ვიზიტი ხორციელდება საცხოვრებელ მისამართზე. დამატებით წყაროებთან შეიძლება განხორციელდეს გასაუბრება სატელეფონო ფორმითაც. ანგარიშის მომზადების პროცესში აუცილებელია, სოციალურმა მუშაკმა განახორციელოს, სულ ცოტა, ორი ინტერვიუ ბავშვთან და ერთი შეხვედრა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. ინტერვიუს დროს სოციალური მუშაკი შესაძლებელია ერთდროულად შეხვდეს არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს, თუმცა მნიშვნელოვანია, მათთან გასაუბრება განხორციელდეს ცალ-ცალკეც.

იმ შემთხვევებში, თუ, გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე (იმყოფებიან საქართველოს სხვა ქალაქში, სხვა სახელმწიფოში), ვერ ხერხდება ბავშვის ოჯახის წევრებთან/სხვა მნიშვნელოვან პირებთან შეხვედრა, სოციალურ მუშაკს შეუძლია გამოიყენოს სატელეფონო ინტერვიუს მეთოდი. ინფორმაციის მიღების მიზნით, გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, შესაძლოა გასაუბრება მოხდეს ნათესავებთან ან სხვა ახლობლებთან, სხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომელთაც ჰქონდათ არასრულწლოვანთან ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, მოხდეს იმ დოკუმენტაციის მოძიება და ანალიზი, რომელიც ეხება მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ინფორმაციას კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ. თუ არასრულწლოვანი უარს განაცხადებს ან თავს აარიდებს სოციალურ მუშაკთან შეხვედრას, სპეციალისტი ამის შესახებ ინფორმაციას ასახავს დოკუმენტში. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, სოციალური მუშაკი სარგებლობს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლებით. ანგარიშის მომზადებისას სოციალურ მუშაკს უფლება აქვს, არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანთან მომუშავე სოციალური მუშაკისაგან, ფსიქოლოგისგან, სამედიცინო მუშაკისა და ფსიქიატრისგან.

სამუშაო პროცესში შესაძლოა გარკვეული სირთულეებიც წარმოიქმნას. კერძოდ, საუბრისას არასრულწლოვანმა შესაძლოა განმარტოს, რომ არ აღიარებს დანაშაულს. არასრულწლოვანი პირის მიერ ბრალის უარყოფაზე გაკეთებული განცხადების მიუხედავად, სპეციალისტი აგრძელებს ანგარიშის მომზადებას, თუმცა განუმარტავს მას, რომ მისი დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის ასახვა მოხდება

ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტში, რომ ის დამატებით დაუკავშირდება კანონიერ წარმომადგენელს და საქმის ადვოკატს.

იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი პირი ბრალდებულია თანამონაწილეობისათვის, შეფასების დოკუმენტზე მომუშავე სპეციალისტი თანამშრომლობს სხვა სოციალურ მუშაკებთან, რათა მომზადებული ანგარიშები არ შეიცავდეს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ან ადგილი არ ჰქონდეს უზუსტობებს; თუმცა მნიშვნელოვანია, სპეციალისტმა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემოებები და ინდივიდუალური საჭიროებები.

სპეციალისტის შეფასება ეფუძნება მითითებული წყაროებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს; დოკუმენტში ასევე ხდება არასრულწლოვნის მოსაზრებების ასახვა. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სტრუქტურირებულია, რადგან მზადდება ერთი ფორმით და ერთი და იმავე საკითხების შეფასებით. დოკუმენტი არის გასაგები და ნაკლებად არის დატვირთული პროფესიული ტერმინებით. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს თითოეული საკითხის განსაზღვრისას სოციალური მუშაკი განმარტავს, თუ რა ფაქტორებს შეეძლო გავლენის მოხდენა ქმედების განხორციელებაზე და მისი ხელმეორედ ჩადენის ან პრევენციის შესაძლებლობაზე. სპეციალისტის მიერ მომზადებული სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა იყოს ნეიტრალური და ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი.

### 5.3. ავსტრალია - საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა

აღნიშნული თავის განხილვის დროს მნიშვნელოვანია, საერთაშორისო გამოცდილებასაც დაეთმოს ყურადღება. აქედან გამომდინარე, მოძიებულ და განხილულ იქნა ავსტრალიის შემთხვევა. მიღებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სასამართლო გასცემს ბრძანებას, მომზადდეს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, საქმე იგზავნება ავსტრალიის გამოსასწორებელ დეპარტამენტში (Department for Correctional Services). თუმცა აღნიშნულის წინაპირობად ითვლება შემდეგი გარემოება - ბრალდებული პირი აღიარებს დანაშაულს ან ცნობილია დამნაშავედ სასამართლოს მიერ. ავსტრალიის გამოსასწორებელი დეპარტამენტი საქმეს უგზავნის სამუშაო ჯგუფის ლიდერს, რომელიც, თავის მხრივ, დაავალებს სოციალურ მუშაკს, დაიწყოს მუშაობა ანგარიშის მოსამზადებლად. თუმცა მანამ, სანამ საბოლოო ფორმით მოხდება სასამართლოსთვის ან/და დაინტერესებული პირებისათვის წარდგენა, ანგარიში რამდენიმე ეტაპისაგან შემდგარ შემოწმებას გადის, რომელიც გულისხმობს როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური თვალსაზრისით შემოწმებას. მომზადებული ანგარიში ექვემდებარება სპეციფიკურ საფორმატო მოთხოვნებს, რომლებიც წინასწარაა დადგენილი და შეიცავს მითითებებს ფორმალობის ხარისხის, გამოსაყენებელი შრიფტისა თუ სხვა სტილისტური, ენობრივი თუ ტექნიკური დეტალების შესახებ. აღნიშნული დეტალები მნიშვნელოვანია, რათა დაცული იყოს ანგარიშის ხარისხი და მას ჰქონდეს სტანდარტული ფორმა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სასამართლო იურისდიქციაში წარსადგენად.

როგორც ცნობილია, სპეციალისტი, პირველ ეტაპზე, ინტერვიუს ატარებს არასრულწლოვანთან, მის მშობლებთან ამ მეურვესთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ეტაპზე სულ მცირე ორჯერ მოხდეს არასრულწლოვანთან გასაუბრება, რომელთაგან ერთი აუცილებლად უნდა იყოს პირისპირ. დამატებით, გასაუბრება ხდება ყველა იმ პირთან, რომლებსაც აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ/აქვთ არასრულწლოვანთან.

ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრება 15 სამუშაო დღე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვადა შესაძლოა გაიზარდოს, დამატებითი გარემოებების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოითხოვს კონკრეტულ ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილებას, ავსტრალიის კანონმდებლობის შესაბამისად, ანგარიში შესაძლოა მომზადდეს უზენაესი ინსტანციისთვისაც. როგორც წესი, უზენაესი სასამართლოსათვის მომზადებული ანგარიში ბევრად კომპლექსური ხასიათისაა და მოსამზადებლად მეტ დროს საჭიროებს. ანგარიშის მომზადებისათვის შესაძლოა გამოიყოს 6 კვირამდე ან მეტი ვადა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასამართლოს აწვდის ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რამაც განაპირობა არასრულწლოვანი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, აგრეთვე ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია მისი დამოკიდებულება დანაშაულისა და დაზარალებული პირის მიმართ, როგორია შედეგები და როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა. ამასთან, ანგარიში განიხილავს ჩარევის შესაძლო მექანიზმებსა და პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება დანაშაულებრივი ქცევის დასარეგულირებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, არსებული გამოცდილებით, ანგარიშის მიზანი მსგავსია იმისა, რაც გვაქვს ავსტრალიის შემთხვევაში.

განსხვავებული და საინტერესო მიგნებაა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში გამოყოფილი „განხილვის“ სექცია, სადაც სპეციალისტი მიმოიხილავს სასჯელის ყველა შესაძლო სახეს. ანგარიშში მითითებული უნდა იყოს, თუ რამდენად მზადაა ან რამდენად სურს არასრულწლოვან პირს დაემორჩილოს სასჯელის კონკრეტულ სახეს. რეკომენდებულია, სოციალურმა მუშაკმა, სასამართლოსათვის სასჯელის შესაძლო სახეების შეთავაზებამდე, განიხილოს შესაძლო ალტერნატივები არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელსა და/ან ბრალდების მხარესთან. ამასთან, ავტორმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია იმ პროგრამებისა თუ ჩარევის (ინტერვენციის) მექანიზმების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია არასრულწლოვნისათვის და დაეხმარება მას, დაარეგულიროს დანაშაულებრივი ქცევა. მნიშვნელოვანია, სოციალურმა მუშაკმა გაითვალისწინოს, რომ შეთავაზებული პროგრამა პირდაპირ უნდა იყოს მიმართული იმ ფაქტორებსა თუ გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობა არასრულწლოვნის დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება. ანგარიში უნდა მოიცავდეს სასჯელის თითოეული სახის ძლიერი და სუსტი მხარეების მითითებას არასრულწლოვნის ინდივიდუალური გარემოებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ანგარიშის წარდგენის შემდეგ სპეციალისტი ვალდებულია დაესწროს სასამართლოს სხდომას და მზად იყოს, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მოსამართლეს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს დაკითხვის პროცესში ანგარიშში მოცემულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოში სოციალური მუშაკი არ არის ვალდებული დაესწროს სასამართლო პროცესს, თუმცა, მოსამართლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა მას მოუწიოს მონაწილეობა.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს სხდომის მსვლელობისას ბრალდების მხარე სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს ახალ ან დამატებით დანაშაულებზე, სასამართლო უფლებამოსილია გასცეს ბრძანება დამატებითი ანგარიშის მომზადების თაობაზე, რომელიც ასახავს ახალ ინფორმაციას. დამატებითი ანგარიშის მომზადება ასევე შესაძლოა გახდეს საჭირო, თუ დიდი დროა გასული თავდაპირველი ანგარიშის წარდგენასა და სასამართლოს სხდომას შორის.

## 6. მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ანგარიშის მომზადების სპეციფიკა

### 6.1. ანგარიშის მიზანი

მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმის მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რეინტეგრაციისათვის ოჯახის მომზადება. ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ასევე მიეწოდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, სასჯელის მოუხდელი ნაწილი მსჯავრდებულს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეუცვალოს ან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გაათავისუფლოს იგი.

### 6.2. ინფორმაციის მოპოვების წყაროები და მეთოდები

მოგეხსენებათ, რომ შეფასების პროცესში ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროდ გამოიყენება პენიტენციური დაწესებულებიდან მოწოდებული მსჯავრდებულის მომართვისა და თანხმობის ფორმა, რომლის საფუძველზეც სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სპეციალისტი იწყებს შეფასების პროცესს. ანგარიშში ინფორმაციის ასახვისა და ანალიზის მიზნით ხორციელდება ვიზიტი საცხოვრებელ მისამართზე და ინტერვიუ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან და მეგობრებთან. შეფასების მომზადების დროს ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვება. სოციალურმა მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ მომზადებული ანგარიში უნდა იყოს არგუმენტებით გაჯერებული და ანალიზზე დაფუძნებული.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სპეციალისტი, მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე, გეგმავს, სულ ცოტა, ერთ შეხვედრას მომართვის ფორმაში მითითებულ მისამართზე; საჭიროების შემთხვევაში, ასევე ახორციელებს დამატებით შეხვედრას და გასაუბრებას როგორც საცხოვრებელ მისამართზე, ასევე სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“.

როგორც ცნობილია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ასახავს ინფორმაციას ოჯახის/სოციალური გარემოს შესახებ, ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად მზად არიან ოჯახის წევრები მსჯავრდებულის საცხოვრებელ გარემოში დაბრუნებისთვის; ყურადღება მახვილდება იმაზეც, თუ რამდენად სწორად ესმით ოჯახის წევრებს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედების მიზეზები, ასევე ექნება თუ არა ამ უკანასკნელს თავშესაფარი გათავისუფლების შემდგომ, რამდენად სტაბილური და უსაფრთხო იქნება იგი. შეფასების დოკუმენტში ყურადღება მახვილდება მსჯავრდებულზე დამოკიდებულ პირებზეც. ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების დოკუმენტში სპეციალისტის მხრიდან აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს მსჯავრდებულის შემოსავლის წყარო მისი გათავისუფლების შემდგომ. მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ანალიზს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის, მსჯავრდებულის რესურსებისა და იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც ფინანსურ კეთილდღეობას უკავშირდება. ყურადღება მახვილდება იმაზეც, თუ რამდენად აქვს ოჯახს რესურსი,

მხარდაჭერა აღმოუჩინოს მსჯავრდებულს გათავისუფლების შემდგომ, უზრუნველყოს საცხოვრებლით, გაუწიოს მორალური მხარდაჭერა, დაეხმაროს გარემოსთან ინტეგრაციაში.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო პროცესში შესაძლოა გარკვეული სირთულეებიც წარმოიქმნას. მაგალითად, მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ეტაპზე შესაძლოა სოციალურმა მუშაკმა მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ იცოდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივმა საბჭომ, თუმცა მისი გაცნობა შეიძლება რისკის შემცველი აღმოჩნდეს მსჯავრდებულისათვის (მაგ., ოჯახის წევრის გარდაცვალება, როდესაც თავად ჯერ არ ფლობს ინფორმაციას ამის შესახებ). მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შინაარსის ინფორმაციის ასახვამდე სპეციალისტმა კონსულტაცია გაიაროს პროფესიულ ზედამხედველთან და სამმართველოს უფროსთან, რათა სწორად იქნეს მიწოდებული ინფორმაცია როგორც საბჭოსთვის, ასევე მსჯავრდებულისთვის, რომ აღნიშნულმა არ გამოიწვიოს მსჯავრდებულის ან/და მისი ოჯახის წევრის ემოციური მდგომარეობის ცვლილება.

### 6.3. არასრულწლოვნებთან მუშაობის თავისებურებანი

მოგეხსენებათ, რომ არასრულწლოვნებთან მუშაობის შემთხვევაში, სპეციალისტი აუცილებლად ეყრდნობა განსხვავებულ მიდგომებს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტი მუშაობს არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების დოკუმენტზე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს კანონიერი წარმომადგენლების როლზე და აღზრდის მეთოდებზე, არასრულწლოვნის ცხოვრებაზე, განვითარების პირობებზე, ოჯახურ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებზე, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა, ასევე სამომავლო გეგმებსა და ოჯახის მზაობაზე, დაეხმაროს არასრულწლოვანს დაძლიოს სამართლებრივი სირთულეები. ყოველივე ზემოთქმულზე ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ არასრულწლოვანს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე შეხება ჰქონდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან“. მნიშვნელოვანია, სპეციალისტის მხრიდან გაკეთდეს ინფორმაციის ანალიზი, თუ რა აქტივობებში იყო ჩართული არასრულწლოვანი, ჰქონდა თუ არა მას კომუნიკაცია სპეციალისტებთან, იღებდა თუ არა სარეაბილიტაციო მომსახურებას და როგორი იყო შედეგი, არღვევდა თუ არა გამოცხადების რეჟიმს და რა იყო აღნიშნულის მიზეზი. ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მშობლების მხრიდან განხორციელებულ რეაგირების მექანიზმებზე (მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმის გზამკვლევი, პრობაციის ეროვნული სააგენტო).

## 7. შეჯამება

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციის პროცესის საწყისს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. სპეციალისტების მხრიდან ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის კომპეტენტური წარმოება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მათ მიერ შემუშავებული დასკვნები სარწმუნო წყარო და დამხმარე რესურსია მართლმსაჯულების სისტემისათვის. სწორად წარმართული შეფასების პროცესი გავლენას ახდენს, მთლიანად, შემთხვევის წარმატებაზეც.

## 8. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენერმა სესიის დაგეგმვის დროს სასურველია გაითვალისწინოს როგორც თეორიული მასალა, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები. სწავლების მეთოდი შესაძლოა ემყარებოდეს როგორც სალექციო მეთოდს, ასევე გონებრივ იერიშს, დისკუსიას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სავარჯიშოებს, სიმულაციის მეთოდს და როლურ აქტივობებს.

ტრენერის მიზანია, აღნიშნული სესიების ბოლოს მსმენელს გაცნობიერებული ჰქონდეს შემდეგი საკითხები:

- მართლმსაჯულების სისტემაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა;
- ვინ არიან ანგარიშის ადრესატები და რა მიზანს ემსახურება სპეციალისტის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში;
- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე წყაროების, ინფორმაციის მოძიებისა და მისი ანალიზის მნიშვნელობა;
- სარეკომენდაციო ნაწილის ობიექტურად განსაზღვრის მნიშვნელობა.

ტრენერი უნდა შეეცადოს აქტიურად ჩართოს ჯგუფის ყველა მონაწილე სამუშაო პროცესში, თანაბრად გადაანაწილოს პრაქტიკული დავალებები, რათა თითოეულ წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა, დააფიქსიროს და გაუზიაროს გარშემომყოფებს საკუთარი აზრი/გამოცდილება.

## 9. გამოყენებული ლიტერატურა


- *ნამიჭეიშვილი ს., მგელიაშვილი მ.*, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, თავი V, თბ., 2010, 59, 65-66.
- *შეყრილაძე ი.* ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში სარეკომენდაციო ნაწილის მომზადების სპეციფიკა (სასწავლო მოდული), 2017, 3-21.
- *შეყრილაძე ი., საძაგლიშვილი შ.*, კონსულტირება სოციალურ მუშაობაში, თავი III, თბ., 2020, 59-67.
- *UNICEF*, წინასასამართლო მოკვლევის ანგარიში, საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა, საქ., 2015, 7-21.
- ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, მე-8 მუხლი, 7-8, 12/03/2020.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 27-ე მუხლი, 11-12, 12/06/2015.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23, მე-3 მუხლი, 3-5, 15/03/2016.
- არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2015.

- მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების ფორმის გზამკვლევი, პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2016.
- სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისთვის და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ, პრობაციის ეროვნული სააგენტო.

## 10. რეკომენდებული ლიტერატურა


- *მგელიაშვილი მ.*, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების კრებული, თავი III, თბ., 2011, 44-60.
- *ბერნჰარდტი ე., ქელბაქიანი ა., ნამიჭეიშვილი ს., ბაროუზი რ., შეყრილაძე ი., სამაგლიშვილი შ.*, სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თავი IV, თბ., 2014, 39.
- *გაეროს ბავშვთა ფონდი, ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის, ციხის საერთაშორისო რეფორმა*, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მექანიზმის შექმნა საქართველოში, თბ., 2015.
- *ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ნათიძე მ., ნამიჭეიშვილი ს., შეყრილაძე ი.*, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადების სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის, თბ., 2015.

# თავი IX. რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის მომსახურებები

ავტორები: ***ნათია ალიაშვილი / ნინო ჭარხალაშვილი***

*როდესაც ადამიანს განვიხილავთ ისეთად, როგორიც ის არის,*
*მას ვხდით იმაზე უარესს, ვიდრე არის;*
*მაგრამ როდესაც მას განვიხილავთ ისეთად, როგორიც უნდა იყოს,*
*მაშინ ვაძლევთ შესაძლებლობას იყოს ისეთი,*
*როგორიც მას შეუძლია, რომ იყოს.*

**ვიქტორ ფრანკლი**

## 1. შესავალი

კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მიმართ დამოკიდებულება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე იცვლებოდა იმდენად, რამდენადაც იცვლებოდა დანაშაულის მიზეზების შესახებ წარმოდგენები.

განვითარების ადრეულ ეტაპზე დამნაშავეებს სასტიკ ფიზიკურ გამოცდას უწყობდნენ, რადგან სწამდათ, რომ ისინი ბოროტი ძალების მიერ იყვნენ შეპყრობილნი. პრიმიტიული წარმოდგენები დანაშაულის შესახებ მოგვიანებით კრიმინოლოგიურმა თეორიებმა ჩაანაცვლა, რომლებიც, თავის მხრივ, იმ ეპოქაში გაბატონებულ ფილოსოფიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა. მთავარი კითხვა კი იგივე რჩებოდა - რატომ ჩადის ადამიანი დანაშაულს? შემდგომი რეაგირება - დასჯა თუ რეაბილიტაცია - სწორედ დასმული კითხვის პასუხიდან გამომდინარეობდა.

რეაბილიტაციის იდეამდე თანამედროვე საზოგადოება სწორედ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პიროვნებასთან და მის სოციალურ გარემოსთან მიახლოების შემდეგ მივიდა.

მოწიფული საზოგადოების უპირველესი გამოვლინება მის წიაღში თანამცხოვრები ადამიანების სოციალური და პიროვნული გამოწვევების აღიარება და მათ ზრუნვაზე პასუხისმგებლობის აღებაა. „თუ ვიღებთ მოსაზრებას, რომ დანაშაული, თუნდაც ნაწილობრივ, განაპირობა სოციალურმა დეპრივაციამ, მაგალითად, სიღარიბემ, ან სხვა გამოწვევებმა, რომლებსაც საზოგადოებამ სათანადოდ ვერ უპასუხა, იმდენად, რომ ინდივიდის უნარი, თავიდან აეცილებინა დანაშაული, კომპრომეტირებული იყო, მაშინ მტკიცედ უნდა შევთანხმდეთ, რომ საზოგადოებას აქვს მორალური ვალდებულება დაეხმაროს მას, იპოვოს გამოსავალი სიტუაციიდან“ (Gullerard Gilbert, 1982; Cerlen, 1984).

## 2. რეაბილიტაციის ისტორიული კონტექსტი

კრიმინოლოგიურმა თეორიებმა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჩადენილ დანაშაულში პიროვნული და გარემო ფაქტორების ხვედრითი წილის მიხედვით, კონტინუუმის სხვადასხვა მხარეს მოათავსა.

კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა, რომელიც მე-18 საუკუნის ევროპაში (Beccaria, 1764) იღებს სათავეს, ეფუძნება რწმენას, რომ დანაშაულის ჩადენისას ადამიანი მოქმედებს გააზრებულად და ხელმძღვანელობს თავისუფალი ნებით. კლასიკური სკოლის მიხედვით, დანაშაულებრივი ქცევა ინდივიდის გაცნობიერებული არჩევანია, შესაბამისად, ის სრულ პასუხისმგებლობას ადამიანს აკისრებს.

რადიკალურად განსხვავებული, პოზიტივისტური სკოლის მიხედვით კი, ადამიანი მისი პიროვნების შიგნით თუ გარეთ არსებული ძალების ერთგვარი მსხვერპლია. პოზიტივისტური სკოლის ნაკლებად რადიკალური ვერსია შემდეგ-ნაირად გამოიყურება: ადამიანის თავისუფალი ნება მეტ-ნაკლებად შეზღუდულია ფაქტორებით, რომლებიც მის კონტროლს გარეთაა (სიღარიბე, მენტალური დაავადება, ანტისოციალური და პროკრიმინალური თანატოლებისგან შეძენილი განწყობები და ა.შ.). შესაბამისად, დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან არიდება იმ შიდა თუ გარე ფაქტორებზე ზემოქმედებით არის შესაძლებელი, რომლებიც მას განაპირობებს და რომლებსაც პოზიტივისტური სკოლა სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს - ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ/გარემო ფაქტორებად, ხოლო ინტერვენცია, შესაბამისად, გულისხმობს ცვლილებას, პიროვნებისა და გარემოს დონეზე, ამ ფაქტორებზე ზეგავლენის მოხდენით.

ამგვარად, პოზიტივისტურმა სკოლამ, დაინტერესდა რა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებითა და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობებით, საფუძველი ჩაუყარა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაციის იდეას.

თუმცა რეაბილიტაციის პროცესმა გრძელი და ხანგრძლივი გზა გაიარა დღეისათვის არსებული სარეაბილიტაციო მოდელის შექმნამდე. კანონთან კონ-ფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაციის მიზნით პირველი თერაპიული მუშაობა ფსიქოანალიტიკური ტრადიციის ფარგლებში დაიწყო (Aichhern, 1925/1955), რომელიც დელინკვენტურ ქცევას განვითარების ხარვეზად აფასებდა და, შესაბამისად, თერაპიის მიზნად ამ ხარვეზის აღმოფხვრასა და დელინკვენტობის ამგვარად შემცირებას მოიაზრებდა. 1940-60 წლებში ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენებოდა ჯგუფური კონსულტაცია, ფსიქოდრამა, ტრანსაქციული ანალიზი და სხვა ინდივიდუალური თუ ჯგუფური თერაპიული მიდგომები, რომლებიც მოგვიანებით, 1970-იან წლებში, ბიჰევიორისტულმა სკოლამ - ქცევითმა თერაპიამ ჩაანაცვლა; თუმცა მეცნიერებს შორის ძალას იკრებდა სკეპტიკური დამოკიდებულება რეაბილიტაციის ეფექტიანობის მიმართ, რამაც კულმინაციას მიაღწია 1974 წელს მარტინსონის ნაშრომში „რა მუშაობს?“ (What Works?). ამით რეაბილიტაციის იდეის დაღმასვლა დაიწყო, და ის 1990 წლამდე გაგრძელდა, როდესაც გარეტმა (Garrett, 1985) და მრავალმა სხვა ავტორმა (Andrews, Zinger, Hoge, Bonta, Gendreau, Cullen, 1990; lipsey, 1992; Lose &koferl, 1989) კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაციის უზარმაზარი რაოდენობის ლიტერატურის მეტაანალიზი ჩაატარეს და შექმნეს ცოდნა იმ დროისათვის არსებული სარეაბილიტაციო მიდგომების ეფექტიანობის შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა სახელწოდებით „რა მუშაობს“, მარტინსონის იმავე დასათაურების მქონე ნაშრომის მსგავსად.

### 3. დეზისტანსის თეორია

მაშინ, როდესაც კრიმინოლოგიური თეორიების კვლევის მთავარ საგანს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობები წარმოადგენდა, მეცნიერების სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა დანაშაულის შეწყვეტის - დანაშაულებრივი ცხოვრების დასრულების, რაობა და მნიშვნელობა.

თავდაპირველად, დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტას - ხანგრძლივ წყვეტას, ყურადღება მიაქციეს 1930-40 წლებში გლიუკებმა (Glueck & Glueck, 1937) „მოწიფულობის თეორიაში", რომლებმაც შენიშნეს, რომ ასაკი იყო ყურადსაღები ფაქტორი სასიკეთო ცვლილების, დანაშაულებრივი ცხოვრების მიტოვების პროცესში. მოგვიანებით, მონაცემების ხელახალი ანალიზის საფუძველზე, სამპსონ-მა და ლაუბმა (Sampson and Laub) შექმნეს ასაკთან შეჭიდული - „არაფორმალური სოციალური კონტროლის" თეორია, რომლის მიხედვითაც ასაკი განიხილეს სხვა ფაქტორებთან - ბიოლოგიურ ცვლილებასთან, სოციალურ გარდაქმნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან კონტექსტში და მხოლოდ ამგვარად მოიაზრეს, როგორც დანაშაულის შეწყვეტის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამ და სხვა იმდროინდელმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა კვლევებს, რომლებიც დანაშაულებრივი ცხოვრების დასრულების ბუნებრივად მიმდინარე პროცესს აკვირდება და „დეზისტანსის" თეორიის სახელითაა ცნობილი. **დეზისტანსი განისაზღვრება, როგორც (desist - ნიშნავს შეწყვეტას) დანაშაულებრივი ცხოვრების ან სხვა ანტისოციალურ ქმედებათა შეწყვეტა.**

დღეისათვის დეზისტანსის თეორიის მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად მიმართულებას, რომლებიც დანაშაულის შეწყვეტის მიზეზების ახსნას უკავშირ-დება: 1 - კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა გადაწყვეტილების მომწიფება, შეწყვიტოს დანაშაული; 2 - მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენა (ქორწინება, შვილის ყოლა, დასაქმება), რომელთაც, დანაშაულის ხელახალი ჩადენის შემთხვევაში, დაკარგვის საფრთხე ემუქრება; და 3 - კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა იდენტობის ცვლილება პროსოციალური მე-ხატით. თუმცა მკვლევართა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ დეზისტანსი არის ამ ფაქტორების - პიროვნული ნებისა და მასზე ზემოქმედი სოციალური სტრუქტურის - ურთიერთ-მოქმედების შედეგი (Laub and Sampson, 2001; Marveill, 2006); „ადამიანები უფრო დიდი ალბათობით წყვეტენ დანაშაულებრივ ქმედებას, როდესაც აქვთ ძლიერი კავშირი ოჯახთან და საზოგადოებასთან, დაკავებული არიან საქმიანობით, რომელიც ავსებთ, აქვთ სხვებისთვის საკუთარი მნიშვნელოვნების განცდა, საკუთარი ძალების რწმენა, ცხოვრების საზრისი და მიზანი" (Shadd Maruna & Ruth Mann).

დანაშაულებრივი ცხოვრების დინამიკის ბუნების, მასზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნებისა და მის ცენტრში მდგომი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რთულ და ცვალებად მოცემულობას ყველაზე ზუსტად ტერმინი „დეზისტანსის მოგზაურობა" გამოხატავს (Jake, 2017). „მოგზაურობის" მეტაფორა ხაზს უსვამს იმას, რომ დეზისტანსი არ არის სწორხაზოვანი გზა A-დან B წერტილამდე, ის უფრო ზიგზაგს ჰგავს, რომელიც თითქმის ყოველთვის გულისხმობს ჩავარდნას, ხარვეზებს, ჩიხს და არასწორ არჩევანს (Glaser, 1964; Laub and Sampson, 2001; Matza, 1964; Weaver and McNeill, 2010), თუმცა დეზისტანსის პროცესი შეიძლება შეიცავდეს მრავალ მოგზაურობას და თითოეული მათგანი აღწევდეს ახალ დანიშნულების ადგილს. დეზისტანსი ანუ დანაშაულებრივი ცხოვრების შეწყვეტა, რომელიც თავისთავად, ჩარევის გარეშე, ზემოთ აღწერილი ფაქტორების გავლენით ხდება, საფუძველს ურყევს ადამიანის სტატიკური ბუნების შესახებ წარმოდგენას, დანაშაულებრივი

იდენტობის შეცვლის შესაძლებლობას ამტკიცებს და, ამგვარად, აძლიერებს რეაბილიტაციის იდეას, რომელიც დანაშაულის წინაპირობად ბიო-ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს გულისხმობს, და მისი განმეორების რისკის შესამცირებლად ამ ფაქტორებზე ზემოქმედებით, ადამიანური რესურსის რწმენაზე გავლით, ცვლილების მოხდენას ვარაუდობს.

ამგვარად, დეზისტანსის თეორია, იკვლევს და აღწერს რა მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულებრივ ქმედებათა შეწყვეტას, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მომუშავე სპეციალისტებს, დეზისტანსის ხელშემწყობი ფაქტორების გათვალისწინებით, სწორი და ეფექტიანი სარეაბილიტაციო მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

**4. რისკის და საჭიროების მოდელი**

ანდრიუსმა და ბონტამ (Andrews and Bonta, 1995) შექმნეს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობის ეფექტიანი ინტერვენციის მოდელი, რომელიც ამ პირებს შორის ინდივიდუალურ განსხვავებას ადგენს დანაშაულის განმეორების რისკისა და  იმ კრიმინოგენური საჭიროებების მიხედვით, რაც დანაშაულს უდევს საფუძვლად, და რომელიც „რისკისა და საჭიროების“  სახელით არის ცნობილი.

**რისკის პრინციპის** მიხედვით, მიწოდებული სერვისის ინტენსივობა დანაშაულის განმეორების რისკის შესაბამისი უნდა იყოს. ინტენსიურ სარეაბილიტაციო პროცესში ერთვებიან მაღალი რისკის მქონე პირები, ხოლო მინიმალურ ინტერვენციას საჭიროებენ  განმეორების დაბალი რისკის მქონე პირები.

დანაშაულის განმეორების ალბათობის შემცირების მიზნით, კრიმინოგენურ საჭიროებებზე - ცვალებად, დინამიკურ ფაქტორებზე, რაც დანაშაულს უდევს საფუძვლად, მიზანმიმართულ ზემოქმედებას **საჭიროების პრინციპი** ითვალისწინებს.

**რეაგირების (Responsivity) პრინციპი** უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა ინდივიდუალური მახასიათებლების (ასაკი, სქესი, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვ.)  გათვალისწინებას რეაბილიტაციის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

და ბოლოს, ანდრიუსს (Andrews, 1995) შემოაქვს **მთლიანობის პრინციპი**, რომელიც უზრუნველყოფს რეაბილიტაციის პრაქტიკის იმგვარად განხორციელებას, როგორც ის იყო დაგეგმილი. მთლიანობის პრინციპი ეფუძნება უწყვეტი მონიტორინგისა და შეფასების პროცესს.

ანდრიუსმა და ბონტამ არაერთი კვლევით დაამტკიცეს, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, ანტისოციალური კოგნიციები, ანტისოციალური ურთიერთობები, ამასთან, ურთიერთობები ოჯახსა და ახლობლებთან, დასაქმება და დასვენება/რეკრეაციული აქტივობები, და ანტისოციალური პიროვნული პატერნი კრიმინოგენურ საჭიროებებს წარმოადგენენ და, დანაშაულის განმეორების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიან.

მეტაანალიტიკური კვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ყველაზე იმედისმომცემ შედეგებს, დანაშაულის განმეორების ალბათობის შემცირების თვალსაზრისით, კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიაზე დაფუძნებული საინტერვენციო პროგრამები იძლევა (McGuire and Priestley, 1993; Vennard et al., 1997; Vennard and Hedderman, 1998). მისი სამიზნე არის არა პიროვნება, როგორც ერთი მთლიანობა, არამედ კონკრეტული ქცევისა თუ აზროვნების ტიპი, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან მიმართებით კი - დანაშაულებრივი

ქცევა და მის საფუძვლად არსებული კრიმინოგენური ფაქტორები. სწორედ ამის გამო, საინტერვენციო პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა კოგნიტურ-ბიჰევიორალურია, მკაცრად სტრუქტურირებულია და დანაშაულებრივ ქცევაზეა ორიენტირებული.

### 4.1. კოგნიტური უნარები

კოგნიტური უნარების ტრენინგი დამნაშავეთა საერთო პროგრამების (General Offending Programs) ჯგუფში ერთიანდება. მასში ერთვებიან მსჯავრდებულები, რომლებიც რამდენიმე განსხვავებული სახის დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კოგნიტური უნარების პროგრამა სხვადასხვა დასახელებით გვხვდება (Reasoning & Rehabilitation (R&R), Acredited Enhanced Thinking Skills, Thinking For Change, Think First, Stop & Think).

საქართველოს პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში დანერგილია კოგნიტური უნარების **TSP - პოზიტიური აზროვნების პროგრამა**. ის მიმართულია გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის, თვითრეგულაციისა და მორალური განსჯის უნარის გაზრდისაკენ.

ფრენდშიპმა და სხვა ავტორებმა (Friendship et al, 2003) პენიტენციურ დაწესებულებებში 670 ზრდასრული მამაკაცი გამოიკვლიეს, რომლებმაც გაიარეს კოგნიტური უნარების ტრენინგპროგრამა. მათ აღმოაჩინეს, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენის სიხშირე შემცირებული იყო 14%-ით - საშუალო და დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთა შორის და 11%-ით - საშუალო და მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულთა შორის. არსებობს კვლევები, რომლებიც განსხვავებულ შედეგებს აჩვენებს. კერძოდ, ჰოლინმა და პალმერმა (Hollin & Palmer, 2009) ივარაუდეს, რომ კოგნიტური პროგრამის დასრულება ამცირებს დანაშაულის განმეორების შემთხვევებს გათავისუფლებიდან 1 წლის მანძილზე, მაგრამ ეფექტი არ ნარჩუნდება ხანგრძლივად. რობინსონმა (Robinson, 1995) ვერ გამოავლინა ე.წ. ტექნიკური დარღვევების რაოდენობის შემცირება (მაგ., დარღვევები პირობითი სასჯელის მოხდისას), მაგრამ გამოავლინა დანაშაულის ჩადენის რაოდენობის 20%-ით შემცირება იმ მსჯავრდებულთა შორის, რომლებმაც გაიარეს კოგნიტური უნარების ტრენინგი.

### 4.2. ოჯახში ძალადობა

დღესდღეობით, ოჯახში ძალადობისათვის გასამართლებულთა რეაბილიტაციის პროგრამების ორი დომინანტური მიმართულება გამოიყენება: ფემინისტური - ფსიქოსაგანმანათლებლო და კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიული (კბთ) მოდგომები, თუმცა ხშირად გვხვდება ე.წ. შერეული მოდელიც.

ფილოსოფიურ დონეზე, **კბთ** მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა გამოწვეულია (1) კოგნიტური შეცდომებით საკუთარი თავისა და პარტნიორის მიმართ და (2) ემოციების სათანადოდ გამოხატვის უნარის ნაკლებობით, რაც ბრაზის არაადაპტურ-ი მართვის წინაპირობას ქმნის. **კბთ** კოგნიტურ შეცდომად მიიჩნევს მამაკაცის მოთხოვნილებას, იყოს უპირატესი და პრივილეგირებული ურთიერთობაში, და თვლის, რომ ეს გამოსწორებადია.

დულუთის მოდელი შთაგონებულია ოჯახში ძალადობის ფემინისტური და სოციოლოგიური ანალიზით. ის მიიჩნევს, რომ ძალადობა იკვებება პატრიარქალური კულტურით და მის მიზანს მამაკაცის მიერ ქალზე კონტროლის განხორციელება წარმოადგენს; შესაბამისად, აღნიშნული მოდელის ძირითადი მიზანი, მოძალადე

მამაკაცთა ინტერვენციის პროცესში, მასკულინური რწმენა-შეხედულებების შეცვლაა.

საქართველოს პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში 2018 წლიდან გამოიყენება „მოძალადეთა ინტერვენციის პროგრამა“ (PRIA-MA), რომელიც შერეულ - კბთ, გენდერულ და კარგი ცხოვრების მოდელს (GLM) ეფუძნება.

პროგრამის ეფექტიანობის კვლევამ დადებითი შედეგები აჩვენა ყველა შესწავლილ ასპექტში: სექსიზმი, ეჭვიანობა, ემოციური ძალადობა, წყვილს შორის კონფლიქტები, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ემპათია, იმპულსურობა, მტრობა, გულისწყრომის გამოხატვა და მათი მართვა (Pérez, Giménez-Salinas y De Juan, 2013).

### 4.3. ბრაზის მართვა

ბრაზი არც აუცილებელია და არც საკმარისი ძალადობრივი ქცევის განხორციელებისათვის, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი მდგენელია. დადგენილია, რომ ბრაზის გამოვლინებები - რისხვა, სიძულვილი და შურისძიება, ძალადობრივი დანაშაულის მამოძრავებელია. ბრაზის რეგულაციის პრობლემა დამნაშავეთა შორის კომპლექსურია და უკავშირდება არასახარბიელო ოჯახურ გარემოს, განვითარების შეფერხებას, ნივთიერებათა მოხმარებას, ინსტიტუციონალიზაციას და ა.შ. ბრაზი ხშირად გადახლართულია შიშთან, წყენასთან, სევდასთან, სირცხვილთან და იმედგაცრუებასთან.

ბრაზის მართვის პროგრამა საგანმანათლებლო და კოგნიტურ-ბიჰევიორალურია. ის დამნაშავეს ეხმარება ამოიცნოს ბრაზი, ისწავლოს და გამოიყენოს ბრაზის შემცირებაზე მიმართული სხვადასხვა ტექნიკა, მოახდინოს კოგნიციების რესტრუქტურიზაცია და შეიმუშაოს ჩავარდნის პროფილაქტიკის ინდივიდუალური გეგმა.

მაკდუგალმა და ბოდისმა (McDougall and Boddis, 1991) შეაფასეს ბრაზის მართვის მოკლე პროგრამა ბრაზის მართვის სირთულის მქონე მსჯავრდებულებთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. კვლევა ჩატარდა საკონტროლო ჯგუფთან. ბრაზისა და აგრესიის კითხვარის შედეგებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების შეფასების საფუძველზე დაფიქსირდა საგრძნობი გაუმჯობესება.

დოუდენმა, ბლანჩეტმა და სერინმა (Dowden, Blanchette and Serin, 1999) ჩაატარეს მოცულობითი კვლევა ზრდასრულ მამაკაცებთან კანადის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. კვლევამ აჩვენა პროგრამის დადებითი ეფექტი, დანაშაულის განმეორების შემცირების თვალსაზრისით, სამი წლის განმავლობაში, თუმცა ეფექტი ეხებოდა მხოლოდ მაღალი რისკის მსჯავრდებულებს. უნდა ითქვას, რომ ეს პროგრამა ბევრად უფრო ინტენსიურია, ვიდრე ბევრი პროგრამა, რომელიც დანერგილია სხვადასხვა ქვეყანაში. ის მოიცავს პროგრამის მთლიანობის პრინციპის ყველა კომპონენტის (თანამშრომლების გადამზადება, სუპერვიზია, რეგულარული აუდიტი, როლური თამაშები, საშინაო დავალება) სავალდებულო და ზედმიწევნით დაცვას.

### 4.4. ნივთიერებებზე დამოკიდებულება

ნარკოტიკისა და ალკოჰოლის პროგრამები სასჯელაღსრულების სისტემაში ფართო სტრატეგიის მცირე ნაწილს წარმოადგენს, ფარმაკოთერაპიასთან, გარე სერვისებთან და ჩანაცვლებით თერაპიასთან ერთად.

სოციალური დასწავლისა და კოგნიტურ-ბიჰევიორალური თეორიების მიხედვით, დამოკიდებულება დასწავლილი, არაადაპტური ქცევაა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს კვლავ სწავლებითა და პროსოციალური ქცევის მოდელირებით (Pearce and Holbrook, 2002). ნივთიერებათა მოხმარება, როგორც გამკლავების მექანიზმი, დროთა განმავლობაში ნარჩუნდება მყისიერი, შინაგანი განმამტკიცებლით, როგორიცაა სიამოვნების განცდა, რომელიც აღემატება მოგვიანებით დამდგარი უსიამოვნო შედეგით (დაპატიმრება, კანონთან კონფლიქტი) გამოწვეულ ემოციას. ამ მიდგომებზე დაფუძნებული მკურნალობის მეთოდი ცდილობს ინდივიდის გამკლავების ქცევითი თავისებურებების და მის საფუძვლად არსებული კოგნიციების შეცვლას (Parks and Marlatt, 1999), ამიტომ აქცენტი ახალი უნარების შეძენაზე კეთდება ისეთი სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, როგორიცაა როლური თამაში, კოგნიტური რესტრუქტურიზება (არაადაპტური ქცევის ხელშემწყობი სააზროვნო პატერნების აღმოჩენა და შესწორება) და ახალი ქცევის განმეორებით განმტკიცება (Smith, Gendreau and Swartz, 2009).

კვლევები დამაჯერებლად აჩვენებს სოციალური დასწავლის და კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მეთოდებზე დაფუძნებული პროგრამების ეფექტიანობას მკურნალობის სხვა მიდგომებთან შედარებით (Antonowicz and Ross, 1994; Smith, Gendreau and Swartz, 2009).

ნივთიერებებზე დამოკიდებულების მკურნალობისას ძირითადი აქცენტი მის ინტენსივობაზე კეთდება, რაც გულისხმობს ხშირ შეხვედრებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ასევე მის გარეთ. თუმცა კვლევებმა აჩვენა მკურნალობის ხანგრძლივობის გადამწყვეტი მნიშვნელობა, მკურნალობის ინტენსიურობასთან შედარებით. ბევრმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ზრუნვის ხანგრძლივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტენსივობა (Crits-Christoph and Sidqueland, 1996; Moos et al., 2000), რაც ადასტურებს ინდივიდის ცხოვრებისეული კონტექსტის გავლენას რემისიასა და ჩავარდნაზე.

### 4.5. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირების მკურნალობის ფსიქოლოგიური მეთოდების შესახებ არსებული საერთაშორისო კვლევების რაოდენობრივი მეტაანალიზი (Ståle Pallesen, Morten Mitsem, Gerd Kvale, Bjørn-Helge Johnsen & Helge Molde, 2005) ეფუძნებოდა სამეცნიერო ჟურნალებში 1966-დან 2004 წლამდე გამოქვეყნებულ 22 კვლევას და მიზნად ისახავდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა ფსიქოლოგიური მეთოდებით მკურნალობის მოკლე და გრძელვადიანი შედეგების და აღნიშნულ შედეგებთან დაკავშირებული ფაქტორების გამოკვლევას. 22 ნაშრომის გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია (როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური) ე.წ. node-link-mapping-თან ერთად, აგრეთვე წარმოსახვითი დესენსიტიზაცია და წარმოსახვითი რელაქსაცია, საკმაოდ ეფექტიანია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირების მკურნალობის პროცესში.

პროგრამაში განხილულია განსხვავებულ ქვეჯგუფებზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც წარმოდგენილია ალექს ბლასზკზინსკისა (ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, სიდნეის უნივერსიტეტი, ავსტრალია) და ლია ნოუერის (სოციალური მუშაობის ფაკულტეტი, მისურის სენტ-ლუისის უნივერსიტეტი, აშშ) ნაშრომში - „აზარტული თამაშებით პრობლემურად და პათოლოგიურად გატაცებულ მოთამაშეთა განსხვავებულ ქვეჯგუფებზე დაფუძნებული მოდელი“ (2002).

აგრეთვე გათვალისწინებულია ის პრაქტიკული რჩევები, რაც წარმოდგენილია რობერტ ლედუსერისა (ლავალის უნივერსიტეტი, კვებეკი, კანადა) და მაიკლ უოკერის (სიდნეის უნივერსიტეტი, ახალი სამხრეთ უელსი, ავსტრალია) ნაშრომში - „აზარტული თამაშებით პათოლოგიურად გატაცების ფენომენის ახსნისა და მკურნალობის კოგნიტური მიდგომა“ (1998).

პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულია მოტივაციური ინტერვიუირების მიდგომები და ტექნიკის სახეები (Miller, Rollnick, 2009), აგრეთვე ცვლილების ტრანსთეორიული მოდელი (Prochaska, DiClemente, 1992) და კარგი ცხოვრების მოდელი (GLM) (Ward y Brown, 2004). ეს უკანასკნელი თერაპევტს უადვილებს მონაწილეთა ძლიერი მხარეებისა და მთავარი მოტივატორების იდენტიფიცირებას და მათ დაკავშირებას უნარ-ჩვევებთან, რესურსებსა და ცოდნასთან. მოცემული პროგრამა მიმართულებას აძლევს ფსიქოლოგიური თერაპიის პროცესს, ხელს უწყობს მონაწილეებში დადებითი ცვლილებების განხორციელების მოტივაციის გაღვივებას, გავლენას ახდენს მონაწილეთა პიროვნულ ფაქტორებზე, რათა მათ შეძლონ ადიქციის სიმპტომების დაძლევა და რეციდივის პრევენცია. სესიები მიზნად ისახავს აზარტული თამაშებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მონაწილეთა მიერ გაცნობიერებას, ქცევის კონტროლისა და პრობლემებთან გამკლავების პოზიტიური ფსიქოლოგიური უნარების გაძლიერებას.

### 4.6. არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკა

მოზარდები, რომლებიც ჩადიან სერიოზულ დანაშაულს, არაერთი ფსიქო-სოციალური პრობლემის წინაშე დგანან, ასევე შეზღუდული აქვთ საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობები (Lyons et al., 2001).

მოზარდის ანტისოციალური ქცევა მრავალი, მისი პიროვნების შიგნით თუ გარეთ არსებული ფაქტორით არის განპირობებული: იმპულსურობა, ყურადღების დეფიციტის სინდრომი, ნეგატიური აფექტი; მშობლების არათანმიმდევრული, დაუდევარი აღზრდის სტილი, მათივე მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები და კრიმინალური ქცევა; ღარიბი ემოციური კავშირები ოჯახის წევრებთან, თემში მცირე მხარდაჭერა, მაღალი გარემო და ფსიქოსოციალური სტრესი და სხვ.

არასრულწლოვანთა ინტერვენციის შეზღუდვა მდგომარეობს პრობლემის მულტიფაქტორულ ბუნებაში. ეფექტიანი მკურნალობა უნდა მოიცავდეს ჩარევას არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ოჯახის, თანატოლების, სკოლისა და, თუ შესაძლებელია, თემის დონეზეც კი (Borduin, 1994). კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის რეაბილიტაცია მოიცავდეს მის სოციალურ ეკოლოგიას, ოჯახის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდით, ანტისოციალური ქცევის თანატოლებისაგან არასრულწლოვნის გამიჯვნისა და სწავლის პროცესში ხელშეწყობის გზით, და ის არ შემოიფარგლოს ინდივიდუალური შეხვედრებით მხოლოდ ოფისის ფარგლებში.

## 5. საინფორმაციო ხასიათის პროგრამები

საინფორმაციო ხასიათის პროგრამების მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირებმა მიიღონ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებზე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები იღებენ ინფორმაციას ადამიანთა ტრეფიკინგისა და მისი შედეგების, ასევე ადამიანის/ბავშვის უფლებებისა და მნიშვნელოვანი პრინციპების შესახებ.

დამატებით, ხდება სახელმწიფოში არსებული სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების შესახებ ინფორმირება.

### 6. პროსოციალური ქცევის ხელშეწყობის პროგრამები

პროსოციალური ქცევის ხელშეწყობა გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების ინფორმირებულობის გაზრდას ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ, ტოლერანტობის განვითარებას მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისადმი, სწორი მოქალაქეობრივი პოზიციის განვითარებას, რაიმე ნიშნით განსხვავებულობის მიმართ მიმღებლობის გაზრდას და ამ ნიშნით ძალადობრივი ქმედებების პრევენციის ხელშეწყობას.

პროსოციალური ქცევის ხელშეწყობა ასევე ხდება ეფექტიანი კომუნიკაციის საფუძველზეც. აღნიშნული მიმართულებით მუშაობის დროს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს მიეწოდება ინფორმაცია კომუნიკაციის მეთოდებზე, წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზებზე, მოლაპარაკების პროცესსა და მოსმენის, ინფორმაციის ანალიზის საშუალებებზე. სამუშაო პროცესში ყურადღება ექცევა კომუნიკაციის დროს ეფექტიანი სტრატეგიებისა და მათი გამოყენების საჭიროებას, რათა ბენეფიციარმა შეძლოს ყურადღების გამახვილება კონფლიქტის თავიდან აცილების სტრატეგიებზე, კომუნიკაციის პროცესში ასერტული უნარების გამოყენების საჭიროებაზე.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა სარეაბილიტაციო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან და მიზნად ისახავს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უსაფრთხო ქცევის დანერგვის ხელშეწყობას, მისთვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებასა და სარისკო ქცევებისაგან დამცავი სოციალური უნარებით აღჭურვას.

სამომავლო მიზნების იდენტიფიცირება, მათი არსებობის მნიშვნელობისა და მიღწევის გზების გააზრება სამუშაო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ისევე, როგორც მომავლის პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბება, მოტივაციის ამაღლება, ცხოვრების ალტერნატიული გზების დანახვა და მხარდამჭერი ქსელის იდენტიფიცირება, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიერ ინტერესის დაკარგვა, გაუცხოება და უიმედობა, მომავლის ნეგატიური აღქმა.

### 7. ოფიცრის როლი რეაბილიტაციის პროცესში

აქამდე საუბარი მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა თუ რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე და ამ საქმეში დღეისათვის არსებულ მიღწევებზე, თუმცა „რეაბილიტაცია არ არის რაღაც, რაც მოქმედებს სოციალურ ვაკუუმში, უფრო მეტიც, ეს არის პროცესი, რომელიც ეძიებს და მუშაობს ადამიანური ურთიერთობების კონტექსტში“ (Bazemore, 1999; Bazemore and O'Brien, 2002, Maruna, 2001).

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ურთიერთობა ოფიცერსა და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა შორის უდიდეს გავლენას ახდენს რეაბილიტაციის პროცესის წარმატებაზე, არ არის ახალი.

თუმცა 1990 წლის შემდგომ, როდესაც საბოლოოდ გაირკვა სარეაბილიტაციო

პროგრამების ეფექტიანობა, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში ჩაერთო სხვადასხვა დარგის სპეციალისტი. ამის გამო, მსჯავრდებულს პირობითი სასჯელის მოხდის პროცესში ერთზე მეტ ადამიანთან (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სერვის პროვაიდერი და ა.შ.) უწევდა ურთიერთობა; შესაბამისად, ოფიცერთან პირისპირ ურთიერთობის ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა.

ცნობილი კანადელი მკვლევარი ანდერდოუნი (Underdown) საუბრობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობაში ოფიცრის, როგორც გარდამტეხი ცვლილების შემომტანი აგენტის, გადამწყვეტ როლზე, რომელსაც ის ახორციელებს, პროგრამის დაწყებამდე - მოსამზადებელი, ხოლო, პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე და დასრულების შემდგომ კი - მხარდამჭერი მუშაობით. პროგრამების დანერგვის პროცესის დაჩქარების გამო, ეფექტიანი პრაქტიკის ეს ასპექტი არაერთ ქვეყანაში იყო უგულებელყოფილი. ცუდი „შემთხვევის მართვა“ შესაძლოა სარეაბილიტაციო პროგრამის დაბალი ეფექტიანობის მიზეზი აღმოჩნდეს (Raynor, 2004a).

სიუ რექსმა (Sue Rex) 1999 წელს ჩაატარა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 21 პრობაციის ოფიცერმა და 60 პრობაციონერმა, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ის პრობაციონერები, რომლებიც ავლენდნენ ქცევაში პოზიტიურ ცვლილებებს, გრძნობდნენ და ადასტურებდნენ ჩართულობას და დაინტერესებას მათი პრობაციის ოფიცრის მხრიდან. კვლევაში მონაწილე პრობაციონერების ნახევარმა გამოავლინა ლოიალობა და ანგარიშვალდებულების გრძნობა ოფიცრის მიმართ, აგრეთვე მზაობა მიმართულებისა და რჩევის მისაღებად, გულწრფელი და მზრუნველი ურთიერთობის ფონზე.

სხვა კვლევაში, სადაც 105 პრობაციონერი იღებდა მონაწილეობას (Beaumont et al., 2001), აღმოჩნდა, რომ ყველაზე პოზიტიურ გამოცდილებად პრობაციონერები აფასებდნენ პერიოდს, როდესაც მუშაობდნენ ერთ კონკრეტულ ოფიცერთან, და მასთან პირისპირ ურთიერთობას აღწერდნენ დადებითად, ხოლო მათ, ვინც თვლიდა, რომ ოფიცერთან კონტაქტი იყო არასაკმარისი, ნაჩქარევი და ზედაპირული, პირისპირ მუშაობა შეაფასეს არადამაკმაყოფილებლად.

პრობაციონერის ქცევის სასურველი მიმართულებით შეცვლა არა მხოლოდ პროგრამებით ან თერაპიული საუბრებითაა შესაძლებელი; არანაკლები ეფექტის მომტანია, უშუალოდ, სასურველი ქცევის დემონსტრირება (მაგ.: შეხვედრაზე დათქმულ დროს მისვლა, თავაზიანი და მეგობრული დამოკიდებულება, გულწრფელობა და უშუალო, არაოფიციალური ურთიერთობა).

კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა რეაბილიტაცია ეფუძნება რწმენას, რასაც მარუნა და კინგი (Maruna and King, 2009) „მორალურ გამოსყიდვას“ უწოდებენ. ეს არის დაშვება, რომ ადამიანი შეიძლება შეიცვალოს და დანაშაულებრივი წარსული არ არის ბედისწერა. „მორალური გამოსყიდვის“ რწმენის მიხედვით, კრიმინალურობა არ არის ინდივიდის მუდმივი მახასიათებელი, არამედ ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ ადაპტაციის მისეული თავისებურებაა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს გარემო პირობების შეცვლით ან ადამიანის თვითშემეცნების ზრდით.

სასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებული ნებისმიერი სახის ჩარევა და ცვლილების დინამიკის აღძვრა ყოველგვარ აზრს მოკლებულია ადამიანის ბუნების ცვალებადობის, მასში კეთილი საწყისის არსებობის რწმენისა და ამ რწმენის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის გადაცემის გარეშე, რაც მასთან მომუშავე ნებისმიერი თანამშრომლისთვის წაყენებულ უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს.

### 8. ოჯახის როლი რეაბილიტაციის პროცესში

რეაბილიტაციის პროცესში ბენეფიციარის გასაძლიერებლად განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მისი ოჯახის წევრებს. ეს არის დამატებითი მხარდაჭერა, რომელიც პროცესს უფრო სტაბილურს ხდის. იმ დროს, როდესაც სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებაში ბენეფიციარის ოჯახის წევრები იღებენ აქტიურ მონაწილეობას, შესაძლებელი ხდება ყველა იმ პრობლემის უფრო მარტივად დაძლევა, რომლის წინაშეც დგას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი. ავსტრალიაში აქტიურად გამოიყენება პროგრამა - „სოციალური ქსელის კონფერენცია“, რომელიც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სოციალური ქსელით ჩართვას რესოციალიზაციის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას უჩნდება განცდა, რომ არ არის მარტო და მისი ახლობელი ადამიანები ყოველმხრივ ცდილობენ მის დახმარებას. ეს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს უმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას და მოტივაციას, იცხოვროს დანაშაულის ჩადენის გარეშე.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი გულისხმობს არა მხოლოდ ოჯახის წევრების ჩართულობას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მხარდაჭერის მიზნით, არამედ ოჯახის წევრების გაძლიერებასაც. კერძოდ, სპეციალისტი სამუშაო პროცესში გამოკვეთს ოჯახის წევრების საჭიროებებს და ყოველმხრივ ეხმარება მათ, იქნება ეს პროფესიული გადამზადება, დასაქმებაში ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების მიღების კუთხით მხარდაჭერა თუ სხვა.

### 9. რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნით გატარებული დამატებითი ღონისძიებები

სასჯელის საბოლოო მიზანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაა. რეაბილიტაციის მიმართულებით მუშაობის დროს მნიშვნელოვანია დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირება და არსებული რისკების მინიმუმამდე დაყვანა. სარეაბილიტაციო პროგრამების გარდა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მხარდაჭერას დასაქმებისა და განათლების კუთხით, ასევე დროული სამედიცინო მომსახურებითა და, საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროცესი აგრეთვე გულისხმობს ოჯახის მხარდაჭერასა და გაძლიერებას, რეკრეაციულ აქტივობებში მის ჩართვას. თუმცა, ზემოჩამოთვლილის გარდა, შესაძლოა დამატებით მოხდეს ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და აღნიშნული მიმართულებით მუშაობა. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში, ბენეფიციარის საჭიროებების მხარდასაჭერად მიმდინარეობს მულტიდისციპლინური გუნდის ეფექტიანი მუშაობა, რათა პრობაციის ოფიცრის, სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის მიერ მიწოდებული სერვისი იყოს დროული, უწყვეტი, საჭიროებებზე მორგებული, ასევე პრიორიტეტების მიხედვით განაწილებული, რადგან თუ ბენეფიციარს აქვს საცხოვრებლის პრობლემა, შესაძლოა პირველად საჭიროებად მოაზრებულ იქნეს მისი თავშესაფრით უზრუნველყოფა, შემდეგ კი სარეაბილიტაციო მომსახურებებში ჩართვა და დასაქმების კუთხით გაძლიერება.

როგორც უკვე აღინიშნა, ბენეფიციარის დასაქმების ხელშეწყობა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ნაწილია. ამ მხრივ, პირობით მსჯავრდებულებთან აქტიურად თანამშრომლობენ ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები; კერძოდ, ისინი მსჯავრდებულს აწვდიან ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ.

დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტს აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს ბენეფიციარს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შედგეს CV, როგორ უნდა წარმართოს ინტერვიუ დასაქმების მსურველმა, როგორ მოიძიოს ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ, როგორ მოამზადოს სამოტივაციო წერილი და ა.შ. შრომის ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით სარგებლობა წარმოუდგენელია საბაზისო სამუშაო უნარების განვითარების გარეშე. ამდენად, აღნიშნული კუთხით მხარდაჭერა ბენეფიციარს შესაძლებლობას აძლევს, შეიძინოს და გაიღრმაოს ცოდნა.

განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სოციალური ფუნ-ქციონირების ხელშეწყობის საქმეში. რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ნაწილია საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვაც, იქნება ეს პროფესიული განათლების, სავალდებულო სასკოლო თუ უმაღლესი განათლების მიღება, ასევე უცხო ენების შემსწავლელ ჯგუფებში ჩართვა. სპეციალისტები უზრუნველყოფენ ბენეფიციართათვის ხელმისაწვდომი პროფესიული სწავლების პროგრამების/ მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათი მოტივაციის გაზრდას. პროფესიული განათლების მიღება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ხელს უწყობს დასაქმებაში, ასევე ცვლის მის დამოკიდებულებებს და აღქმებს კონკრეტული საკითხებისადმი.

ჯანდაცვის კომპონენტი ბენეფიციარის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო უწყებებთან, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს მიეწოდოს დროული სამედიცინო მომსახურება.

თავშესაფრის არქონის შემთხვევაში, სპეციალისტის მხრიდან ხდება გადაუ-დებელი რეაგირება და, შესაძლებლობის ფარგლებში, ამ კუთხით მისი მხარდაჭერა, რათა პირის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არ დადგეს რისკის ქვეშ. აღნიშნული სერვისის მიღების მიზნით, საქმეზე მომუშავე სპეციალისტები მოიძიებენ ინფორმაციას ოჯახის წევრებისა და თანადგომის ქსელის, ასევე მუნიციპალური თავშესაფრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა დროებით დააკმაყოფილონ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის გადაუდებელი საჭიროება.

რეკრეაციული ღონისძიებები - ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებების გარდა, მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების შემეცნებით, გასართობ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში ჩართვა, რითაც ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება. სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები და საგანმანათლებლო სემინარები, დამატებით, ეხმარება ბენეფიციარს აიმაღლოს ცოდნა და უნარები.

აქვე აღსანიშნავია ტატუს მოცილების პროგრამა, რომლის მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირებმა პროგრამის ფარგლებში უფასოდ მოიცილონ კუსტარული გზით გაკეთებული ტატუები, რომლებიც შეიძლება გახდეს ხელის შემშლელი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში.

## 10. შეჯამება

სარეაბილიტაციო პროგრამები, თუნდაც ყველაზე ხანგრძლივი, გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდება და მისი დასრულების შემდეგ ადამიანი უბრუნდება გარემოს, რომელშიც ჩაიდინა დანაშაული. კვლევები ადასტურებს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოქმედებს ხელსაყრელი სოციალური გარემოს კონტექსტში (McIvor, 1990; Lipey,

1992), რაც პასუხისმგებლობას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მისაღწევად, სასჯელაღსრულების სისტემის შემდეგ, საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს აკისრებს.

## 11. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ვინაიდან მოცემული თავის საკვანძო საკითხი დამნაშავის დინამიკური ბუნების, მისი ცვლილების შესაძლებლობის რწმენაა, რაც მტკიცდება როგორც დეზისტანსის თეორიით, ასევე სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანობით, ტრენერის მიზანი უნდა იყოს ტრენინგის მონაწილეთათვის, საკვანძო მომენტებზე ხაზგასმით, „რეაბილიტაციის იდეის“ ღირებულების მიწოდება.

ტრენერმა სესიის დაგეგმვის დროს სასურველია გაითვალისწინოს მოცემულ თავში არსებული თეორიული მასალა. პროცესი უნდა ემყარებოდეს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: სალექციო მეთოდი, გონებრივი იერიში, სიმულაცია, როლური თამაში და დისკუსია.

აღნიშნული თავის განხილვის დროს ტრენერმა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის  პროცესის მნიშვნელობას, სარეაბილიტაციო პროცესისა და დამნაშავის დინამიკური ბუნების გათვალისწინებით, ასევე სამუშაო პროცესში ჩართული თითოეული სპეციალისტის როლს. სესიების ბოლოს მსმენელს შესწავლილი და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შემდეგი საკითხები:

- დეზისტანსის თეორია, როგორც დანაშაულებრივი ცხოვრების დასრულების რაობა და მნიშვნელობა;
- რისკის და საჭიროებების მოდელი;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის მნიშვნელობა;
- რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში ოჯახის ან/და მხარდამჭერი ქსელის ჩართვის და მათი გაძლიერების მნიშვნელობა.

ტრენერმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ჯგუფის მონაწილეების დისკუსიაში აქტიური ჩართულობა, თითოეული მათგანისათვის საკუთარი მოსაზრებების სხვათათვის გაზიარების ხელშეწყობა.

## 12. გამოყენებული ლიტერატურა


- *ბერნჰარდი ე., ქელბაქიანი ა., ნამიჭეიშვილი ს., ბაროუზი რ., შეყრილაძე ი., სამაგლიშვილი შ.*, სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თავი IV, თბ., 2014, 55-84.
- *ცაგარელი ნ., ქელბაქიანი ა.*, არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი საქართველოს პრობაციის და პენიტენციურ სისტემაში. ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის, თბ., 2020, EU4Justice; GCRT, 52-62.
- *ბარათაშვილი ნ., ღონღაძე ნ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი, თბ., 2017.
- სოციალური ქსელის კონფერენცია - პროექტი „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ'', 2019.
- *Andrews D.A. & Bonta J.*, The Psychology of Criminal Conduct, 2nd edition, Cincinati, OH, Anderson Press, 1998.

- *Andrews D.A. & Bonta J.*, Rehabilitating Criminal Justice Policy and Practice; Psychology, Public Policy and Law, 16(1), 2010, 39-55.
- *Andrews D.A., Bonta J. & Hoge R.D,* Classification for Effective Rehabilitation; Criminal Justice and Behavior, 17(1), 1990, 19-52.
- *Gannon T.A. & Dixon L. (Eds.)*, What Works in Offender Rehabilitation: An Evidence-based Approach to Assessment and Treatment; West Sussex, UK, John Wiley Sons, Ltd.
- *Farrall S.* and *Calverey A.,* Understanding Desistance from Crime; McGraw-Hill Education, UK, 2005.
- *Hannah-Moffat K.,* Criminogenic Needs and the Transformative Risk Subject: Hybridizations of the Risk/Need in Penalty; Punishment & Society, 2005.
- *Hollin C. R.*, An Overview of Offender Rehabilitation: Something Old, Something Borrowed, Something New; Australian Psychologist, 37, 2002, 159–164.
- *McGuire J.*, 'What Works' to Reduce Re-offending: 18 Years On in *Craig, L.A., Dixon, L.* and *Gannon, T.A. (Eds.)*, 2013.
- *Polaschek D.L.L.*, An Appraisal of the Risk-Need-Responsivity (RNR) Model of Offender Rehabilitation and Its Application in Correctional Treatment; Legal and Criminal Psychology, 17, 2012, 1-17.
- *Pullen S.*, Evaluation of the Reasoning and Rehabilitation Cognitive Skills Development Program as Implemented in Juvenile ISP in Colorado; Colorado Division of Criminal, 1996.


## 13. რეკომენდებული ლიტერატურა


- *McGuire J.*, Integrating Findings from Research Reviews, In *McGuire J. (Ed.)*, Offender Rehabilitation and Treatment: Effective Programmes and Policies to Reduce Re-offending, pp. 3–38, Chichester: JohnWiley & Sons, 2002.
- *Hart E.L.* and *Van Ginneken E.F. (Eds.)*, New Perspective on Desistance: Theoretical and Empirical Developments, London, Springer, 2017.

## თავი X. პირობით მსჯავრდებულთან ურთიერთობის მნიშვნელობა და თავისებურებანი

ავტორი: *ია შეყრილაძე*

### 1. შესავალი

გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამართალდამრღვევთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, ძირითადად, უარყოფითია და ნაკლებად არის ორიენტირებული ამ ადამიანების სირთულეების გაგებასა და დაძლევაზე. ამავდროულად, საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული სისტემები ვერ ახერხებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრილი ადამიანების მოტივირებას სასიკეთო ცვლილებების განსახორციელად და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. სამწუხაროდ, ამ სფეროში მომუშავე ბევრი სპეციალისტიც ზოგჯერ იზიარებს გავრცელებულ რწმენას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის „ნაკლებვარგისიანობის“ შესახებ. ასეთი მოცემულობით, ბუნებრივად იბადება კითხვა, რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს სისტემისა თუ სპეციალისტის ამგვარი ხედვა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისათვის? რეალურად, რა მნიშვნელობა აქვს სპეციალისტის მსჯავრდებულისადმი დამოკიდებულებას და როგორ მოქმედებს იგი მის უნარზე, გააღვივოს მსჯავრდებულში პროსოციალური ინტერესები და დაეხმაროს მას, გახდეს უკეთესი მოქალაქე?

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებულ ქვეყანებში დღის წესრიგში დადგა დანაშაულის შემცირებისა და თავიდან აცილების გზების ძიება, რასაც მოჰყვა ისეთი მიდგომების შემუშავება, რაც რეციდივიზმს შეამცირებდა არა მხოლოდ შიშის გამო, არამედ იმ შედეგის მიღწევით, რომ სამართალდამრღვევს აღარ გასჩენოდა დანაშაულის კვლავ ჩადენის სურვილი. გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების სტილის შეცვლაში ყველაზე დიდ წარმატებას მაშინ აღწევენ, როდესაც ეს, პირველ რიგში, მათ თვითონ სურთ. შედეგად, მართლმსაჯულების სისტემებში აქცენტი გაკეთდა პროსოციალური ქცევის წახალისებაზე და განვითარდა რეაბილიტაციაზე ორიენტირებული არაერთი მიდგომა.

### 2. სპეციალისტის დამოკიდებულება მსჯავრდებულისადმი

*თუ გწამს, რომ შენს კლიენტს შეუძლია შეიცვალოს,*
*ეს გავლენას მოახდენს მის ქცევაზე.*
**ლიქი და კინგი, 1977**

პერსონალსა და მსჯავრდებულებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის თავისებურებები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სპეციალისტის დამოკიდებულებით მსჯავრდებულთა მიმართ. არსებითია, მხარდამჭერი პერსონალი მსჯავრდებულში ხედავდეს პოზიტიური ცვლილების პოტენციალს და შეეძლოს

მის გაძლიერებაზე მუშაობა. პოტენციალი, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ უმრავლესობა რეალურად შეძლებს კანონსაწინააღმდეგო ქცევითი მიდრეკილებების დაძლევას; თუმცა, თუ ამ სფეროში დასაქმებული კადრი, რომლის ფუნქციაც სწორედ სასიკეთო ცვლილების ხელშეწყობაა, სამიზნე ჯგუფს იმთავითვე უიმედოდ მიიჩნევს, რაგინდ გულდასმით არ უნდა დამალოს საკუთარი დამოკიდებულება, კომუნიკაციისას მაინც მოახდენს ამ რწმენის გარკვეული ფორმით გადაცემას, რითაც საგრძნობლად შეამცირებს მსჯავრდებულთა დახმარების ალბათობას.

ზოგადად, უმნიშვნელოვანესია ის საკითხი, რომ სპეციალისტი არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ დეფიციტზე (ანუ პრობლემასა თუ დისფუნქციაზე) ნებისმიერ სფეროში, რომელშიც პერსონალის ამოცანას ადამიანების დახმარება წარმოადგენს არაჯანსაღი ქცევითი მიდრეკილებების დაძლევაში. ეს გარემოება კიდევ უფრო მწვავეა სისხლის სამართლის სფეროში, ვინაიდან ადამიანები იქ სწორედ დეფიციტების (დანაშაულებრივი ქცევის) გამო ხვდებიან და მათთან მუშაობის პროცესში ამ უკანასკნელის გააზრებასა და თავიდან აცილებაზე კეთდება ძირითადი აქცენტი. შესაბამისად, სპეციალისტები გაძლიერებული ინტერესით უნდა მოეკიდონ კლიენტთა ძლიერი მხარეების, წარსული წარმატებების, მცდელობებისა და რესურსების გამოკვლევას და მისცენ მათ შესაძლებლობა, არა მხოლოდ საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულებრივ ქცევაზე ისაუბრონ, არამედ იმაზეც, თუ რა პროსოციალური მიღწევები ჰქონდათ ცხოვრებაში. როგორც კლარკი (1994) ამბობდა, „როდესაც კითხვებს ძლიერ მხარეებზე სვამ, რაც არ უნდა ბევრი კითხვა დასვა, იშვიათია, არ გაგცენ პასუხი“.

ამდენად, თუ ჩვენ ვმუშაობთ მსჯავრდებულებთან კანონსაწინააღმდეგო ქცევის დაძლევის მიზნით და მიგვაჩნია, რომ ჩვენი ბენეფიციარების დიდ უმრავლესობას „არაფერი ეშველება“, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა: - შევძლებთ კი ჩვენ ამ ადამიანების დახმარებას სასიკეთო ცვლილებების განხორციელებაში? არის კი ეს ჩვენთვის მართებული კარიერული არჩევანი?

### 3. სამუშაო ალიანსი და მისი მნიშვნელობა

კვლევების თანახმად, მსჯავრდებულთა წარმატებული რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია კავშირშია პერსონალის ისეთ უნარებთან, როგორიცაა, სამუშაო (იგივე თერაპიული) ალიანსის დამყარების უნარი, კლიენტის თვითგანსაზღვრის ხელშეწყობა, პროსოციალური ქცევის მოდელირებისა და კანონდარღვევის ქცევაზე ფოკუსის შენარჩუნების უნარები. წლების განმავლობაში დაგროვილი მტკიცებულებები ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სფეროს წარმატებისათვის სათანადო კვალიფიკაციისა და ღირებულებების მქონე სპეციალისტების ჩართულობა.

სამუშაო ალიანსი ეს არის ურთიერთობა ბენეფიციარსა და სპეციალისტს შორის, რომელიც ეფუძნება ნდობას, კეთილგანწყობას, გულწრფელობას და თანამშრომლობას. ამგვარი ალიანსი აუცილებელია ბენეფიციარის ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისათვის. ბორდინის (1979) თეორიის თანახმად, სამუშაო ალიანსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოტივირებისათვის სასურველი ცვლილების განსახორციელებლად და ის სამი ძირითადი ფაქტორისაგან შედგება. ესენია: სპეციალისტსა და კლიენტს შორის სამუშაო მიზნებზე შეთანხმება, შეთანხმება ამ მიზნების მისაღწევ ამოცანებზე და კავშირი, ანუ ურთიერთობა, სპეციალისტსა და ბენეფიციარს შორის.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ მჭიდრო სამუშაო ალიანსი წინასწარმეტყველებს წარმატებულ ფსიქოთერაპიულ შედეგებს.

კლიენტსა და თერაპევტს შორის არსებული ურთიერთობა თერაპიული პროცესის ქვაკუთხედია და განიხილება, როგორც სასიკეთო ცვლილების განსახორციელებლად კლიენტის მოტივირების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ძლიერი სამუშაო ალიანსის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებია სპეციალისტის ემპათია და მოქნილობა, ხოლო კლიენტსა და სპეციალისტს შორის ძლიერ და ხარისხიან ურთიერთობას თავისთავად აქვს თერაპიული ძალა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უხვად დაგროვდა მტკიცებულებები იმისა, რომ თერაპიული ალიანსი მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის განუყოფელი ნაწილია. კვლევები აჩვენებს, რომ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიღწევაში სამუშაო ალიანსის ხარისხს წამყვანი როლი აკისრია და ამ მხრივ ეს სფერო არ განსხვავდება ისეთი კონტექსტისგან, რომელშიც ადამიანები სპეციალისტებს დახმარებისათვის თავიანთი სურვილით აკითხავენ.

ამასთან, პენიტენციურ სისტემაში იმდენად კომპლექსური გარემოებებია, რომ ბევრ ფაქტორს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს სამუშაო ალიანსზე. შესაძლოა ბენეფიციარები იმთავითვე ინდიფერენტულად განეწყონ იმ მიზნების მიმართ, რომლებსაც მათ სისტემაში დასაქმებული სპეციალისტები უსახავენ, ან თავიდან მოტივირებულნი ჩანდნენ, თუმცა მოგვიანებით მტრული ან ცინიკური განწყობა გამოამჟღავნონ. ხშირ შემთხვევაში, პირობით მსჯავრდებულისა და სპეციალისტის ურთიერთობა სავალდებულოა ბენეფიციარისთვის, რაც ამ უკანასკნელის მოტივაციაზე აისახება. შედეგად, წარმატებული სამუშაო ალიანსის დამყარება და შენარჩუნება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

### 4. ბენეფიციარის კეთილგანწყობის მოპოვება და შენარჩუნება

საგულისხმოა, რომ სამუშაო ალიანსი ყველაზე ძლიერია, როდესაც კლიენტი სპეციალისტს აღიქვამს კვალიფიცირებულ მუშაკად, აგრეთვე ისეთ ადამიანად, რომელსაც ესმის მისი და პიროვნულად უგებს მას. კვლევების თანახმად, მუშაობის დადებითი შედეგი ყველაზე მეტად პირდაპირპროპორციულ კავშირშია ბენეფიციარის მიერ სპეციალისტის, როგორც ემპათიური ადამიანის აღქმასთან. ამასთან, კლიენტის მოტივაციაზე ძლიერ გავლენას ახდენს მის მიერ დანახული და სათანადოდ აღქმული სპეციალისტის ჩართულობა, პრობლემის გადაჭრაზე ძლიერი ფოკუსირება და თავდაჯერებულობა. ამდენად, გამოცდილება ცხადყოფს, რომ პროფესიული უნარების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციალისტის პიროვნული თვისებები, მისი გახსნილობა და მიმღებლობა, მისი ემპათიის უნარი, ამასთანავე, მიზანდასახულობა, თანამიმდევრულობა, სტაბილური ფოკუსის შენარჩუნებისა და სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად ბენეფიციარის მოტივირების უნარი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ პირობით მსჯავრდებულთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე სპეციალისტის მთავარი ამოცანაა სამუშაო ალიანსის ჩამოყალიბება - რაპორტის დამყარება, რაც მსჯავრდებულის კეთილგანწყობის მოპოვებას გულისხმობს. რაპორტი ადვილად მყარდება, როდესაც სპეციალისტს აქვს არაგანსჯითი დამოკიდებულება, ემპათიითა და პატივისცემითაა გამსჭვალული ბენეფიციარისადმი, გულწრფელად ცდილობს მისი მდგომარეობის და მისი თვალსაზრისის გაზიარებას, აძლევს მას თვითგანსაზღვრის საშუალებას და ხაზს უსვამს მის ძლიერ მხარეებსა და რესურსებს.

ემპათია გულისხმობს სპეციალისტის უნარს, შეძლოს ბენეფიციარის განცდებისა და ხედვის გაგება, ასე ვთქვათ, საკუთარი თავის დროებით „ბენეფიციარის ტყავში“ წარმოდგენა. ემპათიის გამოხატვას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება

კონსულტირების პროცესში კლიენტისათვის ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისა და კომფორტის შექმნის თვალსაზრისით. როდესაც პირობით მსჯავრდებული სპეციალისტის მხრიდან ემპათიას გრძნობს, როგორც წესი, იგი უფრო ღიად და თავისუფლად საუბრობს საკუთარ მდგომარეობაზე და კეთილგანწყობით იმსჭვალება სპეციალისტისადმი.

სპეციალისტის მიერ ბენეფიციარის ემოციების აღიარება და მიღება (იგივე ვალიდაცია) ხელს უწყობს ბენეფიციარს, გამოხატოს ის ძლიერი ემოციები, რომელთა დათრგუნვაც შესაძლოა უარყოფითად მოქმედებდეს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

სპეციალისტის მიერ ბენეფიციარის არჩევანის გამორკვევა და პატივისცემა, იგივე თვითგამორკვევის ხელშეწყობა, კიდევ ერთი საკვანძო საკითხია კეთილგანწყობის მოპოვების კუთხით. სპეციალისტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, დაეხმაროს ადამიანს, კარგად გააცნობიეროს საკუთარი რეალობა და არსებული გამოწვევები, გაიაზროს, რა იქნება ამ სიტუაციაში მისთვის ყველაზე სახარბიელო გამოსავალი. წარმატების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია, ადამიანმა თავად შეძლოს გამოსავლის გზის დანახვა და გაუჩნდეს რწმენა იმისა, რომ ეს უკანასკნელი მიღწევადია. ამდენად, სპეციალისტის მიზანია ბენეფიციარის თვითგამორკვევის ხელშეწყობა და მისი მოტივაციისა და თავდაჯერებულობის გაძლიერება.

ბენეფიციართან პირველი შეხვედრა შესაძლოა რთული იყოს, რადგან პროცედურულმა ამოცანებმა (პროტოკოლის დაცვა, ფორმების შევსება და ა.შ.) შესაძლოა შექმნას საშიშროება იმისა, რომ სპეციალისტმა მეტი ყურადღება დაუთმოს მათ დაცვას და ნაკლები - ბენეფიციარის მოსმენას, და ამით საფრთხე შეუქმნას ნდობის მოპოვებას. ამასთან, მსჯავრდებულის დამოკიდებულება სპეციალისტის მიმართ შესაძლოა იმთავითვე ამბივალენტური იყოს, რაც სრულიად ლეგიტიმურია; სწორედ ამიტომ მუშაობის საწყის ეტაპზე სპეციალისტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბენეფიციარის კეთილგანწყობის მოპოვება. ამდენად, თუ მსჯავრდებული თავშეკავებულია და თემას ცვლის, სპეციალისტმა ეს უნდა განიხილოს, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი მოწყვლადობის დაცვის ბუნებრივი მცდელობა და, თუ აუცილებელი არ არის, მოერიდოს ზეწოლას. თუ სპეციალისტი დროზე ადრე ზედმეტი დაჟინებით ჩაეძიება მსჯავრდებულს დეტალების თაობაზე, შეიძლება ბენეფიციარმა თავი დაიცვას არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, რაც მომავალში უფრო მეტ სირთულეს შექმნის.

საწყის ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი გადასაჭრელი საკითხის, თანამშრომლობის მიზნებისა და ამოცანების ერთობლივად განსაზღვრას და სამოქმედო გეგმის ერთად შემუშავებას. ასევე სწორედ საწყის ეტაპზეა უმნიშვნელოვანესი პროფესიული საზღვრებისა და კონფიდენციალურობის საკითხის განხილვა ბენეფიციართან და მისი ინფორმირება იმ გამონაკლის შემთხვევებზე, რომლის დროსაც, ბენეფიციარის ან სხვა ადამიანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სპეციალისტი ვალდებულია დაარღვიოს კონფიდენციალურობა (როგორიცაა, ბენეფიციარის თვითდაზიანების ან მის მიერ სხვისი დაზიანების მაღალი რისკი, ბავშვზე ძალადობა და ა.შ.). სპეციალისტის მხრიდან აღნიშნული საკითხის იგნორირებამ შესაძლოა მოგვიანებით რისკი შეუქმნას მოპოვებულ ნდობას, თუ სპეციალისტს მოუწევს შესაბამის გარემოებებში კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულება და კონფიდენციალურობის დარღვევა.

პირობით მსჯავრდებულთან მუშაობის პროცესში სპეციალისტი ბევრი ისეთი გამოწვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, რომელიც რაპორტს გარკვეულ რისკებს

შეუქმნის, ბენეფიციარის კეთილგანწყობის მოპოვება კი სამუშაო ალიანსის საყრდენს წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალი კვლევის შედეგის თანახმად, სწორედ სპეციალისტთან დამყარებული თერაპიული ალიანსი (ურთიერთობა) წარმოადგენს წარმატებული შედეგის მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან პრედიქტორს; ამდენად, მუშაობის პროცესში სპეციალისტი სათანადოდ და თანამიმდევრულად უნდა ზრუნავდეს კლიენტის ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებაზე.

უილიამ მილერისა და სტივენ როლნიკის მიერ შემუშავებული კონსულტირების მიდგომა - მოტივაციური ინტერვიუირება, წარმოადგენს კლიენტზე ცენტრირებულ და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის დახმარებას არაჯანსაღი ქცევითი მიდრეკილების დაძლევაში მისი შინაგანი მოტივაციის გაღვივების გზით. ამ მიდგომის ამოსავალი წერტილია კლიენტის მოტივაციის ამაღლება მისი ქცევის შესაცვლელად. მიდგომის თანახმად, იმისათვის რომ ბენეფიციარს გაუჩნდეს სასიკეთო, თუმცა რთულად მისაღწევი მოტივაცია ცვლილების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია მან იგრძნოს თავი ამ ცვლილების ავტორად. შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში სპეციალისტის მიერ კლიენტის წარმატებულ ჩართვას, მისი როლის გააქტიურებას, მისი შინაგანი სიბრძნისა და რესურსების დანახვასა და გაძლიერებას.

მოტივაციური ინტერვიუირების ავტორთა თანახმად, არსებობს ისეთი გავრცელებული „ხაფანგები“ პრაქტიკოსებისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნის სამუშაო ალიანსს. ქვემოთ მოცემულია მათ მიერ განხილული რამდენიმე გავრცელებული ხაფანგი, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სასჯელაღსრულების სფეროსათვის:

***<u>შეფასების (კითხვა-პასუხის) ხაფანგი</u>***

შეფასების, იგივე კითხვა-პასუხის, ხაფანგი ასახავს პრაქტიკოსის და ბენეფიციარის ისეთ დიალოგს, როდესაც სპეციალისტი ზედმეტადაა ორიენტირებული ინფორმაციის მოგროვებაზე და, ძირითადად, დახურულ და მიმართულების მიმცემ კითხვებს უსვამს ბენეფიციარს, ნაკლებად აძლევს მას საშუალებას, საკუთარი სიტყვებით მოუთხროს ამბავი. ამგვარი ინტერვიუ არღვევს ურთიერთობის თანამშრომლობით სულისკვეთებას და ბენეფიციარს პასიურ, სპეციალისტზე დამოკიდებულ როლში ამყოფებს: მას მხოლოდ იმ კითხვაზე ეძლევა პასუხის გაცემის საშუალება, რასაც დაუსვამენ. საუბრის ამგვარმა მსვლელობამ პირობით მსჯავრდებულს შესაძლოა გაუჩინოს დაკითხვის ასოციაცია და შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ სპეციალისტი ნაკლებად ინტერესდება მისი თვალსაზრისით.

ამგვარად, კითხვა-პასუხის ხაფანგში გაბმა საკმაოდ ადვილია, რადგან შეფასება ბენეფიციარებთან მუშაობის საწყისი ეტაპია და, როგორც წესი, სპეციალისტის ამოცანაა პირველივე შეხვედრაზე კლიენტისაგან საჭირო ინფორმაციას მოუყაროს თავი, რასაც იგი ხშირად მრავალფეროვანი ფორმებისა და კითხვარების შევსების საშუალებით აღწევს. ამასთან, დამსაქმებლები ხშირად პრაქტიკოსებს ავალდებულებენ ინფორმაციის ხანმოკლე პერიოდში მოპოვებას, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების ხაფანგში გაბმის რისკს; თუმცაღა არც ერთი პროტოკოლი არ კრძალავს საწყისი ინტერვიუს დროს, სულ მცირე, ათი წუთით გვერდზე გადაიდოს ფორმები და კითხვარები და ბენეფიციარს მიეცეს საკუთარი სიტყვებით თავისი ამბის თხრობის საშუალება. სპეციალისტის გულწრფელი დაინტერესება ბენეფიციარის შეხედულებებით და მისი მოსმენა კლიენტს მიანიშნებს, რომ სპეციალისტისთვის იგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროტოკოლის ბრმა მიყოლა.

*ექსპერტის ხაფანგი*

სპეციალისტის მიერ ექსპერტის როლის მორგება და ბენეფიციარის მდგომარეობაში სათანადო გარკვევის გარეშე გამოსავლის კარნახი ქმნის ექსპერტის ხაფანგს. მისი თავიდან არიდება განსაკუთრებით რთულია, რადგან კომპეტენტურ სპეციალისტებს მართლაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება ექსპერტიზის სფეროში; ნებისმიერი პრაქტიკოსისთვის ასევე სასიამოვნოა, როდესაც მის აზრს და კომპეტენციას აფასებენ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია სპეციალისტი იაზრებდეს ექსპერტიზის კუთხით საკუთარი კომპეტენციის საზღვრებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე მეორე ადამიანის ცხოვრების სტილის შეცვლას ეხება.

ადამიანების „სწორ გზაზე დაყენების“ სურვილმა და იმისმა კარნახმა, თუ რა და როგორ უნდა აკეთონ, შესაძლოა პასიური გახადოს ბენეფიციარი ან გამოიწვიოს უკურეაქცია მისი მხრიდან. როდესაც საქმე პირობით მსჯავრდებულის ცხოვრების წესის შეცვლას ეხება, მისი მოტივაციისა და ჩართულობის გარეშე, როგორც წესი, შეუძლებელია სასურველი მიზნის მიღწევა და შენარჩუნება. სწორედ ამიტომ ბენეფიციარის ძლიერი მხარეები და რესურსები სპეციალისტის მიერ სათანადოდ უნდა იქნეს გამოკვლეული, ხაზგასმული და გამოყენებული ინტერვენციების დასაგეგმად და განსახორციელებლად; ხოლო თუკი სპეციალისტი ექსპერტის როლს მოირგებს და ნაკლებად დაინტერესდება მსჯავრდებულის მიერ ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევის მცდელობებით და სამომავლო გზების ხედვით, მას გაუჭირდება სასურველი ცვლილების განსახორციელებლად ამ ადამიანის მოტივირება.

*იარლიყების ხაფანგი*

იარლიყების ხაფანგი მოიაზრებს ისეთ სიტუაციას, რომელშიც სპეციალისტი ბენეფიციარის ან მისი ქცევის მიმართ ისეთ ტერმინებს იყენებს, რაც ზრდის სტიგმატიზების რისკს. მაგალითად, ბევრი ფსიქიატრიული დიაგნოზი ყოველდღიურობაში სალანძღავ სიტყვებად გამოიყენება და ამიტომ პირველივე შეხვედრაზე მათი წამოჭრა შესაძლოა უარყოფითად აისახოს რაპორტის დამყარებაზე. სასჯელაღსურლების სფეროში განსაკუთრებით მაღალია იარლიყების ხაფანგში გაბმის რისკი, ვინაიდან სამიზნე ჯგუფი (სამართალდამრღვევნი) იმთავითვე სტიგმასთან ასოცირდება. ბენეფიციარის მიმართ ისეთი ტერმინების გამოყენებამ, როგორიცაა „ალკოჰოლიკი “ ან „კრიმინალი“, შესაძლოა რისკი შეუქმნას სამუშაო ალიანსს.

ზოგადად, საჭირო ინფორმაციის მოგროვება შესაძლებელია ყოველგვარი ისეთი იარლიყის გამოყენების გარეშე, რომელმაც შეიძლება შეამციროს სპეციალისტისადმი კეთილგანწყობა; თუმცა ზემოთქმული დოგმად არ უნდა იქნეს მიჩნეული: ზოგჯერ ადამიანს იარლიყი, მაგალითად, სამედიცინო დიაგნოზი, ეხმარება საკუთარი თავისა და საკუთარი მდგომარეობის უკეთ გაგებასა და ნორმალიზებაში, ზოგჯერ იგი გარკვეული პრივილეგიის მატარებელიცაა (მაგ.: დაზღვევა, სოციალური დახმარება). ამგვარად, სპეციალისტმა კონტექსტიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს და გამოხატვის ის ფორმა შეარჩიოს, რაც მინიმალურად დააზიანებს სამუშაო ალიანსს.

*ნაადრევი ფოკუსის ხაფანგი*

ზოგჯერ სპეციალისტებს, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ეჩქარებათ ბენეფიციართან მუშაობის შედეგად მიღებული სასურველი შედეგის დანახვა, სურვილი აქვთ, მალე გაუმჯობესდეს მდგომარეობა და ჰგონიათ, რომ

ზუსტად იციან, რაში მდგომარეობს მთავარი სირთულე. ამგვარი სურვილით შეპყრობილმა სპეციალისტმა შესაძლოა ნაადრევად და არათანაზომიერად უბიძგოს ბენეფიციარს გარკვეული მიმართულებით. გამოცდილება კი ცხადყოფს, რომ საჭირბოროტო საკითხებზე ნაადრევმა ფოკუსირებამ შესაძლოა მეტი წინააღმდეგობა წარმოშვას. სპეციალისტისა და ბენეფიციარის ხედვა და ტემპი სასურველი მიზნის მისაღწევად შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, შესაბამისად, სპეციალისტის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა კლიენტთან მუშაობის პროცესში მის საჭიროებებზე ორიენტირება და მის ტემპზე მორგება.

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტები მუდმივად ეცნობოდნენ და უღრმავდებოდნენ პრაქტიკის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, აგრეთვე სათანადო დროს უთმობდნენ პირობით მსჯავრდებულთა კეთილგანწყობის მოპოვებას. მათთან სამუშაო ალიანსის დამყარება, ნდობაზე დაფუძნებული კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბება წარმატებული თანამშრომლობის საწინდარია.

### 5. კომუნიკაციის ეფექტიანი წარმართვა

პირობით მსჯავრდებულთან გასაუბრების პროცესში ინფორმაციის გაცვლა წარმოებს როგორც სიტყვიერად, ასევე უსიტყვოდ. ინტერვიუს დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორია სპეციალისტის სხეულის ენა, მისი პოზა, მისი ხმის ტონი და ტემბრი, როგორ კითხვებს სვამს და როგორ კომენტარებს აკეთებს იგი კლიენტის მონათხრობზე.

ურთიერთობის საწყის ეტაპზე სპეციალისტის მხრიდან ბენეფიციართან კონფრონტაცია (დაპირისპირება), როგორც წესი, უარყოფითი შედეგის მომტანია. მნიშვნელოვანია სპეციალისტი მაქსიმალურად ეცადოს, არ შეაწყვეტინოს ბენეფიციარს აზრი, მოერიდოს სიტყვის ბანზე აგდებას, დამოძღვრას და კამათს. ასევე მნიშვნელოვანია სპეციალისტი სიფრთხილით მოეკიდოს „რატომ?“ კითხვის დასმას, განსაკუთრებით, დანაშაულებრივ ქცევასთან მიმართებით. სასურველია პრაქტიკოსმა ინფორმაცია მოიძიოს ნაკლებად განსჯითი კითხვით (მაგ.: რამ განაპირობა? რამ გამოიწვია?). ამასთან, ფორმების შევსებისას ან ჩანაწერის გაკეთებისას სასურველია სპეციალისტმა წინასწარ აიღოს ბენეფიციარისგან ნებართვა. ზოგადად, რეკომენდებულია, პრაქტიკოსმა ჩანაწერი ინტერვიუს დასრულების შემდეგ გააკეთოს, ხოლო საუბრისას ყურადღებით მოუსმინოს პირობით მსჯავრდებულს და აგრძნობინოს, რომ მისი ყურადღების მთავარ ფოკუსს სწორედ ბენეფიციარი წარმოადგენს.

დამხმარე პროფესიებში დაგროვილია უხვი გამოცდილება იმის თაობაზე, თუ რა ტექნიკები ეხმარება სპეციალისტს კარგად წარმართოს ინტერვიუ და მოიპოვოს კლიენტის კეთილგანწყობა. ქვემოთ მოცემული ტექნიკები ეყრდნობა მოტივაციური ინტერვიუირების მიდგომის ფარგლებში შემოთავაზებულ რეკომენდაციებს:

***<u>კითხვების დასმა</u>***

კითხვა შეიძლება დაისვას ღია და დახურული ფორმით. ღიაა კითხვა, რომელიც ვრცელ პასუხს მოითხოვს და ბენეფიციარს ეხმარება გამოხატოს საკითხის მისეული ხედვა, ჩაუღრმავდეს საკითხს (მაგ.: რამ განაპირობა სირთულის აღმოცენება? როგორ წარმოგიდგენიათ ამ საკითხის გადაწყვეტა? როგორ გგონიათ, რა მოხდება, თუ არაფერს შეცვლით?). ღია კითხვებისგან განსხვავებით, დახურული კითხვა (მაგ.: კარგად ხართ? რამდენი წლის ხართ?) მოკლე და კონკრეტულ პასუხს გულისხმობს და ღირებულია ინფორმაციის დაზუსტების თვალსაზრისით,

თუმცაღა მისმა გადამეტებულმა გამოყენებამ შესაძლოა ინტერვიუ დაკითხვის პროცესს დაამსგავსოს. ამდენად, ზოგადი რეკომენდაციაა, რომ პირობით მსჯავრდებულთან საუბრისას სპეციალისტი მოერიდოს დახურული კითხვების ხშირ გამოყენებას, განსაკუთრებით, კითხვების ზედიზედ დასმას, და ღია კითხვებით საშუალება მისცეს ბენეფიციარს, გაიაზროს კონტექსტი და საკუთარი თვალსაზრისი გაუზიაროს სპეციალისტს.

*ბენეფიციარის ნათქვამის არეკვლა*

რეფლექსიური მოსმენა ემსახურება სპეციალისტის მიერ ბენეფიციარის მონათხრობის გაგებას ყველა დონეზე (ინფორმაციული, ემოციური) და გულისხმობს საკუთარი სიტყვებით მისი ნაამბობის უკან დაბრუნებას (არეკვლას) დაზუსტების მიზნით. პრაქტიკოსი ყურადღებით მოსმენითა და რეფლექსიური პასუხებით კლიენტს აგრძნობინებს, რომ ცდილობს მის გაგებას და მისი პერსპექტივის გააზრებას. რეფლექსია ინტერვიუერების წამყვანი და არცთუ ადვილად დასწავლადი ტექნიკაა. იგი გულისხმობს ბენეფიციარის ნათქვამის არეკვლას პრაქტიკოსის მხრიდან, ზოგჯერ კლიენტის ემოციური მდგომარეობის ასახვით.

რეფლექსია არაერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, იგი სპეციალისტს ეხმარება ემპათიის გამოხატვაში - ყურადღებით მოსმენითა და რეფლექსიური პასუხებით ბენეფიციარი გრძნობს, რომ პრაქტიკოსი ცდილობს მისი მდგომარეობის გაგებას; მეორე მხრივ, ამგვარი არეკვლით სპეციალისტი ბენეფიციარს ხელს უწყობს საკუთარი ნათქვამის უკეთ გააზრებაში. ამასთანავე, რეფლექსიური მოსმენა ამცირებს კომუნიკაციის პრობლემებს, ვინაიდან თუ პრაქტიკოსმა არასწორად გაიგო კლიენტის ნათქვამი, კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა, შეიტანოს შესწორება. გარდა ამისა, საუბრისას რეფლექსიების გამოყენება ამცირებს ბევრი კითხვის დასმის საჭიროებას და აძლიერებს თანამშრომლობით სულისკვეთებას. ქვემოთ განხილულია რეფლექსიის რამდენიმე გავრცელებული ტიპი, რომლებიც სპეციალისტებს ეხმარება კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვაში:

- **მარტივი ანუ ცალსახა რეფლექსია:** სპეციალისტი საკუთარი სიტყვებით იმეორებს კლიენტის ნათქვამს. მარტივი რეფლექსია მოკლედ გადმოცემული დედააზრია იმისა, რაც ითქვა. სწორედ ამიტომ, მას შეიძლება პერიფრაზირებაც ვუწოდოთ.
- **რთული რეფლექსია:** რთული რეფლექსია გულისხმობს სპეციალისტის მიერ უფრო მეტის რეფლექსიას, ვიდრე ითქვა: ეს შეიძლება იყოს ბენეფიციარის ემოცია (რაც შეიძლება სხეულის ენაში ან ხმის ტემბრში გამომჟღავნდა) ან ის, თუ რა იგულისხმა მან. რთული რეფლექსიით სპეციალისტი თითქოს ერთი ნაბიჯით წინ მიდის, ასახავს იმას, რაც არ თქმულა, თუმცა შესაძლოა იგულისხმებოდა.
- **შერჩევითი რეფლექსია:** სპეციალისტის მიერ კლიენტის ნათქვამის მხოლოდ ცალკეული ნაწილის ასახვას შერჩევითი რეფლექსია ეწოდება. ის არის ეფექტიანი საშუალება საუბრის კონკრეტული მიმართულებით წარმართვისათვის. როგორც წესი, დიალოგი იმ თემაზე გრძელდება, რომელზეც აქცენტს ვაკეთებთ. შესაბამისად, რეფლექსიის გამოყენებით სპეციალისტს შეუძლია საუბრის ეფექტიანი ნავიგაცია.
- **ორმხრივი რეფლექსია:** ორმხრივია რეფლექსია, თუ ის სპეციალისტის მიერ კლიენტის ნაამბობში გამომჟღავნებული წინააღმდეგობის ზედაპირზე ამოტანას, ასახვას გულისხმობს. ორმხრივი რეფლექსია ძალზე

სასარგებლოა ბენეფიციარის დილემური სიტუაციისა თუ ამბივალენტური დამოკიდებულების ასარეკლად და ამ თემაზე საუბრის გასაგრძელებლად (მაგ., „ერთი მხრივ, მოწევა სტრესის დაძლევაში გეხმარებათ; მეორე მხრივ, გაწუხებთ მისი გავლენა ჯანმრთელობაზე“).

- **ახლებური ფორმულირება:** რეფლექსია, რომელიც ბენეფიციარის ნათქვამის განსხვავებული რაკურსით არეკვლას გულისხმობს, წარმოადგენს ახლებურ ფორმულირებას. ეს ტექნიკა განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც კლიენტი მოვლენას ნეგატიურად აღიქვამს და უჭირს მასში ღირებულის დანახვა. მაგალითად: „ცოლმა გაბურღა ტვინი; არ მოსწონს, ბევრს რომ ვსვამ და ვეწევი“ - შეიძლება მას დავუბრუნოთ, როგორც - „მეუღლეს თქვენზე გული შესტკივა“. ახლებური ფორმულირების მთავარი მიზანია ხედვის ცვლილების ხელშეწყობა, ძლიერი მხარის ხაზგასმა, რომელსაც, შესაძლოა, ადამიანი ვერ ხედავს.

***ბენეფიციარის ნაამბობის შეჯამება***

სესიის დროს და, განსაკუთრებით, სესიის დასასრულს ძალზე სასარგებლოა სპეციალისტის მიერ კლიენტთან ერთად იმ ძირითადი პუნქტების შეჯამება, რაზედაც მოცემული შეხვედრის მსვლელობისას იყო საუბარი. შეჯამება ხელს უწყობს საკითხის გააზრებასა და მზაობას მომავალი ქმედებებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ იგი მსხვილი რეფლექსიაა, რომელიც მოკლედ აჯამებს ადამიანის ნაამბობიდან ყველაზე საკვანძო საკითხებს და საშუალებას აძლევს დიალოგში ჩართულ ორივე პირს, შეავსონ ნაკლოვანებები და შეიტანონ შესწორებები. ეს ტექნიკა ასევე ხელს უწყობს ახალი და ადრე განხილული მონათხრობების ურთიერთდაკავშირებას. ამასთან, შეჯამების გამოყენება სასარგებლოა ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლისას.

***ბენეფიციარის ძლიერი მხარეების ხაზგასმა***

როგორც ადრე აღინიშნა, სპეციალისტის ღიაობას, დაინახოს კლიენტის პოტენციალი და შინაგანი სიბრძნე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასიკეთო ცვლილების განსახორციელებლად ბენეფიციარის მოტივირების თვალსაზრისით. ამ მიზნის მიღწევაში პრაქტიკოსს აფირმაციის გამოყენება ეხმარება. მოტივაციური ინტერვიუირების ეს ტექნიკა გულისხმობს სპეციალისტის მიერ ბენეფიციარის ძლიერი მხარეების, მცდელობის, რესურსის, მიღწევის ხაზგასმას. აფირმაციამ შეიძლება ხაზი გაუსვას ხასიათის თვისებას, ღირსებას, გამოცდილებას ან სხვა ძლიერ მხარეს, ან თუნდაც აღიაროს მოცემულ მომენტში ბენეფიციარის სირთულეებთან ჭიდილი (მაგ.: „დასაფასებელია თქვენი ძალისხმევა“, „რთულ მდგომარეობაში შეძელით გამოსავლის პოვნა“). ეს ტექნიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რაპორტის დამყარებას და ბენეფიციარის თვითრწმენის გაძლიერებას. იმისათვის, რომ აფირმაცია იყოს ეფექტიანი, იგი უნდა იყოს გულწრფელი, ობიექტური და მოცემული კულტურისა და კონტექსტის შესაბამისი.

მოტივაციური ინტერვიუირების ავტორთა თანახმად, კლიენტთან საუბრისას რეკომენდებულია, სპეციალისტმა მეტწილად ღია კითხვები დასვას, უხვად აკეთოს რეფლექსია, შეძლებისდაგვარად გამოიყენოს აფირმაცია, ხოლო პერიოდულად მიმართოს შეჯამებას. ბენეფიციართან საუბრის ღირსეულად და ეფექტიანად წარმართვა უაღრესად მნიშვნელოვანია სამუშაო ალიანსის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის. მნიშვნელოვანია, პირობით მსჯავრდებულთან მუშაობისას

სპეციალისტი იყოს თანამიმდევრული და იზრუნოს სტრუქტურის შექმნასა და პროფესიული საზღვრების დაცვაზე. ყალბი იმედის ჩასახვა და ფუჭი დაპირებების მიცემა საზიანოა სამუშაო ალიანსისათვის. გარდა ამისა, წესრიგი და სათანადო ჩარჩოები სწორედ ისაა, რაც ხშირად ამ სფეროს ბენეფიციარებს ცხოვრებაში აკლიათ, ამდენად სამუშაო ურთიერთობაში მისი დამკვიდრება და შენარჩუნება სასარგებლოა არა მხოლოდ სამუშაო მიზნების მიღწევისათვის, არამედ ყოფითი უნარების გაუმჯობესებისთვისაც. თავად სამუშაო მიზნები და ამოცანები კი არსებითია, იყოს რეალისტური და პირობით მსჯავრდებულის მიერ ინიცირებული ან, ყველაზე უარეს შემთხვევაში, გაზიარებული მაინც.

დასასრულ, სპეციალისტის თანამშრომლობითი სულისკვეთება, ბენეფიციარის ძლიერი მხარეებისა და პოტენციალის დანახვის უნარი, თანამიმდევრულობა და მიზანდასახულობა, ასევე ინტერვიუს კარგად წარმართვის უნარი წარმოადგენს პირობით მსჯავრდებულის კონსულტირების პროცესის ქვაკუთხედს. ამ მახასიათებლებით აღჭურვილი სპეციალისტი სწორედ რომ შეძლებს ადამიანებში ღირსების გრძნობის გაღვივებას და მათ მხარდაჭერას, გახდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრები.

### 6. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენინგის ფარგლებში, ბენეფიციარსა და სპეციალისტს შორის ურთიერთობის მნიშვნელობისა და თავისებურებების შესახებ სესიები სასურველია თანაზომიერად იყოს გაჯერებული თეორიული ნაწილითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით. ამასთან, რეკომენდებულია, ორივე ნაწილში სათანადო ყურადღება დაეთმოს სპეციალისტის დამოკიდებულების/მიდგომის გავლენას სასურველი მიზნების მიღწევაზე და ეფექტიანი ინტერვიუირების კონკრეტულ ტექნიკებს.

ქვემოთ მოცემულია ის მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები, რის მიღწევასაც უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული სატრენინგო პროგრამა და მასში შემავალი პრაქტიკული სავარჯიშოები:

- პირობით მსჯავრდებულის მიმართ სპეციალისტის დამოკიდებულების გაცნობიერება და ამ დამოკიდებულების ურთიერთობაზე გავლენის გააზრება;
- პირობით მსჯავრდებულის მიმართ არსებული საკუთარი სტერეოტიპებისა და განსჯითი დამოკიდებულებების გააზრება და უკეთ გაცნობიერება იმისა, რომ განსჯითი დამოკიდებულება გავლენას ახდენს სპეციალისტის უნარზე, მოტივაცია მისცეს ბენეფიციარს სასიკეთო ცვლილებების განსახორციელებლად;
- პირობით მსჯავრდებულის ძლიერი მხარეებისა და რესურსების დანახვის უნარის გავარჯიშება;
- ინტერვიუირების ეფექტიანი ტექნიკების მიზანმიმართულების გაცნობიერება: გააზრება იმისა, თუ რა აქცევს ამ ტექნიკებს შედეგის მომტანად;
- ინტერვიუირების ტექნიკების რუტინულად გამოყენების მნიშვნელობის გააზრება;
- ინტერვიუირების ტექნიკების ათვისება და გავარჯიშება მათ გამოყენებაში;
- გაცნობიერება იმისა, თუ რაში მდგომარეობს არასწორი პრაქტიკა, რა ფაქტორები ქმნის რისკებს (მათ შორის, ხაფანგები) და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ფაქტორებმა ბენეფიციართან ურთიერთობაზე;

- გაცნობიერება იმისა, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ბენეფიციართან ურთიერთობის დამყარებას და რისი გაკეთება შეუძლია ცალკეულ სპეციალისტს შედეგის ოპტიმაზიციისთვის.

ცნობილია, რომ სატრენინგო სესიების დროს განხილული თემების საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება ეხმარება მონაწილეებს მნიშვნელოვანი საკითხების უკეთ გააზრებაში. შესაბამისად, ტრენერმა ისე უნდა წარმართოს პროცესი, რომ წაახალისოს ტრენინგის მონაწილენი, მოიყვანონ ანალოგიური მაგალითები, განხილულ თემებთან მიმართებით, საკუთარი პირადი ცხოვრებიდან თუ სამუშაო გამოცდილებიდან და გაავლონ რელევანტური პარალელები, რაც სასარგებლო იქნება მიდგომის უკეთესად გააზრებისა თუ მასალის უკეთ ათვისებისათვის.

## 7. გამოყენებული ლიტერატურა


- *მილერი უ., როლნიკი ს.*, მოტივაციური ინტერვიუირება: დავეხმაროთ ადამიანებს შეიცვალონ, მე-3 გამოცემა, 2013.
- *სამაგლიშვილი შ., შეყრილაძე ი.*, კონსულტირება სოციალურ მუშაობაში: საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020.
- *Blasko B., Serran G. & Abracen J.*, The Role of Therapeutic Alliance in Offender Rehabilitation, In: *Jeglic E., Calkins C. (Eds.)*, New Frontiers in Offender Treatment, Springer, Cham, 2018.
- *Horvath O. A., Del Re A. C., Fluckiger C. & Symonds D.,* Alliance in Individual Psychotherapy; Psychotherapy 48 (1), 2011, 9-16.
- *McNeill F.*, Desistance-Focused Probation Practice, In *Chui W. H. & Nellis M. (Eds.),* Moving Probation Forward: Evidence, Arguments and Practice; Harlow, Pearson Longman, 2003, 146-161.
- *Ross E. C., Polaschek D. & Ward T.*, The Therapeutic Alliance: A Theoretical Revision for Offender Rehabilitation; Aggression and Violent Behavior, 13, 2008, 462–480.
- *Trotter C.*, Effective Community-based Supervision of Young Offenders; Trends and Issues in Crime and Criminal Justice, 2012, 441-460.


## 8. რეკომენდებული ლიტერატურა


- *მილერი უ., როლნიკი ს.*, მოტივაციური ინტერვიუირება: დავეხმაროთ ადამიანებს შეიცვალონ, მე-3 გამოცემა, 2013.
- *სამაგლიშვილი შ., შეყრილაძე ი.*, კონსულტირება სოციალურ მუშაობაში: საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020.
- *Tober G. & Raistrick D.*, Motivational Dialogue for Addiction Professionals.
- *Hohman M.*, Motivational Interviewing in Social Work Practice (Applications of Motivational Interviewing), (*Rollnick S. M., Ed.*), London, Guildford Press, 2012.
- *Feldstein S. W. & Ginsburg J. I.*, Motivational Interviewing with Dually Diagnosed Adolescents in Juvenile Justice Settings, 218-233, Oxford University Press, Brief Treatment and Crisis Intervention, Volume 6, Number 3, 2006.
- *Chui W. H. & Nellis M. (Eds.)*, Moving Probation Forward: Evidence, Arguments and Practice; Harlow, Pearson Longman.

# თავი XI. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულები დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემაში

ავტორი: *ნანა ქორიძე*

## 1. შესავალი

არსებობენ მსჯავრდებულები, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული საჭიროებები ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური წარმოშობის და სხვა ნიშნების გამო და საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მოპყრობას. შესაბამისად, მათთან მუშაობა უნდა წარიმართოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

წინამდებარე თავში განხილულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა ჯგუფების, კერძოდ, არასრულწლოვნების, ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობების და ლგბტი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, მახასიათებლები, მათდამი მოპყრობის ძირითადი პრინციპები და თავისებურებები.

## 2. არასრულწლოვანი მართლმსაჯულების სისტემაში

არასრულწლოვანი სრულწლოვნისგან განსხვავდება თავისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობით, განათლებით; სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა და დამოკიდებულება.

არასრულწლოვნის დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ თვალსაზრისით საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. პრიორიტეტი გახდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესსა და კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. 2015 წლიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე მორგებულ მიდგომას ამკვიდრებს.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, მისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი.

საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად განსაზღვრულია 14 წელი. ეს არის მოზარდობის ასაკი, ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდი. ამ ასაკში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები არასრულწლოვნის ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფუნქციონირებაში. მისი გარეგნობის, ემოციური

ცხოვრების, ქცევების რადიკალური ცვლილებები სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს როგორც მოზარდს, ასევე მის გარემოცვას. მოზარდობის ასაკი ხშირად განიხილება, როგორც არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი რისკფაქტორი. კანონსაწინააღმდეგო ქცევა იმ ბიოფსიქოსოციალური ფაქ-ტორების ერთობლიობის შედეგია, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მოზარდზე.

### 2.1. მოზარდობის ასაკობრივი თავისებურებები

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება: იწყება ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი, სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ჰორმონული ცვლილებები, რეპროდუქციული ორგანოების ჩამოყალიბება; ამ ასაკაში ხშირია საკუთარი სხეულით უკმაყოფილება და ამის გამო რაიმეს შეცვლის სურვილი; კრიტიკულნი არიან საკუთარი თავის მიმართ, ღირსებასაც და ნაკლსაც ძალიან მკაცრად განსჯიან; ცვლილებები ხდება ფსიქოსოციალურ, ემოციურ და მორალურ განვითარებაშიც. ჰორმონული ძვრები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ემოციებსა და გრძნობებზე, რის გამოც მისი ქცევა განსხვავებული ხდება.

მოზარდობის პერიოდში ინტელექტუალური შესაძლებლობები მნიშვნელოვ-ნად ვითარდება, ლოგიკური მსჯელობის უნარი თანდათანობით იზრდება. თუმცა, ზრადასრულებისგან განსხვავებით, მოზარდებს აქვთ ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება და, შესაბამისად, ნაკლები ცოდნა, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება გადაწყვეტილებების მიღებისას. ემოციური და სოციალური უნარების ნაკლები განვითარების გამო ისინი განსხვავდებიან განსჯის უნარითაც. მოვლენებს ხშირად არარეალურად აფასებენ. სუბიექტურ, ამ შემთხვევაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებს, მეტ ანგარიშს უწევენ, ვიდრე ობიექტური სინამდვილის ასახვასა და შეფასებას.

მოზარდები ხასიათდებიან იმპულსურობით, სარისკო ქცევებით, უჭირთ რისკების შეფასება. ხშირად ისეთ ქმედებებს ჩადიან, რაც იციან, რომ საშიშია და აკრძალული. მოსწონთ მძაფრი შეგრძნებები, თავგადასავლები. უჭირთ სათანადოდ შეაფასონ ის რისკი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ ქცევას.

ამ ასაკში ჯერ კიდევ თავიანთი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში არიან, ხასიათდებიან კონფლიქტურობითა და მაღალი შფოთვით. იდენტობის ჩამოყალი-ბება გულისხმობს პასუხის გაცემას ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვებზე, როგორიცაა – ვინ ვარ მე? რას წარმოვადგენ და რა როლი მაქვს ამ საზოგადოებაში? პასუხის ძიებაში მოზარდები ხშირად ექპერიმენტირებენ და სხვადასხვა როლის მორგებას ცდილობენ - იცვლიან იმიჯს, ინტერესებს, ქცევას. ასეთი გამოცდილება მოზარდს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი თავი სხვადასხვა პერსპექტივაში დაინახოს და აღმოაჩინოს, მაგრამ ამავდროულად მოწყვლადს ხდის სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორისადმი. ნეგატიური ფაქტორებისადმი მოწყვლადობას ზრდის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ უფროსები კარგავენ ავტორიტეტს და მოზარდისათვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანატოლების აზრი, შეფასება და მხარდაჭერა. იდენტობის ჩამოყალიბებასთან ერთად იწყება მშობლებისაგან/აღმზრდელებისაგან სეპარაცია.

### 2.2. არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორები

მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები მეტად მრა-ვალფეროვანი და განსხვავებულია. მოზარდის ქცევაზე გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალური, ისე გარე ფაქტორები.

დიდი როლი ენიჭება ოჯახურ გარემოს და აღზრდას, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ, დისფუნქციური ოჯახი, მსჯავრდებული ოჯახის წევრი, ოჯახში ძალადობა როგორც ბავშვის მიმართ, ასევე მშობლების ძალადობა ერთმანეთზე, მშობლებსა და შვილებს შორის, ასევე მშობლებს შორის ურთიერთობა, ოჯახის წევრების დამოკიდებულება ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მიმართ, ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაშორება მშობელსა და შვილს შორის, აღზრდის მეთოდები, თავსმოხვეული ოჯახური სტერეოტიპები, შვილების მიმართ მშობლების ყურადღების დეფიციტი და ჰიპერმზრუნველობა.

კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე ზეგავლენას ახდენს მოზარდის გარემო, სადაც ის იზრდება და ატარებს დიდ დროს, კანონსაწინააღმდეგო ქცევისკენ მიდრეკილი მეგობრები, თანატოლები, ასევე ცხოვრების სტილი, რომელშიც იგულისხმება თავისუფალი დროის მართვა, გასართობი საშუალებების ფორმა და შინაარსი.

კანონსაწინააღმდეგო ქცევის რისკს ზრდის აგრეთვე მოზარდის სწრაფვა, მოიპოვოს აღიარება თანატოლების წრეში, თანატოლთა წრეში უმიზნო დროსტარება, რაც ხშირად დაკავშირებულია სპირტიანი სასმელების გამოყენებასთან, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარებასთან, აზარტულ თამაშებთან.

განათლების სისტემა და სკოლის გარემო მოზარდის სოციალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტია. მოზარდზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლაში არსებული სირთულეები, მოსწავლეებს შორის ძალადობა, სწავლის შეწყვეტა.

კანონსაწინააღმდეგო ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს მოზრდილად ქცევის ფსიქოსოციალური სიძნელეები (სქესობრივი მომწიფების პერიოდში მომეტებული შფოთვა, გუნება-განწყობის მკვეთრი ცვალებადობა, ფსიქიკის გაუწონასწორებლობა და ა.შ.).

### 2.3. რეკომენდაციები სპეციალისტებისათვის

არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტს უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

არასრულწლოვანთან მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას მასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბების გზით, ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, დახმარებას და ხელშეწყობას წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაში.

არასრულწლოვანთან მუშაობა უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური მიკუთვნებულობის ან ნებისმიერი სხვა სტატუსის მიუხედავად. სპეციალისტმა მუშაობის პროცესში თავი უნდა აარიდოს შეფასებებს, სტერეოტიპულ დამოკიდებულებას.

არასრულწლოვანთან მუშაობა უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთან მუშაობის პროცესში მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის მაქსიმალური ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს დანაშაულის ჩამდენი ბავშვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას, ამასთანავე, საშუალებას აძლევს მშობლებს, გაიგონ ყველაფერი თავისი შვილის შესახებ და მომავალში უკეთ მართონ საკუთარი ბავშვის ქცევა.

არასრულწლოვანი უნდა იყოს ინფორმირებული მისი უფლება-მოვალეობების, მხარდაჭერის მექანიზმების, სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

არასრულწლოვანს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია და გაეწიოს კონსულტაცია მისი კულტურული მგრძნობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა დამხმარე საშუალებებით.

არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევაში რეაგირება უნდა მოხდეს რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

### 3. ქალები მართლმსაჯულების სისტემაში

მსოფლიო მასშტაბით არსებული ტენდენციის მიხედვით, მამაკაცები გაცილებით ხშირად ჩადიან დანაშაულს, ვიდრე ქალები. ეს ტენდენცია გამოხატულია საქართველოშიც, სადაც ყველა სახის დანაშაულში, მთლიანი შემთხვევების 90%-ზე მეტი მამაკაცებზე მოდის.

დამნაშავე ქალთა გარკვეული ნაწილი არ წარმოადგენს რისკს საზოგადოებისათვის, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების უმრავლესობა არაძალადობრივი ხასიათისაა. გარდა ამისა, პატიმრობამ შესაძლოა მეტად გაართულოს მათი სოციალური რეინტეგრაცია. ამასთან, ქალ მსჯავრდებულთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებისას ქალებს საშუალება ეძლევათ არ მოსწყდნენ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, შეინარჩუნონ სოციალური კავშირები.

ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები ხშირად განსხვავდება მამაკაცების საჭიროებებისა და პრიორიტეტებისაგან. ისინი საჭიროებენ განსხვავებულად მოპყრობას, რაც არ უნდა იყოს უსამართლო და დისკრიმინაციული. მსჯავრდებულ ქალებს გააჩნიათ გამორჩეული გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და უზრუნველყოფილი, რათა განხორციელდეს მათ მიმართ სამართლიანი მიდგომა.

ქალები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რომლებსაც გაჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები და მოთხოვნილებები არა მარტო ციხეში, არამედ ციხის გარეთაც; თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განსხვავებული მოწყვლადობის მწვავე მიზეზებისა და შესაბამისი საჭიროებების მიუხედავად, რამდენიმე ფაქტორი საერთოა. მათ შორისაა შემდეგი ფაქტორები: მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის სირთულე ბევრ ქვეყანაში; პატიმრობამდე სექსუალური ან ფიზიკური ძალადობის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამო არაპროპორციულად მაღალი ვიქტიმიზაციის დონე; ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი; პატიმრობით გამოწვეული განსაკუთრებული სტრესი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გაამძაფროს უკვე არსებული მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები; ბავშვებზე და სხვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის მაღალი ალბათობა; გენდერ-სპეციფიკური ჯანდაცვის საჭიროებები, რომელთა უზრუნველყოფაც არ ხდება სათანადოდ; ოჯახების მხრიდან სტიგმატიზაცია, იზოლაცია, მიტოვება; ხშირად, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგად, მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებების მაღალი მაჩვენებელი.

როგორც მსჯავრდებული ქალები აღნიშნავენ, დანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზებია: ფინანსური მდგომარეობა, შვილების დაცვა, კანონის უცოდინარობა, თავდაცვა, ოჯახის მხარდაჭერა, არასწორი აზროვნება, შედეგების არასწორი გათვლა და სხვა. ქალის მიერ ჩადენილი მკვლელობისას, ხშირად მათი მსხვერპლი მოძალადე პარტნიორი ან მეუღლეა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მასზე სისტემატურად ძალადობდა.

მსჯავრდებული ქალების ჯგუფში კიდევ უფრო მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან ქალები, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია, სტიგმა და ძალადობა.

ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მსხვერპლიც შესაძლოა ნებისმიერი ქალი გახდეს. ქალთა მიმართ ძალადობა ნიშნავს გენდერული ნიშნით ძალადობის ნებისმიერ ქმედებას. სტამბოლის კონვენციის თანახმად, ის განმარტებულია, როგორც „ქალის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა იმის გამო, რომ ის ქალია, ან ქმედება, რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე“.

ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან, ისევე როგორც ადრეული და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმებია საქართველოში.

მსჯავრდებული ქალების გარკვეულ ნაწილს აქვს ოჯახური ძალადობის გამოცდილება, თუმცა ფაქტების უმეტესობა არ არის დაფიქსირებული. სტიგმის, სირცხვილის, თვითდადანაშაულების ან ძალადობის შესაძლო განმეორების გამო მათ არ სურთ ძალადობის საკუთარი გამოცდილების გამჟღავნება. ძალადობა საგრძნობლად აფერხებს განვითარებას სხვადასხვა ეტაპზე, ძალადობაგადატანილ ქალებს დაბალი თვითშეფასება აქვთ, თავს უსარგებლოდ გრძნობენ და მოტივაცია აქვთ დაკარგული. ძალადობა ქალებს ფიზიკური და ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემების რისკის ქვეშ აყენებს, როგორიცაა შიში, შფოთვა, დეპრესია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა; უჩნდებათ სუიციდური აზრები. მთლიანობაში, კვლევებით დგინდება, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოში ქალთა მოწყვლადობის მთავარი წყაროა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრულფასოვან ჩართულობას აფერხებს.

განსაკუთრებულ მხარდაჭერას ასევე საჭიროებენ ის ქალებიც, რომლებმაც სასჯელი პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხადეს და გათავისუფლდნენ. პატიმრობის პრაქტიკულ შედეგებს შორის ყველაზე აქტუალურია სტიგმატიზება საზოგადოების მხრიდან, ოჯახების დანგრევა, დასაქმება, ფსიქოლოგიური პრობლემები.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებების დაცვისა და, ქალ დამნაშავეებთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

### 3.1. რეკომენდაციები სპეციალისტებისათვის

მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ინფორმირებულობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტმა მსჯავრდებული უნდა გადაამისამართოს შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩასართავად.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი მხარდაჭერა იმ ქალებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, იურიდიულ და პრაქტიკულ დახმარებას, რათა მოახდინონ საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრირება.

მსჯავრდებულებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის „აივ ინფექციის“, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ.

განსაკუთრებული მხარდაჭერა უნდა გაეწიოს ფიზიკური, ფსიქიკური ან

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალ მსჯავრდებულებს.

ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისას იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა, სტიგმა და დისკრიმინაცია, სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს მათი ტრავმული მდგომარეობა და გადატანილი ძალადობა.

მსჯავრდებული ქალები, რომლებიც განაცხადებენ გადატანილი ძალადობის ფაქტის შესახებ, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მყისიერი დაცვით, მხარდაჭერით, საჭიროების შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მათი შესაბამის უწყებაში გადამისამართება.

### 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უმცირესობათა ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის და რასის, ორივე სქესისა და სექსუალური ორიენტაციის, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი.

### 4.1. რა იგულისხმება შეზღუდულ შესაძლებლობაში?

გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში შესაძლოა შეაფერხოს მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა“. მოცემული განსაზღვრება ყურადღებას ამახვილებს იმ ბარიერებზე, რომლებიც არსებობს სოციუმსა და გარემოში, და აფერხებს ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამასთან, ნაკლებად ხდება ხაზგასმა შეზღუდულ შესაძლებლობაზე. ამგვარ მიდგომას „სოციალური მოდელი“ ეწოდება. ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოებისაგან გარიყვას კონკრეტული ბარიერი განაპირობებს და არა პიროვნების თანდაყოლი/შეძენილი შეზღუდული უნარი. მაგალითად, თუ პირი ვერ ახერხებს კლინიკაში შესვლას მობილობის შეზღუდული უნარის გამო, პრობლემას წარმოადგენს არა ის, რომ ადამიანს არ შეუძლია სიარული, არამედ ის, რომ კლინიკა არ არის ადაპტირებული.

ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევას განეკუთვნება: ა) ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ემოცია, მეტყველება); ბ) სენსორული ფუნქციის დარღვევა (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეგრძნება); გ) დინამიკურ-სტატიკური ფუნქციის დარღვევა (გადაადგილება, დგომა და ა.შ.); დ) სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის, საჭმლის მონელების, გამოყოფის, ნივთიერებათა ცვლის, შინაგანი სეკრეციის ფუნქციების დარღვევა.

შეზღუდული შესაძლებლობები ადამიანის ფუნქციონირებაში გარკვეული ხარისხის შეფერხებებს იწვევს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილი ცხოვრებისეული სფეროებიდან სამ ან მეტ სფეროში შეიძლება გამოვლინდეს: თვითმომსახურება, გადაადგილება, სწავლა, შრომითი საქმიანობა, ორიენტაცია, ურთიერთობის და თვითკონტროლის უნარი.

### 4.2. შეზღუდული შესაძლებლობისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

საკმაოდ ხშირია შშმ პირების უფლებების დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორიცაა ინსტიტუციონალიზაცია, სტიგმა, დისკრიმინაცია, ჯანდაცვის, განათლების, დასაქმების და სხვა სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სრულფასოვანი სოციალური ფუნქციონირებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის შესაბამისი რესურსების, მომსახურებისა და საზოგადოების მხარდაჭერის არსებობა. პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები, სენსორული განსხვავებები (მხედველობის დარღვევა, სმენის დარღვევა და სხვ.), ინტელექტუალური, ფიზიკური და სხვა შესაძლებლობები.

ფიზიკურ მისაწვდომობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს შშმ პირთათვის თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. სერვისების მისაწვდომობაში ფიზიკური ბარიერები შესაძლოა მოიცავდეს როგორც გარემო და ინფრასტრუქტურულ ბარიერებს, ასევე გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა სხვებთან თანაბარ პირობებში. ბევრი შშმ პირისათვის ინფორმაციის ფორმა ან შინაარსი შესაძლოა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ბარიერად იქცეს. მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება ბრაილის ნიშნებით ან ჟესტების ენით ორი სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციაა, რომელთა გამოყენებაც ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას იმ ადამიანებისათვის, ვისაც სხვა შემთხვევაში ბარიერთან მოუწევდა შეჯახება.

შშმ პირები დაბრკოლებებს აწყდებიან განათლების მიღების, დასაქმების კუთხით; ძირითადად, ეს არის დისკრიმინაცია და სტიგმა, ადაპტირებული ტრანსპორტის არარსებობა და უარი საგანმანათლებლო ან პროფესიულ გადამზადებაზე.

შშმ პირები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობის, შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციის მიმართ, მით უფრო იმ შემთხვევებში, როცა ისინი სხვათა მხარდაჭერასა და ზრუნვაზე არიან დამოკიდებულნი. მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი და ეფექტიანი იურიდიული დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან.

### 4.3. რეკომენდაციები სპეციალისტებისათვის

შშმ პირებთან მუშაობის პროცესში სპეციალისტმა უნდა იხელმძღვანელოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ განსაზღვრული ზოგადი პრინციპებით: ა) ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით; ბ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა; გ) საზოგადოებრივ ურთიერთობებში სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა; დ) პატივისცემა შშმ პირთა განსხვავებულობისადმი; ე) თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა; ვ) მისაწვდომობა; ზ) გენდერული თანასწორობა; თ) შშმ ბავშვების შესაძლებლობის განვითარებისა და ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვებთან თანაბარ პირობებში ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მისცეს მას საშუალება თავისუფლად გამოხატოს აზრი სხვა ბავშვების თანასწორად მათთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე, ასაკის გათვალისწინებით.

სპეციალისტმა წინასწარ უნდა შეისწავლოს, თუ რა სახის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის პროცესში, და განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა. მან, სასურველია, უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ პირებთან წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს მათ მიერვე შერჩეული ფორმით (მსხვილი შრიფტი, ბრაილის შრიფტი, აუდიო მოწყობილობა და სხვა), ხოლო ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან კომუნიკაციისას, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს ჟესტური ენის მცოდნე თარჯიმანი (სურდოთარჯიმანი).

## 5. ლგბტი პირები

სისხლის სამართლის სისტემასთან ურთიერთქმედება უამრავ დამატებით რისკს უქმნის იმ პირებს, რომლებიც ლგბტი პირებად ითვლებიან. ეს ხდება იმისდა მიუხედავად, არიან ეს პირები დაზარალებულნი, მოწმეები თუ დანაშაულში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირები. ლგბტი პირები ხშირად ხდებიან ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი. მათ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება მათი ფაქტობრივი ან სხვების მიერ აღქმული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.

### 5.1. რას ნიშნავს სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა?

ლგბტი ეს არის აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად. ისინი არიან პირები, რომლებიც არ არიან ჰეტეროსექსუალები (სექსუალური ორიენტაცია) ან/და რომელთა იდენტობაც არ ეთანხმება სოციალური ნორმებით მიღებულ გენდერს (გენდერული იდენტობა), და ტრანსგენდერი ან ინტერსექსი პირები (გენდერული იდენტობა).

სექსუალურ ორიენტაციაში მოიაზრება ამა თუ იმ პიროვნების ძლიერი ემოციური, სექსუალური მიდრეკილება განსხვავებული, იმავე ან ორივე სქესის ადამიანების მიმართ, ისევე როგორც მზაობა ამ პიროვნებებთან ინტიმური სექსუალური კავშირის დამყარებისა.

ხოლო გენდერულ იდენტობაში იგულისხმება ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებასა და სხვა სახის ქცევებში ვლინდება, ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

ადამიანთა უმრავლესობას სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ბავშვობის ადრეულ ასაკში უყალიბდება, ხოლო სხვებს შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაუგრძელდეთ მისი ფორმირების პროცესი. სხვადასხვა ადამიანი თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე აღიქვამს, რომ იგი

ლგბტი პირებს მიეკუთვნება და რომ მისი სქესობრივი და გენდერული გამოხატვა შეიძლება შეიცვალოს ასაკის ან სხვა სოციალური თუ კულტურული ფაქტორების ცვლილებასთან ერთად.

ლგბტი უფლებების დარღვევა, მათი რეალური ან ასეთად აღქმული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის მიხედვით, ზოგადსაკაცობრიო დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია გვხვდება როგორც ყოფით, ასევე ინსტიტუციონალურ და კულტურულ დონეზე.

ლგბტი პირები ადვილად ხდებიან მიზანმიმართული ძალადობის მსხვერპლნი, რაც გამოიხატება ფიზიკურ ძალადობაში, შეურაცხყოფაში, სექსუალურ ძალადობაში, დისკრიმინაციაში განათლების, დასაქმების და სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის კუთხით, რასაც განაპირობებს განსხვავება, გამონაკლისი ნებისმიერი ნიშნით მათი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო.

ლგბტი პირები ხშირად თავიანთი ცხოვრების გარკვეულ ასპექტებს, ხოლო ზოგჯერ - მის მნიშვნელოვან ნაწილს, საიდუმლოდ ინახავენ. ბევრი მათგანი არ ცხოვრობს ღიად, როგორც ლგბტი პირი, ხოლო მრავალს შეიძლება საერთოდ არც კი ჰქონდეს სქესობრივი კავშირი. ბევრი მათგანი თავის სექსუალურ ორიენტაციას და/ან გენდერულ იდენტობას ახშობს, რათა თავიდან აიცილოს გამჟღავნებით გამოწვეული სერიოზული შედეგები, მკაცრი სისხლის სამართლის სანქციების, მათ ბინებზე თვითნებური თავდასხმის, დისკრიმინაციის, საზოგადოებრივი გაკიცხვის ან ოჯახიდან განდევნის ჩათვლით. სერიოზული ფიზიკური ძალადობის ან „ღირსების“ დაცვის მიზნით მკვლელობის ჩადენის საფრთხე შეიძლება მოდიოდეს ოჯახის წევრების მხრიდანაც. ლგბტი პირებს შეიძლება არ ჰქონდეთ საშუალება სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, რომლებიც დაკავშირებულია პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან, მემკვიდრეობის მიღების, მეურვეობის, ბავშვების მონახულების, განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების, გამოხატვის და სხვა უფლებებთან.

საზოგადოებისაგან გარიყვამ შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ „სექსუალურ უმცირესობებს“ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის შედარებით მაღალი მაჩვენებელი. პრობლემები მოიცავს დეპრესიას, ბიპოლარულ აშლილობას, პანიკის შეტევებს, თამბაქოზე, ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას და მათ ბოროტად გამოყენებას, ასევე სხვა „არაჯანსაღ ქცევებს”, როგორიცაა მაღალი რისკის შემცველი/დაუცველი სექსი და აივ/შიდსით და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებებით უფრო ხშირი დაინფიცირება.

განსაკუთრებული საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ტრანსგენდერი პირები. მათ მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა გენდერული იდენტობა და/ან გენდერული თვითგამოხატვა განსხვავდება დაბადების დროს დადგენილი სქესისაგან. ტრანსგენდერი არის გენდერული იდენტობა, და არა სექსუალური ორიენტაცია. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება საზოგადოების ნორმებისა და ღირებულებებისათვის საფრთხის შემქნელებად იქნენ მიჩნეულნი. ისინი ხშირად უკიდურესად მარგინალიზებულნი არიან და შეიძლება განიცადონ სასტიკი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და/ან სექსუალური სახის ძალადობა.

### 5.2. რეკომენდაციები სპეციალისტებისათვის

სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს ღირსებისა და პატივის დაცვაზე

დამყარებული მიდგომა, თავი აარიდოს მსჯავრდებულის დამატებით მარგინალიზაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ინდივიდუალური საჭიროებები და უზრუნველყოს მისი ჩართულობა მიზნობრივი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში.

სპეციალისტმა უნდა მოახდინოს ლგბტი პირების ინფორმირება თემში არსებულ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების შესახებ; ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს სხვადასხვა სამსახურთან, სპეციალისტთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას, ასევე დასაქმებაში დახმარებასა და ოჯახსა და საზოგადოებაში მის ინტეგრირებას.

მან ხელი უნდა შეუწყოს ლგბტი პირების ინფორმირებას ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის „აივ ინფექციის“, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ.

### 6. ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ.

ეთნიკური უმცირესობების დაცვა რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას ეფუძნება: ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა; სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით თანასწორი სარგებლობა; სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება.

### 6.1. ეთნიკური უმცირესობების დეფინიცია

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული უმცირესობების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების იურიდიულად სავალდებულო დეფინიცია. არ არის განმარტებული, თუ რა კატეგორიის ჯგუფები წარმოადგენენ უმცირესობებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის მქონე არც ერთი დოკუმენტი არ განმარტავს ამ ტერმინს, საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა უმცირესობათა ცნების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, კერძოდ, „უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც რიცხობრივ უმცირესობაშია სახელმწიფოს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით და არადომინანტურ მდგომარეობაში იმყოფება. მისი წევრები დანარჩენი მოსახლეობისაგან გამოირჩევიან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი თვალსაზრისით და სოლიდარობის გრძნობას ინარჩუნებენ საკუთარი თვითმყოფადობის მიმართ, კერძოდ კი საკუთარ კულტურასთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებით“. ჯგუფები, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მახასიათებლები, შეიძლება წარმოადგენდნენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის უმცირესობაზეა საუბარი - თითოეული მათგანი საჭიროებს თანაბარ სტატუსს და დაცვას.

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს 4 ძირითად ჯგუფად აერთიანებენ: უმცირესობათა ფიზიკური დაცვა და უზრუნველყოფა; უმცირესობათა თვითმყოფადობის (იდენტობის) დაცვა და განვითარება; დისკრიმინაციის

აკრძალვა და ეფექტიანი თანასწორობის პრინციპი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობათა ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიღების დროს.

საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც, ტრადიციულად, ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლის მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები. დღესდღეობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქვეყნის მოსახლეობის, დაახლოებით, მეექვსედს შეადგენენ.

ეროვნულ დონეზე ეთნიკური უმცირესობების დაცვის საკითხი დარეგულირებულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. საქართველოს კონსტიტუცია იზიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომელთა საფუძველზეც ყველას აქვს უფლება, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითაროს თავისი კულტურა, ისარგებლოს მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

ეთნიკური უმცირესობები არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართული ენის არცოდნაა. ბუნებრივია, ეს ენობრივი ბარიერი ართულებს კომუნიკაციას უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის; ისინი სრულყოფილად ვერ იღებენ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ენობრივი განსხვავებების გარდა, უმცირესობები ქართულენოვანი მოსახლეობისგან განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევრები არიან.

### 6.2. რეკომენდაციები სპეციალისტებისათვის

სპეციალისტი უნდა იცნობდეს და აცნობიერებდეს სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებებს (რელიგიური, ეთნიკური, კულტურული უმცირესობების ჩათვლით). მან უნდა დაიცვას მათი უფლებები, უზრუნველყოს მომსახურება სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

ყველა მხარდამჭერი ზომა მორგებული უნდა იყოს სხვადასხვა ჯგუფის სპეციალურ საჭიროებებზე, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული კულტურული განსხვავებები და მოხდეს მათი დაცვა.

ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უზრუნველყოფილი უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური თარჯიმნის დახმარებით.

სპეციალისტმა არ უნდა მოახდინოს ცალკეული წარმომადგენლის ქცევის, საქმიანობის თუ ქმედების განზოგადება მთელ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფზე.

### 7. რეკომენდაციები ტრენერისათვის

**ტრენინგის მიზანი:** მონაწილეთა ინფორმირება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულების და მათთან მოპყრობის თავისებურებების შესახებ.

**ტრენინგი შედგება 5 მოდულისაგან:**

- არასრულწლოვანი მართლმსაჯულების სისტემაში;
- ქალები მართლმსაჯულების სისტემაში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- ლგბტი პირები;
- ეთნიკური უმცირესობები.

**ტრენინგის შედეგად მონაწილეები შეძლებენ:**

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე მსჯავრდებულების უფლებებისა და ინტერესების დაცვას;
- საკუთარი როლის გააზრებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში;
- მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისას მათდამი მოპყრობის ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობას;
- სენსიტიური მიდგომის საჭიროებისა და აუცილებლობის გაცნობიერებას;
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას ჯგუფებთან მუშაობისას.

**სწავლების მეთოდები:** ლექცია, დისკუსია, თემატური სავარჯიშოები, შემთხვევის განხილვა; ინდივიდუალური და მცირე ჯგუფებში მუშაობა.

**8. გამოყენებული ლიტერატურა**


- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი 3(ბ), მუხლი 13, პ. 1, საკანონმდებლო მაცნე, 20/09/2019.
- საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მუხლი 3, პუქტი 3, საკანონმდებლო მაცნე, 12/06/2015.
- დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და ახალგაზრდებში, სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2-19, 41.
- არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა, კვლევითი კომპანია „ეისითი“ (ACT), 2015, 44-50, 55.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 30/12/2015.
- ევროპის საბჭოს დოკუმენტების კრებული, ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია (CM/Rec10) წევრი სახელმწიფოებისამდი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, ძირითადი პრინციპები 1, 137.
- *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, 88.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, საკანონმდებლო მაცნე, 12/09/2016.
- საქსტატი, სტატისტიკური პუბლიკაცია, ქალი და მამაკაცი საქართველოში, 2020, 103, <https://www.geostat.ge/ka/single-categories/122/tsliuri> [15.05.2021].
- „ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები“ („ბანგკოკის წესები“), წესები 3, 17, 25, 42, 47, <https://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf> [15.05.2021].
- *თვარაძე ა., ალექსიძე ს., ავალიანი თ., ნუცუბიძე მ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფ, ძალადობის, სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლ ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების კვლევა, ციხის საერთაშორისო რეფორმა, 2018, 7, 17.

- *DCAF, OSCE/ODIHR, UN Women,* თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი, გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მითითებების კრებული, ჟენევა, DCAF, OSCE/ODIHR, UNWomen, 2019, 11.
- ვინ არიან ქალი პატიმრები, საქართველოს კვლევის შედგები, Penal Reform International, 2013, 11-12.
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(დ), 15/05/2021.
- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, UN Women, 2018, 12, 15, 80.
- გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 1, მუხლი 3, 2006, საქართველოსთვის ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.
- გზამკვლევი ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ფრანსუა-ხავიერ ბაგნუდის „ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების ცენტრი“ და „ღია საზოგადოების ფონდები“, 2014, 662, 667.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/ნ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 6, პუნქტი 1, 13/01/2003.
- ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომრეობა საქართველოში, კვლევის ანგარიში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, 4, 8.
- სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ, UNHCR, 2012, 23, 209, <https://www.refworld.org/cgibin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=57108d0d4>
- ჯოკიაკარტის პრინციპები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების გამოყენების პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში, 4, <https://women.ge/data/docs/publications/WISG-Yogyakarta-principles-GE.pdf>
- ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხი ლგბტი პირებისთვის, გზამკვლევი ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე, 2014, 590.
- სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ, UNHCR, 2012, 217, იხ. ციტირება: განაცხადი No. 76175, New Zealand Appeals Authority, 2008 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unhcr.org/refworld/docid/482422f62.html>
- *ფირანიშვილი თ.*, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019, 7.
- *ხაინდრავა ნ.*, ეთნიკური ურთიერთობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი, ეთნიკური უმცირესობების კვლევის სერია N1, 2008, 5. <https://elfiles.emis.ge/uploads/41200/conversions/Etnikuri_umciresobebi_Standartebi-compressed.pdf>
- ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში, ცვლილებები და ტენდენციები, კვლევის ანგარიში, დანართი 1: საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, 24.

# თავი XII. გარდამავალი მენეჯმენტი

ავტორები: *თათია ხოჭოლავა / ინგა სარჯველაძე*

## 1. ტერმინთა განმარტება

**გარდამავალი მენეჯმენტი** - იგივე ტრანზაქცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ - სამსახური), პენიტენციური დაწესებულების, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტოსა (შემდგომ - სააგენტო) და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის (შემდგომ - ცენტრი), სხვა საჯარო დაწესებულებების, მუნიციპალიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების მხრიდან საქმიანობის კოორდინირებული დაგეგმვა, რათა ხელი შეეწყოს თავისუფლებააღკვეთილი პირის საზოგადოებაში წარმატებულ დაბრუნებასა და რეინტეგრაციას, რასთან ერთადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დანაშაულის პრევენციასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

**გადასვლა** - იგივე ტრანსფერი, პენიტენციური სისტემიდან პრობაციის სისტემაში გადასვლა, ან პირიქით;

**სააგენტო** - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სააგენტო;

**სამსახური** - სპეციალური პენიტენციური სამსახური.

**დეზისტანსი** - დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტა ან შემცირება. დეზისტანსის პროცესში ადგილი აქვს ადამიანის სამართალდამრღვევად ჩამოყალიბებისა და მის მიერ დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის საკითხების შესწავლას, ასევე ქმედების/ დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის განმაპირობებელი სოციალური, ეკონომიკური და ასაკობრივი ფაქტორების განხილვას. დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილებულია სამ ძირითად ფაქტორზე: ასაკობრივი სიმწიფის მატება, სოციალური კავშირების გაძლიერება და საკუთარი თავის განსხვავებული, პოზიტიური აღქმა.

## 2. შესავალი

ბოლო ათეული წლებია დისკუსია მიმდინარეობს მსჯავრდებულთა პროფესიული და სოციალური რეინტეგრაციის მიღწევის ოპტიმალურ გზებზე და ამ მეთოდით განმეორებითი დანაშაულის ალბათობის შემცირებაზე. სისხლის სამართლის დანაშაულში, მსჯავრდებულ პირთა რეინტეგრაციის პროცესში ასეთი ოპტიმალური ერთობა მოიხსენიება, როგორც „გარდამავალი მენეჯმენტი (ტრანზაქცია)". აღნიშნული ტერმინი გამოიყენება თავისუფლებააღკვეთილი

პირების მდგრადი რეინტეგრაციის კონცეფციების შეჯამებისა და თავმოყრის მიზნით და მისი მიზანია ჯანსაღი რეინტეგრაციის ხელშეწყობა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ეფექტიანობის გაზრდა.

პოტენციურად, პროცესის მიზნობრივი ჯგუფია ყველა მსჯავრდებული, რომელიც ტოვებს პენიტენციურ დაწესებულებას, ასევე სააგენტოს ის ბენეფიციარები, რომლებიც სხვადასხვა ინციდენტის გამო ხვდებიან პენიტენციურ დაწესებულებაში. ამ უკანასკნელთ მთლიან კონცეფციაში შედარებით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ეს არ არის წინასწარ დაგეგმილი მულტისექტორული თანამშრომლობის პროცესი, ის მხოლოდ დადგენილი წესებით ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას მოიცავს ბენეფიციარზე ინდივიდუალური მიდგომებისა და ზრუნვის განსახორციელებლად, რომელიც საბოლოო ჯამში აისახება გათავისუფლების ეტაპზეც. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვან და ახალგაზრდა ბენეფიციარებს, მათ შორის არასრულწლოვან ბრალდებულებსაც, რადგან ადაპტაციის უნარების სიმწირის გამო მათ სჭირდებათ მეტი ზრუნვა და მხარდაჭერა გამოწვევებისა და კრიზისების დასაძლევად.

გარდამავალი მენეჯმენტი უნდა განსაზღვრავდეს პროცესში ჩართული თითოეული ორგანიზაციის პასუხისმგებლობას, რათა მათ შეძლონ ერთად მუშაობა და გარდამავალი პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მაქსიმალურად უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია სისტემებს შორის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც თანამშრომლობის პირობების განსაზღვრას, ინფორმაციის გაცვლასა და ერთობლივი გეგმების შექმნას უზრუნველყოფს.

## 3. გარდამავალი მენეჯმენტი პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში

### 3.1. პრინციპები

გარდამავალი მენეჯმენტის პროცესი უსაფრთხოდ უნდა იქნეს მართული როგორც ბენეფიციარებისთვის, ასევე საზოგადოებისათვის. პროცესში დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

1. ინდივიდუალური საჭიროებებისა და დამცავი ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება;
2. ყველა ბენეფიციარი, რომელთა სამსახურიდან სააგენტოში გადასვლის შესახებ წინასწარ არის ცნობილი, ადრეულ ეტაპზევე უნდა იყოს განაწილებული და სპეციალისტთან მიმაგრებული;
3. ბენეფიციარებს, განსაკუთრებით არასრულწლოვნებს და ახალგაზრდებს, რომლებსაც უწევთ სააგენტოში გადასვლა, უნდა ჰქონდეთ გარდამავალი პროცესის გეგმა;
4. გარდამავალი პროცესის დაგეგმვა ფოკუსირებული უნდა იყოს მოქნილი და უწყვეტი მომსახურების მიწოდებაზე, ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, და ითვალისწინებდეს თითოეული ადამიანის მრავალფეროვნების საკითხს;
5. სამსახურები ერთად უნდა მუშაობდნენ ეფექტიანი ტრანსფერის შედეგებისა და პროგრესის მისაღწევად;
6. არასრულწლოვნები (ახალგაზრდები) და მათი ოჯახები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი პროცესის დაგეგმვაში, უნდა იყვნენ ინფორმირებულნი გარდამავალი გეგმების შესახებ და შეთანხმებულნი მათი განხორციელების თაობაზე;

7. თითოეული გადასვლა/ტრანსფერი უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალურად; ყოველთვის უნდა ცდილობდნენ მომსახურებების გაუმჯობესებას, პოზიტიური მომავლის მხარდაჭერას და დეზისტანსის შენარჩუნებას, რომელიც დამყარებული იქნება უნარებზე, ძლიერ მხარეებსა და ჯანსაღ ინტერესებზე.

### 3.2. ისტორია და საერთაშორისო გამოცდილება

პატიმარი, სასჯელი და მასთან დაკავშირებული კლასიკური თუ ნოვატორული მიდგომები, პირველ რიგში, ყველასთვის ციხესთან ასოცირდება. XVIII საუკუნის ბოლომდე ციხეები წინასწარი დაკავების დაწესებულებას უფრო წააგავდა, რადგან ადამიანებს მანამდე ან სიკვდილს უსჯიდნენ, ან გადასახლებას, ან კატორღაში გზავნიდნენ. შუა საუკუნეებში არ არსებობდა მცნება - მსჯავრის მოხდა სასჯელის სახით. მაგალითისთვის, საფრანგეთში დამნაშავეს ტულონის კარიერზე აგზავნიდნენ, ინგლისში თავის ამერიკულ კოლონიებში ასახლებდნენ, ესპანეთი კი საომარ გემებზე აგზავნიდა სამუშაოდ. XVIII ს-ის ბოლოსთვის სიტუაცია შეიცვალა. ინგლისში დანაშაულის რიცხვმა მკვეთრად მოიმატა, ციხეები გადაიჭედა, სასამართლო სისტემა კი ისეთი ზანტი და მოუქნელი გახლდათ, რომ განაჩენის გამოტანას წლებს ანდომებდა. არცერთი სახელმწიფო არ თვლიდა, რომ შესაძლებელი იყო გარკვეული ვადით პატიმარი მხოლოდ თავისი ხარჯით შეენახა ციხეში. სიტუაციის განსამუხტად სახელმწიფო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, დროებით გადაესახლებინა ბრალდებულები ამერიკაში სპეციალური „ციხის გემებით“. ძირითადად, ეს იყო სამეფო ფლოტის ჩამოწერილი გემები. ასეთი გემების ხელმძღვანელობა კერძო კომპანიებს ჩაბარდა, რომლებიც პატიმრების შრომას სხვადასხვა სამუშაოსათვის იყენებდნენ. თანამედროვენი ციხის გემებს „მოცურავე ჯოჯოხეთს“ ეძახდნენ. როცა 1775 წელს ამერიკის კოლონიებში თავისუფლების მოსაპოვებლად აჯანყებამ იფეთქა, პატიმრების გადაყვანა შეუძლებელი გახდა და როგორც ხმელეთის, ისე მოცურავე ციხეები კვლავ გადაიჭედა. აქედან გამომდინარე, ხსენებული ციხეები დროებითი განთავსების ადგილის ნაცვლად გადაიქცა სასჯელის მოხდის ადგილად. თუმცაღა პირობები იმდენად არაადამიანური იყო, რომ საზოგადოებამ რეფორმის ჩატარება გადაწყვიტა. აქედან გამომდინარე, ციხეები და ციხის რეფორმა ფაქტობრივად ერთდროულად გაჩნდა და დაიწყო.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა სასჯელის მოხდის პირობების და მიდგომების სხვადასხვა მოდელს იცნობს. ბრიტანელი **ალექსანდრე მაკონოქი** 1840 წელს დაინიშნა ნორფოლკის კუნძულის გუბერნატორად. ეს ის პერიოდია, როდესაც მკაცრმა მიდგომებმა და პატიმართა იზოლაციამ შედეგი ვერ გამოიღო ვერც ბრიტანეთში და ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ციხეების მმართველებმა დაიწყეს ფიქრი, ერთი მხრივ, როგორ შეემსუბუქებინათ ცხოვრება პატიმრებისათვის, მეორე მხრივ კი, როგორ გამოესწორებინათ დამნაშავენი. **ალექსანდრე მაკონოქმა** შემოიღო მარკების სისტემა, რომელსაც მსჯავრდებული ღებულობდა კარგი ქცევისთვის და მძიმე შრომისთვის. მარკებით შესაძლებელი იყო კარგი საკვების ყიდვა და, გარკვეული რაოდენობის მოგროვების შემთხვევში, სასჯელის შემცირებაც კი.

**მარკების სისტემა გამოიყენა** ირლანდიის ციხეების უფროსმაც **სერ უოლტერ კროფტონმა**, „კროფტონის სისტემა“, იგივე „ირლანდიური სისტემა“, შემდეგში მდგომარეობდა: პატიმარი სასჯელის პირველ ნაწილს ატარებდა მძიმე პირობებში, სრულ მარტოობაში, ხოლო მეორე ნაწილს - მძიმე შრომაში სხვა პატიმრებთან ერთად. სწორედ აქ მოქმედებდა **მარკების სისტემა**. მესამე ეტაპზე კი რეჟიმი საკმაოდ მსუბუქი გახლდათ - პატიმარს შეეძლო ეკითხა წიგნები, ესწავლა ციხის სკოლაში და

სხვა. გულმოდგინე პატიმარს შეეძლო გამოემუშავებინა **გამოსასვლელი ბილეთი,** ანუ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება, მაგრამ პირობის გასვლამდე თუ ჩაიდენდა უმსგავსო საქციელს, ბრუნდებოდა ციხეში. ევროპაში კროფტონის და მისი სიტემის აქტიური კრიტიკა დაიწყეს. 1863 წელს, როცა ეს საკითხები აქტიური დისკუსიის ფაზაში იყო, შეიქმნა ლორდთა პალატის კომიტეტი ციხის რეფორმის საკითხებში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **ლორდი კარნარვონი** - დიდი კონსერვატორი და ადამიანი, რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი პატიმართა გამოსწორების მიმართ. ლორდმა დაიწყო ციხის რეჟიმის გამკაცრება.

მიუხედავად ამისა, საფუძველი ჩაეყარა პატიმრების პროსოციალურ აქტივობებში ჩართვასა და ვადამდე გათავისუფლების უფლების „გამომუშავებას". დაგროვდა გამოცდილება და ინფორმაცია პატიმართა სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ, რამაც ბევრ ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა ციხეში სხვადასხვა პროგრამის დანერგვას.

დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, 1974 წელს, სარეაბილიტაციო პროგ-რამებსა და რეციდივის შემცირებაზე ინტენსიურად მომუშავე სპეციალისტებს მეხივით დაეცათ სოციოლოგ **რობერტ მარტინსონის** ცნობილი ნაშრომი: „რა მუშაობს (What works) - კითხვები და პასუხები სასჯელაღსრულების რეფორმაზე". პოლიტიკოსებს, მკვლევარებს და უბრალოდ დამკვირვებლებს ამ კვლევამ კიდევ ერთხელ შეახსენა სამეცნიერო კვლევების შესაძლებლობები და მისი შედეგების მტკიცებულებითი ხასიათი. ნაშრომი მალევე შეფასდა და მიიღო დასახელება „არაფერი მუშაობს" ("Nothing Works"). ეს ნაშრომი ისტორიული გახდა, რადგან გააცამტვერა იდეა, რომ შესაძლებელია პატიმრების რეაბილიტაცია და, საერთოდ, რომელიმე კრიმინალის გამოსწორება. კრიმინოლოგები მსოფლიოს მასშტაბით წინ აღუდგნენ მარტინსონის კვლევებს, რომელიც პენიტენციურ სისტემაში რეაბილიტაციის სერიოზული დამანგრეველი გახდა. კრიმინოლოგმა პალმერმა არა მხოლოდ კრიტიკა შემოგვთავაზა, არამედ ხელახალი კვლევა ჩაატარა მარტინსონის მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე. მსოფლიოს წამყვანმა სამეცნიერო ინსტიტუტებმა დაამტკიცეს კიდეც მისი ჩატარებული კვლევების საპირისპირო, თუმცა მარტინსონის ნაშრომმა დასაბამი მისცა ახალ ტენდენციას - მუდმივად ჩატარდეს კვლევები მტკიცებულებების მოსაპოვებლად, თუ რა მუშაობს მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სასარგებლოდ და რეციდივის შესამცირებლად უფრო მეტად ანდა ნაკლებად. სწორედ ამ კვლევებისა და მტკიცებულებების შედეგია რეფორმები, ცვლილებები და სიახლეები, რომლებიც ზრდის სასჯელის მიზნის მიღწევის ეფექტიანობას.

დაკვირვებამ და პროგრესის სურვილმა არასაპატიმრო სასჯელამდე, შემდეგ ალტერნატიულ სასჯელებამდე და უამრავ სხვა სიახლემდე მიიყვანა მსოფლიო. როგორ დავიცვათ უსაფრთხოება, დაბალანსებული ადამიანის უფლებებთან, და გამოვიყენოთ რესურსი, რომელსაც თითოეული ადამიანი, თუნდაც კრიმინალი, ატარებს, როგორ ვხარჯოთ ბიუჯეტი ისე ეფექტიანად, რომ რეციდივიცა და ხარჯიც, ორივე მინიმუმამდე დავიყვანოთ?

ნათან ჯეიმსი ფართომასშტაბიან კვლევაში ხაზს უსვამს კომპონენტებს, რომლებიც გამორჩეულად ამცირებს დანაშაულს: „საუკეთესო კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს მრავალი სერვისი, რაც ხელს შეუწყობს ყოფილი დამნაშავეების დაბრუნებას თავიანთ თემთან და ამცირებს განმეორებით დანაშაულს, მათ შორისაა პროგრამები, რომლებიც მიმართულია პროფესიული სწავლებისაკენ, ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების პრევენციისკენ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებითა და საცხოვრისით უზრუნველყოფისაკენ. გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე წარმატებული პროგრამები კონცენტრირებულია მაღალი რისკის დამნაშავეებზე,

არის ინტენსიური ხასიათის, იწყება პენიტენციურ ინსტიტუციაში და სრულდება საზოგადოებაში დაბრუნებისას."

რამდენიმე წლის წინ კოლორადოს შტატში გარდამავალი მენეჯმენტის ეფექტიანობის გასაზრდელად ციხის პერსონალს დაემატა ახალი პოზიცია - პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ოფიცერი - Parole Officer. კვლევებისა და მიდევნების საფუძველზე სისტემა მივიდა დასკვნამდე, რომ გათავისუფლების ეტაპზე მსჯავრდებულის მოსამზადებლად ახალი თანამშრომლების აყვანა და მათი დაფინანსება გაცილებით ხარჯთეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია, რადგან ამ ეტაპზე რესურსის დახარჯვა უმეტესწილად უტოლდება განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.

პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის დადგომამდე 6 თვით ადრე პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ოფიცერი (Parole Officer) იწყებს მუშაობას ბენეფიციართან და მის შემთხვევის მმართველთან შემდეგ საკითხებზე:

- გათავისუფლებისთვის მომზადებისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის სირთულეებისა და ინდივიდუალური გამოწვევების დაძლევა;
- ღამის გასათევი, პირველი 24 საათი, მხარდამჭერები და დასაქმების პერსპექტივა;
- ადგილი, სადაც მიიღებს საჭირო მხარდაჭერას: სამართლებრივი ან სხვა სერვისები გათავისუფლების შემდგომ;
- პრობაციის ინტენსიური ზედამხედველობა და მისი საჭიროება;

და სხვა უამრავი საკითხი, რაც დაკავშირებულია კონკრეტული ბენეფიციარის გათავისუფლებასთან, სტრესთან, გამოწვევებთან, მხარდამჭერებთან და პროსოციალურ რუტინულ ჩართულობასთან სხვადასხვა აქტივობაში. ეფექტიანობის გასაზრდელად შტატში ასევე შეიქმნა სახელმძღვანელო პროცესში ჩართული მსჯავრდებულებისათვის - „გასვლის სახელმძღვანელო" („Go Guide"), რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება გამოწვევად იქცეს ყოფილი პატიმრისათვის გათავისუფლების შემდგომ და რომელიც, სასურველია, ჯერ კიდევ დაწესებულების დატოვებამდე დაიგეგმოს პირობით ვადაზე ადრე გათვისუფლების ოფიცერთან ერთად, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ ყველა გამოწვევას.

### 3.3. გარდამავალი მენეჯმენტი საქართველოს მაგალითზე

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში გარდამავალი მენეჯმენტის ცნება საქართველოში 2015 წლიდან შემოდის. „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშში" აღწერილია პირველი წარმატებული ნაბიჯი: „არასრულწლოვანთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესისა და უწყებებს შორის გარდამავალი მენეჯმენტის გამართვის მიზნით თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის. 2015 წლის 3 ივნისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №68 ბრძანებით დამტკიცდა „მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესი". აღნიშნული წესი განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის

მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის საფუძვლებს, პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ბრძანების უფლებამოსილება ვრცელდება №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და №5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე.“

2015 წელს ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის XIV თავი სწორედ გარდამავალი მენეჯმენტის პროცესს არეგულირებს, ადგენს პროცესში ჩართული სისტემების ვალდებულებებს და გარკვეულ პროცედურებს.

რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ პროცესი ეფექტიანია, მაგრამ არაა სრულყოფილი. პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდის დადგომამდე 3 თვით ადრე, სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სოციალური მუშაკი ვიზიტს ახორციელებს მსჯავრდებულის ოჯახში და აფასებს ოჯახსა და სოციალურ გარემოს. ინფორმაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი საბჭოსთვის, რომელიც ალტერნატიულ სასჯელს განიხილავს, არამედ:

- სამსახურის სოციალური მუშაკებისთვის, რომელთაც პირველად ეძლევათ შესაძლებლობა რეალურად დაინახონ, თუ რა გარემოში უწევს ბენეფიციარს დაბრუნება,
- თვითონ ბენეფიციარისთვის, რომელიც რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი ხანგრძლივი სასჯელის დროს, ცრუ მოლოდინებით ხვდება გათავისუფლების პერიოდს,
- სააგენტოს სოციალური მუშაკისთვის, რომელიც მსჯავრდებულის მათთან ტრანზაქციის შემთხვევაში მზადაა მის მისაღებად, რადგან მას აქვს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მხარდამჭერი სოციალური გარემოს შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროცესი ეფექტიანი აღმოჩნდა, მაგრამ შორს არის სრულყოფილებისაგან. მაინც რა აკლია ამ ყველაფერს იმისთვის, რომ სააგენტოს სპეციალისტებმა უფრო ეფექტიანად შეძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება პოსტპენიტენციური ზედამხედველობისა და ზრუნვის პროცესში?

როგორც ზედა თავებში აღინიშნა, გარდამავალი მენეჯმენტის პროცესს ეფექტიანი რომ ვუწოდოთ, ჯერ კიდევ პენიტენციურ სისტემაში ყოფნისას არის საჭირო შრომითი რეინტეგრაციისათვის მომზადება, ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიის შესწავლის უზრუნველყოფა, სოციალური რეინტეგრაციისათვის - სოციალური გარემოს შეფასების გარდა - ბენეფიციარის უნარებზე, ძლიერ მხარეებსა და ჯანსაღ ინტერესებზე დაყრდნობით ტრანზაქციის გეგმის შემუშავება პოზიტიური მომავლის მხარდასაჭერად და დეზისტანსის შესანარჩუნებლად, სამსახურისა და სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობით.

განვიხილოთ ერთ-ერთი ტიპური შემთხვევა. ხანგრძლივი სასჯელის და შემდგომ პირობითი მსჯავრის მქონე 50 წელს გადაცილებულ მსჯავრდებულ ქალს, ნინო კ.-ს, ჰყავდა მეუღლე და 3 ზრდასრული შვილი. ოჯახის წევრების ვიზიტებს დაწესებულებაში საკმაოდ იშვიათი ხასიათი ჰქონდა, რასაც ნინო მეუღლის გულგრილობითა და მოზრდილი შვილების ასაკით ხსნიდა. მას სჯეროდა, რომ გათავისუფლების შემდეგ მეუღლეც დაძლევდა გაუცხოებას, და მზად იყო მათთან ერთად ახალი ცხოვრება დაეწყო. პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის დადგომამდე სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა შეაფასა ოჯახი და სოციალური გარემო. აღმოჩნდა, რომ ოჯახში მას არათუ არ ელოდნენ, არც მეუღლე, არც

შვილები და არც დედამთილი არავითარ შემთხვევაში არ იყვნენ თანახმა, რომ ნინოს ერთი ღამე მაინც გაეთია სახლში მათთან ერთად ან, საერთოდ, რაიმე სახის კონტაქტი ჰქონოდათ მასთან გათავისუფლების შემდგომ. ოჯახი ცდილობდა სირცხვილის გრძნობა დედის იგნორირებით დაეძლია. შედარებით მიმღებლური დამოკიდებულება ჰქონდა დედამთილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ეცოდებოდა ნინო. მსჯავრდებულს სხვა ახლო ნათესავები არ ჰყავდა. ოჯახის შეფასებისას სააგენტოს წარმომადგენელმა კარგად გაიაზრა შეფასების ნეგატიური გავლენა მსჯავრდებულზე და სამსახურის სპეციალისტებთან ერთად იმაზეც კი დაიწყო ფიქრი, რომ როგორმე არ ეჩვენებინა შეფასება მსჯავრდებულისთვის. მაგრამ კანონმდებლობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ოჯახის შეფასება იმდენად ძლიერი შოკი აღმოჩნდა მსჯავრდებულისათვის, რომ არათუ ვადამდე გათავისუფლება, თვეების განმავლობაში ნერვული შეტევა ჰქონდა და მისი მდგომარეობა საკმაოდ დამძიმდა.

ზემოაღწერილ შემთხვევაში კალენდარულად გათავისუფლების პერიოდის დადგომისთვის:

- სპეციალისტებს არ უმუშავიათ ოჯახთან ურთიერთობის აღდგენის მცდელობის მიზნით;
- არ შემუშავებულა გათავისუფლების გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც გათავისუფლებამდე მის გაძლიერებას, ასევე გათავისუფლების შემდგომ მხარდამჭერ აქტივობებს: პირველ გადაადგილებას, ღამის გასათევის ან თავშესაფრის ძიებას, სამსახურის ძიებას და სხვა;
- ბენეფიციარი არ იყო მომზადებული გათავისუფლების შემდეგ დასაქმებისათვის.

ალბათ ყველასათვის ცხადია, რომ მსჯავრდებული ნინო კ.-ს შემთხვევის მართვა გათავისუფლების შემდგომ სააგენტოს სპეციალისტებისთვის საკმაოდ რთული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მისი დანაშაული საზღვარზე ნარკოტიკის უკანონო შემოტანა და ვაჭრობა იყო. გამოსავალი არც მსჯავრდებულისთვის ინფორმაციის დაფარვა იქნებოდა, რადგან ეფექტიანი მუშაობა მოიცავს ბენეფიციარის რისკის შემცირებასა და საჭიროებების დაკმაყოფილებას მასთან თანამშრომლობითა და შეთანხმებით, ბენეფიციარის შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენებით.

მას შემდეგ, რაც იუსტიციის ქოლგის ქვეშ გაერთიანდა პენიტენციური, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის სისტემები, რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია გაერთიანებული სტრუქტურის პრიორიტეტი გახდა და გარდამავალ მენეჯმენტს მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. **„პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში“** სრულყოფილი კონცეფციის შექმნა იქნა გათვალისწინებული და 2019 წლის აპრილისთვის მომზადდა გარდამავალი მენეჯმენტის კონცეფცია ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის ტექნიკური მხარდამჭერი პროექტის დახმარებით.

კონცეფცია ყველაზე სრულყოფილად აისახა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №682, 2021). მხარდაჭერის უწყვეტობის უზრუნველყოფაში (მუხლი 3.2) წერია: „გარდამავალი მენეჯმენტის პროცესში, გათავისუფლებისთვის მომზადების ეტაპზე, მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებზე ფოკუსირება, შესაბამისად, მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე აუცილებელია რისკებისა და საჭიროების შეფასების გადახედვა-გადაფასება და კვლავ არსებულ რისკებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით გათავისუფლების შემდგომი გეგმის შემუშავება; გათავისუფლების

შემთხვევაში, მსჯავრდებულის მხარდაჭერის უწყვეტობის უზრუნველყოფა საზოგადოებაში რეინტეგრაციის, განმეორებითი დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით."

ამასთან, კვლევები და მტკიცებულებები მოწმობს, რომ ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიისა და დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ ეტაპზე, რადგან გათავისუფლების შემდგომ პროსოციალურ, რუტინულ საქმიანობაში ჩართულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინარჩუნებს დეზისტანსს.

## 4. შეჯამება და დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია გზა, რომელიც ისტორიულად გამოიარა სასჯელის აღსრულებამ და სასჯელის მიზნის მიღწევის მცდელობებმა, აგრეთვე მოცემულია, თუ რა არის „გარდამავალი მენეჯმენტი" და რაში გვეხმარება იგი; ასევე გამახვილებულია ყურადღება იმ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფებზე, ვისთან მუშაობაც გამორჩეულად მნიშვნელოვანია. ესენია: არასრულწლოვნები და ახალგაზრდები, მნიშვნელოვანი ზიანის რისკისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობის მქონე მსჯავრდებულები, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები და სხვ.

შესაჯამებლად, შეგვიძლია ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი ყველა იმ საჭიროებას, რომელიც აუცილებელია პრაქტიკოსისათვის თავისი საქმიანობის განსახორციელებლად და რომელიც მოიცავს შემდეგს:

- როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის გარდამავალი მენეჯმენტის სრულყოფილ ინსტრუქციას;
- ინსტრუქცია, თავის მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს:
  - ♦ პროცესში ჩართული თითოეული ორგანიზაციის პასუხისმგებლობას, რათა მათ შეძლონ ერთად მუშაობა და გარდამავალი პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მაქსიმალურად უზრუნველყოფა;
  - ♦ სისტემებს შორის ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლებიც განსაზღვრავს თანამშრომლობის პირობებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას და ერთობლივი გეგმების შექმნას;
  - ♦ მოქნილი და უწყვეტი მომსახურების მიწოდებას;
  - ♦ პროცესის დაგეგმვაში არასრულწლოვნების (ახალგაზრდები) და მათი ოჯახების აქტიურ ჩართულობას;
  - ♦ გეგმის შედგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მსჯავრდებულის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მოწყვლადობასა და მისი სახასიათო თვისებების მრავალფეროვნებაზე;
- პროცესში ჩართულმა სისტემებმა უნდა დაარწმუნონ სპეციალისტები, რომ გარდამავალი მენეჯმენტი არის შემთხვევის მართვის ეფექტიანობის განუყრელი პროცესი, როცა მსჯავრდებული იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში.

## 5. რეკომენდაციები ტრენერისათვის

სააგენტოს სპეციალისტს უნდა დავანახოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი, დროის დამზოგავი და მარტივად სამართავი ის შემთხვევები, რომელზე მუშაობასაც ის იწყებს მსჯავრდებულის არა ციხიდან გამოსვლის შემდეგ, არამედ

გათავისუფლებამდე რამდენიმე თვით ადრე. სააგენტოს თანამშრომლისათვის პრიორიტეტად და აუცილებლობად უნდა იქცეს საკითხზე მუშაობის დაწყება უფრო ადრე, ვიდრე მას ახლა, მოცემულ მომენტში აქვს განსაზღვრული.

### 6. გამოყენებული ლიტერატურა


- *Martinson R.*, What Works? – Questions And Answers About Prison Reform; The Public Interest, 1974.
- *White S.*, Alexander Maconochie and the Development of Parole; Journal of Criminal Law and Criminology, 1976.
- *Cullen F. T.*, The Twelve People Who Saved Rehabilitation: How the Science of Criminology Made a Difference; University of Cincinnati, The American Society of Criminology, 2004.
- *Godesberg F. V.*, European Treatment, Transition Management, and Re-integration of High Risk Offenders, MG, 2016.
- Youth to Adult Transitions Principles and Guidance (Wales), Joint Protocol for Managing the Cases of Young People Moving from Youth Offending Teams to the National Probation Service, July 2020.
- *Dunnkel F., Jesse J., Pruin I., Von der Wense M.*, European Treatment, Transition Management and Re-Integration of High-Risk Offenders, 2014.
- Transition Management – Roads for Freedom, <https://stories.prison.ch/en/transition-management/>
- *James N.*, Offender Reentry: Correctional Statistics, Reintegration into the Community, and Recidivism; Congressional Research Service, January 12, 2015.
- The Colorado Criminal Justice Reform Coalition Go Guide – Getting On After Getting Out: A Re-Entry Guide for Colorado, 2018.
- Preparation of Convicts for Release from Penitentiary Facilities as Part of “Transitional Management” - Report of the research; Dutch organization “Mainline Foundation”, Center for Information and Counseling on Reproductive Health “Tanadgoma”, “Initiative on Rehabilitation of Vulnerable Groups”, 2018.

# თავი XIII. აღდგენითი მართლმსაჯულება

ავტორები: ***ლადო ჯავახიშვილი / მორის ბარამია***

*დღეს, როდესაც ასეთი დიდია მართლმსაჯულების ხარჯები, მკაცრი და ხშირად არაეფექტიანია სასჯელი, ხოლო სასამართლო სისტემა - გადატვირთული, საზოგადოება ცდილობს დაუბრუნდეს კონფლიქტების გადაჭრის ალტერნატიულ გზებს.*

**მოსამართლე რენატე ვინტერი**

## 1. შესავალი

აღდგენითი მართლმსაჯულების როლი და მნიშვნელობა ყოველდღიურად უფრო და უფრო იზრდება დასავლეთის ქვეყნებში. დღევანდელი, თანამედროვე რეპრესიული მართლმსაჯულების სისტემა, ხშირ შემთხვევაში, ვერ აღწევს დასახულ მიზნებს და, უმეტესწილად, ყურადღების მიღმა რჩება როგორც დაზარალებულის, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საჭიროებები. სწორედ ამ გამოწვევებიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპის ქვეყნებში პრობაციის სისტემის თანამშრომლებმა და კრიმინოლოგებმა დაიწყეს ამ გამოწვევების გადაჭრის გზებზე ფიქრი. სწორედ ასე გაჩნდა პირველი აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ჩანასახები ევროპის კონტინენტზე, შემდეგ, მისი შედეგებიდან გამომდინარე, მოიცვა ევროპის ქვეყნების უმეტესობა და ისე განვითარდა, რომ 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისიდან უკვე საერთაშორისო დონეზეც ვხვდებით რეგულაციებს აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით.

ეს კონცეფცია, ხედვა და დანაშაულის განსხვავებული აღქმა თავისი შინაარსით ძალიან განსხვავდება როგორც მანამდე არსებული კრიმინოლოგიური თეორიებისაგან, ასევე  თანამედროვე კონვენციური მათლმსაჯულების სისტემისაგან. იგი თავის თავში აერთიანებს როგორც კრიმინოლოგიის, ასევე ვიქტიმოლოგიის, მართლმსაჯულების, ფსიქოლოგიის, სოციალური მუშაობისა და სოციოლოგიის კომპონენტებს და სწორედ ამ გზით აყალიბებს დანაშაულის ფენომენის და მისი შედეგების გამოსწორების, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხედვას.

აღდგენითი მართლმსაჯულება ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა რეპარაცია, პატივისცემა, ნებაყოფლობითობა, ინკლუზიურობა, გაძლიერება, უსაფრთხოება, ანგარიშვალდებულება და გარდაქმნა.

„აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს შეუძლია:

- თავი აარიდოს სამართალდამრღვევის დამატებით სტიგმატიზებას და ხელი შეუწყოს მათ ეფექტიან რეინტეგრაციას საზოგადოებაში;
- გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობა და ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი;

- გააძლიეროს საზოგადოების ჩართულობა;
- ხელი შეუწყოს უფრო ეფექტიანი ინიციატივების დანერგვას დანაშაულის პრევენციის მიზნით;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისათვის ხარჯებისა და დროის დაზოგვა;
- უფრო სრულყოფილად და დროულად უზრუნველყოს დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის წვდომა მართლმსაჯულებაზე;
- გააძლიეროს დაზარალებული; შესაძლებლობა მისცეს, მოუსმინონ მას, და ასევე მისცეს საშუალება დაზარალებულს, გაუგოს დამნაშავეს;
- პასუხები გასცეს დაზარალებულსა და საზოგადოებას, დააკმაყოფილოს მათი უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია და იცოდნენ სიმართლე;
- მისცეს დაზარალებულებს ზიანის მატერიალურად და სიმბოლურად ანაზღაურების შესაძლებლობა;
- ხელი შეუწყოს დაზარალებულის გამოსვლას სტრესული მდგომარეობიდან და შეუმსუბუქოს მას დანაშაულის ემოციური და, ზოგჯერ, ტრავმული გავლენა;
- შეამციროს განმეორებითი დანაშაულის სიხშირე და სიმძიმე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აღდგენითი მართლმსაჯულება რეაბილიტაციის უფრო ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილია“ (UNODC, 2020).

ამ თავში მკითხველი გაეცნობა აღდგენითი მართლმსაჯულების, ზოგადად, როგორც დანაშაულის ხედვის, ახლებურ, განსხვავებულ მიდგომას, მის კავშირს ტრადიციულ მართლმსაჯულების სისტემასთან. ყურადღება გამახვილდება აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიულ საწყისებზე, ღირებულებებსა და პრინციპებზე, რასაც იგი ეფუძნება. მიმოხილულ იქნება აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები და მოდელები ევროპის ქვეყნებში. განხილულ იქნება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით ქართული გამოცდილება და მოხდება თავში აღწერილი ინფორმაციის შეჯამება.

## 2. აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ისტორია

ზოგადად, დანაშაული და ანტისაზოგადოებრივი ქცევა არ არის ახალი ფენომენი, იგი ადამიანის გაჩენისთანავე დაიწყო და კაცობრიობის განვითარების მუდმივად თანამდევი და ყველა დროის კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ისტორიულად, დანაშაულზე რეაგირება თითოეული საზოგადოებისთვის, სოციუმისთვის განსხვავებული იყო და დროში საზოგადოებასთან ერთად იცვლებოდა. ზოგადად, დანაშაულის აღქმაც და მასზე პასუხიც ყოველი ეპოქისა და ქვეყნებისათვის განსხვავებული იყო. მათ შორის, განსხვავდებოდა სასჯელის ფორმებიც (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019).

შუა საუკუნეების პერიოდამდე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე რეაგირება, უმეტესწილად, კომპენსაციასა და რესტიტუციას მოიცავდა. ამასთან, ხშირად ვხვდებით შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის თუ სხვა რიტუალებსაც. თუმცა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად, უფრო მეტად გაძლიერდა რესტიტუციის პრაქტიკა და მას თან დაერთო ძალაუფლების მქონე სუბიექტების მხრიდან დაზარალებულის ნაცვლად პასუხისმგებლობის დამნაშავისათვის დაკისრების სისტემაც, რაც გამოიხატებოდა თემისა თუ სოციუმის სხვადასხვა

ლიდერისათვის, მაგალითად, ბატონის, ფეოდალის, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ლორდის, მეფისა თუ თემის სხვა ლიდერისათვის გარკვეული თანხის გადახდაში. ეს მექანიზმი დროთა მანძილზე უფრო განვითარდა, რაც, ძირითადად, განპირობებული იყო ამ მექანიზმის სარგებლიანობით როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების თვალსაზრისით. პარალელურად, კვლავ აქტიურად გამოიყენებოდა რესტიტუციისა და კომპენსაციის მექანიზმებიც დაზარალებულის სასარგებლოდ (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019). ამ მხრივ, არც საქართველო იყო გამონაკლისი. მაგალითისათვის, ბექა აღბუღას სამართლის წიგნი მოიაზრებს კომპენსაციის ისეთ სახეს, როგორიც არის „სისხლი“. „სისხლი“ თავის თავში გულისხმობს კომპენსაციის გარკვეულ ოდენობას, რომელიც განსხვავდება დანაშაულის სახის მიხედვით. მაგალითად, ბექა აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ოჯახზე თავდასხმისათვის, რომელსაც შედეგად ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, დამნაშავეს დაზარალებულისათვის უნდა გადაეხადა „სისხლის ნახევარი“. სხვა სამართლის ძეგლებშიც არაერთგან ვხვდებით სხვადასხვა ტიპის კომპენსაციის მექანიზმებს.

ისტორიულად, სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბებასთან, გაძლიერებასა და განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდა, განმტკიცდა სასჯელების სისტემა და დანაშაულზე რეაგირების უფლებამოსილება სრულად სახელმწიფოს აპარატმა აიღო. ამ მექანიზმს ქვეყნების უმეტესობაში თან ახლდა დაზარალებულის ინტერესის შედარებით ნაკლებად გათვალისწინება, უგულებელყოფა, და ზოგან დაზარალებულისათვის საკუთარი ინტერესების დაკმაყოფლებისა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმი ცალკე სამოქალაქო სამართალწამოებაში გადავიდა. სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია  დაზარალებულის ინტერესების დაცვა-დაკმაყოფილების მექანიზმების კიდევ უფრო შესუსტება და მეტი ბიუროკრატიული მექანიზმებისა და წინაღობების გაჩენა ამ პროცესში. კომპენსაცია გახდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პარალელური, დამატებით პროცესი (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019).

მართლმსაჯულების სისტემის განვითარების ასეთმა ფორმამ გამოიწვია დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების სახელმწიფოს მმართველობის ხელში გადასვლა და დანაშაულის ჩამდენი და დაზარალებული პირის, ასევე დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების პროცესებს მიღმა დარჩენა. შესაბამისად, მხარეებს აღარ ჰქონდათ და აღარ აქვთ ძალაუფლება, რომლის ფარგლებშიც თავად შეეძლოთ მათთან დაკავშირებული დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანისა თუ სხვა პრობლემების მათივე ინტერესების შესაბამისად მოგვარება.

სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგია ის, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მართლმსაჯულების სისტემების, კერძოდ კი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის თანამშრომლებმა დაიწყეს ფიქრი და დისკუსია, თუ როგორ შეიძლებოდა მართლმსაჯულებას თავისი მიზნები და ფუნქციები უკეთესად განეხორციელებინა და ამ პროცესში ჩართული ყოფილიყო დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი ყველა ადამიანი. ამის გამოძახილი იყო 70-იან წლებში კანადაში და 80-იან წლებში უკვე ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ნორვეგია, ავსტრია, ფინეთი, საფრანგეთი და გერმანია, აღდგენითი მართლმსაჯულების პირველი პროგრამების გამოჩენა, რომელიც ნელ-ნელა და ეტაპობრივად უფრო განვითარდა 90-იან და 2000-იან წლებში და მოიცვა ევროპის სხვა ქვეყნებიც. 1999 წელს კი ევროპის საბჭომ უკვე ოფიციალური რეკომენდაციაც გამოსცა აღდგენითი მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის მედიაციის

შესახებ (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019). შედეგად, აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც კონცეფცია, ხედვა და ცნება, თანდათან უფრო დამკვიდრდა ევროპაში და კიდევ უფრო მეტი ევროპის ქვეყანა მოიცვა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველო იყო და, ევროპის მსგავსად, საქართველოშიც აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვა დომინანტი პროგრამით - მედიაციით დაიწყო. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, განრიდების პროგრამის გარგლებში გაჩნდა აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი კომპონენტი, როგორიც არის მედიაცია. იგი 2010 წლიდან მოქმედებს საქართველოში და გაიარა ძალიან საინტერესო განვითარების გზა, რაზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

### 3. აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც დანაშაულის აღქმა

აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც კონცეფცია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის დანაშაულის განსხვავებული ხედვა და აღქმა. ეს კონცეფცია ასევე გვთავაზობს დანაშაულზე რეაგირების კონკრეტულ გზებს, რომლებიც ადამიანის ძირითად უფლებებსა და მაღალ მორალურ ღირებულებებს ეფუძნება. ამერიკელი პროფესორი ჰოვარდ ზერი, რომელიც სპეციალისტთა წრეებში აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფუძემდებლადაც მოიაზრება, თავის ნაშრომში „ლინზების ცვლილება“ (2002) შესანიშნავ პარალელს ავლებს ფოტოგრაფიასთან და დანაშაულის აღქმას, ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების შემთხვევაში, ადარებს სწორედ ფოტოკამერის ლინზების შეცვლას. ეს მიდგომა სხვადასხვაგვარად წარმოაჩენს კომპოზიციას და მნიშვნელოვნად ცვლის კადრის აღქმას. თუ ამ მიდგომას კიდევ უფრო გავშლით, ტრადიციული კონვენციური მართლმსაჯულება სწორედ დანაშაულის ვიწრო ხედვაა, ხოლო აღდგენითი მართლმსაჯულების გზით ჩვენ შეგვიძლია დანაშაული დავინახოთ უფრო ფართოდ და განსხვავებული რაკურსით.

აღდგენითი მართლმსაჯულების ძალზე საინტერესო განმარტებას გვთავაზობს არაერთი ავტორი თავის სამეცნიერო ნაშრომში. მათ შორის, საინტერესოა მარშალის (1999) განმარტება, რომლის მიხედვითაც „აღდგენითი მართლმსაჯულება არის დანაშაულისადმი პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს მხარეთა და საზოგადოების ჩართულობას ინსტიტუციურ ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობით. ეს არ არის კონკრეტული პრაქტიკა, არამედ – პრინციპთა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს ნებისმიერი მონაწილისა თუ ჯგუფის მოქმედება“. ეს განმარტება საინტერესოა თავისი შინაარსით, რადგანაც აქცენტს აკეთებს დანაშაულზე, როგორც ინდივიდთა და საზოგადოების საერთო პრობლემაზე, და ხაზს უსვამს მის გადაჭრაში მრავალმხრივ ჩართულობასა და თანამშრომლობის აუცილებლობას. იგი აღდგენით მართლმსაჯულებას უფრო მეტად აღიქვამს, როგორც პრინციპთა ერთობლიობას, და არა როგორც რომელიმე პროგრამას. ამ განმარტების თანახმად, სწორედ ამ პრინციპებით წარმართული ნებისმიერი პროგრამა თუ პრაქტიკა შეიძლება ჩაითვალოს აღდგენით მართლმსაჯულებად.

ბეიზმორი და ვოლრეივი თავიანთ ნაშრომში (1999) გვთავაზობენ განსხვავებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, „აღდგენითი მართლმსაჯულება“ არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია მართლმსაჯულების განხორციელებასა და დანაშაულით გამოწვეული ზიანის აღდგენაზე“. ამ განმარტების თანახმად,

აღდგენითი მართლმსაჯულება უნდა მივიჩნიოთ, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი გზა და, ამავდროულად, აქცენტი გავაკეთოთ ზიანის აღდგენაზეც. ამ განმარტებას თუ მივყვებით, შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულება ტრადიციულ მართლმსაჯულებასთან ერთად პარალელურად იქნეს გამოყენებული და იგი ხელს არ უშლის ტრადიციული მართლმსაჯულების მიზნებს, პირიქით, ხელს უწყობს მათ მიღწევას.

განმარტებათა შორის, ყველაზე უფრო საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს გაეროს განმარტება, რომლის მიხედვითაც, „აღდგენითი პროცესი გულისხმობს ნებისმიერ პროცესს, რომელშიც დაზარალებული და სამართალდამრღვევი და, შესაბამისობის მიხედვით, სხვა ნებისმიერი პირი ან თემის წევრი, რომელსაც შეეხო დანაშაული, ერთად მონაწილეობენ დანაშაულით გამოწვეული საკითხების მოგვარებაში, ზოგადად, როგორც წესი, ფასილიტატორის დახმარებით. აღდგენითი პროცესები შესაძლოა მოიცავდეს მედიაციას, მორიგებას, კონფერენციასა და სასჯელის მისჯის წრეებს“. ამ განმარტებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმას, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება - ეს არის აუცილებელი პროცესი, და არა მხოლოდ ერთჯერადი აქტი, და ამ პროცესში აუცილებელია, რომ ჩართული იყოს დანაშაულთან დაკავშირებული ორივე მხარე, როგორც სამართალდამრღვევი, ასევე დაზარალებული; ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამისი წინაპირობები და რესურსები, პროცესში ასევე შეიძლება ჩაერთოს სხვა ნებისმიერი პირი, რომელსაც შეეხო დანაშაული. მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმისა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესი აუცილებლად წარიმართება მესამე, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მხარის, ფასილიტატორის მიერ. მედიაციის პროცესში მას მედიატორი ეწოდება, ხოლო სხვა პროცესებში - ფასილიტატორი. ეს განმარტება ასევე ამახვილებს ყურადღებას აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვის პრაქტიკაში დანერგვის საშუალებებზე - პროგრამებზე, და გამოყოფს სამ ძირითად ჯგუფს, როგორიცაა მედიაცია-მორიგება, კონფერენციებისა და წრეების მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება იმდენად ფართო ხედვაა, რომ მითითებული ჯგუფები საილუსტრაციოა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესები ხშირად არღვევს ამ ჩამონათვალის წრეს. ამდენად, პრაქტიკაში ვხვდებით ამ პროგრამების გაერთიანებულ ან მათგან სრულიად განსხვავებულ მეთოდებს თუ პროგრამებს.

## 4. აღდგენითი მართლმსაჯულების კავშირი კონვენციური მართლმსაჯულების სისტემასთან

იმისათვის, რომ წინა თავში განხილული აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვა კიდევ უფრო ნათელი გავხადოთ, საჩვენებლად მოგვყავს ჰოვარდ ზერის ნაშრომიდან (2002) ორი ცხრილი, რომლებიც სისხლის სამართლის ტრადიციული მართლმსაჯულების ხედვებსა და აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვებს შორის არსებული განსხვავებების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს, თუმცაღა მკითხველმა არ უნდა ჩათვალოს, რომ ეს ორი მიდგომა და ხედვა ერთმანეთის საპირისპიროა და გამორიცხავს ერთმანეთს; მეტიც, ამ ორი მიდგომის თანაარსებობა ხშირად ბევრად უკეთესი შედეგის მომტანია, ვიდრე ცალ-ცალკე რომელიმე მათგანისა.

სამი განსხვავებული კითხვა:

| სისხლის სამართლის მართლმსაჯულება | აღდგენითი მართლმსაჯულება |
|---|---|
| • რა კანონები დაირღვა? | • ვინ დაზარალდა? |
| • ვინ ჩაიდინა ეს? | • რა საჭიროებები აქვთ? |
| • რას იმსახურებენ ისინი? | • ვისი ვალდებულებებია ეს? |

ამ ცხრილის მიხედვით, ნათლად შეგვიძლია გამოვყოთ ტრადიციული მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მთავარი ინტერესები. მაშინ, როდესაც ტრადიციული მართლმსაჯულების მთავარ ინტერესს წარმოადგენს გაარკვიოს, თუ კანონმდებლობის რომელი ნორმა დაირღვა, შემდეგ გამოავლინოს ქმედების ჩამდენი პირი და, საბოლოო ეტაპზე, გაარკვიოს ის, თუ რას იმსახურებს იგი და განუსაზღვროს შესაბამისი სასჯელი, ამის საპირწონედ, აღდგენითი მართლმსაჯულება, უპირველესად, ორიენტირებულია გამოავლინოს, ვინ დაზარალდა, პირველ რიგში. აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დანაშაულის შედეგად ზიანი ადგება არა მხოლოდ დაზარალებულს, არამედ მასთან ერთად ზარალდება სამართალდამრღვევიც და, უმეტეს შემთხვევებში, საზოგადოებაც. იმისთვის, რომ დამდგარი ზიანი გამოსწორდეს, აუცილებელია გაირკვეს საჭიროებები, რომლებიც წარმოიშობა ზიანის შემდეგ. ამ შემთხვევაში, საჭიროებები არა მხოლოდ დაზარალებულს, არამედ სამართალდამრღვევს და საზოგადოებასაც აქვთ. საბოლოო ეტაპზე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისაგან განსხვავებით, ამ საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება ვალდებულებების დაკისრებით, რომლებიც პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შეიძლება დაეკისროს.

ორი განსხვავებული შეხედულება:

| სისხლის სამართლის მართლმსაჯულება | აღდგენითი მართლმსაჯულება |
|---|---|
| • დანაშული კანონის დარღვევა და სახელმწიფოს ინტერესების შელახვაა; | • დანაშაული აზარალებს ადამიანებს და ურთიერთობებს; |
| • დარღვევა წარმოშობს ბრალს; | • დარღვევები წარმოშობს ვალდებულებებს; |
| • მართლმსაჯულება მოითხოვს სახელმწიფოსგან ბრალეულობის დადგენას (ბრალი) და სასჯელის დაკისრებას (სამაგიეროს მიზღვა); | • მართლმსაჯულება ყველაფრის თავის ადგილზე დაბრუნების მცდელობაში რთავს დაზარალებულებს, სამართალდამრღვევებსა და საზოგადოების წევრებს; |
| • ცენტრალური ფოკუსი: დამნაშავეები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. | • ცენტრალური ფოკუსი: დაზარალებულის საჭიროებები და სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობა. |

ჰოვარდ ზერი მეორე ცხრილში კიდევ უფრო საინტერესოდ და ნათლად წარმოაჩენს განსხვავებებს ტრადიციული მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვებს შორის. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

შემთხვევაში, თუ დანაშაულს აღვიქვამთ, როგორც კანონის კონკრეტული ნორმის დარღვევას და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ინტერესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, აღდგენითი მართლმსაჯულება დანაშაულს ხედავს, როგორც დაზარლებულის ინტერესების და ადამიანებს შორის ურთიერთობის დარღვევას. თუ ტრადიციულ მართლმსაჯულებაში დარღვევა წარმოშობს ბრალეულობას, აღდგენით მართლმსაჯულებაში დარღვევა წარმოშობს ვალდებულებებს. მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების სისტემაში ბრალეულობის განსაზღვრის შემდეგ ხდება სასჯელის დაკისრება, ანუ სამაგიეროს მიზღვა, აღდგენით მართლმსაჯულებაში მთავარი მიზანი არის მხარეთა საჭიროებების გამოვლენა, მათი დაკმაყოფილების გზების განსაზღვრა და ამ მეთოდით ყველაფრის თავის ადგილზე დაბრუნების მცდელობა იმ შემთხვევებში, სადაც ეს შესაძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტრადიციული მართლმსაჯულება ოფიციალურად აღარ აღიარებს სამაგიეროს მიზღვას, როგორც სასჯელის მიზანს, და იგი ჩაანაცვლა სამართლიანობის აღდგენის მიზანმა, საზოგადოებათა უმეტესობაში სასჯელის მიზნად მაინც სამაგიეროს მიზღვა აღიქმება. ამის საპირწონედ, აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის მთავარი ფოკუსი მსხვერპლის, და არა მხოლოდ მსხვერპლის, საჭიროებების და სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის სწორი და შედეგზე ორიენტირებული განსაზღვარაა.

### 5. აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპები და ღირებულებები

აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც ხედვა, ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს, რომელთაც ზერი (2002) საინტერესო ილუსტრაციის სახით გვთავაზობს:



ამ ილუსტრაციის საფუძველზე შეგვიძლია განვმარტოთ, თუ რა პრინციპების საშუალებით შეიძლება აღდგენითი მართლმსაჯულების გზის სწორად გავლა. სწორედ ამ პრინციპებზე დაფუძნებული ხიდის საშუალებითაა შესაძლებელი აღდგეს დაზიანებული ურთიერთობები და გამთელდეს მხარეებს შორის ჩატეხილი ხიდი. აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სწორად შეფასებული ზიანისა და ამ ზიანის შედეგად გამოწვეული საჭიროებების იდენტიფიცირების თუ გათვალისწინების გარეშე. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის, სამართალდარღვევის შედეგად, ზიანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოიშობა არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ სამართალდამრღვევისა თუ საზოგადოებისთვისაც. როდესაც ზიანს ვახსენებთ, იგი არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ და ფინანსურად გამოხატულ ზიანს, არამედ ის მორალურ ზიანსაც მოიცავს. ცალკეულ შემთხვევებში, მორალური ზიანის მნიშვნელობა მხარეებისათვის გადაწონის მატერიალურად გამოხატულ ზარალს. სწორედ ზიანისა და საჭიროებების გამოსასწორებლად და დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ვალდებულებების წარმოშობა. ხშირ შემთხვევაში, ვალდებულებები აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის შედეგად სამართალდამრღვევთან ერთად ეკისრება თემს, საზოგადოებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულსაც კი. ამ პროცესების გავლა შეუძლებელია მხარეთა ნებაყოფლობითი და მოტივირებული ჩართულობის გარეშე. ჩართულობა იგულისხმება უფრო ფართო გაგებით, ვიდრე ეს მხოლოდ მონაწილეობა ან პროცესზე დასწრებაა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გაეროს განმარტებით, აღდგენითი მართლმსაჯულება აუცილებლად მოიცავს პროცესს, რომელიც განგრძობადია დროში. სწორედ ამ პროცესში აუცილებელია მხარეთა გულწრფელი, მოტივირებული ჩართულობა და საბოლოო მიზნისკენ მათი ერთიანი სწრაფვა.

იმისათვის, რომ ესა თუ ის პროგრამა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესად ჩაითვალოს, აუცილებელი და სავალდებულოა ის ეფუძნებოდეს შემდეგ ღირებულებებს და მათ გარეშე შეუძლებელია ესა თუ ის პროცესი აღდგენით პროცესად მივიჩნიოთ. ესენია:



სწორედ ეს ღირებულებები ქმნიან აღდგენითი მართლმსაჯულების ქვაკუთხედს. თუ ამ პროცესში სახეზე არ გვაქვს სამართლიანობის, სოლიდარობის, ადამიანის ღირსების პატივისცემით, სიმართლისა და პასუხისმგებლობის კომპონენტები, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს არა აღდგენით, არამედ ფსევდოპროგრამასთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის უწყებებსა თუ ორგანიზაციებში არასწორად ესმით აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და ღირებულებები. აქედან გამომდინარე, მაღალია რისკი, არაკვალიფიციური ან არაკეთილსინდისიერი სპეციალისტის მიერ, ერთი შეხედვით, სწორად მომზადდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა, რომელიც, საბოლოო ჯამში, დადებითი ეფექტის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტ ზიანს მოუტანს როგორც დაზარალებულს, ასევე დამზარალებელს და საზოგადოებასაც. თუ მოცემული სახელმძღვანელოს წაკითხვის შემდეგ რომელიმე სპეციალისტს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის პრაქტიკაში განხორციელების სურვილი გაუჩნდება, მან აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებთან და უეჭველად სრულად უნდა გაითვალისწინოს ზემოთქმული პრინციპები და ღირებულებები, რადგან მათ გარეშე, როგორც უკვე ხაზგასმით აღინიშნა, მაღალია ალბათობა, რომ მიყენებული ზიანი აღემატებოდეს შესაძლო სარგებელს, რისი შემთხვევებიც საქართველოში არაერთხელ ყოფილა.

## 6. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები და მოდელები ევროპის ქვეყნებში

აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც ხედვა, პრაქტიკაში სხვადასხვა მოდელით შეიძლება დაინერგოს. როგორც უკვე აღინიშნა, გამოიყოფა პროგრამების სამი ძირითადი ჯგუფი: სისხლის სამართლის მედიაცია, კონფერენციები და წრეები. ზოგჯერ შეიძლება ეს პროგრამები ერთმანეთთან შერეული ან სრულიად განსხვავებული ფორმითაც შეგვხვდეს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### 6.1. მედიაცია სისხლის სამართალში

მედიაცია აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემაში წარმოადგენს ყველაზე უფრო გავრცელებულ და გამოყენებად პროგრამათა ჯგუფს. იგი, შეიძლება ითქვას, კარგად დავიწყებული ძველის განახლებული ვერსიაა და დამატებული აქვს სწორედ ის ღირებულებითი და ადამიანის უფლებების კომპონენტები, რომლებიც წინა ქვეთავებში უკვე იქნა განხილული.

სწორედ კარგად დავიწყებული ძველის განახლების პროცესი, როგორც მიჩნეულია, დაიწყო კიჩნერიდან (კანადა), სადაც ახალგაზრდებთან მომუშავე პრობაციის ოფიცერმა, 70-იან წლებში, სწორედ მის კოლეგებთან და კრიმინოლოგებთან დისკუსიის შემდეგ დაარწმუნა მოსამართლე, რომ ორი არასრულწლოვნისთვის, რომლებმაც ვანდალიზმი ჩაიდინეს, აუცილებელი იყო დაზარალებულებთან შეხვედრა. ამ შეხვედრის შედეგად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება და პრობაციის პირობად არასრულწლოვნებს ზიანის ანაზღაურება განუსაზღვრა. სწორედ ეს შემთხვევა მიიჩნევა სისხლის სამართლის მედიაციის პირველ წარმატებულ საქმედ და, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველად მედიაცია სწორედ პრობაციის სისტემაზე დაეფუძნა და ინსპირირებული იყო სწორედ პრობაციის ოფიცრის სწორი და მნიშვნელოვანი აღქმით, რომ დამნაშავესა და დაზარალებულს აუცილებლად სჭირდებათ

კომუნიკაცია, შეხვედრა და ეს დაეხმარება არა მხოლოდ რომელიმე ერთ მხარეს, არამედ დანაშაულთან შემხებლობაში მყოფ ყველა პირს ("შესავალი აღდგენით მართლმსაჯულებაში", 2021).

დამნაშავე-დაზარალებულის მედიაცია მოგება-მოგების მიდგომას ეფუძნება, რაც გულისხმობს იმას, რომ მედიაციის პროცესში და მის შედეგად მთავარი ამოსავალი წერტილი ორივე მხარის ინტერესები და საჭიროებებია და, საბოლოო ჯამში, ყველა მხარე იღებს თავისი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას, განსხვავებით სასამართლო, არბიტრაჟის თუ სხვა პროცესებისგან, სადაც ან მოგება-წაგების, ანდა წაგება-წაგების, ე.წ. კომპრომისის, მიდგომებია აქტუალური. მედიაციის მიზანია მხარეებს შორის შექმნილი უთანხმოება, ხშირ შემთხვევაში - კონფლიქტი, იმგვარად მოაგვაროს, რომ ყველა მხარემ მიიღოს ის, რაც მას სჭირდება, და დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესები. ამისათვის კი აუცილებელია, მხარეებმა მიაღწიონ ურთიერთგაგებას, რაც დარღვეული კომუნიკაციის აღდგენის გზითა და დიალოგის ხელშეწყობით მიიღწევა. ამავე პროცესში თავად მხარეები თვითონ ზრუნავენ იმაზე, რომ მოიძიონ უთანხმოებისა თუ არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და, საბოლოო ჯამში, ნეიტრალური მესამე მხარის დახმარებით მიდიან საერთო, ყველა მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე.

სწორედ მსგავსი ტიპის განმარტებას გვთავაზობს გაერო, კერძოდ, მედიაცია არის „ნებისმიერი პროცესი, რომლის შედეგადაც დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დანაშაულის შედეგად წარმოშობილი საკითხების მოგვარებაში მესამე, მიუკერძოებელი მხარის დახმარებით (მედიატორი)".

უმნიშვნელოვანესია, რომ მედიაცია ეფუძნებოდეს მხარეთა ნებაყოფლობით და მოტივირებულ გადაწყვეტილებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაში შეიძლება მედიატორიც ჩაერთოს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ორივე მხარე აუცილებლად გაცნობიერებულად და საკუთარი სურვილით უნდა მივიდეს მედიაციის პროცესში ჩართვის გადაწყვეტილებამდე, მედიატორი კი, თავის მხრივ, მხოლოდ ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციის აღდგენას და საერთო გამოსავლამდე მისვლას. იგი არავითარ შემთხვევაში არ ერევა მხარეთა ნებაში, არ სთავაზობს მათ რაიმე გამოსავალს და არ იღებს რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას. მედიატორმა თუ ეს როლი და ფუნქცია დაკარგა, მაშინ პროცესი უკვე არბიტრაჟის სახეს მიიღებს და შეუძლებელი იქნება აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნების მიღწევა თუ აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებისა და პრინციპების დაცვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მედიაციის პროცესი სრულად კონფიდენციალურია და დაუშვებელია, მხარეთა ნებართვის გარეშე, მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გამჟღავნება.

ზოგადად, მედიაცია და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებზე დაფუძნებული მედიაციის ან მსგავსი პროცესები გამოიყენება არა მხოლოდ სისხლის სამართალში, არამედ, ზოგადად, იმ კონფლიქტების გადაჭრის მეთოდად, სადაც სახეზე გვყავს ერთი მხარე, რომელმაც ზიანი მიაყენა და დააზარალა მეორე მხარე. მედიაციის პროცესი ყოველთვის იწყება მოსამზადებელი ეტაპით, როდესაც ხდება ამა თუ იმ უწყებასა თუ ორგანიზაციაში შემთხვევის გადამისამართება ანდა ინიცირება. ამ ეტაპზე მედიატორის თუ ფასილიტატორის მთავარი ფუნქცია და მიზანია შეისწავლოს შემთხვევა, მიიღოს საკმარისი ინფორმაცია და დაგეგმოს შემდგომი პროცესები. მოსამზადებელ ეტაპს ყოველთვის მოსდევს

წინასაკონფერენციო ეტაპი, რომლის დროსაც მედიატორი კომუნიკაციას ამყარებს მხარეებთან და პირველწყაროსაგან იღებს აუცილებელ ინფორმაციას შემთხვევისა და კონფლიქტის შესახებ. ამ ეტაპს მედიატორი, ძირითადად, იწყებს შემთხვევის ინიციატორ მხარესთან შეხვედრით და შემდგომ აგრძელებს კონფლიქტის მეორე მხარესთან კომუნიკაციით. პროცესი, საჭიროებისდა მიხედვით, წარიმართება სხვადასხვაგვარად. შესაძლებელია ეს იყოს სატელეფონო, დისტანციური თუ პირისპირ შეხვედრა. ამ ეტაპზე მთავარია მედიატორმა ორივე მხარეს სწორად და ნათლად აუხსნას სისხლის სამართლის მედიაციის პროცესის არსი, მათ მიერ გასავლელი პროცედურები, რა შედეგსა და სარგებელს შეიძლება ელოდნენ ისინი, და სწორედ ამის საფუძველზე მიიღოს საბოლოო ინფორმირებული თანხმობა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. ამის შემდეგ იწყება პრეკონფერენციის პროცესის ყველაზე უფრო რთული, საინტერესო და კომპლექსური ეტაპი, რომლის დროსაც მედიატორი ინდივიდუალურად ხვდება ორივე მხარეს და ამზადებს მხარეებს საბოლოო მედიაციის შეხვედრისათვის. მედიაციის შეხვედრა კი წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს, სადაც დანაშაულის მონაწილე და მასთან შემხებლობაში მყოფ ადამიანებს საშუალება აქვთ ისაუბრონ საკუთარ ისტორიაზე, იმაზე, თუ რა, როგორ და რატომ მოხდა, რა გავლენა მოახდინა ამა თუ იმ შემთხვევამ მათზე, მათ გარშემო მყოფ ადამიანებზე. შემდგომ განიხილავენ შესაძლო შეთანხმების გზებს და, საბოლოო ჯამში, აღწევენ კონსენსუსს, ორივე მხარისათვის მისაღები ფორმით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა თუ დამდგარი ზიანის გამოსწორების გზების თაობაზე.

კლასიკური მედიაციის პროცესი მოიაზრებს დანაშაულში მონაწილე მხოლოდ ორი მხარის ჩართულობას ამ პროცესში. ესენია სამართალდამრღვევი და დაზარალებული მხარეები.

საქართველოში მედიაციას დიდი ისტორიული ფესვები აქვს, თუმცა საქართველოს მთიან რეგიონებში გასულ საუკუნეებში არსებული მედიაციის ინსტიტუტები დღევანდელი ხედვისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა და მასში დაკარგული იყო სწორედ ადამიანის უფლებების, პატივისცემისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ღირებულებების კომპონენტი. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სისხლის სამართლის მედიაციამ დიდი და მნიშვნელოვანი გზა გაიარა ჩვენს ქვეყანაში, რაზედაც უფრო ფართოდ მოგვიანებით იქნება საუბარი.

### 6.2. კონფერენციების მეთოდი სისხლის სამართალში

აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მოდელების ჯგუფი კონფერენციის მეთოდადაც მოიხსენიება, რომელმაც სათავე ახალ ზელანდიაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში აიღო 1980-იან წლებში (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019). ამ შემთხვევაში, პროცესს მედიატორის ნაცვლად უკვე ფასილიტატორი ან კოორდინატორი წარმართავს, რომელიც ამზადებს მონაწილე მხარეებს და პროცესში რთავს სხვა დამატებით პირებს, ვინც ითვლება, რომ დანაშაულთან შემხებლობაში არიან. ეს პროცესი ჰგავს მედიაციას, თუმცაღა განსხვავდება მასში ჩართული პირების და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსახილველი საკითხების ნუსხითაც. კონფერენციების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილე ადამიანები მხარეებისთვის იყვნენ სანდო და პატივსაცემი. მიჩნეულია, რომ კონფერენციების ამ ხედვისგან იქნა ინსპირირებული და შემდეგ ფართოდ დამკვიდრდა სოციალური მუშაობის ფარგლებში საოჯახო, სასკოლო თუ სამეზობლო კონფერენციების პროგრამები. ამ

შემთხვევაში, პროცესში დაზარალებული არ მონაწილეობს, თუმცა მსვლელობა ძალიან ჰგავს სწორედ აღდგენითი მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის კონფერენციების მსვლელობას. აქ მთავარი ფოკუსი რთული ქცევის, კონფლიქტური სიტუაციებისა თუ სხვა გამოწვევების გამკლავებაა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მხარდამჭერი წრის და მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადამიანების ჩართულობით.

### 6.3. წრეების მეთოდი სისხლის სამართალში

მესამე მოდელს წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების წრეები, რომელიც ევროპის ქვეყნებში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, თუმცა იგი პოპულარულია ამერიკის კონტინენტზე. წრეები, კონფერენციების მსგავსად, ფასილიტატორის მიერ წარიმართება და მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ წრის პროცესი არა მხოლოდ კონკრეტული დანაშაულისა და ინციდენტის შესახებ საუბარზეა ორიენტირებული, არამედ მიზნად ისახავს, წრეში მონაწილე პირებსა და, ზოგადად, ჯგუფის წევრებს ჩამოუყალიბდეთ საერთო ღირებულებები. ამ შემთხვევაში, მთავარი აქცენტი არა მხოლოდ კონკრეტული ინციდენტის განხილვასა და მისი, როგორც მხარეების პრობლემის, წარმოჩენაზეა დასმული, არამედ მეთოდი მთლიანად თემთან დაკავშირებულ გამოწვევებზეა ორიენტირებული. წრეების შემთხვევაში, ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი მასში მონაწილე პირების სიმრავლეა. ხშირად წრეებში, გარდა მხარეებისა და ინციდენტთან შემხებლობაში მყოფი პირებისა, მონაწილეობას იღებენ სათემო ორგანიზაციების, ადგილობრივი პოლიციის, სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების, რელიგიური ორგანიზაციებისა თუ სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. ეს მეთოდიც არა მხოლოდ სისხლის სამართალში, არამედ სასკოლო, სამეზობლო თუ სამსახურებრივ პროცესებშიც გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ წრეების მეთოდის დამახასითებელი ნიშანი სიმბოლური, განსაკუთრებული ნივთის არსებობაა. კერძოდ, წრეების მეთოდის გამოყენებისას, მონაწილე პირთაგან მხოლოდ ის პირი საუბრობს, რომელსაც ხელში უჭირავს აღნიშნული, განსაკუთრებული ე.წ. სასაუბრო ნივთი (ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., 2019).

### 6.4. საქართველოს გამოცდილება აღდგენით მართლმსაჯულებაში

საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის განვითარების ისტორია 2010 წლიდან არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოქმედებით დაიწყო. კერძოდ, სისხლის სამართლის მედიაცია ინტეგრირდა არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამებში. ეს მექანიზმი თავდაპირველად მხოლოდ საპილოტე რეჟიმში მოქმედებდა ერთეულ ქალაქებში, ხოლო შემდეგ ეტაპობრივად გავრცელდა მთელი საქართველოს მასშტაბით და სრულად 2013 წლის აგვისტოში ამოქმედდა. 2014 წელს დაიწყო პროგრამის განვითარების ახალი ეტაპი. კერძოდ, გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა, განრიდება კიდევ უფრო დაუახლოვდა აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს, უფრო ზუსტად კი, გაიზარდა მედიატორისა და მედიაციის როლი, შეიცვალა მედიაციის ინიცირების მექანიზმი, დაიხვეწა და გაუმჯობესდა, მთლიანობაში, პროგრამების პროცედურები და სამუშაო დოკუმენტაცია. სწორედ 2014 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, არასრულწლოვანთა განრიდების ყველა იმ საქმეში, სადაც სახეზეა დაზარალებული, სავალდებულოა მედიაციის პროცესის ინიცირება და

მედიატორის ჩართვა. ამ ცვლილებამ კი წარმატებული მედიაციის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. თუ რეფორმამდე ეს მაჩვენებელი 15-20%-ის ფარგლებში მერყეობდა, რეფორმის შედეგად ამ მაჩვენებელმა თითქმის 50%-მდე მიაღწია. ამავდროულად, გაიზარდა წარმატებული მედიაციის საერთო შეხვედრების რაოდენობაც. გაუმჯობესების მეორე ეტაპი დაიწყო 2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შედეგად. სწორედ ამ საკანონმდებლო აქტმა აღდგენითი მართლმსაჯულება გამოაცხადა პრიორიტეტულ მიდგომად არასრულწლოვნების შემთხვევაში, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა აღდგენით პროცესებში ჩართული არასრულწლოვნების რაოდენობა (განრიდების პროგრამების ვებგვერდი, 2021). 2018 წელს, სწორედ ამ წარმატებული რეფორმის შედეგად, გადაწყდა, სისხლის სამართლის მედიაცია გასცდენოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებს და უკვე ზრდასრულთათვისაც დანერგილიყო, როგორც სასჯელის თანამდევი და პარალელური პროცესი. 2018 წლის ბოლოდან იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრში ამოქმედდა სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე პროგრამა მსჯავრდებული და ყოფილი მსჯავრდებული პირებისათვის, 2019 წლის ზაფხულში კი უკვე პირველი წარმატებული მედიაცია შედგა. ხოლო 2021 წლიდან მედიაცია უვადო მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების სპეციალურ პროგრამაშიც ინტეგრირდა, რომლის ფარგლებშიც, დღეისათვის უკვე სავალდებულოა ამ პროგრამაში ჩართული თითოეული მსჯავრდებულის საქმეში მედიაციის პროცესის ინიცირება. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, ამასთან ერთად, ითავა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესისათვის საფუძვლის ჩაყრა, როგორიც არის დაზარალებულის ჩართვა მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესებში. კერძოდ, ზემოხსენებული უვადო მსჯავრდებულების გათავისუფლების პროცესში დიდი მნიშვნელობა და ყურადღება დაეთმო დაზარალებულის მდგომარეობის, მისი საჭიროებებისა და დანაშაულის მასზე ზეგავლენის შეფასებას. იმედია, რომ ეს პირველი ნაბიჯი კიდევ უფრო მეტ ასახვას პოვებს საქართველოს კანონმდებლობაში, ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, და იგი გახდება აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემის განვითარებისათვის ბიძგის მიმცემი საქართველოში.

სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს ხელთ არსებული პრაქტიკული გამოცდილების მკითხველისათვის გაზიარება, რაც დაეხმარება მას, კიდევ უფრო ნათლად აღიქვას აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის მნიშვნელობა და ეფექტიანობა უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე.

ამისათვის საჭიროა მოკლე მიმოხილვა მედიაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხებისა ქართულ მოდელში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დაზარალებულის დაკმაყოფილების საკითხი. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულისათვის მატერიალურ ზიანზე მეტად მორალურ ზარალს აქვს მნიშვნელობა.

მათ ხშირად აწუხებთ კითხვები: რატომ დავზარალდი? რატომ გავხდი დანაშაულის მსხვერპლი მაინცდამაინც მე? რა იყო სამართალდამრღვევის რეალური მოტივი და მიზანი? არსებობს თუ არა ჩემ მიმართ დანაშაულის განმეორების რისკები? როგორ ვიგრძნო თავი უსაფრთხოდ? ხომ არ არსებობს შურისძიების რისკები იმის გამო, რომ სამართალდამცავებს მივმართე? და ა.შ.

ხშირად დაზარალებულები სამართალდამრღვევს გაცილებით მძაფრად, ნეგატიურად აღიქვამენ და მისგან იმაზე უფრო მეტ საფრთხეს ელიან, ვიდრე ეს შეიძლება რეალურად იყოს მოსალოდნელი. ამის გამო დაზარალებულებში ხშირია შფოთვა, შიში, კონფლიქტის განახლების მოლოდინი, რაც აუცილებლად საჭიროებს ჩარევას და ამისი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ კომუნიკაციის აღდგენა და მედიაციაა. გარდა ამისა, არსებობს რისკები, რომ მხარეებს შორის მწვავე კონფლიქტის დროს დაუგეგმავმა, შემთხვევითმა შეხვედრამ კიდევ უფრო გააღვივოს არსებული კონფლიქტი და მეტად მძიმე შედეგები მოიტანოს. ამის დაძლევის გზაც მედიაციაა, რომლის დროსაც მხარეებს შორის კომუნიკაცია დგება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მიერ, ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, და არა სპონტანურად და დაუგეგმავად, რაც დიდ რისკებს შეიცავს. ზოგჯერ ზემოაღნიშნული შიშები და შფოთვები მსჯავრდებულ პირებსაც აწუხებთ, განსაკუთრებით, ხანგრძლივი სასჯელის მოხდის შემდგომ, როდესაც მათ აღარ აქვთ სწორი მოლოდინები და მომავლის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარის შფოთვები და შეფასებები უსაფუძვლოა და ეფუძნება მხოლოდ სუბიექტურ, შინაგან განცდებს.

საქართველოში მედიაციის მიზნები და მის მიმართ მოლოდინები არასწორია-ხოლმე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისხლის სამართლის მედიაციის შედეგი და მიზანი მხარეებს შორის მაინცდამაინც მეგობრული ურთიერთობის თუ კარგი კომუნიკაციის ჩამოყალიბება არ არის, და ეს მიზანი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს მხარეთა შორის კომუნიკაციის სრულად აღდგენა, ზოგჯერ კი პირიქით - მედიაციის დასრულების შემდეგ მათ შორის კომუნიკაციის საერთოდ შეწყვეტა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის დროს დაცული იყოს ძალთა ბალანსი, ორივე მხარე იყოს გულწრფელი და რომელიმე მხარეს არ დარჩეს განცდა, რომ იგი ამ პროცესში მეორე მხარის ინტერესებისთვის არის ჩართული. აღნიშნულის ხაზგასმა იმისთვისაა საჭირო, რომ ზოგჯერ მსჯავრდებულები მედიაციას აღიქვამენ, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ გზას. ამ ტიპის მიდგომა სრულად უკარგავს აზრს აღდგენითი მართლმსაჯულების ღირებულებებს და შეუძლებელს ხდის მედიაციის შედეგის მიღწევას, რადგანაც ამ დროს დაზარალებული პროცესში გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი, და არა როგორც თანაბარმნიშვნელოვანი მონაწილე.

დაზარალებულების ინტერესების დაცვის პარალელურად, აღდგენით მართლმსაჯულებასა და სისხლის სამართლის მედიაციას დიდი როლი აქვს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში. ხშირად სამართალდამრღვევებს სირთულეები აქვთ დანაშაულის გაცნობიერებასთან, საკუთარი ქმედების სწორად გააზრებასთან და აღქმასთან მიმართებით. პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სამართალდამრღვევი საკუთარი ქმედების მინიმიზაციას ახდენს და იგი, პირიქით, დაზარალებულზეა გაბრაზებული იმიტომ, რომ მან ასეთი უმნიშვნელო შემთხვევის გამო სამართალდამცავები ჩართო საქმეში. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უშლის ხელს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესს. მედიაციის პროცესი ძალიან ეხმარება სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. ამიტომ

მნიშვნელოვანია, რომ მათაც ხელი შეუწყონ და აამაღლონ მხარეთა მოტივაცია პროცესში მონაწილეობისათვის.

საქართველოში მედიაციის პროგრამები ზოგიერთი სპეციალისტის მიერ აღიქმება, როგორც განმეორებითი დანაშაულის შემცირების მთავარი მექანიზმი, თუმცა ეს არ შეიძლება იყოს მედიაციის მთავარი დანიშნულება. რა თქმა უნდა, სწორად წარმართულ და ეფექტიან მედიაციას თან ახლავს განმეორებითი დანაშაულის საფრთხის შემცირება, მაგრამ ეს ამ პროცესის თანამდევი მოვლენაა, და არა მთავარი მიზანი, რომლითაც შეიძლება შეფასდეს მედიაციის ეფექტიანობა, ისევე როგორც, დანაშაულის გაცნობიერებაა წარმატებული მედიაციის ერთ-ერთი დიდი შედეგი და მონაპოვარი; არამედ სპეციალისტები თუ მედიატორები, ვინც ამ პროცესში არიან ჩართულნი, მიზნად უნდა ისახავდნენ მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებასა და საჭიროებების უზრუნველყოფას.

ამ პროცესის ხარისხიანად წარმართვა, რათა მან ხელშესახები შედეგები მოიტანოს, მედიატორის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. აუცილებელია, რომ ზემონახსენები რისკები მედიატორმა დროულად შეაფასოს, ამოიცნოს და არ მისცეს რომელიმე მხარეს საშუალება, მედიაციის პროცესი მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს.

მხარეთა არაკეთილსინდისიერების ამოცნობა არც ისე მარტივი პროცესია, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სისხლის სამართლის მედიაციის პროცესში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების  მქონე მედიატორები, რომლებსაც გააჩნიათ სიღრმისეული თეორიული ცოდნა და გავლილი აქვთ სპეციალური მომზადების კურსები, აგრეთვე მიღებული აქვთ პრაქტიკული გამოცდილება მენტორ მედიატორთან ერთად. სწორედ ეს უწყობს ხელს იმ რისკების განეიტრალებასაც, რომლებიც შეიძლება ორი კონფლიქტში მყოფი მხარის ერთი მაგიდის გარშემო შეკრებას ახლდეს თან. სწორად დაგეგმილი და წარმართული მედიაციის პრეკონფერენციის პერიოდში, მედიატორმა უნდა მოახერხოს მხარეთა ისე მომზადება, რომ მედიაციაზე კონფლიქტის გამწვავების რისკები აღარ არსებობდეს. თუმცაღა, მსგავსი ტიპის რისკის წარმოშობის შემთხვევაში, მედიაციისთვის სპეციალურად განსაზღვრულ სივრცეში ყოველთვის აუცილებლად არსებობს მხარეთა დაშორების და ინდივიდუალური შეხვედრების გასამართი ოთახები.

დღემდე საქართველოში ჩატარებული თითქმის უკვე 1500-მდე მედიაციის შემთხვევაში არასოდეს დაფიქსირებულა კონფლიქტის უმართავად გამწვავებისა და რაიმე სერიოზული რისკების წარმოშობის ფაქტი.

საქართველოში სისხლის სამართლის მედიაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მსჯავრდებულს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში, მეორე მხრივ, ეხმარება დაზარალებულს საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და, ამის პარალელურად, სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, მინიმუმამდე შეამციროს განმეორებითი დანაშაულის ალბათობა და უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა. ამ პროცესის შედეგად, ერთი მხრივ, დაზარალებული იღებს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, სამართალდამრღვევი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, გამოწვეულ ზიანს,

სრულად იაზრებს მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგებს და ცდილობს აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. ეს ყველაფერი პასუხს სცემს სპეციალისტებსა და საზოგადოებაში ზოგჯერ დაგროვილ სკეპტიციზმს სასჯელთან ერთად აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების გამოყენების საჭიროების მიმართ. ხშირად ისმის კითხვა, რა საჭირო არის და შეიძლება იყოს მედიაცია მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევს უკვე მისჯილი და, ზოგიერთ შემთხვევაში, მოხდილიც კი აქვს სასჯელი. სწორედ ამის საპასუხოდ შესაძლებელია მოვიყვანოთ ზემოთქმული არგუმენტები. ეს სკეპტიციზმი ალბათ გამოწვეულია საქართველოში არსებული გამოცდილებით, რომლის ფარგლებშიც მედიაცია აღიქმება, როგორც მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განრიდების მექანიზმის შემადგენელი ნაწილი და მას საზოგადოება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებად მიიჩნევს. ამ უახლესი საპილოტე პროგრამით სააგენტო სწორედ იმას ცდილობს, რომ ეს შეხედულება დაანგრიოს და მედიაცია, როგორც სასჯელის პარალელური პროცესი, ისე დაამკვიდროს.

მართალია, აღდგენითი მართლმსაჯულება და მედიაცია არსებობის არც თუ ისე დიდ დროს ითვლის საქართველოში, მაგრამ მან უკვე აჩვენა კონკრეტული ხელშესახები შედეგები და წარმატებული მაჩვენებლები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროს წინ დიდი გამოწვევები არ აქვს დასაძლევი, თუმცა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მცირე, ეტაპობრივი და სწორი ნაბიჯებით საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულება და მედიაცია წარმატებით ვითარდება, და წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ამ გზაზე ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა და ჩართულობა. დიდი მნიშვნელობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, დაზარალებულებთან, მათი ოჯახის წევრებთან, მათ სოციალურ წრეებთან თუ რიგით მოქალაქეებთან აღდგენითი მართლმსაჯულების საჭიროების, დანიშნულების და შედეგების შესახებ ინფორმაციის სწორად და დროულად მიტანას.

აღდგენითი მართლმსაჯულება საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება. ამიტომ ამ სფეროში ჩართულმა თითოეულმა სპეციალისტმა უნდა გააკეთოს მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა რაც შეიძლება მეტი ჩვენი თანამოქალაქე თუ კოლეგა დაარწმუნოს ამ მიდგომის საჭიროებასა და ეფექტიანობაში.

## 7. შეჯამება

დასასრულ, როგორც ამ თავში არაერთხელ იქნა აღნიშნული, აღდგენითი მართლმსაჯულება დანაშაულის ხედვისა და აღქმისადმი ახალი მიდგომაა, რომელიც კლასიკური, ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებულად აღიქვამს დანაშაულს და სხვა მიდგომებით ცდილობს გამოასწოროს დამდგარი შედეგი.

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები საზოგადოების მაღალ ღირებულებებსა და განსაკუთრებულ პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს და იგი ყოველთვის ითვალისწინებს როგორც ჩართული მხარეების, ასევე კონკრეტული სოციუმის, თემის და, ზოგადად, საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულებისა და ტრადიციული მართლმსაჯულების მიდგომები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თანამედროვე სისტემებში მათი ერთობლივად გამოყენება ყველაზე უფრო შედეგიანია. ისინი ერთმანეთს ავსებენ და, საბოლოოდ, ორივე სისტემის მიზნების გაერთიანებით შეგვიძლია სწრაფად, ეფექტიანად და ნაკლები ხარჯებით მივაღწიოთ მართლმსაჯულების მიზნებს - დავეხმაროთ კანონთან კონფლიქტში მყოფ

პირს რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაში, თავიდან ავიცილოთ განმეორებითი დანაშაული და შევქმნათ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის გარანტიები. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ, აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მაღალია რისკი იმისა, რომ ამ მიმართლებით არასაკმარისად გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტის მიერ წარმართულმა პროცესმა მეტი ზიანი მოიტანოს, ვიდრე შესაძლო სარგებელი.

იმედია, რომ სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ, აღდგენითი მართლმსაჯულება კიდევ უფრო მეტ განვითარებას პოვებს საქართველოში. უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენები და პროცესები ძალიან კეთილსაიმედოა და გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მალე საქართველოში ვიხილავთ როგორც სისხლის სამართლის მედიაციას, უკვე სრულყოფილი პროგრამების სახით, აგრეთვე აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა მეთოდებს, განსაკუთრებით, კონფერენციების პროგრამებს, როგორც პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებად და წარმატებულ პროგრამებს.

სასურველია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადაიდგას დაზარალებულთა ინტერესების დაცვის კუთხითაც.

## 8. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ტრენერმა სესიის დაგეგმვის დროს სასურველია გაითვალისწინოს როგორც თეორიული მასალა, მინილექციები, აგრეთვე პრაქტიკული სავარჯიშოები. სესიები უნდა ემყარებოდეს სწავლების ისეთ მეთოდებს როგორიცაა: სალექციო მეთოდი, გონებრივი იერიში, დისკუსია და პრაქტიკული სავარჯიშოები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაწილეებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულების ხედვის, პრინციპების, ღირებულებების სწორად ახსნას და მონაწილეთა მიერ მათ გააზრებას. სესიების ბოლოს მსმენელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შემდეგი საკითხები:

- აღდგენითი მართლმსაჯულება, როგორც ხედვა, პრინციპების ერთობლიობა;
- აღდგენითი მართლმსაჯულებისა და კონვენციური მართლმსაჯულების მიდგომების ურთიერთმიმართება;
- აღდგენითი მართლმსაჯულების სამი გავრცელებული ჯგუფი: სისხლის სამართლის მედიაცია, კონფერენციებისა და წრეების მოდელები;
- საქართველოს გამოცდილება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით;
- უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სწორი, სათანადოდ კოორდინირებული მიდგომის მნიშვნელობა აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებისათვის.

ტრენერი/ლექტორი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მონაწილეების სალექციო პროცესში ჩართვას, მათი პირადი, სამსახურებრივი, პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებას და ხელი შეუწყოს მონაწილეთა აქტიურ ჩართულობას, ხოლო შემდეგ სალექციო პროცესი, სავარჯიშოების განხილვა თუ დისკუსია დააფუძნოს სწორედ ჯგუფის მიერ წამოჭრილ საკითხებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

## 9. გამოყენებული და სავალდებულო ლიტერატურა


- *ზერი ჰ.*, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი.
- *ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ.*, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის, თბ., 2019.
- აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის სტანდარტები და ღირებულებები, აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმი.
- *UNODC,* აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), ვენა, 2020.


## 10. რეკომენდებული ლიტერატურა


- *Zehr H.*, Changing Lenses: Restorative Justice for Our Times, 2015.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)8 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ.
- გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2002 წლის 24 ივლისის რეზოლუცია 2002/12 – „სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები“.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(99)19 სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის გამოყენების შესახებ.
- ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU „დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა დაცვის, მხარდაჭერისა და უფლებების საკითხებში მინიმალური სტანდარტების ჩამოყალიბების შესახებ“.

# თავი XIV. ადამიანის უფლებები პრობაციის სისტემაში

ავტორი: *მორეტა ბობოხიძე*

## 1. შესავალი

ადამიანის უფლებების დასაცავად აუცილებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები დინამიური სფეროა, რომელიც მუდმივ მეთვალყურეობას და განახლებას საჭიროებს. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ადამიანის უფლებათა შესახებ პირველი სამართლებრივი დოკუმენ-ტი 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაა. დოკუმენტში აღიარებულია ისეთი უფლებები და კონსტიტუციური პრინციპე-ბი, როგორიცაა: მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა; პიროვნების ხელშეუხებლობა, ანუ პირის დაკავების შეუძლებლობა სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე; შეკრების და მანიფესტაციის უფლება; გენდერული თანასწორობა; რწმენის და გამოხატვის თავისუფლება; რელიგიის თავისუფლება. კონსტიტუციით გაუქმდა სიკვდილით დასჯა, რაც იმ დროისთვის დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში არ მომხდარა.

საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში მეორე თავი მთლიანად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეთმობა. კონსტიტუცია ადამიანის დაბადებით თავისუფლებასა და თანასწორობას აღიარებს, იცავს ადამიანის ღირსებას, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებს. მე-11 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.” კონსტიტუციის მე-13 მუხლი განმარტავს ადამიანის თავისუფლების დაცულობას, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის ვადებს და ადვოკატის ყოლის უფლებას. მსჯავრდებულ/ბრალდებულ მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება, გარდა იმ პირისა, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია ხაზს უსვამს საყოველთაოდ აღიარებული უფლებების და თავისუფლებების შეუზღუდავად დაცვას. მე-4 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო

შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“.

ვინაიდან სასჯელი შეიძლება განისაზღვროს, როგორც უფლებების ჩამორთმევა ან შეჩერება, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს შეზღუდვებით გამოწვეული ზიანის შემცირებას კანონით დადგენილ ფარგლებში. არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, რეაბილიტაციასა და დანაშაულის პრევენციას ემსახურება და ამ პროცესში პრობაციის სისტემას, ადამიანის უფლებების დაცვისა და რეალიზების კუთხით, მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

### 1.1. თავის მოკლე მიმოხილვა და მიზანი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები, რეზოლუციები, კონვენციები და რეკომენდაციები, რომლებიც პრობაციის სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვისთვის საჭირო მინიმალურ სტანდარტებს განსაზღვრავენ. პრობაციის ოფიცრები (სტუდენტები, სფეროში მოღვაწე პროფესიონალები) გაეცნობიან გაეროს და ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს, რაც მათ დაეხმარება თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ტრენინგების ჩატარებასა თუ პრაქტიკის სხვაგვარად დახვეწაში.

## 2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები

### 2.1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ

წინამდებარე წესები ემსახურება ევროპის საბჭოს მიზნებს, მიაღწიოს წევრ ქვეყნებს შორის მეტ ერთიანობას, განსაკუთრებით, საერთო ინტერესების სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით. რეკომენდაცია ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ პრობაციის სისტემის მუშაობა გავლენას ახდენს პატიმართა რაოდენობის შემცირებაზე და მისი მიზანია „წვლილი შეიტანოს სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში და, აგრეთვე, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფაში დანაშაულის განმეორებითი ჩადენის პრევენციის და შემცირების გზით“.

დოკუმენტი ითვალისწინებს ევროპულ კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და წინამდებარე თავში მოცემულ ყველა რეკომენდაციას, გაეროს „ტოკიოს წესების“ ჩათვლით. კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, იხელმძღვანელონ წინამდებარე წესებით თავიანთ კანონმდებლობაზე, პოლიტიკასა და პრაქტიკაში მუშაობისას და უზრუნველყონ, რომ რეკომენდაციები და თანდართული კომენტარები თარგმნილ და გავრცელებულ იქნეს რაც შეიძლება ფართოდ, განსაკუთრებით, სასამართლო ხელისუფლებაში, პრობაციის ორგანოებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, აგრეთვე მედიასა და, ზოგადად, საზოგადოებაში.

პრობაციის წესები შედგება რვა ნაწილისგან: 1) მოქმედების და გამოყენების სფერო, განსაზღვრებები და ძირითადი პრინციპები; 2) ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალი; 3) ანგარიშვალდებულება და სხვა უწყებებთან ურთიერთობა; 4) პრობაცია; 5) ზედამხედველობის პროცესი; 6) პრობაციის ორგანოების სხვა

სამუშაოები; 7) საჩივრების პროცედურა, ინსპექცია და მონიტორინგი; 8) კვლევა, შეფასება, მედიასა და საზოგადოებასთან მუშაობა.

### 2.1.1. ძირითადი პრინციპები

1. პრობაციის ორგანოები მიზნად უნდა ისახავდნენ განმეორებითი დანაშაულის შემცირებას პრობაციონერებთან დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით, რათა ამით, თავის მხრივ, გაუწიონ მათ ზედამხედველობა (საჭიროებისამებრ, კონტროლი), დაეხმარონ და ხელი შეუწყონ წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაში. ამგვარად, პრობაციას წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულების სამართლიან ადმინისტრირებაში.
2. პრობაციის ორგანოებმა პატივი უნდა სცენ პრობაციონერის უფლებებს. მათი მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევა მიმართული უნდა იყოს მსჯავრდებულთა ღირსების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ.
3. ყველა იმ საქმის წარმოებისას, რომელიც უკავშირდება დაზარალებულს, პრობაციის ორგანოებმა პატივი უნდა სცენ მის უფლებებსა და საჭიროებებს.
4. პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა მიიღონ მხედველობაში მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყონ თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება. პრობაციის ორგანოების მსჯავრდებულებთან მუშაობა (ინტერვენციები) უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ეთნიკური უმცირესობისადმი მიკუთვნების, საკუთრების, დაბადებისა ან სხვა ნებისმიერი სტატუსის მიუხედავად.
5. პრობაციის ორგანოებმა არც ერთი სასჯელის აღსრულების დროს არ უნდა დააკისრონ პრობაციონერს იმაზე მეტი და მძიმე ვალდებულების შესრულება ან უფლებრივი შეზღუდვები, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მოითხოვს თითოეული ინდივიდუალური საქმე, დანაშაულის სიმძიმის ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებიდან გამომდინარე.
6. რამდენადაც ეს შესაძლებელია, პრობაციის ორგანოებმა უნდა მოიპოვონ პრობაციონერის ინფორმირებული თანხმობა და მიაღწიონ მასთან თანამშრომლობას იმ ინტერვენციასთან დაკავშირებით, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს პრობაციონერზე.
7. ნებისმიერი ინტერვენცია, რომელიც განხორციელდა სასამართლოს მიერ დამნაშავედ საბოლოოდ ცნობამდე, დაფუძნებული უნდა იყოს ბრალდებულის ინფორმირებულ თანხმობაზე, მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით.
8. პრობაციის ორგანოების არსებობა, მათი ამოცანები და ვალდებულებები, აგრეთვე, მათი ურთიერთობები საჯარო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან უნდა განისაზღვროს კანონით.

9. პრობაცია უნდა იყოს საჯარო სამსახურის ვალდებულების სფერო მაშინაც კი, როდესაც უშუალო სერვისებს განახორციელებენ სხვა ორგანოები და მოხალისეები.
10. პრობაციის ორგანოები აღჭურვილი უნდა იყვნენ სათანადო უფლებამოსილებით და უნდა გააჩნდეთ შესაბამისი აღიარება და ადეკვატური რესურსები.
11. გადაწყვეტილების მიმღებმა ხელისუფლების ორგანოებმა საჭიროებისამებრ უნდა გამოიყენონ პრობაციის ორგანოების პროფესიული კონსულტაციები და საქმიანობა, რათა შეამცირონ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა და ხელი შეუწყონ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების გამოყენებას.
12. პრობაციის ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა ხელი შეუწყონ მსჯავრდებულთა სოციალურ ინტეგრაციას. კოორდინირებული უწყებათაშორისი და მულტიდისციპლინური მუშაობა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მსჯავრდებულთა კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილება და გაძლიერდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.
13. პრობაციის ორგანოებმა ყველა მოქმედება და ინტერვენცია უნდა განახორციელონ უმაღლესი ეროვნული და საერთაშორისო ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
14. უნდა არსებობდეს პრობაციის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით გასაჩივრების ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი პროცედურები.
15. პრობაციის ორგანოების საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან რეგულარულ შემოწმებას (ინსპექტირებას) და/ან დამოუკიდებელ მონიტორინგს.
16. შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაძლიერონ პრობაციის ეფექტიანობა კვლევების წახალისებით, რაც, თავის მხრივ, გამოყენებული იქნება პრობაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის სწორად წარმართვისათვის.
17. ხელისუფლებისა და პრობაციის უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მედიისა და, ზოგადად, საზოგადოების ინფორმირება პრობაციის ორგანოების მუშაობის შესახებ, რათა ხელი შეუწყონ პრობაციის როლისა და ღირებულების სწორ აღქმას საზოგადოების მიერ.

### 2.2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ

წინამდებარე წესების დებულებები ეხება ყველა სანქციასა და ღონისძიებას, რომლებიც საზოგადოებაში აღსრულდება, მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების გარეთ სასჯელის აღსრულებას. *თუმცა ღონისძიებები, რომლებიც არასრულწლოვნებს ეხება, ამ წესებით არ რეგულირდება.*

წინამდებარე წესების მიზანია ისეთი სტანდარტების დაწესება, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლებს და შესაბამის პრაქტიკოსებს (გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს) საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების სამართლიანად და ეფექტიანად გამოყენების საშუალებას მისცემს. გამოყენება მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ მოინახოს

საჭირო ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოების დაცვის აუცილებლობასა (როგორც საკანონმდებლო წესრიგის დაცვის, ასევე დაზარალებულთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას) და, მეორე მხრივ, სამართალდამრღვევის სოციალური მოწყობის/შეგუების საჭიროების აღიარებას შორის.

ევროპული წესები საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ მოიცავს 90 წესს. ტექსტი დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილი - ზოგადი პრინციპები: 1) კანონმდებლობა; 2) სასამართლო გარანტიები და საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები; 3) ძირითადი უფლებების პატივისცემა; 4) თანამშრომლობა და თანხმობა სამართალდამრღვევის მხრიდან. მეორე ნაწილი - ადამიანური და ფინანსური რესურსები: 5) პროფესიული კადრები; 6) ფინანსური რესურსები; 7) საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა; მესამე ნაწილი - სანქციებისა და ღონისძიებების მენეჯმენტის ასპექტები: 8) იმპლემენტაციის პირობები; 9) მუშაობის მეთოდები; 10) სანქციის ან ღონისძიების იურიდიული ძალა და შეუსრულებლობის შედეგები; 11) საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შედეგების კვლევა და შეფასება.

### 2.3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000)22 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების მარეგულირებელი ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე

წინამდებარე რეკომენდაცია ითვალისწინებს ევროპის კომიტეტის კვლევის შედეგებს წევრი ქვეყნების მიერ ევროპული წესების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და აღიარებს, რომ დროთა განმავლობაში წარმოიშობა საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ეფექტიანად და ფართოდ გამოყენების ახალი შესაძლებლობები. კერძოდ, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება არ უნდა ინიშნებოდეს განუსაზღვრელი ვადით. გამონაკლისია განუსაზღვრელი ვადით საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დანიშვნა იმ სამართალდამრღვევებისთვის, რომლებიც წინა ან ამჟამინდელი დანაშაულის გამო, ასევე კონკრეტული პირადი მახასიათებლების გათვალისწინებით, მუდმივ საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო პირობების შექმნა ამგვარი განუსაზღვრელი სანქციის ან ღონისძიების დაწესების რეგულარული გადახედვისათვის, რასაც განახორციელებს აღმასრულებელი ორგანოსგან დამოუკიდებელი და კანონით უფლებამოსილი ორგანო. საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ხანგრძლივობა უნდა განსაზღვროს ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი პირობების ფარგლებში.

დოკუმენტში მოცემულია საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც გულისხმობს სხვადასხვა საზოგადოებრივი სანქციისა და ღონისძიების შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების საკმარისი მოცულობით მიღებაშემუშავებას.

კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ეფექტიანად აღსრულებისთვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების სანდოობის ამაღლება, ეფექტიანი პროგრამებისა და ინტერვენციის დაგეგმვა, საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული კვლევა.

### 2.4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(97)12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ

დანაშაულის კონტროლისა და ეჭვმიტანილთა ან მსჯავრდებულ სამართალდამრღვევთა მიმართ ჯეროვანი მოპყრობის მიზნით, ამავდროულად, ადამიანის უფლებათა სათანადოდ დაცვის გათვალისწინებით, წინამდებარე რეკომენდაცია აღიარებს, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაში ჩართული თანამშრომლების შერჩევის, ტრენინგისა და სტატუსის დადგენის პრინციპების დაწესება და კვალიფიციური, კომპეტენტური და ერთგული კადრების მოზიდვა: „მათ უნდა მიეცეთ საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რათა კომპეტენტურად და ინოვაციურად შეასრულონ საკუთარი დავალებები და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს“. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა პირს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად, სამუშაო უნდა განხორციელდეს მიზნებისა და სამუშაო მეთოდების შესახებ საკუთარი ცოდნის ურთიერთგაზიარების საფუძველზე; სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი კადრების შერჩევა და პროფესიული განვითარება უნდა განხორციელდეს სამუშაოსადმი ერთიანი მიდგომის პრინციპების თანახმად.

მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებს მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსი, რაც გულისხმობს იმ ძირითად ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ საზოგადოების სახელით, აგრეთვე ჰქონდეთ მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამება მათ კვალიფიკაციას და ითვალისწინებს მათი სამუშაოს მოთხოვნებს.

დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი - 1) სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების შერჩევისა და მათთვის ტრენინგის ჩატარების პრინციპები; თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნისა და მათი მობილობის უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები; 2) კადრების შერჩევა; 3) ტრენინგი; 4) სამუშაო პირობები და მენეჯმენტის მოვალეობები; 5) მობილობა; მეორე ნაწილი - 6) სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის განკუთვნილი ეროვნული ეთიკური გაიდლაინებისთვის ევროპული სახელმძღვანელო მითითებების ზოგადი ეთიკური მოთხოვნები; 7) ეჭვმიტანილებთან ან მსჯავრდებულებთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნები.

### 2.5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2014)4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ

წინამდებარე რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ ციხის მოსახლეობის უწყვეტმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს პატიმრობის ისეთი პირობების შექმნა, რაც არ იქნება შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (ETS №5) მე-3 მუხლთან, და ეთანხმება, რომ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის მეტად განვითარება სისხლის სამართლის გადაწყვეტილებათა განხორციელების სფეროში, რათა ამგვარმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების გაუმჯობესებას, სანქციების ეფექტიანად აღსრულებას დამნაშავეთა უფლებებისა და ღირსების სრული დაცვით და დანაშაულის შემცირებით. კომიტეტი მიიჩნევს, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და ეჭვმიტანილთა თუ

დამნაშავეთა უმეტესობის ეფექტიანი მეთვალყურეობა უნდა განხორციელდეს ნაკლები დანახარჯებით საზოგადოების წიაღში.

ვინაიდან ციხეების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა არის მთავარი გამოწვევა ციხის ადმინისტრაციისა და, მთლიანად, სისხლის სამართლის სისტემისათვის როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ასევე პენიტენციურ დაწესებულებათა მენეჯმენტის კუთხით, კომიტეტი აღიარებს, რომ, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს თავისუფლების აღკვეთის შემთხვევათა შემცირებას, რამდენადაც უზრუნველყოფს ეჭვმიტანილთა და დამნაშავეთა ეფექტიან მეთვალყურეობას საზოგადოებაში, და, შესაბამისად, დაეხმაროს დანაშაულის პრევენციას.

ამავდროულად, ელექტრონული მონიტორინგის ტექნოლოგიები უნდა გამოიყენებოდეს სათანადო რეგულირებით და პროპორციულად, რათა შემცირდეს მათი ნეგატიური გავლენა ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ მყოფი პირისა და მასთან დაკავშირებული მესამე მხარეების პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ საჭიროა წესების განსაზღვრა ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების ფარგლებზე, ტიპებსა და ფორმებზე, რათა შესაბამისი მითითებები მიეცეს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის დასახვეწად. ასევე აუცილებელია ეთიკური და პროფესიული სტანდარტის შემუშავება ელექტრონული მონიტორინგის ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა შესაბამისი მითითებები მიეცეს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, მათ შორის, მოსამართლეებს, პროკურორებს, ციხეების ადმინისტრაციებს, პრობაციის სააგენტოებს, პოლიციას და იმ სამსახურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მონიტორინგის მოწყობილობების გამოყენებას ან ზედამხედველობას უწევენ ეჭვმიტანილებსა თუ დამნაშავეებს.

დოკუმენტი შედგება ერთი დანართისაგან და მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1) მოქმედების ფარგლები; 2) განმარტებები; 3) ძირითადი პრინციპები; 4) ელექ-ტრონული მონიტორინგის განხორციელების პირობები სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე; 5) ეთიკური საკითხები; 6) მონაცემთა დაცვა; 7) პერსონალი; 8) საზოგადოებასთან მუშაობა, კვლევა და შეფასება.

### 2.5.1. ძირითადი პრინციპები

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში ელექტრონული მონიტორინგის გამოყენება, ასევე ტიპები, ხანგრძლივობა და განხორციელე-ბის ფორმები უნდა რეგულირდებოდეს კანონით.
2. გადაწყვეტილებას ელექტრონული მონიტორინგის დაწესების ან მოხსნის შესახებ უნდა იღებდეს სასამართლო ხელისუფლება, ან ის სასამართლო გადასინჯვას უნდა ექვემდებარებოდეს.
3. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული მონიტორინგი გამოიყენება სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ გაფართოვდეს მისი გამოყენების სპექტრი.
4. ელექტრონული მონიტორინგის ტიპი და განხორციელების ფორმები, ხანგრძლივობისა და ჩარევის დონის თვალსაზრისით, უნდა იყოს სავარაუდო ან ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობის პროპორციული, უნდა ითვალისწინებდეს ეჭვმიტანილის ან დამნაშავის ინდივიდუალურ გარემოებებს და გადაისინჯებოდეს რეგულარულად.

5. ელექტრონული მონიტორინგი უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ ზღუდავდეს ეჭვმიტანილის ან დამნაშავის უფლებებსა და თავისუფლებებს იმაზე მეტად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მონიტორინგის დაწესების შესახებ გადაწყვეტილებით.
6. ელექტრონული მონიტორინგის დაწესებისას და მონიტორინგის ტიპის, ხანგრძლივობისა და განხორციელების ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მისი გავლენა იმ ოჯახებისა და მესამე მხარის უფლებებსა თუ ინტერესებზე, ვისთანაც დაკავშირებულია ეჭვმიტანილი ან დამნაშავე.
7. ელექტრონული მონიტორინგის დაწესების ან განხორციელებისას დაუშვებელია დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ეროვნების, ენის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური ან სხვა სახის შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონების, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების ნიშნით, ასევე ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის საფუძველზე.
8. ელექტრონული მონიტორინგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი ღონისძიება მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად და დანაშაულის შესამცირებლად სასჯელის აღსრულების კონკრეტულ პერიოდში. იმისათვის, რომ უფრო ხანგრძლივი დროით აღუდგნენ წინ დანაშაულს, ელექტრონულ მონიტორინგთან ერთად უნდა განახორციელონ სხვა პროფესიული ხასიათის ჩარევები და მიმართონ მხარდამჭერ ზომებს, რომელთა მიზანიც იქნება დამნაშავეთა სოციალური რეინტეგრაცია.
9. თუ ელექტრონული მონიტორინგის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების განხორციელებაში ჩართულნი არიან ორგანიზაციები კერძო სექტორიდან, შესაბამის პირთა მიმართ სათანადო მოპყრობა ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობაში უნდა დარჩეს, რელევანტური საერთაშორისო ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
10. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებაში კერძო სექტორის ჩართულობის შესახებ ინფორმაცია იყოს გამჭვირვალე, ასევე უნდა უზრუნველყონ საზოგადოებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.
11. თუ ეჭვმიტანილები ან დამნაშავეები იხდიან ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების საფასურს, მათი გადასახდელი წილი პროპორციული უნდა იყოს მათი ფინანსური მდგომარეობის და რეგულირდებოდეს კანონით.
12. ელექტრონული მონიტორინგის დაწესებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით მოპოვებული მონაცემების დამუშავება, ერთობლივი სარგებლობა და გამოყენება შესაბამისი სამსახურების მიერ უნდა რეგულირდებოდეს კანონით.
13. იმ პერსონალის რაოდენობა, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონულ მონიტორინგთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, უნდა იყოს საკმარისი. ისინი ადეკვატურად და რეგულარულად უნდა გადიოდნენ გადამზადებას, რათა ეფექტიანად, პროფესიონალურად და ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. მათი გადამზადება უნდა მოიცავდეს მონაცემთა დაცვის საკითხებსაც.

14. მთავრობა რეგულარულად უნდა ამოწმებდეს და დამოუკიდებელი მონიტორინგი უნდა უტარდებოდეს სამსახურებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებაზე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

### 2.6. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2003)22 წევრი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ

წინამდებარე რეკომენდაცია აღიარებს, რომ თავისუფლების აღკვეთის ხარჯი მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას. კვლევების თანახმად, თავისუფლების აღკვეთას აქვს უკუშედეგი, რომლის დროსაც ვერ ხორციელდება სამართალდამრღვევთა რეაბილიტაცია. პირობით ვადამდე გათავისუფლება, განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და განსახლების პროცესის განხორციელების, პატიმართათვის ციხის გარეთ ცხოვრების დაგეგმვის, დახმარებისა და ზედამხედველობის გზით, საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და კონსტრუქციული საშუალებაა. ის უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური პირობებისადმი მისადაგებული მეთოდებით და მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ ვადამდე ადრე გათავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითად პრინციპებს, რომელთა უპირველესი ამოცანაა ადამიანის უფლებების გარანტირება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი - 1) პირობით გათავისუფლების განმარტება; 2) ზოგადი პრინციპები; 3) პირობით გათავისუფლებისთვის მომზადება; 4) პირობით გათავისუფლება; მეორე ნაწილი - სავალდებულო გათავისუფლების სისტემა; 5) პირობების დადგენა; 6) პირობით გათავისუფლება; 7) დადგენილი პირობის დარღვევის შედეგები; 8) პროცედურული გარანტიები; 9) გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების მეთოდები; 10) ინფორმაცია და კონსულტაცია პირობით გათავისუფლების შესახებ; 11) კვლევა და სტატისტიკა.

## 3. ევროპული კონვენცია პირობით მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ, სტრასბურგი, 30.XI.1964

წინამდებარე კონვენცია შეიქმნა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მეტი ერთობის მისაღწევად და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით შეთანხმებული ქმედების განსახორციელებლად. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „ამ ეტაპზე წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სხვა ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეების ტერიტორიაზე მათი სასამართლოების მიერ დაკისრებული პირობით მსჯავრდებული ან პირობით გათავისუფლებული სამართალდამრღვევების სოციალური რეაბილიტაცია ან სასჯელის აღსრულება იმ შემთხვევაში, როდესაც არ სრულდება დაწესებული პირობები.“

კონვენცია შედგება 40 მუხლისგან და დაყოფილია ექვს ნაწილად: 1) ძირითადი პრინციპები; 2) ზედამხედველობა; 3) სასჯელის აღსრულება; 4) თხოვნის მიმღები სახელმწიფოს აღსრულების გადანდობა; 5) ზოგადი დებულებები; 6) დასკვნითი დებულებები.

### 4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები

#### 4.1. რეზოლუცია (65)1 სასჯელის გადავადება, პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული ზომები

წინამდებარე რეზოლუცია მიღებულ იქნა სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ნაკლოვანებებს პირველი სამართალდარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე იმ კონკრეტული ღონისძიებების ღირებულებებს, რომლებიც აღმოფხვრის თავისუფლების აღკვეთის საჭიროებას, მათ შორის, პრობაციის და სხვა მსგავსი ღონისძიებების ხარჯს. რეცოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დახვეწონ პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა პირველი სამართალდარღვევის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თავიდან ასაცილებლად; უზუნველყონ სამართალდამრღვევთა რეაბილიტაცია და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სამ წელიწადში ერთხელ გაუგზავნონ ანგარიშები ამ რეკომენდაციების განხორციელების შესახებ.

#### 4.2. რეზოლუცია (70)1 პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ

წინამდებარე რეზოლუცია განსაზღვრავს პირობითი ღონისძიებების გამოყენების ზოგად პრინციპებს ამ ღონისძიებათა ეფექტიანი განხორციელებისათვის და ხელს უწყობს პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ ევროპული კონვენციის იმპლემენტაციას. რეზოლუცია რეკომენდაციას უწევს წევრი ქვეყნების მთავრობებს, არ დაიშურონ ძალისხმევა ყველაზე ხელსაყრელი კანონმდებლობის, ეფექტიანი სერვისებისა და მეთოდების განვითარებისათვის. რეზოლუცია ხაზს უსვამს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილთა უფლებას, პირობით გათავისუფლდნენ ან მიიღონ შეწყალება, პერიოდული გადახედვის საფუძველზე, მათი პიროვნული თვისებებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

#### 4.3. რეზოლუცია (76)10 თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ

წინამდებარე რეზოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, განავითარონ არა მარტო ის ალტერნატიულ ღონისძიებები, რომლებიც არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში (როგორებიცაა სასჯელის გადავადება და პრობაცია), არამედ ასევე ხელი შეუწყონ ახალი ღონისძიებების შემოღებას, რათა სასამართლოებს მიეცეთ საშუალება ღონისძიებათა მრავალი ფორმიდან აირჩიონ საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების შესატყვისი სანქცია. რეზოლუცია ხაზს უსვამს სამართალდამრღვევის საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების მნიშვნელობას და საპატიმრო სასჯელების ახალი ალტერნატივების შესწავლის აუცილებელობას, ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირების მიზნით.

### 5. არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („ტოკიოს წესები“)

წინამდებარე სტანდარტული მინიმალური წესები („ტოკიოს წესები“) ითვალისწინებს არასაპატიმრო ზომების გამოყენების ხელშეწყობას, მინიმალური დაცვის მექანიზმის შექმნას და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში,

სამთავრობო სტრუქტურების გარდა, ასევე საზოგადოების ჩართულობის გაზრდას. დოკუმენტი შედგება რვა ნაწილისაგან და მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1) ზოგადი პრინციპები; 2) წინასასამართლო ეტაპი; 3) სასამართლო და სასჯელის მისჯის ეტაპები; 4) სასჯელის შემდგომი ეტაპი; 5) არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელება; 6) თანამშრომლები; 7) მოხალისეები და სხვა საზოგადოებრივი რესურსი; 8) კვლევა, დაგეგმვა, პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება.

### 5.1. ძირითადი მიზნები

1. არსებული სტანდარტული მინიმალური წესები წარმოადგენს ძირითადი პრინციპების ნაკრებს, რომელიც ემსახურება არასაპატიმრო ზომების გამოყენების ხელშეწყობას და წარმოადგენს ერთგვარი მინიმალური დაცვის მექანიზმს იმ პირებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან დასჯას პატიმრობის ალტერნატიული ზომებით.
2. ამ წესების მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოების მეტ ჩართულობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვაში, განსაკუთრებით, დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის საკითხებში; ასევე შეუწყოს ხელი სამართალდამრღვევებში საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას.
3. წესები უნდა განხორციელდეს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების, ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
4. წესების განხორციელებისას, წევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, დაიცვან შესაბამისი ბალანსი ცალკეულ სამართალდამრღვევთა უფლებებს, დაზარალებულთა უფლებებს, საზოგადოების უსაფრთხოებასა და დანაშაულის პრევენციას შორის.
5. წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ საკანონმდებლო სისტემებში უნდა განავითარონ არასაპატიმრო ღონისძიებები, რათა არსებობდეს პატიმრობის ალტერნატიული სასჯელის არჩევანი, შემცირდეს სასჯელის ზომად პატიმრობის გამოყენების სიხშირე და მოხდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის რაციონალიზაცია, ადამიანის უფლებებზე დაკვირვების, სოციალური მართლმსაჯულების მოთხოვნების და დამნაშავის რეაბილიტაციის საჭიროებების გათვალისწინებით.

### 6. დასკვნა

ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია, თუმცა ამ მოვალეობის შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელია საზოგადოების ჩართულობის გარეშე. ზემოხსენებული რეკომენდაციების ერთ-ერთი მიზანი სწორედ მთავრობებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გააქ-ტიურებისკენ მოწოდებაა. თითოეული კონვენცია თუ რეზოლუცია გაწერილია იმ მინიმალური დაცვის მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც ნებისმიერი სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპებს მიესადაგება და პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების ფართო შესაძლებლობებს იძლევა. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, ერთიანი პრინციპები დაამკვიდრონ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, და სახელმწიფოებს მოუწოდებენ, მაქსიმალურად აიცილონ თავიდან თავისუფლების აღკვეთა, მისი უამრავი ნაკლოვანებისა და ადამიანის თავისუფლების პატივისცემის გათვალისწინებით და რწმენით, რომ ეს პროცესი

შესაძლოა გაგრძელდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის პრობლემების შექმნის გარეშე. ადამიანის უფლებების დაცვა უფრო მარტივია პრობაციის ისეთ სისტემაში, რომელიც მეტ აქცენტს აკეთებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნაზე, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე და, უწინარეს ყოვლისა, კვლევებსა და შეფასებაზე. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით საპრობაციო საქმიანობას უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციის და სამართალდამრღვევის რეაბილიტაციის, არამედ ადამიანის უფლებების დაცვაში.

## 7. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ნებისმიერმა პირმა, რომელიც გადაწყვეტს წინამდებარე თავის მიხედვით ტრენინგის ჩატარებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეს სამიზნე აუდიტორია და შეადგინოს ტრენინგის ჩატარების გეგმა. შემდგომ განსაზღვროს ტრენინგის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ტრენერი ვალდებულია გაწეროს ის სასწავლო აქტივობები, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ტრენინგი. ამასთანავე, აუცილებელია სასწავლო მეთოდოლოგიის შერჩევა სამიზნე აუდიტორიის ასაკის, აკადემიური დონისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ტრენერმა წინასწარ უნდა დაადგინოს დროის ჩარჩო, რომელიც იქნება მოქნილი და მოერგება მსმენელთა საჭიროებებს.

## 8. გამოყენებული ლიტერატურა


- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4.11.1950.
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 10.12.1948.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000)22 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების მარეგულირებელი ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(97)12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2014)4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2003)22 წევრი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ.
- ევროპული კონვენცია პირობით მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ, სტრასბურგი, 30.XI.1964.

- რეზოლუცია (65)1 სასჯელის გადავადება, პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული ზომები.
- რეზოლუცია (70)1 პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ.
- რეზოლუცია (76)10 თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ.
- არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („ტოკიოს წესები“).
- საქართველოს კონსტიტუცია.

## 9. რეკომენდებული ლიტერატურა


- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 4.11.1950.
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 10.12.1948.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(92)16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000)22 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების მარეგულირებელი ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(97)12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2014)4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2003)22 წევრი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ.
- ევროპული კონვენცია პირობით მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ, სტრასბურგი, 30.XI.1964.
- რეზოლუცია (65)1 სასჯელის გადავადება, პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული ზომები.
- რეზოლუცია (70)1 პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ.
- რეზოლუცია (76)10 თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ.

- არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („ტოკიოს წესები“).
- გაეროს სტანდარტებისა და ნორმების კრებული დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის.
- გაეროს პრინციპების კრებული ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ („ბანგკოკის წესები“).
- გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ („პეკინური წესები“).
- ესექსის დოკუმენტი 3: გაეროს „ნელსონ მანდელას წესების“ ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციის პირველადი სახელმძღვანელო („ესექსის დოკუმენტი“).
- თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესები („ჰავანას წესები“).
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო („სტამბოლის ოქმი“).
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე.

## თავი XV. სამართლებრივი ნაწილი (კანონმდებლობა პრობაციასთან მიმართებით)

ავტორი: *ავთანდილ კენჭაძე*

### 1. შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება პრობაციის სამართლებრივი ნაწილის მოკლე მიმოხილვა. პრობაციის სამსახურის შექმნა მნიშვნელოვანი რეფორმა იყო საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებს და სამართალდამრღვევების მიმართ საზოგადოებრივი ღონისძიებების გამოყენებას, როგორც წესი, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უსაფრთხო საზოგადოების შექმნაში ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა მსჯავრდებულის მხარდაჭერა, რათა ის გახდეს საზოგადოების კანონმორჩილი წევრი, მისი ეფექტიანი ზედამხედველობა და მონიტორინგი, რომ მან ხელმეორედ არ ჩაიდინოს დანაშაული და იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს მის სოციალურ რეინტეგრაციას, რაც სრულ შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს სტანდარტებთან და ღირებულებებთან.

### 2. პრობაციის სამართალი, როგორც საჯარო სამართლის დარგი. პრობაციის სამსახურის მიზნები

პრობაციის სამართალი არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც აერთიანებს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს პრობაციის სისტემაში შემავალი მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს, მათ მიერ მმართველობის ფუნქციების განხორციელებასა და ადმინისტრაციულ წარმოებას.

როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია განმარტავს, პრობაცია დაკავშირებულია მსჯავრდებულთათვის კანონით განსაზღვრული და შეფარდებული სასჯელებისა და ღონისძიებების საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე აღსრულებასთან. იგი მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებასა და ინტერვენციას, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამრღვევთა სოციალური ჩართულობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ ზედამხედველობასთან, ხელმძღვანელობასა და დახმარების აღმოჩენასთან.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზანია საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებით, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებით, ასევე მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის გზით. სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის/ბენეფიციარის რისკისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულზე აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი

რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობით და დახმარებით.

სააგენტოს საქმიანობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონალურ ინფორმაციას ბენეფიციარის შესახებ და მისი დამუშავების სტანდარტს.

### 3. პრობაციის სამსახურის სტრუქტურა. პრობაციის ბიუროს უფლებამოსილება. სააგენტოს თანამშრომლის სამართლებრივი სტატუსი

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაც ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმის, საჯაროობის, სააგენტოს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს. სააგენტოს მოსამსახურე არის საჯარო მოსამსახურე, რომელიც დასაქმებულია სააგენტოში ან მის ტერიტორიულ ორგანოში. სააგენტოს მოსამსახურე სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელისუფლების წარმომადგენელია და მისი კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე სამართლებრივი აქტების აღსრულებას და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას როგორც სასჯელის დანიშვნისას, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, სააგენტო უზრუნველყოფს ცენტრალიზებულად ან თავისი ტერიტორიული ორგანოების - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების მეშვეობით.

პრობაციის ბიუროს მიზანია კანონით განსაზღვრული აქტების აღსრულება, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული ვიდეოპაემნის ორგანიზება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება. ბიურო უფლებამოსილია თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ორგანიზება გაუწიოს სამართლებრივი აქტების აღსრულებას, უზრუნველყოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს სააღსრულებო საქმეთა აღრიცხვა, მიაწოდოს სააგენტოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და სხვა.

### 4. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტები

„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პრობაციის სამსახურის მიერ აღსრულებას ექვემდებარება არასაპატიმრო სასჯელთა სახის შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ბ) სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

გ) სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ;

დ) სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ;

ე) სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის შესახებ;

ვ) სასჯელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის შესახებ.

პრობაციის სამსახურის მიერ აღსრულებას ასევე ექვემდებარება პრობაციის სახის შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ;

ბ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;

გ) სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ (ორსული ქალისათვის - მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე).

აღნიშნული სამართლებრივი აქტები სასჯელის სახის განსაზღვრასთან ერთად შესაძლოა შეიცავდეს აღმზრდელობითი ზემოქმედების ან/და სამედიცინო ხასიათის მოთხოვნებს. მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს ასეთი სახის შემდეგი მოვალეობების შესრულება: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია - აგრეთვე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

პრობაციის სამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით აღსრულებას ასევე ექვემდებარება განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება.

### 5. სააღსრულებო საქმისწარმოება

აღსასრულებელი სამართლებრივი აქტი ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ ეგზავნება და აღსასრულებლად წარედგინება პრობაციის ბიუროს. ბიუროში საქმისწარმოება ხორციელდება „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბიუროს ტიპური დებულების, არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

უფლებამოსილი პირი 3 სამუშაო დღის ვადაში მსჯავრდებულთა რეგისტრაციის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში არეგისტრირებს სამართლებრივ აქტს, რომელსაც პრობაციის ბიუროს უფროსი (ჯგუფის უფროსი), რიგითობის წესის დაცვით, აღსასრულებლად გადასცემს პრობაციის ოფიცერს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (მსჯავრდებულის მიერ მითითებული ფაქტობრივი ან იურიდიული მისამართის) და პრობაციის ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. პრობაციის ოფიცერი ვალდებულია სამართლებრივი აქტი დაარეგისტრიროს პრობაციის სისტემის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში - პრობაციის საქმისწარმოების სისტემაში (ბაზა). მას ევალება მატერიალურ საქმისწარმოებასთან ერთად აწარმოოს ელექტრონული პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ ველებს: მსჯავრდებულის პერსონალური მონაცემები, საქმის დამატება,

პრობაციონერის პირადი საქმე, შენიშვნები, დარღვევები, წარდგინება, ნებართვები, დაკისრებული მოვალეობა, ოქმები, დროებით გადაადგილება, გამოცხადების გრაფიკი, გრაფიკის გენერირება, გაფართოებული ძებნა, კალენდარი, ანაბეჭდი, რისკები, სტატისტიკა, არქივი.

მსჯავრდებული ვალდებულია აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 15 დღისა, აგრეთვე პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 5 დღისა გამოცხადდეს შესაბამის პრობაციის ბიუროში სამართლებრივი აქტის აღსრულების დაწყების, თავის უფლება-მოვალეობათა გაცნობისა და პრობაციის ბიუროს მიერ მის მიმართ შესაბამისი კონტროლის განხორციელების მიზნით. ამ ვადის გასვლის მომდევნო სამუშაო დღეს ოფიცერი მსჯავრდებულს უგზავნის გაფრთხილებას. პრობაციის ოფიცერი სააღსრულებო მოქმედების განხორცილებისას ადგენს ოქმს.

### 5.1. მსჯავრდებულის აღრიცხვაზე დაყენება - უფლება-მოვალეობები

მთავარი საწყისი მოქმედება, რასაც პრობაციის ოფიცერი ახორციელებს, მსჯავრდებულისათვის უფლება-მოვალეობების გაცნობა და მისი რისკისა და საჭიროებების შეფასებაა. უფლება-მოვალეობების გაცნობა არის ის მოქმედება, რომლის შემდეგაც მსჯავრდებულს გარკვეული ვალდებულებები წარმოეშვება. პრობაციონერისათვის მისი უფლება-მოვალეობების გაცნობა აუცილებელია მისთვის გასაგებ ენაზე. ეს საჭიროება არსებობს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან, ასევე საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა.

პრობაციის ოფიცერი, ისევე როგორც სააგენტოს ყველა თანამშრომელი, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და უზრუნველყოს კანონის წინაშე პირთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა ნიშნისა. შესაბამისად, ყველა მსჯავრდებულსა და სააგენტოს სხვა ბენეფიციარზე თანაბრად ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით/შეთანხმებებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. გარდა აღნიშნულისა, მსჯავრდებული სარგებ-ლობს კანონით გათვალისწინებული საპროცესო უფლებებით (გასაჩივრება, დროებით გადაადგილების ნებართვა და სხვ.). კანონით მათ ასევე გარკვეული ვალდებულებებიც ეკისრებათ, რაც პროპორციულია და კანონიერი მიზნის მიღწევას ემსახურება. მნიშვნელოვანია, უმცირესობებთან ურთიერთობისას სპეციალისტი ფლობდეს კომუნიკაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, რათა არ მოხდეს მათი დისკრიმინაცია.

### 5.2. რისკები და საჭიროებები

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლითაც აღჭურვილია სპეციალისტი (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი), მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებაა. პრობაციის ოფიცერი მსჯავრდებულთან პირველივე შეხვედრიდან, უფლება-მოვალეობების გაცნობისთანავე იწყებს მის შეფასებას და მნიშვნელოვანი ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებით ჩადე-ნის ალბათობის განსაზღვრას, რაც მომავალში ბენეფიციართან ინდივიდუალური

გეგმით მუშაობის აუცილებლობას განაპირობებს. მნიშვნელოვანი ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის მაჩვენებელი (დაბალი, საშუალო და მაღალი) განსაზღვრავს შემთხვევის მართვაში სპეციალისტების, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დამატებით ჩართვის აუცილებლობას და მსჯავრდებულის მიერ სარეაბილიტაციო პროგრამების გავლის ვალდებულებას. სწორედ აღნიშნული ინსტრუმენტია მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ეფექტიანი საშუალება. გამოსაცდელი ვადის პერიოდში მნიშვნელოვანი ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის მაჩვენებლის გათვალისწინებით ხდება ბენეფიციართა მიმართ კანონით გათვალისწინებული გარკვეული შეღავათების დაწესება. ნებისმიერი გადაწყვეტილება შეღავათისა თუ დამატებითი ვალდებულების დაკისრების შესახებ უნდა მიიღებოდეს აღნიშნული მაჩვენებლის გათვალისწინებით, რაც დამატებით მოტივაციას აძლევს ბენეფიციარს წარმატებით გაიაროს სარეაბილიტაციო კურსი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ან შეინარჩუნოს რისკების დაბალი მაჩვენებელი.

### 5.3. წარდგინება

გარდა პრობაციის ოფიცრის/ბიუროს უფროსის მიერ ბენეფიციართა მიმართ შეღავათებისა თუ სანქციების (დაჯარიმება, რეჟიმის დამძიმება და სხვ.) დისკრეციულად გამოყენებისა, პრობაციის სამსახურის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება. სათანადო საფუძვლის არსებობისას პრობაციის ბიურო სასამართლოს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი წარდგინებით: მსჯავრდებულისათვის დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ; მსჯავრდებულისათვის დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ; სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების ან მისთვის ახალი მოვალეობის დაკისრების შესახებ; პირობით მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების გამო გამოსაცდელი ვადის არაუმეტეს ერთი წლით გაგრძელების შესახებ; პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ; პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების შესახებ; სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ; იურიდიული პირისათვის დანიშნული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ; მსჯავრდებულისათვის დანიშნული შინაპატიმრობის სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესახებ. პრობაციის წარმომადგენელი სასამართლოში წარმოადგენს მხარეს, ხოლო წარდგინებაზე გადაწყვეტილებას, შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით, იღებს სასამართლო.

### 5.4. შეღავათები და სხვა სერვისები

კანონით გათვალისწინებული შეღავათების დაწესება ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა ბენეფიციარებთან მუშაობისას. როგორც აღინიშნა, შეღავათები უნდა გამომდინარეობდეს ინდივიდუალური გეგმიდან და რისკების მაჩვენებლიდან, რაშიც მოიაზრება როგორც მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა,

ასაკი, კრიმინოგენური ფაქტორები, ასევე სხვა გარემოებები. შეღავათი შეიძლება დაწესდეს ბიუროში გამოცხადების ვალდებულებაზე. ნაცვლად კვირაში ერთხელ გამოცხადებისა, მან შეიძლება ისარგებლოს ორ კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ (საფასური 400 ლარი) ან სამ თვეში ერთხელ გამოცხადებით, ასევე ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო პრობაციის ოფიცრის მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელ მისამართზე სამ თვეში ერთხელ ვიზიტით.

საზღვარგარეთ გამგზავრების საჭიროების შემთხვევაში მსჯავრდებულზე შეიძლება გაიცეს ნებართვა. ნებართვის გასაცემად საჭიროა კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილება და, თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი საფასურის გადახდა. საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გაცემისა და შეღავათების დაწესების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბიუროს უფროსი, სააგენტოს უფროსთან შეთანხმების საფუძველზე.

პირობით მსჯავრდებულს, ბიუროს თანხმობის შემთხვევაში, უფლება აქვს რეგისტრაცია დროებით სხვა პრობაციის ბიუროში გაიაროს.

### 5.5. მუდმივმოქმედი კომისია

კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულის მიერ საპრობაციო ვადის პოზიტიურად გავლას, არის პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნის შესაძლებლობა. თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ (საქართველოს სსკ-ის 67[1] მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო შეთანხმების პირობების შესაბამისად კი, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც) ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლისა და მისი დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ. მუდმივმოქმედი კომისია პირის მიმართვისა და სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პირისთვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების საკითხს (აუცილებელია, გასული იყოს ჩამორთმევის ვადის ერთი მესამედი). კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ კომისია პირის მიმართვის საფუძველზე ასევე განიხილავს და წყვეტს პირისთვის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლების ვადამდე აღდგენის/ვადის შემცირების საკითხს.

კომისიის შემადგენლობაში არიან: სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამოქალაქო დანაყოფში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთი მოსამსახურე, სააგენტოს სისტემის ორი თანამშრომელი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენელი. კომისიის საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.

### 5.6. ვიდეოპაემანი

პრობაციის სამსახური უზრუნველყოფს ვიდეოპაემნის უფლებით მოსარგებლე თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის პროცესის ადმინისტრირებას.

### 5.7. რეკომენდაციები ტრენერისათვის

განხილულ ქვეთავში ყურადღება უნდა გამახვილდეს საქმის რიგითობით განაწილებაზე, პრობაციის ოფიცრის თვითაცილებასა და აცილებაზე, აქტის მიმღები ორგანოსთვის საქმისწარმოების დაწყებისა და დასრულების/შეწყვეტის შესახებ შეტყობნების, აგრეთვე მსჯავრდებულისათვის პრობაციის ბიუროში გამოცხადების შესახებ გაფრთხილების გაგზავნაზე. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოსაცდელი ვადის დაწყება-დასრულებაზე, განაჩენთა ერთობლიობაზე.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის არმცოდნე ბენეფიციარებისათვის უფლებამოვალეობები ნათარგმნია ბევრ სხვადასხვა ენაზე, რასაც წარმატებით იყენებს პრობაციის ოფიცერი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თარჯიმნის სერვისით სარგებლობაც.

განსაკუთრებული რეგულაციებია დაწესებული საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. საზღვარგარეთ უნებართვოდ გასვლის მცდელობა ასევე გამოიწვევს დაჯარიმებას, ნებართვის გაუქმებას.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება საქმისწარმოებისას დოკუმენტის ადრესატისათვის ჩაბარების წესზე.

### 6. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (სასამართლო, ადგილობრივი საბჭო, განრიდება)

„წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 20 იანვრის რეკომენდაციის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის საზოგადოებრივი სასჯელის სახე ან ღონისძიება, რომელიც გულისხმობს პრობაციის ორგანოს მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო შრომის აღსრულების ორგანიზებასა და მასზე ზედამხედველობას, სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზიანის რეალურ ან სიმბოლურ ანაზღაურებას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არ უნდა ჰქონდეს დამამცირებელი (მასტიგმატიზირებელი) ხასიათი და პრობაციის ორგანო უნდა შეეცადოს ისეთი სამუშაოს მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის უნარ-ჩვევების განვითარებას და მის სოციალურ ჩართულობას.

საზოგადოებრივი სანქციის ეს ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კარგი საშუალებაა, რომ კანონდამრღვევმა თავისი შრომით გამოასწოროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ორმოციდან რვაას საათამდე ვადით, ნიშნავს სასამართლო როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. განსხვავებული მდგომარეობაა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში. საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს,

რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. ასეთ შემთხვევაში შესასრულებელი შრომის საათები გაცილებით მაღალი შეიძლება იყოს, ვიდრე სასამართლოს მიერ დანიშნული. საპატიმრო სასჯელის დაანგარიშებით ხდება სასჯელის შეცვლა და არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საათებმა სამი ათას საათზე მეტი შეადგინა. შეიძლება ითქვას, ასეთი სასჯელი მძიმე მდგომარეობაში აგდებს მსჯავრდებულს, მის აღსრულებას წლებიც შეიძლება დასჭირდეს და ამ პერიოდში იგი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოკლებულია შესაძლებლობას, მოიძიოს ანაზღაურებადი სამუშაო.

საკანონმდებლო სიახლეა, როცა მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი, წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით. მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეიძლება შეეცვალოს არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით, კანონით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად - პატიმრობის ერთი დღე შრომის ხუთი საათი.

დაახლოებით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახისაა განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება. თუ განრიდების სუბიექტი იკისრებს საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულებას, როგორც განრიდების პირობას, პროკურორი პრობაციის ბიუროს უგზავნის ინფორმაციას ამ პირის მიერ ნაკისრი განრიდების პირობის შესახებ.

პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს/განრიდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის/სამუშაოს სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. იგი აღსრულდება საჯარო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება აღსრულდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირში.

უნდა აღინიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის ეკონომიკური ეფექტიანობა - ნაკლები ხარჯი, რაც საპატიმრო სასჯელს ახლავს თან. ეს ასევე არის ეფექტიანი საშუალება, დამსაქმებელმა (სასჯელის მოხდის ადგილი) წარმატებით გამოიყენოს აღნიშნული რესურსი. ასევე მნიშვნელოვანია

საზოგადოების სწორად ინფორმირება, რომ მსჯავრდებულმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ფარგლებში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარკის, სკვერის თუ სხვა ადგილის შექმნასა თუ მოწესრიგებაში.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა ყოველდღიურად არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. იგი შეიძლება შესრულდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, მსჯავრდებულს უფლება აქვს, თავისი სურვილით, საზოგადოებისათვის სასარგებლოდ იმუშაოს დასვენების დღეებშიც. პატივსადები მიზეზების არსებობისას დამსაქმებელს, პრობაციის ოფიცერთან შეთანხმებით, შეუძლია გაათავისუფლოს მსჯავრდებული კონკრეტულ დღეს სამუშაოს შესრულებისაგან. ამ შემთხვევაში მსჯავრდებული შეუსრულებელ სამუშაოს სხვა დროს შეასრულებს. თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

### 7. შინაპატიმრობა

სასჯელის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეა შინაპატიმრობა. შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. იგი გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვას სახლის, და არა რომელიმე სპეციალური ინსტიტუციის პირობებში. შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. შინაპატიმრობა შეიძლება დაინიშნოს ექვს თვეზე მცირე და ორ წელზე მეტი ვადითაც, თუ თავისუფლების აღკვეთა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო ან ჯარიმა შეიცვლება შინაპატიმრობით. შინაპატიმრობა არ დაენიშნება გაწვეულ სამხედრო მოსამსახურესა და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასჯელაღსრულების სისტემაში. ელექტრონული მონიტორინგისას მსჯავრდებული აცნობიერებს, რომ მისი ადგილსამყოფელი კონტროლდება. ეს ყოველივე ხელს უწყობს განმეორებით დანაშაულის ჩადენის პრევენციას, რაც ელექტრონული მონიტორინგის სარეაბილიტაციო შედეგს წარმოადგენს. ასევე იგი ნაკლებხარჯიანია და მოიცავს დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებს საზოგადოებისათვის, ხელს უწყობს არასაპატიმრო სასჯელის წარმატებით აღსრულებას, მსჯავრდებულთა ეფექტიან კონტროლს და მონიტორინგს, ზოგავს საბიუჯეტო რესურს და განმეორებით დანაშაულის პრევენციას უწყობს ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს იმ მოსაზრების არსებობა, რომ ელექტრონული მონიტორინგით ირღვევა მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლება (Privacy).

შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო.

შინაპატიმრობის აღსრულებისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი

მსჯავრდებულის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს.

აპარატურის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს აპარატურის სრული ღირებულების ოდენობის ფულადი თანხის - 5000 ლარის - განთავსება სააგენტოს სპეციალურ სადეპოზიტო ანგარიშზე აპარატურის დამაგრებიდან 7 დღის განმავლობაში.

იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ. სხვადასხვა პირობის არსებობის შემთხვევაში, კანონით შესაძლებელია რეჟიმის დარღვევის საპატიოდ ჩათვლა.

როგორც აღინიშნა, შინაპატიმრობას როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით იყენებს სასამართლო. ასევე შესაძლებელია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით, სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალოს შინაპატიმრობით. საკანონმდებლო სიახლეა ის, რომ მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთაც აგრეთვე შეიძლება შეეცვალოს შინაპატიმრობით, მსგავსად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მისი შეცვლისა. სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე იგივე პირობები ვრცელდება, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე.

### 7.1. რეკომენდაციები ტრენერისათვის

კანონი მნიშვნელოვან შეღავათს აწესებს არასრულწლოვნებისა და სოციალურად დაუცველი პირების მიმართ. ისინი გათავისუფლებულნი არიან ყოველთვიური საფასურის გადახდისაგან; სოციალურად დაუცველი პირები ასევე თავისუფლდებიან საგარანტიოს წარდგენისაგან. ამ უკანასკნელისგან კანონი არ ათავისუფლებს არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რაც ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

გამოწვევაა ისიც, რომ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით სასჯელშეცვლილი მსჯავრდებულები მეტად არიან ინფორმირებულნი შინაპატიმრობის შესახებ, ვიდრე სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირები.

## 8. სხვა არასაპატიმრო სასჯელები

### 8.1. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. იგი შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად მსჯავრდებულს ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს

დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

ძირითად სასჯელად შინაპატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან და ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

პრობაციის ოფიცერი უფლება-მოვალეობების გაცნობის შემდეგ განუმარტავს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის წესებს და პირობებს, პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. თუ პრობაციის ოფიცერი დაადგენს, რომ მსჯავრდებულს დაკავებული აქვს აკრძალული თანამდებობა, ოფიცერი დამსაქმებელ თანამდებობის პირს უგზავნის მოთხოვნას, გაათავისუფლოს მსჯავრდებული დაკავებული თანამდებობიდან ან აუკრძალოს მას განაჩენში მითითებული საქმიანობა.

### 8.1.1. რეკომენდაცია ტრენერისათვის

თუ საქმისწარმოება მიმდინარეობს მხოლოდ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ნაწილში, მსჯავრდებულს უფლება აქვს დატოვოს საზღვარი.

## 8.2. სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იურიდიული პირისათვის უვადოდ ან ერთიდან ათ წლამდე ვადით საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვას. იგი შეიძლება გავრცელდეს საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ან რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული.

იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სამართლებრივი აქტის აღსრულებისას პრობაციის ოფიცერი იღებს ზომებს იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემებში აკრძალული საქმიანობის სახისა და ამ საქმიანობის აკრძალვის ვადის აღნიშვნის უზრუნველსაყოფად. თუ იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ეხება იურიდიული პირის სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის აკრძალვას, პრობაციის ოფიცერი სათანადო ლიცენზიის/ნებართვის გამცემ ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. თუ იურიდიული პირი აკრძალულ საქმიანობას აგრძელებს, პრობაციის ბიუროს უფროსი მიმართავს სასამართლოს წარდგინებით იურიდიული პირისათვის დანიშნული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს რეალობაში ასეთი სასჯელი ძალზე იშვიათია.

## 8.3. გამასწორებელი სამუშაო

გამასწორებელი სამუშაო შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. იგი ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. მსჯავრდებულს ხელფასიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ ექვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით, შემოსავლის არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა. აღნიშნული სასჯელის

განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ მსჯავრდებული იყოს დასაქმებული. გამასწორებელი სამუშაო იწყება იმ დღიდან, როდესაც დამსაქმებლის ადმინისტრაცია, სადაც მსჯავრდებული მუშაობს, პრობაციის ბიუროსაგან მიიღებს სასამართლო განაჩენის ასლს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს.

დამსაქმებლის ადმინისტრაციას ეკისრება:

ა. მსჯავრდებულის ხელფასიდან სწორი და დროული დაქვითვის და დაქვითული თანხის დადგენილი წესით გადარიცხვის განხორციელება;

ბ. მსჯავრდებულის ყოფაქცევის გაკონტროლება;

გ. პრობაციის ბიუროსათვის შეტყობინება მსჯავრდებულის მიმართ წახალისებისა და დასჯის მეთოდების გამოყენების შესახებ;

დ. შეტყობინება მსჯავრდებულის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე;

ე. თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პროცესში დამსაქმებლის ინიციატივით გათავისუფლდა სამუშაოდან, ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ.

### 8.4. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ნიშნავს იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების შეზღუდვას ან/და აკრძალვას. იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად. აღნიშნული სასჯელი, როგორც წესი, ინიშნება უმეტესწილად ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებული აღრიცხვაზე აჰყავს და განუმარტავს მას სასჯელის მოხდის წესებსა და პირობებს.

პრობაციის ოფიცერი აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის წარმოებაში მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უგზავნის მოთხოვნას მსჯავრდებულისთვის იარაღთან დაკავშირებული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იარაღთან დაკავშირებული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმებასა და იარაღის ჩამორთმევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პრობაციის ოფიცრის მოთხოვნის საფუძველზე ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციას აწვდის პრობაციის ბიუროს ზომების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

## 9. პრობაციის სახის სამართლებრივი აქტები

### 9.1. პირობითი მსჯავრი

პირობითი მსჯავრის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით მეცნიერებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მას სხვადასხვაგვარად განიხილავენ: როგორც სასჯელის განსაკუთრებულ სახეს; სასჯელის აღსრულების გადავადებად; აღმზრდელობითი ზემოქმედების საშუალებად, რომელიც მიმართულია მსჯავრდებულის გამოსწორებისაკენ; სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვა ღონისძიებად; სასჯელის აღსრულების განსაკუთრებულ რეჟიმად, რომლის დროსაც განაჩენის აღსრულება არ ხდება.

საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი მსჯავრის დეფინიციას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს. აღსანიშნავია, რომ პირობითი მსჯავრი სასჯელის სახე არ არის და მას ზემოაღნიშნულ კოდექსში ცალკე თავი აქვს დათმობილი. პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც შეეფარდება იმ მსჯავრდებულს, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია რეალური სასჯელის მოხდის გარეშე გამოსაცდელი ვადის დაწესებით. მნიშვნელოვანია გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა. პირობითი მსჯავრის მიზნებიდან გამომდინარე, დღევანდელი მდგომარეობით, გამოსაცდელი ვადა შეიძლება იყოს ერთი წლიდან ექვს წლამდე.

პირობითი მსჯავრის აღსრულების ორგანოა პრობაციის ბიურო, გარდა გამონაკლისისა - მოქმედი სამხედრო მოსამსახურის შემთხვევაში მასზე ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი სამხედრო ნაწილი.

გამოსაცდელი ვადის პერიოდში პრობაციის ოფიცერი აკონტროლებს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას, მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს, შეძლებისდაგვარად ეხმარება მსჯავრდებულს შრომით მოწყობაში, ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან; შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულებას იგი ახორციელებს მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას პრობაციის ოფიცერი თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან. იგი „არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად ახორციელებს მსჯავრდებულის მიერ კანონით დადგენილი რეჟიმის შესრულების თაობაზე ინფორმაციის, აგრეთვე მსჯავრდებულის შესახებ სხვა ინფორმაციის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციას.

### 9.2. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

თავისუფლებააღკვეთილი პირის ერთ-ერთ უფლებას, რომელიც ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას, წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება (გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა). აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირსაც.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის დახმარება, რათა მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში კანონმორჩილი ცხოვრება გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.

მსჯავრდებული, რომელსაც შეფარდებული აქვს საპატიმრო სასჯელი, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს იუსტიციის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის - ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.

ბიუროში საქმისწარმოება დაახლოებით იმავე წესის შესაბამისად ხდება, როგორც პირობითი მსჯავრის დროს.

### 9.3. სასჯელის მოხდის გადავადება (ორსული ქალისათვის, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე)

სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს შვილზე ან თავს არიდებს მის აღზრდას, პრობაციის ოფიცერი მას წერილობით აფრთხილებს, რომ ასეთი ქმედება სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის წარდგინების საფუძველია. როდესაც შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან, ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

## 10. არასრულწლოვანთა საქმისწარმოება

ქართულმა სამართლის სისტემამ გამიჯნა არასრულწლოვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი სრულწლოვანისაგან. მნიშვნელოვანია მოიძებნოს კომპრომისი სადამსჯელო და სოციალური კეთილდღეობის სისტემებს შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ერთი მხრივ, დასჯა მოითხოვს იძულებით აღკვეთ მიდგომებს სამართლიანობის აღსადგენად, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის მისაღწევად, სამართლიანი სასამართლოს პრინციპისა და ჩადენილ დანაშაულთან სასჯელის პროპორციულობის პრინციპის დასაცავად. მეორე მხრივ კი, არასრულწლოვანი არ არის მომწიფებული იმისთვის, რომ მან სრულად გაითავისოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე/ხასიათი/შედეგი; ის განათლების სუბიექტი უფრო უნდა იყოს, ვიდრე დასჯას დაქვემდებარებული პირი, რადგან დასჯამ შესაძლოა გაზარდოს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, არასრულწლოვნებთან მიმართებით პრიორიტეტი ენიჭება მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და არა სამართლიანობის აღდგენის მიზანს. არასრულწლოვნის სასჯელის სახეებია: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

აღსანიშნავია, რომ პრობაციის სამართლის სისტემაში, ისევე როგორც, ზოგადად, სისხლის სამართლის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არასრულწლოვანთა საქმისწარმოებას. ამ პროცესს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები აწარმოებენ. საქმისწარმოებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებია: არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო

სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის აღრიცხვაზე დაყენებას და მისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი. არასრულწლოვანთან მიმართებით კანონმდებლობა მთელ რიგ შეღავათებს ითვალისწინებს. არასრულწლოვანი გათავისუფლებულია საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურის გადახდისაგან, ასევე გათავისუფლებულია შინაპატიმრობის საფასურის გადასახადისაგან. გამოცხადების რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ, საჯარიმო ქვითრის ნაცვლად, დგება ოქმი გაფრთხილების შესახებ. კანონი ასევე ადგენს არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის განსხვავებულ პირობებს.

### 10.1. რეკომენდაცია ტრენერისათვის

არასრულწლოვნის საქმისწარმოებისას ბენეფიციართან მუშაობის პროცესში, შეფასებისა და შემდგომი გეგმის განხორციელების მიზნით, თავიდანვე ერთვება სოციალური მუშაკი.

## 11. გამოყენებული ლიტერატურა


- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
- საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება N89 არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
- *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013.
- *არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ.*, პრობაციის სამართალი, თბ., 2015.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.


## 12. რეკომენდებული ლიტერატურა


- საქართველოს კონსტიტუცია (II თავი).
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
- საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

- საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.
- საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (III და IV თავი).
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N485 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N486 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება N89 არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის ბრძანება N31 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილის სათანადო სახის დაზღვევით უზრუნველყოფის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე.
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 17 ივნისის ბრძანება N107 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილისათვის კვების ხარჯების დანიშვნის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება N502 სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 09 თებერვლის ბრძანება N682 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დამტკიცების შესახებ.
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის ბრძანება N55 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის N146 ბრძნება შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 09 აგვისტოს ბრძანება N321 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

# თავი XVI. თანამედროვე ტექნოლოგიების როლი პრობაციის სისტემაში

ავტორი: ***მორეტა ბობოხიძე***

## 1. შესავალი

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპით გამოირჩევა და, პროგრესთან ერთად, ის მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს ამა თუ იმ სფეროს. გამონაკლისი არც პრობაციის სისტემაა. დღესდღეობით, პრობაციის ოფიცრების მიერ ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენება ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამები, ელექტრონული მონიტორინგი, ვირტუალური კონფერენციები და პაემნები - ის, რაც  წარმოუდგენელი იყო ათი წლის წინ. ტექნოლოგიაზე წვდომა მხოლოდ პრობაციის ოფიცრებს არ აქვთ. ტექნოლოგიებმა ასევე შექმნა ახალი დამნაშავე, კიბერდანაშაულები; დამნაშავეები, რომლებიც დანაშაულის ჩადენისათვის ტექნოლოგიებს იყენებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა რგოლის თანამშრომლებმა (პოლიტიკის შემქმნელები, პროექტების მენეჯერები, ICT სპეციალისტები და ა.შ.) დღევანდელ გამოწვევებსა და პრობაციაში ტექნოლოგიური დომენის შემდგომი განვითარების ეტაპების შესახებ მსჯელობა აქტიურ ფაზაში გადაიყვანონ და იპოვონ საუკეთესო გადაწყვეტილებები.

### 1.1. თავის მოკლე მიმოხილვა და მიზნები

წინამდებარე თავი წარმოადგენს პრობაციის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიებით გამოწვეული მიღწევებისა და ბარიერების მიმოხილვას. ხელოვნური ინტელექტი, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უკვე განუყოფელ ნაწილად იქცა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ადამიანის უფლებების დასაცავად, ისე მათი დარღვევისათვის. თანამედროვე ტექნოლოგიებზე მსჯელობა პრობაციის სისტემის თანამშრომლებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ მათი საქმიანობის ამოცანები ვირტუალურ სივრცეში და იპოვონ ადამიანის უფლებების დაცვისათვის საუკეთესო ციფრული გადაწყვეტილება ალტერნატიული სასჯელების აღსრულებისას, ამასთანავე, შეიმუშაონ სტრატეგია პრობაციის სამსახურის მომავალი განვითარებისათვის ციფრულ ერაში.

## 2. ციფრული ტენდენციები პრობაციაში

ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ექსპერტები, პროფესორები და მკვლევრები შეისწავლიან კანონ-შემოქმედების, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებასა და სხვა მომიჯნავე სექტორებზე ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენას. პრობაციის ევროპულმა ორგანიზაციამ (CEP) შექმნა „ტექნოლოგიის ექსპერტთა ჯგუფი“,

რომელიც ყოველწლიურად მართავს კონფერენციას და განიხილავს ტექნოლოგიურ სიახლეებს, მიღწევებსა და გამოწვევებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. 2020 წელს ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე გამოქვეყნდა ტექნოლოგიების სია, რომელიც დღეს გამოიყენება პრობაციაში:

- ელექტრონული მონიტორინგი და ბიომეტრიული ტექნოლოგიები;
- პროგრამები მობილურებისთვის, ტაბლეტებისთვის, სენსორული ეკრანებისთვის;
- ციფრული ინსტრუმენტული კომპლექტები და ინტერვენციები;
- ვირტუალური რეალობა, ვიზუალიზაცია, სიმულაცია;
- ვიდეოკონფერენციის საკომუნიკაციო ტექნოლოგია;
- ციფრული პლატფორმები მომხმარებლისთვის შემუშავებული შინაარსით;
- სათამაშო / კომპიუტერზე დაფუძნებული სერიოზული თამაში;
- ციფრული სკრინინგისა და შეფასების ინსტრუმენტები;
- პერსონალის ციფრული მაგიდები და კლიენტების პორტალები;
- ციფრული გადაწყვეტილების მიღების ხელსაწყოები პერსონალისთვის;
- ხელოვნური ინტელექტი (AI) და დიდი მონაცემები;
- სოციალური მედია და სხვა.

მიზანი:

- თავისუფლების ან/და პირადი ცხოვრების შეზღუდვა;
- პატიმრობის ალტერნატივა და განრიდება;
- მეთვალყურეობა და მონიტორინგი;
- პირობების შესრულების მოტივაცია;
- დანაშაულის კონტროლი და დანაშაულის შემცირება;
- რისკის მართვა, მსხვერპლის დაცვა და საზოგადოებრივი დაცვა.

შედეგი:

- ინდივიდებისა და მათი გარემოებების მიმართ მაღალი მგრძნობელობა და პერსონალიზება;
- გამძლეობის, გამოჯანმრთელების და რეინტეგრაციის პროცესების მხარდაჭერა;
- აგენტობა, თვითეფექტიანობა და ზრდა;
- ნაკლები დრო, ფული, დატვირთვა და რესურსები;
- მეტი კომუნიკაცია, ტრადიციული ინტერვენციების ან/და სისტემების გაციფრულება.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, დადებით ფაქტორებთან ერთად, შეიცავს არაერთ საფრთხეს, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დაცვას, რეგულირებისა და სტანდარტიზაციის ნაკლებობას, ბუნდოვან ან არარსებულ გაიდლაინებსა და კანონმდებლობას. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა პრობაციის სისტემაში გარდაუვალია, თუმცა მათი ეფექტიანობის

დასადგენად მკაცრი შეფასებაა საჭირო. ინოვაციური გადაწყვეტილებების შეფასება საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების სისტემის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

### 3. ალტერნატიული სასჯელების სახეები და ხელოვნური ინტელექტი

#### 3.1. არასაპატიმრო სასჯელი

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში არასაპატიმრო სასჯელები ფართოდ გამოიყენება და მათი აღსრულება სცდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს. საზოგადოებრივი სანქციები (community sanctions) და საზოგადოებრივი მეთვალყურეობა (community supervision) ამერიკასა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში აპრობირებული პრაქტიკაა. ციხის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2020 წელს ამერიკაში, 100,000 მოსახლეზე, 1730 პირს შეეფარდა არასაპატიმრო სასჯელი, ხოლო ევროპაში - 211-ს. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებაში ჩართულია პრობაციის სამსახური, ადგილობრივი თვითმმართველობა ან/და მუნიციპალიტეტი, მერიის სამსახურები, კერძო და არასამთავრობო სექტორი, მოხალისეები და ყოფილი სამართალდამრღვევები, რომლებმაც გაიარეს სრული რეაბილიტაცია. მულტისექტორული თანამშრომლობა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის გადანაწილებას, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობას უსაფრთხო და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

დანაშაულის პრევენციის, რეციდივის შემცირებისა და სამართალდამრღვევის რეინტაგრაციის მიზნით გამოიყენება ალტერნატიული სასჯელების ისეთი სახეები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით ამარტივებს მათ აღსრულებას და მულტისექტორულ თანამშრომლობას. ესენია:

ა) ინტენსიური ზედამხედველობა.

ინტენსიური მეთვალყურეობა ელექტრონული მონიტორინგით („ტეგი“) არის თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა. მსჯავრდებულს აკონტროლებენ 24 საათის განმავლობაში სხეულზე მიმაგრებული გადამცემის დახმარებით. ინტენსიური ზედამხედველობა ასევე ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც სასამართლომ მაქსიმალური ექვსთვიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ბ) პირობითი სასჯელი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასთან ერთად.

ეს სასჯელი, ძირითადად, მაშინ გამოიყენება, როდესაც პირმა ჩაიდინა ერთჯერადი ხასიათის დანაშაული. მისი კომბინირება შესაძლებელია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასთან, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში.

გ) გამოსაცდელი ვადა (პრობაცია) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასთან ერთად.

პირობით მსჯავრს ემატება ანაზღაურების გარეშე სამუშაოს შესრულების ბრძანება. სასამართლო ადგენს საათების რაოდენობას, რომლებიც მერყეობს 40-დან 240 საათამდე.

დ) გამოსაცდელი ვადა (პრობაცია) სპეციალურ სამკურნალო გეგმასთან ერთად.

კონტრაქტით მკურნალობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ნივთიერებების ბოროტად, ხანგრძლივი დროით მოხმარებისას, როდესაც აშკარა კავშირია ბოროტად გამოყენებასა და დანაშაულს შორის. სასამართლოსა და მსჯავრდებულს შორის დგება ხელშეკრულება ინსტიტუციონალურ ზრუნვასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ჩატარდეს სახლში ან ღია კლინიკაში.

### 3.2. ხელოვნური ინტელექტი

ევროპის საბჭო ხელოვნურ ინტელექტს განმარტავს, როგორც „მეცნიერებების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების რეპროდუცირება მანქანის მიერ. არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების დელეგირებას მანქანისთვის."

ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა და დანაშაულის პრევენცია სწრაფად და მინიმალური რესურსებით. უსაფრთოებისა და სამართალდამცავ სტრუქტურებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია: ა) ნიმუშების და ანომალური ქცევის გამოვლენა; ბ) ხალხის ქცევისა და დანაშაულის ნიმუშების პროგნოზირება; გ) კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა; დ) კრიმინალური ქსელების გამოვლენა; ე) სასამართლო პრაქტიკის ისტორიის ანალიზი; ვ) კვლევის/ძიების პროცესის გამარტივება; ზ) მტკიცებულებების შეჯამება; თ) ინფრასტრუქტურის დარღვევების პროგნოზირება; ი) განაწილებული სენსორული სისტემები და ნიმუში; კ) ოპერაციების მორგება მინიმალური ზემოქმედებისათვის.

### 3.3. საზოგადოებრივი ზედამხედველობის გაძლიერება ტექნოლოგიების მეშვეობით

ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით შეიძლება გაუმჯობესდეს პრობაციის ოფიცრის უსაფრთხოება და უნარები. თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია: ა) პრობაციის ოფიცრების უფრო ეფექტიანად მომზადება/გადამზადება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საბაზისო უნარები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენცია; ბ) პრობაციის ოფიცრების მიერ ჩატარებული ტრენინგების შეფასება; გ) უკუკავშირის დროულად მიღება. იმის გათვალისწინებით, რომ საზედამხედველო სერვისების მიწოდება იზრდება იმ თემში, სადაც სამართალდამრღვევი, უშუალოდ, ცხოვრობს და მუშაობს, ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია პრობაციის ოფიცრების მიერ საველე სამუშაოების განხორციელება. ამასთანავე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე - უსაფრთხოებაზე. უნდა შემუშავდეს და შეფასდეს მოწინავე გადაუდებელი დახმარების სისტემები, რათა დადგინდეს მათი გავლენა პრობაციის ოფიცრის უსაფრთხოებაზე, რომელიც მეწყვილის გარეშე მუშაობს.

ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციები, რაც უდიდეს როლს ასრულებს რეციდივის შემცირებაში. ავტომატიზებული საშუალებები დაეხმარება პრობაციის ოფიცერს კონკრეტული სამართალდამრღვევის კრიმინოგენური საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირებაში. ვინაიდან პრობაციის სააგენტოების დღის წესრიგში დგას სათემო ზედამხედველობაზე გადასვლა, საჭიროა კვლევების ჩატარება, რათა შეფასდეს თანამშრომლების მეტი მობილურობის გავლენა მათზე დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად განხორციელებაზე. ამასთანავე, მობილობის სტრატეგიების განსახორციელებლად სააგენტოებს სჭირდებათ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

### 3.4. ტექნოლოგია ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების შენარჩუნებას და ქცევის პოზიტიურ ცვლილებას

ადგილმდებარეობის მონიტორინგის ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობა იზრდება და, შესაბამისად, იზრდება თანმხლები ხარჯებიც - აღჭურვილობის-

თვის და პრობაციის ოფიცრის გადატვირთული რეჟიმის გამო. ამ ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, სასურველი შედეგის მისაღწევად საჭიროა კვლევების ჩატარება. ასევე აუცილებელია შეფასებები ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ყველაზე ეფექტიანი მიდგომის დასადგენად, დაბალი რისკის სამართალდამრღვევთა მიმართ ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. ტექნოლოგიას შეუძლია დაეხმაროს სააგენტოებს ოპერაციების გაუმჯობესებაში. არსებობს მრავალი შესაძლებლობა ოპერაციული ან ადმინისტრაციული ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, რაც იძლევა მწირი რესურსების უკეთ გამოყენების საშუალებას, მაგალითად, ეფექტიანი, ინტერნეტზე დაფუძნებული მიდგომა მსხვერპლისგან შეტყობინების მისაღებად. გარდა ამისა, თანამედროვე კომუნიკაციის მეთოდების (მაგალითად, ტექსტური გზავნილის) გამოყენება უნდა განიხილებოდეს ოფიცრებსა და სამართალდამრღვევებს შორის კონტაქტის შენარჩუნების საშუალებად პირდაპირი ურთიერთკავშირის დროს.

### 3.5. რეკომენდაციები

- განვითარებული ტექნოლოგიების გაანალიზება, მათი პოტენციალის შესაბამისად, პრობაციის ოფიცრის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.
- პრობაციის ოფიცრების უნარების განვითარებისთვის ვირტუალური რეალობის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის შეფასება.
- ავტომატიზებული ვიდეოანალიტიკის ქმედითობისა და ეფექტიანობის შესწავლა ინტერვენციების ხარისხის შეფასების მიზნით.
- ტარებადი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეფასება, რამაც შეიძლება გაუმჯობესოს უკუკავშირი.
- ავტომატური შეხსენების ტექნოლოგიების გავლენის შეფასება პრობაციონერის გამოცხადების მაჩვენებლებსა და ოფიცერთა დატვირთვებზე.
- წახალისების პროგრამების სარგებლის დადგენა.
- არსებული ინსტრუმენტების იდენტიფიცირება (ან ახლის შემუშავება), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოფიცრებისათვის კრიმინოგენური საკვანძო საკითხების დასადგენად დამნაშავეებთან ურთიერთობისას.
- მობილური, სათემო მეთვალყურეობის მიდგომების ეფექტიანობის შესახებ კვლევის ჩატარება ტრადიციული, საოფისე მეთვალყურეობის საპირწონედ.
- ეფექტიანი სტრატეგიების განსაზღვრა ოფიცრების საველე სამუშაოებისათვის მოსამზადებლად.
- ადგილმდებარეობის მონიტორინგის ტექნოლოგიაზე კვლევის ჩატარება ამ მიდგომისთვის ყველაზე შესაფერისი პოპულაციების და მონიტორინგის ოპტიმალური პერიოდების დასადგენად.
- კვლევის ჩატარება, რათა მიღებულ იქნეს სათანადო ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები დაბალი რისკის დამნაშავეთა მონიტორინგისთვის, დამნაშავეთა მახასიათებლებში განსხვავებების გათვალისწინებით.
- მსხვერპლთათვის განკუთვნილი იმ პორტალების რისკებისა და სარგებლის გამოკვლევა, სადაც მსხვერპლს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დამნაშავეზე ან საქმის მასალები.
- შესაბამისი ტექნოლოგიის არჩევის საუკეთესო პრაქტიკის დადგენა.

- Case Study-ის (შემთხვევების გამოკვლევები) შემუშავება, რომლებიც ხაზს უსვამს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენების სარგებელს.
- თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკის დადგენა.
- დაფების (Dashboard) შემუშავება, რომლებიც აუმჯობესებს ოფიცრების შესაძლებლობას, მოიპოვონ ინფორმაცია შეგროვებული მონაცემებიდან.
- Case Study-ის (შემთხვევების გამოკვლევები) შემუშავება, რაც აჩვენებს მომხმარებელთა გაუმჯობესებული ინტერფეისების გავლენას გადაწყვეტილებების მიღებისა და ზედამხედველობის შედეგებზე.
- რეციდივის მაჩვენებელზე დამნაშავეთა მონაცემების პროგნოზირებადი ღირებულების შესწავლა - მაგალითად, სტაბილური დასაქმება, ნარკომანიის ტესტის შედეგები და არგამოცხადება.

## 4. საერთაშორისო კანონმდებლობა და მექანიზმები

### 4.1. ევროკავშირი

სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, ევროკავშირმა 2016 წელს ახალი კანონმდებლობა მიიღო - „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)“, რომელიც 2018 წლის მაისში შევიდა ძალაში. ამასთანავე, ევროკავშირმა მიიღო კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოების მიერ მონაცემთა დაცვის დამუშავებაზე სამართლის დასაცავად. დირექტივა (EU) 2016/680 ადგენს მონაცემთა დაცვის წესებსა და პრინციპებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია, გამოძიება, დადგენა, სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის აღსრულება.

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მოქმედება ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის სამოქმედო არეალზე და მოიცავს შვიდ ძირითად პრინციპს: გამჭვირვალობა, სამართლიანობა და კანონიერება; დამუშავების მიზნის შეზღუდვა (ე.წ. purpose limitation); მონაცემთა მინიმიზაცია; სიზუსტე; ანგარიშვალდებულება; მთლიანობა და კონფიდენციალურობა; შენახვის ლიმიტირება.

შექმნილია ევროკავშირის მონაცემთა უსაფრთხოების საბჭო, რომელიც სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს გამოსცემს AI-ის შემქმნელებისა და მომხმარებლებისთვის.

### 4.2. ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულია ინტერნეტმმართველობის სტრატეგია 2016-2019, ისევე როგორც მისი განახლებული პროექტი - „ციფრული მმართველობის სტრატეგია 2020-2023”. ევროპის საბჭომ შექმნა Ad-hoc კომიტეტი (CAHAI) ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რომლის მთავარი დანიშნულებაა ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ჩარჩოების, მარეგულირებელი ნორმების, სტანდარტებისა და ეთიკური პრინციპების შესწავლა-ანალიზი. CAHAI ევროპის საბჭოს მნიშვნელოვანი უფლებამოსილი რგოლია ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ნორმებისა და ეთიკური სტანდარტების განსაზღვრის სფეროში. იგი სამი სამუშაო ჯგუფისგან შედგება, რომლებიც თემატური მიმართულებით მუშაობენ: ა) ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკის განმსაზღვრელი (Policy

Development) ჯგუფი; ბ) ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი კვლევების ჯგუფი; გ) კომუნიკაციებისა და კონსულტაციების ჯგუფი.

### 4.3. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია - საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი, ატარებს გლობალურ სამიტს - "AI for Good Global Summit", რომელიც წარმოადგენს გლობალური და ინკლუზიური დიალოგის პლატფორმას AI ინოვატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და რომლის მიზანია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების საერთო ხედვაზე ჩამოყალიბება.

ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების შესახებ კვლევების წარმოებითა და ანგარიშების წარდგენით, გაეროს სპეციალური მომხსენებლები მნიშვნელოვან რეკომენდაციებს და სახელმძღვანელო მითითებებს აძლევენ ქვეყნებს, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტის ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტით დანერგვა სურთ.

### 4.4. ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD)

2019 წელს 42 ქვეყანამ მოაწერა ხელი OECD-ის ხელოვნური ინტელექტის პრინციპებს, რომლის მიზანიცაა ქვეყნების შეთანხმება ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოდ, სამართლიანად და სანდოდ გამოყენება/განვითარებაზე. OECD-ის ხელოვნური ინტელექტის პრინციპებია: ა) ინკლუზიური ზრდა, მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა; ბ) ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებები და სამართლიანობა; გ) გამჭვირვალობა და ახსნადობა; დ) სიმტკიცე, უსაფრთხოება და საიმედოობა; ე) ანგარიშვალდებულება. ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია ხელს უწყობს კვლევებს, სწავლებას და ანგარიშების გამოცემას ხელოვნული ინტელექტის განვითარებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის.

## 5. დასკვნა

თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევების საწინდარია. ბალანსის დაცვა ადამიანისა და მანქანის/პროგრამის მიერ კონტროლირებად საზოგადოებაში მხოლოდ წინასწარ შემუშავებული სტრატეგიული ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის მიხედვითაა შესაძლებელი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სამართალდამრღვევის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ციფრულ გადაწყვეტას. პრობაციის სამსახურის დიჯიტალიზაცია შეუქცევადი პროცესია და ზედამხედველობას, მონიტორინგს და შეფასებას საჭიროებს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების მონაწილეობით. ალტერნატიული სასჯელების აღსრულება კოლოსალური პერსონალური მონაცემების დამუშავებას მოითხოვს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით, რისკების ანალიზისა და საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით და, ამავდროულად, უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების დაცვა.

### 6. რეკომენდაციები ტრენერისათვის

ნებისმიერმა პირმა, რომელიც გადაწყვეტს წინამდებარე თავის მიხედვით ტრენინგის ჩატარებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეს სამიზნე აუდიტორია და შეადგინოს ტრენინგის ჩატარების გეგმა. შემდგომ განსაზღვროს ტრენინგის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ტრენერი ვალდებულია გაწეროს ის სასწავლო აქტივობები, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება ტრენინგი. ამასთანავე, აუცილებელია სასწავლო მეთოდოლოგიის შერჩევა სამიზნე აუდიტორიის ასაკის, აკადემიური დონისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ტრენერმა წინასწარ უნდა დაადგინოს დროის ჩარჩო, რომელიც იქნება მოქნილი და მოერგება მსმენელთა საჭიროებებს.

### 7. გამოყენებული ლიტერატურა


- მონაცემთა დაცვის სამართლის სახელმძღვანელო, ევროსაბჭო, 2018.
- *Russo J., Woods D., Drake G. B., Jackson B. A.*, Leveraging Technology to Enhance Community Supervision, 2019.
- *Rigano C.*, Using Artificial Intelligence to Address Criminal Justice Needs, 2018, <https://www.nationalpublicsafetypartnership.org/clearinghouse/Resource/789>
- მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციები, <https://gdpr-info.eu/>
- ევროკავშირის დირექტივა (EU) 2016/680, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32016L0680>
- ციხის საერთაშორისო რეფორმა, <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2021/05/Global-prison-trends-2021.pdf>
- <https://www.coe.int/en/web/artificial-intelligence/cahai>
- <https://edoc.coe.int/fr/internet/7128-internet-governance-council-of-europe-strategy-2016-2019.html>
- Unboxing Artificial Intelligence: 10 steps to Protect Human Rights, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის რეკომენდაციები, 2019, <https://rm.coe.int/unboxing-artificial-intelligence-10-steps-to-protect-human-rights reco/1680946e64>
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია - Declaration on the Manipulative Capabilities of Algorithmic Processes, 2019, <https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=090000168092dd4b>
- ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემების დამუშავების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი, 2019, <https://rm.coe.int/guidelines-on-artificial-intelligence-and-data-protection/168091f9d8>
- მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), European Ethical Charter on the Use of Artificial Intelligence in Judicial Systems and Their Environment, 2018.
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია - Technological Convergence, Artificial Intelligence and Human Rights, 2017, <https://pace.coe.int/

pdf/eb957373c02acc48df23359a09d52367e46172953326667a8259ffe25682ae848428feba12/recommendation%202102.pdf>

- ევროპის საბჭოს კვლევა - A Study of the Implications of Advanced Digital Technologies (Including AI Systems) for the Concept of Responsibility within a Human Rights Framework, 2019, <https://rm.coe.int/a-study-of-the-implications-of-advanced-digital-technologies-including/168096bdab>
- Governing the Game Changer – Impacts of Artificial Intelligence Development on Human Rights, Democracy and the Rule of Law, ევროპის საბჭოს კონფერენციის დასკვნები, ჰელსინკი, 2019, <https://rm.coe.int/conclusions-from-the-conference/168093368c>
- Artificial Intelligence and Data Protection: Challenges and Possible Remedies, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი, 2018, <https://rm.coe.int/artificial-intelligence-and-data-protection-challenges-and-possible-re/168091f8a6>
- ევროპის საბჭოს ანტიდისკრიმინაციული დეპარტამენტისთვის შესრულებული აკადემიური კვლევა - „დისკრიმინაცია, ხელოვნური ინტელექტი და ალგორითმების მიერ გადაწყვეტილების მიღება“, 2018, <https://rm.coe.int/discrimination-artificial-intelligence-and-algorithmic-decision-making/1680925d73>
- ევროპის საბჭოს კვლევა - Study on the Human Rights Dimensions of Automated Data Processing Techniques (In Particular Algorithms) and Possible Regulatory Implications, 2018, <https://rm.coe.int/algorithms-and-human-rights-studyon-the-human-rights-dimension-of-aut/1680796d10>
- OECD-ის საბჭოს რეკომენდაციები ხელოვნური ინტელექტის შესახებ, 2019, <file:///C:/Users/X/Downloads/OECD-LEGAL-0449-en.pdf>
- OECD-ის ხელოვნური ინტელექტის პრინციპები, <https://www.oecd.org/going-digital/ai/principles/>
- აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში - Implications of Artificial Intelligence Technologies for Human Rights in the Information Environment, 2018, <https://www.undocs.org/A/73/348>
- United Nations – Secretary-General's High-level Panel on Digital Cooperation, <https://www.un.org/en/digital-cooperation-panel>
- United Nations – Special Rapporteur on the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression, <https://undocs.org/A/73/348>

## 8. რეკომენდებული ლიტერატურა

- *Russo J., Woods D., Drake G. B., Jackson B. A.*, Leveraging Technology to Enhance Community Supervision, 2019, <file:///C:/Users/User/Downloads/RAND_RR3213.pdf>

- *Rigano C.*, Using Artificial Intelligence to Address Criminal Justice Needs, 2018, <https://www.nationalpublicsafetypartnership.org/clearinghouse/Resource/789>
- მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციები, <https://gdpr-info.eu/>
- მონაცემთა დაცვის სამართლის სახელმძღვანელო, ევროსაბჭო, 2018, <https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_data_protection_KAT.pdf>
- საქართველოს კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=22>
- ციხის საერთაშორისო რეფორმა, <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2021/05/Global-prison-trends-2021.pdf>
- ევროპის საბჭოს კვლევა - A Study of the Implications of Advanced Digital Technologies (Including AI Systems) for the Concept of Responsibility within a Human Rights Framework, 2019, <https://rm.coe.int/a-study-of-the-implications-of-advanced-digital-technologies-including/168096bdab>
- საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1923932?publication=0>